ტარიელ პინნოსაშვილი
ვახტანგ ხუსიმშვილი
პარმენ ბენაშვილი
ტატო ბასილაძე
თეა თაბაბარი
დავით ჯვიტარიანი
ბოჩა ჯაჭარავა
ბიოხბი ფალავრიანი

ფეხბურთის რვა გაზოგადება

ფეხბურთის
რვა
განზომილება

თბილისი
2018 წელი

UDC (უაკ) 796.332

ფ-47

რედაქტორ-გამომცემელი

ტარიელ (ტატო) კინწურაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება

კობა ბედოიძე

ISBN 978-9941-27-723-8

წინასიტყვაობა

წინამდებარე საფეხბურთო გამოცემა რაციონალური ხელწერითა და მდიდარი ფანტაზიით გამოირჩევა. წიგნში მთავარი როლის შემსრულებლად ის რვა ნაკრები გვევლინება, რომლებმაც სხვადასხვა დროს პლანეტის პირველობებზე იპირველეს. ამ გუნდებთან ერთად ნაჩვენებია მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიული პანორამა, — ასევე იხილავთ შემეცნებითი ხასიათის ნარკვევებს, არგუმენტირებულ თეორიებს, ამა თუ იმ მოვლენის ანალიზსა და ფეხბურთზე შექმნილ ნოველებს...

სპორტის ყველაზე მასშტაბური სახეობა მეცხრამეტე საუკუნეში დაიბადა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატები მეოცე ასწლეულიდან ტარდება. შეჯიბრი, რომელშიც საუკეთესო ნაკრებები ეპაექრებიან ერთმანეთს — განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს და გვსურს, რომ ამ დიდი საფეხბურთო დღესასწაულის შემადგენელ ნაწილად — თქვენს ხელთ არსებული წიგნიც იქცეს!..

ახლა ოცდამეერთე საუკუნეა და 2018 წლის ზაფხულში — მსოფლიოს ოცდამეერთე საფეხბურთო ჩემპიონატი აიღებს სტარტს. ვნახოთ, რომელი გუნდი ავა კვარცხლბეკზე — იქნება ეს დიდი რვიანის წარმომადგენელი თუ რომელიმე სხვა ნაკრები?

მოკლედ, წინ დიდი ამბები გველის!

ტარიელ (ტატო) კინწურაშვილი

DE
FOOTBALL
ASSOCIATION
COUPE
JULES RIMET
F
ORLD CUP

ბრაზილია

ტარიელ
(ტატო)
კინწურაშვილი

ოქროს ესკადრონი

სანამ თანამედროვე ბრაზილიის ნაკრებზე ვიტყოდე სათქმელს, მსურს ცოტა ხნით წარსულში გადავინაცვლო. ძველი დროიდან აწყმოში მოსაღწევად კი მოკლე გზაკვალს ავირჩევ და შევეცდები სწრაფად დავუბრუნდე 2018 წელს.

მაშ ასე...

დღიდან დაარსებისა, ფეხბურთმა მრავალ ასპექტში განიცადა ტრანსფორმირება, მათ შორის ტაქტიკურ განლაგებებში და ყოველივე ამან თამაშის სტილზეც ჰპოვა ასახვა.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ინგლისში ჩამოყალიბებული „პირამიდა“ თუ ჰერბერტ ჩეპმენის „WM“, ვიტორიო პოცოს „მეტოდო“ თუ ავსტრიელი კარლ რაპანის მიერ, — შვეიცარიის ნაკრებში შექმნილი „საკეტი“, რომელიც ნერეო როკომ იტალიაში შეიტანა და „კატენაჩოდ“ გარდაქმნა. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, რაპანისეული სქემატიკა არგენტინელმა ელენიო ერერამ მილანის „ინტერში“ დაამკვიდრა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. ერერამ „კატენაჩო“ უფრო მოდერნიზებული გახადა და მერმის, ხსენებულმა ტაქტიკამ იტალიურ ფეხბურთზეც დიდი გავლენა იქონია. არ შეიძლება არ ვახსენოთ, — უნგრეთში აღმოცენებული, ინგლისელი ჯეკ რეინოლდსის მიერ განვითარებული და ჰოლანდიელი რინუს მიხელსის მეცადინეობით ფრთაშესხმული ტოტალური ფეხბურთი, — მან ხომ განსაკუთრებული ელფერი შესძინა სპორტის ნომერ პირველ სახეობას. მიხელსის სისტემამ ამსტერდამის „აიაქსში“ ჰპოვა სრულყოფა და ძირეული ცვლილებებიც შეიტანა საფეხბურთო სამყაროში, თუმცა, შესაძლებლობათა მაქსიმალურ ზღ-

აიმორე მორეირა და ვისენტე ფეოლა

ვარს ფეხბურთში ბრაზილიურმა „ჯინგამ“ მიაღწია, რომელიც ყველანაირ სტრატეგიაზე წინ იდგა. ის ბრაზილიელთა ცეცხლოვანი სულისკვეთების გამოძახილი იყო და არა გაზეპირებული მზა ტაქტიკური სქემა.

1958, 1962 და 1970 წლებში — ბრაზილიელმა ჯადოქრებმა მსოფლიო ჩემპიონატებზე იმარჯვეს და სწორედ „ჯინგა“ აღმოჩნდა ის სტილი — „ნიკეს ქალღმერთი“ სამუდამოდ რომ დაატყვევა... საყოველთაო აღიარებით, ბრაზილიური „ჯინგა“ დღემდე ყველაზე ლამაზ საფეხბურთო მიმდინარეობად ითვლება. სილამაზე და შედეგი კი ერთობ მომნუსხველ კომბინაციას ქმნის. ამის დასტურია ის, რომ მხოლოდ „ოქროს ესკადრონმა“ შეძლო მსოფლიოს ყველა ჩემპიონატზე მონაწილეობის მიღება — მაისურზე ამოქარგული ხუთი ვარსკვლავიც, ოდენ რჩეულ ბრაზილიელ მოთამაშეებს ამშვენებს.

მოდი ახლა, ფეხბურთის ტაქტიკურ-სტრატეგიული განვითარების სფეროში, ბრაზილიელთა მიერ შეტანილ წვლილზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა...

მეოცე საუკუნის ორმოციანი წლების საწყის ეტაპამდე, „დუბლ-ვეს“ სისტემა გამოირჩეოდა. მერე ბრაზილიელმა მწვრთნელმა ფლავიო კოსტამ „დუბლ-ვე“ გადააკეთა და მისი ახლებური ვარიანტი შესთავაზა საფეხბურთო სამყაროს. კოსტას შემუშავებულ სტრატეგიას „დიაგონალი“ შეარქვეს. ეს ტაქტიკური მონახაზი ეფუძნებოდა — სამი მცველით, ორი ნახევარმცველითა და ხუთი თავდამსხმელით თამაშს. დიაგონალური წყობა „დუბლ-ვესგან“ არ განსხვავდებოდა, მაგრამ ამ სქემის გათვალისწინებით, ნახევარდამცველთა წყვილი მცირედ მიიწევდა წინ ირიბად. „დიაგონალის“ ეფექტურობა იმაში გამოიხატებოდა, რომ წინწაწეული შუამარბი — საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მდგომარეობას ამწვავებდა, — თან იმ დროისთვის სამი მოთამაშისგან შემდგარ დაცვის ხაზს მარჯვენა და ცენტრალურ ზონაში უტევდა

გარინჩა, დიდი, პელე, ვავა და ზაგალო

— ეს მცველები კი მარცხენა გარემარბისა და ცენტრალური თავდამსხმელის გასანეიტრალებლად იყვნენ კონცენტრირებულნი.

მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატზე, ვისენტე ფეოლამ თავისი გუნდისთვის 4+2+4 ტაქტიკა აირჩია, რომელიც გარკვეულწილად, სწორედ „დიაგონალის“ შემცველი იყო. მისი ფეხბურთელები: დიდი, ვავა, გარინჩა და 17 წლის პელე — მოწინააღმდეგე გუნდებს ქარაშოტისებრ აწყდებოდნენ და პირწმინდად მუსრავდნენ მათ. შვედეთში ფეოლას გუნდმა მეტამორფოზა განიცადა და აღნიშნული სქემის მოდერნიზებულ ვარიანტზე გადაერთო. ბრაზილიის ნაკრებმა 4+3+3 სტრატეგიით განაგრძო თამაში და მეტოქენი სულ ნაცარტუტად აქცია...

შვედეთის მუნდიალზე პელე მაინც ყველასგან განირჩეოდა.

1962 წელს, მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონატზე პელე დაიმტვრა, თუმცა ის ამარილდომ ძალზე წარმატებით ჩაანაცვლა და ამ უკანასკნელმა, ტურნირის გადამწყვეტ მატჩში გოლიც გაიტანა. ტრავმის მიღებამდე ერთი გოლის გატანა ფეხბურთის მეფემაც შეძლო. „სელესაოს“ რიგებში კი გარინჩა ლიდერობდა — ჩილეში „მანე“ საუკეთესო იყო. 1962 წელს, ბრაზილიის ნაკრებს — ნოვატორული მეთოდების დანერგვით ცნობილი აიმორე მორეირა წვრთნიდა. მორეირა იყო ის სპეციალისტი, ვინაც ბრაზილიურ (4+3+3) განლაგებას „ტრიპე“ შეარქვა.

როცა მას ჰკითხეს თუ რით განსხვავდებოდა ბრაზილიური 4+3+3 (ტრიპე) — ევროპული 4+3+3 წყობისგან — მორეირამ უპასუხა...

— მათ შორის განსხვავება მცირედია. ფეხბურთელთა ტრიო, რომელიც საშუალო ზონას აკონტროლებს, — კლასიკური სქემის

(4+3+3) სამეულზე უფრო სწრაფად მოძრავნი უნდა იყვნენ. „ტრიპეს“ მოთამაშეებს დაცვაშიც ევალებათ მონაწილეობის მიღება და შეტევის მომზადება-დასრულების პროცესიც წარმატებით უნდა შეასრულონ... ერთი სიტყვით, — „მათ მარტო პიანინოზე დაკვრა კი არა, საკუთარი მხრებით პიანინოს თრევაც უნდა შეეძლოთო“.

შეძლეს კიდეც!

1970 წელს, ბრაზილიის ნაკრებმა არნახულად ითამაშა. მექსიკაში მთლიანად გუნდი იყო ერთ ორგანიზმად გარდაქმნილი, რომლის მოთამაშენიც ბურთს ისე ფლობდნენ, ვით ტინტორეტო ფუნჯს. „შედევრის შემოქმედნი“ — შეიძლება ასე ვუწოდოთ პელეს, ჟაირზინიოს, რიველინოს, ტოსტაოს, გერსონს და დანარჩენებს... პელემ მსოფლიო ჩემპიონატი მესამედ მოიგო, ოღონდ ამჯერად მარიო ზაგალო მის მხარდამხარ აღარ თამაშობდა, იმიტომ რომ მექსიკაში წარდგენილ ოქროს გუნდს, სწორედ ზაგალო წვრთნიდა. მან ეს საპატიო მისია, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, ფეხბურთის დიდი მცოდნისგან — ჟოაო სალდანიასგან გადაიბარა. შეიძლება ასეც ითქვას, მიზეზთა გამო, — სალდანიამ ძლევამოსილი ნაკრები დაუტოვა ზაგალოს...

1982 წელს, მართალია ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე არ უპირველია, მაგრამ მაშინდელი „სელესაო“, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლება. ესპანეთის არენებზე: სოკრატესი, ზიკო, ლუიზინიო, ჟუნიორი, ედერი და ფალკაო — „ტანგო ესპანიას“ ახუჭუჭებდნენ...

იმ ანსამბლის მესაჭე ტელე სანტანა იყო.

1982 წელს წარმოდგენილ ნაკრებს, დიდათ არ ჩამოუვარდებოდა წინა მუნდიალზე მოასპარეზე — კლაუდიო კუტინიოს ბრაზილია. 1978 წელს, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა დაფიქსირდა — უვარგისმა გათამაშების სისტემამ განაპირობა ის, რომ გუნდი, რომელიც ტურნირზე არ დამარცხებულა, მესამე ადგილზე გავიდა.

1994 წელს, მსოფლიო ჩემპიონატს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უმასპინძლა. ბრაზილიაში დაავიწყდათ სტატუსი, რომელიც სამი სიტყვისგან შედგება და ასე იკითხება — „პლანეტის პირველი გუნდი“.

თითქმის მეოთხედი საუკუნე იყო გასული და ყვითლებს ჩემპიონობა მოპოვებული არ ჰქონდათ. ამერიკაში ბრაზილიამ ერთობ პრაგმატული ფეხბურთი ითამაშა, მოთამაშეები დიდი გულისყურით ზრუნავდნენ კარის უსაფრთხოებაზე და ფრთხილად, თაგვზე მონადირე კატასავით მიიწევდნენ მეტოქეთა კარისკენ. აი იმ გუნდის შემტევ პოტენციალს კი რომარიოსა და ბებეტოს წყვილი წარმოადგენდა. სანუკვარი თასის მეოთხედ მოგებაში, მთავარი განმაპირობებელი, მართლაც რომ ხსენებული დუეტის შესანიშნავი თამაში გახდა, — რომარიო შეუდარებელი იყო და დითირამბი კარლოს ალბერტო პარეირასაც ეკუთვნის, ამ მწვრთნელმა ბრაზილიას ოდინდელი დიდება დაუბრუნა.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ბრაზილიის ნაკრები არასტაბილურად თამაშობდა და იყო იმის საშიშროება, რომ გუნდი ვერ გადალახავდა შესარჩევ ბარიერს. სწორედ ამ დროს — ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ნაკრები ჩაიბარა, გუნდი მუნდიალზე გაიყვანა და 2002 წელს, სამხრეთ კორეისა და იაპონიის მოედნებზე ბრაზილიამ ფურორი მოახდინა. დიდმა ფილმა ცოტა უცნაური 3+3+2+2 ტაქტიკით ათამაშა თავისი გუნდი. ნაკრების ძირითადი ბირთვი ასეთი იყო: კარში მარკუში იდგა, დაცვის ცენტრი ლუსიოს ჰქონდა ჩაბარებული, დაცვაში მის მხარდამხარ როკე ჟუნიორი და ედმილსონი თამაშობდნენ. საყრდენ ნახევარმცველად ჟილბერტო სილვა გახლდათ გამწესებული. ედმილსონი უნივერსალური ფეხბურთელი იყო და საყრდენი ნახევარმცველის ადგილზე ჟილბერტო სილვასაც უწევდა მეწყვილეობას. მარჯვენა და მარცხენა ფლანგები, შესაბამისად, კაფუსა და რობერტო კარლოსს ებარათ. კაფუსა და კარლოსს, როგორც დაცვითი ფუნქციების შესრულება, ასევე შეტევებში აქტიური ჩართვაც ევალებოდათ. ნახევარდაცვაში რივალდო და კლებერსონი თამაშობდნენ. კლებერსონმა ჯგუფური ეტაპის შემდეგ ჟუნინიო ჩაანაცვლა. ოდნავ უკანდახეული თავდამსხმელის ფუნქციებს რონალდინიო ასრულებდა, ხოლო გამოკვეთილი შემტევის პოზიციაზე რონალდო ირჯებოდა.

ამ გუნდით სკოლარიმ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა. 1970 წლის მუნდიალზე, ზაგალოს ხელმძღ-

ვანელობით, ბრაზილიის ნაკრებმა ყველა მატჩი ძირითად დროში მოიგო, მაგრამ იმდროინდელი გათამაშების სისტემის მიხედვით, ჩემპიონი გუნდის გამოსავლენად ექვსი მატჩის გამართვა იყო საკმარისი, რადგან მაშინ თექვსმეტ გუნდს შორის უნდა გარკვეულიყო გამარჯვებულის ვინაობა. 1998 წლიდან მოყოლებული, მუნდიალზე მონაწილე ნაკრებთა რაოდენობა ოცდათორმეტს შეადგენს და კვარცხლბეკზე ასასვლელად უკვე შვიდ თამაშში მონაწილეობის მიღებაა საჭირო. სკოლარისთან ერთად, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე — ბრაზილიამ შვიდივე შეხვედრა ძირითად დროში მოიგო.

რადგან 1998 წელი ვახსენეთ, მოდით საფრანგეთში ჩატარებული მუნდიალის ერთი საკვანძო მომენტიც გავიხსენოთ — კერძოდ ფინალისწინა პერიპეტიები...

ფინალამდე რონალდომ ძალზე ძლიერად და შთამბეჭდავად ითამაშა — ექვს მატჩში ოთხი გოლი გაიტანა და არაერთი საგოლე პასის ავტორიც გახდა. ის გუნდის უპირობო ლიდერი იყო. ტურნირის მასპინძელ საფრანგეთის ნაკრებთან, ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრის წინ კი საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს მეტოქეთა განაცხადები, სადაც არ ეწერა რონალდო. ამ ინფორმაციამ მთელი საფეხბურთო მსოფლიო გააოგნა. რამდენიმე წუთში სააგენტოებმა ახალი ვერსია გაავრცელეს — „ბრაზილიის ნაკრებში რონალდო ითამაშებს“. ეს ის წუთები იყო, როდესაც მსოფლიომ არ იცოდა, რომ იმ დღეს, შუადღისას, სასტუმრო ოთახში — რონალდოს ნერვული სტრესი მოუვიდა რობერტო კარლოსის თვალწინ და სასწრაფოდ საავადმყოფოში

რომარიო და რონალდო - ბრაზილიის ნაკრების მრისხანე თავდამსხმელები.



2002 წელი. რონალდოს მსოფლიო ჩემპიონატის თასი აღუმართავს.

გააქანეს. საბოლოოდ „სელესაოს“ მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა მარიო ზაგალომ რონალდო ფინალში ათამაშა და მოვლენებიც შემდეგნაირად განვითარდა...

ბრაზილიის ნაკრებმა სამი უპასუხო ბურთი მიიღო საკუთარ კარში და მეორე ადგილს დასჯერდა. მიუხედავად ამ მარცხისა, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ რონალდო დასახელდა.

ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში, მეტად მტკივნეულ ორ მარცხსაც წააწყდება კაცი.

მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატი ბრაზილიაში გაიმართა, სადაც მასპინძლები დაფრინავდნენ და შუაზე გლეჯდნენ თავიანთ მეტოქეებს. 9 ივლისს (ჩემი დაბადების დღეა), ფინალურ ჯგუფში — „ოქროს ესკადრონმა“ შვედეთს 7:1, ხოლო ოთხ დღეში ესპანეთს 6:1 მოუგო. აი, გადამწყვეტ მატჩში, მასპინძლებმა ურუგვაისთან წააგეს. პირველი ტაიმი ბრაზილიელთა გამარჯვებით დასრულდა — მეორე ნახევარში კი ურუგვაელებმა ორი ბურთი გაიტანეს და მინიმალური სხვაობით მოიგეს. ურუგვაელთა ეს გამარჯვება აღიარებულია, მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე დიდ სენსაციად. „მარაკანაზე“, სადაც აღნიშნული ჯახი შედგა — მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში სარეკორდო დასწრება დაფიქსირდა.

1950 წლის 9 ივლისს, ბრაზილიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე — ბრაზილიის ნაკრებმა 7:1 მოუგო შვედეთს. გავიდა ხანი და დადგა 2014 წელი. ჩვენი დროით 9 ივლისს, ასევე საკუთარ ქვეყანაში მოწყობილ მუნდიალზე — ბრაზილიამ 1:7 წააგო გერმანიასთან.

რაოდენ დიდია სიმბოლური დამთხვევის ფაქტორი, რადგან ბრაზილიის საფეხბურთო ისტორიაში — ორი 9 ივლისი და ორი 7:1 არის

დაფიქსირებული. ამ სიმბოლიზმს, კიდევ ერთი ფაქტორი ამძაფრებს...

ზემოთ ნახსენებმა „დიაგონალმა“ — ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ბრაზილიური ფეხბურთი სამხრეთ ამერიკაში ძლევამოსილი გახადა. „დიაგონალის“ ავტორმა ფლავიო კოსტამ — „ვასკო და გამაში“, „ფლამენგოსა“ და ნაკრებში, ოცი წლის მუშაობის მანძილზე დაახლოებით ორმოცდაათი ტიტული მოიგო, მაგრამ როცა ყველაზე მნიშვნელოვანი ნადავლის მოპოვებაზე მიდგა საქმე — მარცხი იწვნია. 1950 წელს, ფლავიო კოსტას ბრაზილია, ყველასთვის მოულოდნელად ურუგვაიმ დაამარცხა. ფლავიო კოსტა ბრაზილიიდან გააძავეს და მისი იდეებიც ანათემას გადასცეს...

გავიდა 64 წელი და ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდი, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში დიდი ანგარიშით დამარცხდა და მიუხედავად იმისა, რომ „სელესაომ“ საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა — სკოლარიც კოსტასავით შეჩვენებულ იქნა. არადა მანამდე, დიდმა ფილმა ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატი და კონფედერაციის თასი მოაგებინა. ბრაზილიამ ორივე ტურნირი ისე მოიგო, რომ ყველა შეხვედრაში გამარჯვებას ძირითად დროში მიაღწია. სკოლარის გუნდმა, უძლიერესი შემადგენლობებით დაგეშილი: ინგლისი, გერმანია, იტალია, ურუგვაი და ესპანეთი დადო ბეჭებზე და არც სხვებს აყარა კარგი დღე.

მსურს ორი ბრაზილიელი ფეხბურთელიც ვახსენო...

მსოფლიოს 1938 წლის ჩემპიონატზე — ლეონიდასმა შვიდი გოლი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო მეგოლე გახდა, ხოლო ბრაზილიის ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა. მომდევნო მუნდიალზე — ადემირმა რვაჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი და რა გასაკვირია, რომ მას საუკეთესო ბომბარდირობაში ვერავინ შეეცილა, — მისი გუნდი კი მეორე ადგილს დასჯერდა.

ბოლოს კი „ოქროს ესკადრონის“ ოქროებიც აღვნუსხოთ...

ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატი ხუთჯერ (სარეკორდო მაჩვენებელია) — 1958, 1962, 1970, 1994 და 2002 წლებში მოიგო. „სელესაო“ კონფედერაციის თასს ოთხჯერ (სარეკორდო მაჩვენებელია) — 1997, 2005, 2009 და 2013 წლებში დაეუფლა, ხოლო ამერიკის თასი (კოპა ამერიკა) რვაჯერ — 1919, 1922, 1949, 1989, 1997, 1999, 2004 და

2007 წლებში იქნა მოპოვებული!..

2016 წელს, ბრაზილიის საფეხბურთო ისტორია ოლიმპიურმა ოქრომაც დაამშვენა!

***

ახლა დღევანდელობაზე ვთქვათ...

ოცდამეერთე საუკუნის ათიანი წლები, წინამორბედი ათწლეულებივით მიფრინავს. მოიხედავ და 2018 წლის ზაფხულში გასამართი, — მსოფლიოს ოცდამეერთე საფეხბურთო ჩემპიონატიც ისტორიის კუთვნილება გახდება. საქმე ის არის თუ რომელი გუნდი და ფეხბურთელი ჩაიწერება ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით...

შესწევს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს მწვერვალზე ასვლის უნარი?

შესწევს ნეიმარს იმის ძალა, რომ ყველას და ყველაფერს აჯობოს?

მოდით, სანამ „ოქროს ესკადრონზე“ ვიტყოდეთ სათქმელს, მათი უპირობო ლიდერი დავახასიათოდ...

ნეიმარის ტექნიკური შესაძლებლობები უსაზღვროა. სიმსუბუქე და ბალანსირების საუცხოო უნარი მოედანზე ეფექტურად მანევრირების საშუალებას აძლევს. იშვიათია მისნაირი ფეხბურთელი, რომელიც ასე ძლიერად და ზუსტად ურტყამდეს კარის მიმართულებით. როდესაც იგი ფლანგიდან უტევს, ყოველი მოძრაობა გამოუცნობი და საიდუმლოებებით მოცულია. მას ნებისმიერ დროს შეუძლია თამაშის ხასიათი შეცვალოს და სასწორის პინა საკუთარი გუნდის სასარგებლოდ გადაწონოს.

უამრავი ეპითეტით შეიძლება ამ ფეხბურთელის შემკობა: ის არის ბრწყინვალე დრიბლიორი, მშვენივრად ფარავს მოძრაობის დროს ბურთს, მისი სირბილი დახვეწილი და სრულყოფილია, დიდებულად მოქმედებს კომბინაციებში ჩართული და კომბინაციის შედეგიანი დაგვირგვინებაც ეხერხება. არის სწრაფი, ქარიზმატული, აქვს უნაკლო ტექნიკა და ფიზიკური კონდიციების მხრივაც არაფერი დაეწუნება. მას მართალია ტაქტიკურ განლაგებებში თავისი პოზიცია გააჩნია, მაგრამ ნეიმარი ყველანაირ სათამაშო სქემაზე მაღლა დგას. ბრაზილიელი გუნდის ლიდერია — ის გამარჯვებებისთვისაა დაბადებული!

ნეიმარი არგენტინელთა ალყაში

ნეიმარი რჩეულ მეკარეთა ნამდვილი რისხვაა!..

მან ბუფონის კარი კონფედერაციის თასზე დალაშქრა (ბრაზილია - იტალია 4:2) და საბოლოოდ, ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ტურნირი მოიგო. აღნიშნულ შეჯიბრზე, შესანიშნავ საგოლე გადაცემებთან ერთად ულამაზესი გოლებიც გაიტანა — შესაბამისად საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი ნეიმარს ხვდა წილად!

ბრაზილიელმა ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც არ დაინდო იტალიელი (ბარსელონა - იუვენტუსი 3:1) და ჩემპიონთა ლიგის თასსაც დაეუფლა. ის ხსენებულ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაზე — საუკეთესო ბომბარდირი გახდა!

ამერიკაში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონთა თასზე — ნეიმარმა აქტივში ორი ბრწყინვალე გოლი ჩაიწერა. ამ ორიდან ერთ-ერთი, შეიძლება ასეც დავასათაუროდ — „ფანტასტიკური სოლო გოლი“. საჯარიმოში შეჭრილმა ბრაზილიელმა ოთხი ტურინელი ჩამოიცილა და აუღებელი დაურტყა ბუფონს. შეჯიბრში სადაც, „ბარსელონას“ გარდა: „რეალი“, „იუვენტუსი“, „პარი სენ ჟერმენი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მანჩესტერ სიტი“, „ტოტენჰემი“ და „რომა“ ასპარეზობდნენ — ნეიმარი საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ტურნირზე თავის გუნდთან ერთად პირველობა იზეიმა.

ბრაზილიელს იკერ კასილასის მიერ დაცული "რეალის" კარიც არაერთხელ დაულაშქრია და ესპანეთის ნაკრებისაც (კონფედერაციის თასის ფინალი: ბრაზილია - ესპანეთი 3:0), ხოლო გერმანელ მანუელ ნოიერს მხოლოდ სამჯერ შეხვდა და ოთხი გოლი გაუტანა — აქედან

სამი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში.

ნეიმარმა 2016/2017 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაზე რეკორდი დაამყარა. შეასრულა რა — რვა საგოლე პასი (რაც დღემდე ვერავინ შეძლო) და მან, ყოველივე ამას მეოთხედფინალამდე მიაღწია!..

როცა 2011 წელს, „სანტოსმა“ მესამედ მოიგო ლიბერტადორესის თასი, — ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ "სანტოსელი" ნეიმარი დასახელდა. 2012 წლის ლიბერტადორესზე კი, ისევე როგორც 2014/2015 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაზე, ნეიმარი საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მსოფლიოში სამ ფეხბურთელს, ნეიმარს, დანილოს და რონალდინიოს აქვთ მოგებული „ლიბერტადორესისა“ და ჩემპიონთა ლიგის თასები, ხოლო ნეიმარი მსოფლიოში ერთადერთია, რომელსაც აღნიშნულ შეჯიბრთა ფინალებში გოლები აქვს გატანილი!

მსოფლიოში მარტო მან შეძლო — ლიბერტადორესის თასზეც და ჩემპიონთა ლიგაზეც საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო.

ნეიმარი ოლიმპიურ ვერცხლსა და ოქროსაც ფლობს.

ოქრო გერმანიასთან შერკინებისას მოიპოვა. ფინალში ნეიმარმა საჯარიმო დარტყმით „სუპერ“ გოლი გაიტანა, ხოლო თერთმეტმეტრიანების სერიაში — გადამწყვეტი „მკვლელი პენალტი“ შეუგდო გერმანელებს.

ნეიმარი ოლიმპიადის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ოქროს გვირგვინიც დაადგეს თავზე.

2013 წელი. ნეიმარი ესპანეთის წინააღმდეგ...

2014 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში, ნეიმარმა მძიმე ტრავმა

მიიღო და ტურნირის დასკვნითი ეტაპი გამოტოვა, მაგრამ მანამდე დიდებულად ითამაშა და მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა!..

ნეიმარს ზედიზედ სამჯერ აქვს მოგებული ესპანეთის თასი და ის ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც "კოპა დელ რეის" სამივე ფინალში გოლი გაუტანია!..

ბრაზილიელს "ბარსელონასთან" ერთად, — აღნიშნული ტიტულების გარდა მოგებული აქვს: ესპანეთის ჩემპიონატი (ორჯერ), ესპანეთის სუპერთასი (ორჯერ), ევროპის ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და მსოფლიოს კლუბთა ჩემპიონატი...

თითქმის ყველა ტურნირზე თუ გადამწყვეტ შეხვედრაში — ნეიმარი საუკეთესო ბომბარდირი, საუკეთესო მოთამაშე ან სიმბოლური ნაკრების ბინადარი ხდებოდა...

და კიდევ ერთი — „ბარსაში“ მოთამაშე ნეიმარი ჩემპიონთა ლიგაზე "პარი სენ ჟერმენს" ექვსჯერ შეხვდა და შვიდი გოლი გაუტანა. დღეს კი ბრაზილიელი ჯადოქარი „პარი სენ ჟერმენისთვის“ ღვრის ოფლს. პარიზულმა გუნდმა ბრაზილიელში ასტრონომიული თანხა გადაიხადა და ისიც „ბარსელონადან“ „პსჟ-ში“ გადაბარგდა. ნეიმარი მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა და უფრო მეტიც, — მან პირველივე შეხვედრებში ჯადოქრული თამაშით მონუსხა მილიონობით ფეხბურთის მოყვარული და კვლავ „ევერესტისკენ“ იწყო სვლა, რადგან მწვერვალზე ჩემპიონთა ლიგის თასი ეგულება!..

ახლა რაც შეეხება დღევანდელი ფორმაციის ბრაზილიის ნაკრებს — გუნდს, რომელმაც მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატზე უნდა გაიბრწყინოს!

ჩემს მიერ ნათქვამ სიტყვებს შეიძლება მავანმა ხმამაღალი უწოდოს, თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ საქმე, ბრაზილიის ნაკრებთან გვაქვს. რიო 2016-ზე, ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების ღირსებას: მარკინიოსი, რენატო აუგუსტო, გაბრიელ ჟესუსი და გუნდის ლიდერი ნეიმარი იცავდნენ. ბრაზილიის ოლიმპიურმა გუნდმა ტურნირზე ცამეტი გოლი გაიტანა, საკუთარ კარში მხოლოდ ერთი მიიღო და ოლიმპიურ

ტიტე ბრაზილიის ნაკრების საფეხბურთო მუზეუმში.

ოქროს დაეუფლა. ოლიმპიადის შემდეგ, ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს ადენორ ლეონარდო ბაკი ანუ იგივე ტიტე ჩაუდგა სათავეში, ხოლო ზემოთ ნახსენებ ფეხბურთელთა კვარტეტი — ტიტეს ნაკრების ქვაკუთხედად იქცა. მათთან ერთად სელესაოს მთავარმა მწვრთნელმა გუნდი ააფეთქა! ტიტეს ხელში ფეხბურთელებმა გამართული და სანახაობრივი თამაშის დემონსტრირება დაიწყეს, „ოქროს ესკადრონმა“ არაერთი მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით (მათ შორის არგენტინას სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს, ხოლო ურუგვაის 4:1 მოუგეს) და მსოფლიოში პირველებმა მოიპოვეს მუნდიალის საგზური. ბრაზილიის ნაკრები „ფიფას“ რეიტინგშიც პირველ ადგილზე აღზევდა.

ტიტემ ძირითადი შემადგენლობის ბირთვი გამოკვეთა. ის კარის უსაფრთხოებას ალისონს ანდობს. დაცვის მარცხენა ფრთაზე, შესანიშნავ ფორმაში მყოფი ორი გამობრძმედილი ფეხბურთელი — დანიელ ალვეში და მარსელო ირჯებიან. ცენტრალურ დამცველად მარკინიოსი უკონკურენტოა — აი მეორე ცენტრად კი მირანდა და ტიაგო სილვა განიხილებიან. ბრაზილიელთა ნახევარდაცვაში, საყრდენად გამწესებული კაზემირო, პაულინიოსთან და რენატო აუგუსტოსთან ერთად მონოლითური სიმტკიცის პირამიდას ქმნის. ბრაზილიური შეტევა კი მსოფლიოში ყველაზე მრისხანედ გამოიყურება — კოუტინიოს, ჟესუსისა და ნეიმარის ტრიადა, — შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ ინტრიგად მივიჩნიოთ. მათი შეჩერება (ფირმინოც არ დავივიწყოთ), მართლაც

ბრაზილიელთა შემტევი სამეული: კოუტინიო, ნეიმარი და ჟესუსი.

რომ ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. რაც მთავარია, ტიტეს შესაძლებლობა აქვს — ძირითადი შემადგენლობის თითოეული წევრი, ასე თუ ისე სრულფასოვნად შეცვალოს. მოკლედ ბრაზილიის ნაკრებს იმის პოტენცია ნამდვილად გააჩნია, რომ რუსეთის მოედნებზე წარმატებულად იასპარეზოს — ფეხბურთის ჯადოქრების მიზანი კი მუდამ პირველობა ყოფილა და არის — ტიტეს გუნდი მსოფლიო ჩემპიონობას უმიზნებს!

ბოლოს, ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელის შესახებაც ვთქვათ ორიოდ სიტყვა...

ტიტეს უამრავ კლუბში უმუშავია, ხოლო მისი სამწვრთნელო კარიერის მწვერვალი „კორინთიანსში“ მოღვაწეობას უკავშირდება. პროფესორმა ტიტემ „კორინთიანსს“ — ბრაზილიურ, სამხრეთამერიკულ და მსოფლიო ასპარეზზე — უმაღლესი რანგის ტურნირები მოაგებინა!..

2012 წელს, მისი გაწვრთნილი „კორინთიანსი“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბი გახდა. ტიტეს გუნდმა, კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული — ლონდონის „ჩელსი“ დაამარცხა!

ორი ტიტანი

პელე თუ მარადონა?

მარადონა თუ პელე?

ეს შეკითხვა მუდმივი კამათის საგანია საფეხბურთო სამყაროში. სანამ მათზე მოგახსენებდეთ, მინდა ხაზი გავუსვა სტატისტიკის როლს ანალიზის საქმეში. თუ საქმეს პროფესიონალურად მივუდგებით, ჯერ მონაცემები უნდა შევაგროვოთ, მერე მის დამუშავებაზე ვიზრუნოთ და შემდგომ მათზე დაყრდნობით დასკვნები გავაკეთოთ... სწორედ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელე ამ ორი მონსტრის შედარებისას და რადგან ასეა, მაშ დავიწყოთ!..

1986 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში — მარადონამ ინგლისის ნაკრებს ენით აუღწერელი, ზღაპრული სილამაზის გოლიც გაუტანა და არჩასათვლელი (ხელით ითამაშა) ბურთიც შეუგდო შილტონს. არგენტინელი ნახევარფინალშიც გამორჩეული იყო, — ის ბელგიელებთან შეხვედრაშიც დუბლის ავტორი გახდა და ფინალშიც შესანიშნავი პასი შეასრულა ბურუჩაგას მიმართულებით, — ამ უკანასკნელმა კი გამარჯვებისა შეუგორა დასავლეთ გერმანიის ნაკრებს.

ფეხბურთის მეფე

დიეგო მარადონამ მსოფლიო ჩემპიონატის თასი აღმართა და ხალხის ფართო მასებშიც დიდი აჟიოტაჟი ატყ-

მარადონა

და. ზოგმა ის ფეხბურთის ახალ მეფედ მონათლა, ხოლო სხვანი მეფის გვირგვინს სამომავლოდ უწინასწარმეტყველებდნენ.

სიმართლე უნდა ითქვას, — იმ პერიოდში, არგენტინელის თამაშიდან გამომდინარე, ამის ყველანაირი წინაპირობა არსებობდა, მაგრამ იყო სამი კომპონენტი...

— შეძლებდა მარადონა ოცი წლის განმავლობაში, — ისე სტაბილურად და მაღალ დონეზე ეთამაშა, როგორც ეს პელემ შეძლო?

— მოიგებდა იგი ბევრ ტიტულს, თუნდაც იმის ნახევარს, რამდენიც ბრაზილიელმა მოიგო?

— გაიტანდა მარადონა იმდენ გოლს, თუნდაც იმის ნახევარს, რამდენიც ფეხბურთის მეფემ გაიტანა?

ამ სამი კომპონენტიდან — უდიდესმა და უდიადესმა, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა, ვერც ერთი ვერ შეასრულა და ვერ შესწვდა „მეფის გვირგვინს“.

შეიძლება ახლა ვინმემ თქვას, მარადონა რომელი ცენტრალური თავდამსხმელი იყო, იმდენი გოლი რომ გაეტანა, რამდენი გოლის გატანაც პელემ მოახერხაო?!

მათ საპასუხოდ ვიტყვი — ფეხბურთს უამრავი ცენტრალური თავდამსხმელი ჰყოლია, თუმცა პელესდარ შედეგებს ვერ შესწვდნენ. პელე კი ისეთი სტილის შემტევი არ ყოფილა, რომ მხოლოდ კარის გასწვრივ დაგორებული ბურთისთვის დაეხვედრებინა ფეხი. პელე შემოქმედი მოთამაშე იყო, რომელიც მარადონასდარად შეტევის ორგანიზებაშიც იღებდა მონაწილეობას, საგოლე პასებსაც მრავლად ასრულებდა და ბევრი გოლიც გაჰქონდა.

ფეხბურთის ზედაპირულად მცოდნე ზოგი მოყვარული იმასაც ამბობს, რომ მარადონას არგენტინის ნაკრებში ძლიერი პარტნიორები არ ჰყავდა, — პელეს კი მაღალი დონის ოსტატები უადვილებდნენ თამაშსო...

ეს აზრი ძალზე უსუსურია და ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული!

მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატზე, ნახევარფინალურ მატჩში — ბრაზილიის ნაკრები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გავიდა: ჟილმარი, დე სორდი, ნილტონ სანტოსი, ზიტო, ბელინი, ორლანდო, დიდი, ვავა, ზაგალო, გარინჩა, პელე.

ამ ფეხბურთელებმა — ფონტენისა და კოპას — ძალიან ძლიერ საფრანგეთის ნაკრებს 5-2 მოუგეს. ფრანგების კარში სამი გოლი პელემ გაიტანა. ფინალში ლეგენდარულმა ფეოლამ თითქმის ანალოგიური შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე, მხოლოდ ერთი ცვლილება მოახდინა, დე სორდის ადგილი ჯალმა სანტოსმა დაიკავა და ბრაზილიის ნაკრებმაც ნახევარფინალური ანგარიში დააფიქსირა ტაბლოზე. ფეხბურთის ჯადოქრებმა მასპინძელ შვედეთს 5-2 მოუგეს, ხოლო ამჯერად პელემ ორი გოლი გაიტანა და აქედან ერთი, ყველა დროის ერთ-ერთ ულამაზეს გოლად არის აღიარებული.

თორმეტი წლის შემდეგ, — მეხიკოს „აცტეკას“ სტადიონზე — ბრაზილიელები იტალიის ნაკრების წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით წარსდგნენ: ფელიქსი, კარლოს ალბერტო, ბრიტო, პიაცა, ევერალდო, კლოდოალდო, გერსონი, რიველინო, ჟაირზინიო, ტოსტაო, პელე.

„აცტეკაზე“ — პლანეტის მეცხრე მუნდიალის ფინალში, გუნდის კაპიტანი საბოლოოდ აიტაცებდა ნიკეს ოქროს თასს, რადგანაც 1928 წელს, კერძოდ 29 მაისის — ამსტერდამის კონგრესზე დამტკიცებული გათამაშების პროექტის თანახმად, ქვეყანა, რომელიც სამჯერ მოიპოვებდა ამ ჯილდოს, სამუდამოთაც დაიტოვებდა მას. იმ მომენტისთვის იტალიელებსაც და ბრაზილიელებსაც ორჯერ ჰქონდათ მოგებული ეს თასი.

ამ უმნიშვნელოვანესი და უპრინციპულესი შეხვედრის მეცხრამეტე წუთზე — პელემ თავური დარტყმით ანგარიში გახსნა, ხოლო მატჩის მიწურულს, სანამ მთავარი არბიტრი, გერმანელი რუდი გლიონკერი ენერგიულად ჩასტვინავდა — ბრაზილიელმა ტოსტაომ თავის თანაგუნდელ ბრიტოს გადასცა ბურთი, ბრიტომ კლოდოალ-

დოს დაუტოვა, კლოდოალდომ პელე მონახა, პელემ კი გერსონისკენ შეასრულა გადაცემა, გერსონმა კვლავ კლოდოალდოს მიმართულებით გაგზავნა ბურთი, კლოდოალდომ ოთხი იტალიელი მოატყუა და მერე რიველინო მოძებნა, ხოლო რიველინომ ჟაირზინიო. ჟაირზინიომ პელეს გადააწოდა და შემდეგ — ფეხბურთის მეფემ ბრაზილიელთა კაპიტანს საგოლედ დაუგორა, — მერმის კი კარლოს ალბერტომ შესანიშნავი დარტყმით დალაშქრა ალბერტოზის კარი. ბრაზილიელებმა იტალიას 4-1 მოუგეს და სამუდამოდ დაეუფლნენ ოქროს ქალღმერთს — ქალღმერთს, რომელიც ზუსტად ორმოცი წელი თამაშდებოდა...

1958 და 1970 წლების ფინალებში ბრაზილია აბსოლუტურად სხვადასხვა შემადგენლობით იყო წარდგენილი და ამ ორ, სრულიად განსხვავებული ფორმაციის ნაკრებში თამაშობდა პელე, რომელიც საუკეთესო იყო!

მარადონას კი არგენტინის ნაკრებში კარგი პარტნიორები თუ არ ჰყავდა, მაშინ ვინ იყვნენ: მარიო კემპესი, დანიელ პასარელა, ხორხე ვალდანო, ოსკარ რუჯერი, ხორხე ბურუჩაგა, კლაუდიო კანიჯა, გაბრიელ ბატისტუტა და ა.შ...

მარადონამ პელეს მსგავსად — ოთხ მსოფლიო ჩემპიონატზე მიიღო მონაწილეობა.

1982 წელს, სანახევარფინალო ჯგუფში — ბრაზილიელ ზიკოს, სერჟინიოს და ჟუნიორს — მარადონას არგენტინის კარში გოლები ჰქონდათ გატანილი. მატჩის ოთხმოცდამეხუთე წუთზე მარადონამ ძალზე უხეშად ითამაშა და მსაჯმა ის მოედნიდან გააძავა, მის გარეშე დარჩენილმა არგენტინამ პრესტიჟის გოლი გაიტანა და ტურნირს გამოემშვიდობა.

1986 წელზე უკვე მოგახსენეთ.

1990 წელს კი არგენტინელები კვლავ გავიდნენ ფინალში, თუმცა ძალზე უსახურად. გუნდმა არაშთამბეჭდავი თამაში აჩვენა, ძირითად დროში მხოლოდ ორჯერ მოიგო, ხოლო დიეგომ ერთი კინკილა გოლის გატანაც ვერ შეძლო ტურნირზე. არგენტინის ნაკრები, რომლის ფეხბურთელებმაც მხოლოდ ხუთჯერ დალაშქრეს მოწინააღმდეგეთა კარი — ფინალში დამარცხდა.



1986 წელი. მარადონა ინგლისელებს უტევს...

შემდეგ მარადონა ნარკოტიკებს მიეძალა და მისი ვარსკვლავიც გაფერმკრთალდა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე, არგენტინელთა მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა — ალფიო ბასილემ, უკლუბოდ დარჩენილი დიეგო ნაკრებში მიიწვია. არგენტინელებს ჯგუფში ერთ-ერთ მეტოქედ საბერძნეთის ნაკრები ჰყავდა, რომელმაც ტურნირზე სამიდან სამივე შეხვედრა წააგო. ბერძენმა ფეხბურთელებმა შეჯიბრი უგოლოდ დატოვეს — საკუთარ კარში კი ათი ბურთი მიიღეს. ჯგუფის პირველ შეხვედრაში არგენტინის გუნდმა სწორედ ბერძნებს აყარა შავი დღე და ოთხი უპასუხო ბურთით „დაასაჩუქრა“. ერთი გოლი მარადონამაც გაიტანა. მან ჯგუფის მეორე შეხვედრაში — ნიგერიის წინააღმდეგაც ითამაშა, მაგრამ ეს მატჩი მისთვის მსოფლიო ჩემპიონატებზე უკანასკნელი აღმოჩნდა. „ფიფამ“ ის აკრძალული პრეპარატის მიღებაში ამხილა და დისკვალიფიკაციით დასაჯა.

მარადონა ყოველთვის ასოცირდება 1986 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატთან. მის პერსონას ინგლისელთა კარში გატანილმა გოლმა დიდი რეკლამა გაუკეთა. არადა პელეს, არანაკლები სილამაზის გოლებით ბევრჯერ დაულაშქრია მეტოქეთა კარი . მარადონას გოლი ფერად ეკრანებზე იხილეს, ხოლო 1958 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, პელეს მიერ გატანილი გოლის შესახებ ბრაზილიაში რადიოთი გაიგეს. თუმცა ახლა, ინტერნეტის ეპოქაში ყველასათვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი რამის ხილვა.

რად ღირს თუნდაც, ფეხბურთის მეფის მიერ — ბრაზილიური „იუვენტუსის“ კარში გატანილი გოლის გახსენება. პელემ მეკარის

ჩათვლით ოთხ ფეხბურთელს სათითაოდ გადაუგდო თავზე ბურთი, ისე რომ მრგვალი სფერო მწვანე მინდორს არ შეხებია. ეს მართლაც ფანტასტიკა იყო!

რაც შეეხება საკლუბო კარიერას...

მარადონამ „ფრთები“ იტალიურ „ნაპოლიში“ გაშალა. მას არც „ბოკა ხუნიორსში“, არც „ბარსელონაში“ და მით უმეტეს, არც „სევილიაში“ ეპოქა არ შეუქმნია. მაშინდელი „ნაპოლი“ კი ძალზე კარგად იყო დაკომპლექტებული. მარადონას გვერდს უმაგრებდნენ იტალიის ნაკრების შემტევი — ბრუნო ჯორდანო და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი — კარეკა. კარის უსაფრთხოებაზე კი იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული დამცველი — ჩირო ფერარა ზრუნავდა. სხვებიც შესანიშნავად ირჯებოდნენ...

მარადონამ „ნაპოლისთან“ ერთად — სერია A ორჯერ მოიგო. არგენტინელი იტალიის თასს, იტალიის სუპერ თასს და უეფას თასსაც დაეუფლა.

მოდი ახლა პელეზეც ვთქვათ...

პელემ 18 წლის მანძილზე, უძლიერეს ჩემპიონატში უმაღლეს დონეზე იასპარეზა და უამრავ საკლუბო თუ ინდივიდუალურ ჯილდოს დაეუფლა. მას თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში — ბელინის, ორლანდოს, დე სორდის, ჯალმა და ნილტონ სანტოსების, ალტაფინის (იგივე მაცოლას), დიდის, ვავას, ზაგალოს, გარინჩას, მაუროს, ზოზიმოს, ამარილდოს, ბრიტოს, პიაცას, კარლოს ალბერტოს, ევერალდოს, კლოდოალდოს, გერსონის, რიველინოს, ჟაირზინიოს, ტოსტაოს და სხვა ჯადოქრების წინააღმდეგ უწევდა პაექრობა. აი ასეთი მხეცი ჩემპიონატი იმართებოდა ბრაზილიაში და

1970 წელი. პელე ნიკეს თასისთვის იბრძვის!

1970 წელი. პელე იტალიელებს თავს ესხმის.

პელე საუკეთესო იყო საუკეთესოთა შორის.

პელეს „სანტოსი“ 1962 და 1963 წლებში ლიბერტადორესის თასს დაეუფლა. ჰოდა, აღნიშნულ წლებში "სანტოსი", შესაბამისად მსოფლიოს საუკეთესო კლუბის გამოსავლენად, ჩემპიონთა თასის მფლობელ გუნდებს: ეუსებიოს "ბენფიკას" და ალტაფინის "მილანს" დაუპირისპირდა. სანტოსმა ორივე გუნდი დაჯაბნა, ზედიზედ ორჯერ მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი, ხოლო პელემ ორ თამაშში "ბენფიკას" ხუთი გოლი გაუტანა და "მილანს“ სამ თამაშში ორი!.. ("სან სიროზე" იტალიელებმა მოიგეს 4:2, აი "მარაკანაზე" კი ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს იმავე ანგარიშით. დაინიშნა მესამე გადამწყვეტი შეხვედრა, რომელიც "სანტოსის" გამარჯვებით დასრულდა. ბრაზილიელებმა 1:0 მოუგეს იტალიელებს).

2015 წელს — "ოქროს ბურთის" დამაარსებელმა "France Football-მა" ის არაევროპელი ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც 1995 წლამდე დაეუფლებოდნენ პრიზს.

"ოქროს ბურთი" 1995 წლამდე მხოლოდ ევროპელებს გადაეცემოდათ, შემდეგ კი ეს ჯილდო გლობალური გახდა!

ესეც — "France football-ის" ალტერნატიული სია:

1958 წელი. პელე - რაიმონდ კოპას მაგივრად.
1959 წელი. პელე - დი სტეფანოს მაგივრად.
1960 წელი. პელე - ლუის სუარესის მაგივრად.
1961 წელი. პელე - ომარ სივორის მაგივრად.
1962 წელი. გარინჩა - იოზეფ მასოპუსტის მაგივრად.
1963 წელი. პელე - ლევ იაშინის მაგივრად.
1964 წელი. პელე - დენის ლოუს მაგივრად.
1970 წელი. პელე - გერდ მიულერის მაგივრად.



უკომენტაროდ...

1978 წელი. მარიო კემპესი - კევინ კიგანის მაგივრად.

1986 წელი. დიეგო მარადონა - იგორ ბელანოვის მაგივრად.

1990 წელი. დიეგო მარადონა - ლოთარ მათეუსის მაგივრად.

1994 წელი. რომარიო - ხრისტო სტოიჩკოვის მაგივრად.

დი სტეფანო და სივორი არგენტინელები იყვნენ, მაგრამ იმ დროისთვის, — დი სტეფანო ესპანეთის, ხოლო სივორი იტალიის სახელით გამოდიოდა.

***

საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ — პელე მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა!

პეპემ — „სანტოსის“ კიდევ ერთმა ლეგენდარულმა ფეხბურთელმა, ერთხელ თქვა: მე „სანტოსის“ ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე ვარო. როდესაც მას ჰკითხეს, მაშ პელე ვინღააო, პეპეს დაუფიქრებლად უპასუხია — პელე მხედველობაში არ მიიღება, ის ხომ ადამიანი არ არისო.

ექვსი საათის მოლოდინში

(ფანტასტიკური საფეხბურთო ნოველა)

2011 წლის ერთ მშვენიერ დღეს, — კერძოდ 13 ივლისს, — ფეხბურთის დიდი მოყვარული, მშობლიური ნაკრებისა და ,,ბოტაფოგოს'' მრავლისმნახველი ქომაგი, სამოცდაჩვიდმეტი წლის ტიაგო ანტონიო კორკოვადოს მთის წვერზე მაცხოვრის უზარმაზარი ქანდაკების ქვეშ იდგა და გუანაბარის ყურეს, კოპაკაბანას პლაჟს, მთა პან-დი-ასუკარს და ერთი სიტყვით, რიო-დე-ჟანეიროს თვალწარმტაც საერთო ხედს გაჰყურებდა. მას თან ახლდა ინგლისიდან ჩასული, ახლად დაარსებული ჟურნალის — ,,ფეხბურთის სამშობლოს'' — პორტუგალიური ენის მცოდნე ყმაწვილი ჟურნალისტი. ის საინტერესო საფეხბურთო მასალის მოსაგროვებლად გამოეგზავნა ჟურნალის რედაქციას იმ ქვეყანაში, რომლის ეროვნულმა ნაკრებმაც ყველაზე მეტჯერ — ხუთჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და მომავალ მსოფლიოს მეოცე საფეხბურთო ჩემპიონატსაც ეს ქვეყანა გაუწევდა მასპინძლობას.

ლოურენს ბატჩერმა დიქტოფონი ჩართო და კითხვით მიმართა მოხუცს:

— თქვენ სტაჟიანი გულშემატკივარი ბრძანდებით. სტადიონზე არაერთი ძლიერი ფეხბურთელის თამაში გიხილავთ, ამასთანავე რამდენიმე საფეხბურთო წიგნის ავტორიც ხართ, — ამიტომ წინასწარ ვგრძნობ, რომ თქვენთან საუბარი და თქვენი აზრის მოსმენა ძალზე საინტერსო იქნება. გთხოვთ, გაიხსენოთ ის ყველაზე უფრო სასიხარულო და ყველაზე დიდი იმედგაცრუების ამბავი, რაც ფეხბურთისგან განგიცდიათ და დაგამახსოვრდათ.

— ასეთი ბევრი იყო... რომელი ერთი დაგისახელოთ? აი, მაგალითად, ერთი შეხედვით, თითქოს არც დიდ იმედგაცრუებასთან და არც დიდ სიხარულთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს იმ ამბავს, რომლის თვითმხილველიც გახლავართ, მაგრამ ძალიან კი გამახარა!..

გარინჩა და ნილტონ სანტოსი

1953 წლის 9 ივლისი იყო... სწორედ იმ დღეს ცხრამეტი წელი შემისრულდა. ჩემს თანატოლ-მეგობრებთან ერთად ,,ბოტაფოგოს'' სტადიონისკენ გავწიე, რათა ჩემი რჩეული გუნდის ფეხბურთელების ვარჯიშს დავსწრებოდი. ფეხბურთელთა წვრთნას ვუცქირეთ და როდესაც ეს პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა, ,,ბოტაფოგოს'' მწვრთნელმა ქვეყნის ნაკრების სახელგანთქმულ მარცხენა მცველს ნილტონ სანტოსს ერთი ყმაწვილის გამოცდა დაავალა. მინდორზე კოჭლობით გამოვიდა ჭაბუკი, გარშემო ერთი ვაიუშველებელი ატყდა, იცინოდა ყველა, მათ შორის მეც. ცოტა ხანში კოჭლმა პასი მიიღო. ნილტონი მისკენ გაეშურა ბურთის წასართმევად და მიუახლოვდა თუ არა, კოჭლმა ბურთი მსწრაფლ ფეხებშუა გაუძვრინა. ნილტონმა გამოდევნება სცადა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და ფეხებაშვერილი ძირს გაიშხლართა, — სტადიონზე საყოველთაო ხარხარს მეც შევუერთდი. მაშინ რაღაც განსაკუთრებულად დიდი სიხარულის გრძნობა დამეუფლა. აი, ასეთი საჩუქარი მომიძღვნა გარინჩამ დაბადების დღეზე და მომავალშიც ბევრჯერ დამასაჩუქრა თავისი საუცხოო თამაშით.

ტიაგომ ღრმად ჩაისუნთქა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და საუბარი კვლავ ახალი შემართებით განაგრძო...

— გავიხსენებ ერთ შემთხვევასაც... შვედეთში გასამართი მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის წინ, ამხანაგურ შეხვედრაში, ბრაზილიის ნაკრები „ფიორენტინას“ შეხვდა. ამ თამაშსაც სტადიონიდან ვუყურებდი. მატჩის მიმდინარეობის ერთ-ერთ მომენტში გარინჩამ

„ფიორენტინას“ მთელი დაცვა მოატყუა, მიაყოლა მეკარეც და ბურთით კარის ხაზზე გაჩერდა. ტრიბუნებიდან ხალხი ფეხზე წამოიჭრა. გულშემატკივრები გაოცებულები შესცქეროდნენ მას. როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე, ბრაზილიელი მოწინააღმდეგის ერთ-ერთ მცველს უცდიდა, რომელიც მეკარის დასახმარებლად მირბოდა. გარინჩა მოთმინებით ელოდა, ვიდრე მიუახლოვდებოდა, მერე უეცარი მანევრით მოატყუა და ბურთიანად შევიდა ფიორენტინას კარში. გარინჩას ფინტზე წამოგებულმა იტალიელმა კი ორიენტაცია დაკარგა და თავით კარის ძელს შეასკდა. ყველას სიცილი აუტყდა, მათ შორის „ფიორენტინას“ მოთამაშეებსაც. ეს იყო მართლაც ღვთაებრივი კომედია, ოღონდ ამჯერად დიადი იტალიელი პოეტის — დანტე ალეგიერისეული არა. ის თამაში ბრაზილიელებმა 4:0 მოიგეს და მსოფლიო ჩემპიონატზეც, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გაიმარჯვეს.

მოკლედ, ბრაზილიის ნაკრებისა და „ბოტაფოგოს“ თითოეული გამარჯვება ყოველთვის დიდ სიხარულს მგვრის, მაგრამ იმედგაცრუებაც მქონია. ამგვარი ამბებიდან უთუოდ გამოვარჩევდი ერთს, რის გამოც კვირის განმავლობაში ვტიროდი.

მამამ წამიყვანა მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩზე დასასწრებად. მაშინ თექვსმეტი წლის გახლდით. მარაკანა გადაჭედილი იყო — ურუგვაელებს ვხვდებოდით. მთელ ქვეყანას, მათ შორის მამასაც და მეც, გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარებოდა...

ტიაგო ანტონიომ უცებ თხრობა შეწყვიტა. მოხუცმა და ახალგაზრდა ინგლისელმა ერთმანეთს გადახედეს. ინგლისელი გაოგნებული ჩანდა.

— ეს რას ნიშნავს? ძლივს წაილუღლუღა ლოურენსმა.

— დიახ, ახლა ბრაზილიაში დრო გაჩერებულია, — გაჩერებულია მინუმუმ სამი წლით, — უპასუხა მოხუცმა.

ინგლისელის გაოცების მიზეზი რიო-დე-ჟანეიროს ცაზე გამოსახული საათი შეიქმნა, რომელიც სამი ფერით იყო გაწყობილი. ფერთა პალიტრას: ყვითელი, მწვანე და ლურჯი ფერები შეადგენდა. საათზე რეალურთან შეუსაბამო დრო იყო დაფიქსირებული, — ექვსს ეკლდა ოცდახუთი წუთი... ჩვეულებისამებრ, პატარა ისარი ხუთსა და ექვსს

ექვსს უკლია ბრაზილია...

შუა გაჩერდა, ხოლი დიდი ისარი შვიდთან დაფიქსირდა. უცებ საათის ციფერბლატზე 7-ის მაგივრად აღიბეჭდა ლათინური ასო — B, 8-ის მაგივრად გამოიხატა ასო — R, 9-ის მაგივრად ასო — A, 10-ის ნაცვლად ასო — S, 11-ის ნაცვლად ასო — I და 12-ის ნაცვლად ასო — L. ციფრები და ასოები თანაბარი რაოდენობისა და ერთმანეთთან ურთიერთპროპორციული იყო. საათი ასეთ დროს გვიჩვენებდა — ექვსს ეკლდა ბრაზილია...

— დიახ, ექვსს უკლია ოცდახუთი წუთი ანუ ექვსს უკლია ბრაზილია!..

იმედია მოვესწრები, იმედია ცოცხალი ვიქნები ექვს საათზე — ეს სიტყვები აღმოხდა მოხუცს.

გაგიჟებული

(სარკასტულ-გროტესკული საფეხბურთო ნოველა)

ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრებები ერთმანეთს შეხვდნენ — ჰოდა, დაიწყეს ფეხბურთზე საუბარი, — შეიძლება ითქვას კამათი.

გერმანია: — არ დაგავიწყდეს, მე შენთვის 7-1 მაქვს მოგებული.

ბრაზილია: — სამაგიეროდ მე ხუთი ვარსკვლავი მამშვენებს. მოკლედ წინ ვარ — მე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ვარ!

გერმანია: — მე 7-1 მოგიგე.

ბრაზილია: — მახსოვს, ნახევერფინალში დამჯაბნე, — მაგრამ მანამდე, რომელიმე ტურნირზე მოგიგია ჩემთვის?

გერმანია: — რა ვიცი, არ მახსოვს...

ბრაზილია: — მანამდე ოფიციალურ მატჩებში სამჯერ შემხვდი და სამივეჯერ დაგამარცხე. ერთხელ კონფედერაციის თასის ჯგუფურ ეტაპზე მოგიგე 4-0, მეორედ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაგიტანე ორი უპასუხო ბურთი, ხოლო მესამედ შენს მოედანზე, კონფედერაციის თასის ნახევარფინალში დაგჯაბნე 3-2. შემდეგ ფინალში არგენტინასაც ვძლიე ანგარიშით 4-1. შენ ერთხელ შვიდი გოლი გამიტანე, მაგრამ ოფიციალურ ასპექტში ბურთების შეფარდებითაც გჯობნი, — მე ათჯერ დავლაშქრე შენი კარი, შენ კი ცხრაჯერ. ჰო, — ოქროს თასი და 4:1 არ დაგავიწყდეს.

გერმანია: — მერე რა. შენს მოედანზე მე გაგანადგურე — 7-1 მოგიგე.

ბრაზილია: — სამაგიეროდ მე ერთადერთი ვარ, რომელმაც ყველა მსოფლიო ჩემპიონატზე შეძლო მონაწილეობის მიღება.

გერმანია: — ჰმ... დიდი რამე. არ დაგავიწყდეს, რომ 7-1 მოგიგე.

ბრაზილია: — სამაგიეროდ შენ, ჩემს მიერ მოპოვებული ოლიმპიური ოქროს ბრწყინვალება თვალს გჭრიდა. ძალზე ფერმკრთალი იყო

შენი ვერცხლი — ჩემს ოქროსთან შედარებით.

გერმანია: — 7-1, ჰო 7-1 მოგიგე.

ბრაზილია: — სამაგიეროდ მე ყველაზე მეტი მატჩი მაქვს მოგებული მსოფლიო ჩემპიონატებზე.

გერმანია: — და 7-1 მოგიგია ჩემთვის?

ბრაზილია: — მე ერთადერთი ვარ, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგე ისე, რომ ფინალურ ეტაპზე ყველა მატჩში შევძელი

გამარჯვება. თან ეს ორ მუნდიალზე მოვახერხე.

გერმანია: — მართალი ხარ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე 7-1 მოგიგია?

ბრაზილია: — დიახ! — და რა, 8-0 არ მომიგია რო? ფონტენისა და კოპას საფრანგეთიც დამიმარცხებია 5-2 და ესპანეთიც გამიცამტვერებია... ანგარიში გაინტერესებს? გეტყვი, მე ესპანეთს 6-1 მოვუგე.

ეს ის ესპანეთია, ბოლო დროს რომ აუღებელ ციხესიმაგრედ გექცა.

გერმანია: — 7-1, 7-1, 7-1!.. ეს ანგარიში სულ სხვა რამეზე მეტყველებს.

ბრაზილია: — სწორედ მე დავეუფლე სამუდამოდ ნიკეს ოქროს ქალღმერთს და დავეუფლე მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იტალია დავამარცხე 4-1. ის იტალია, რომლის დამარცხებაც ოცნებად გაქვს ქცეული.

გერმანია: — ოხ, ეს იტალია, როგორ არ მომდის თვალში, მაგრამ აბა თუ მაგარია მოგიგოს შენ 7-1.

ბრაზილია: — მე კონფედერაციის თასი ოთხჯერ მოვიგე, სადაც გამარცხებდი შენ, იტალიას, არგენტინას, ურუგვაის, ესპანეთსა და კიდევ სხვა მრავალთ... შენ კი ამ თასს, მხოლოდ ახლაღა დაეუფლე.

გერმანია: — მართალია, აქაც წინ ხარ, მაგრამ სამაგიეროდ 7-1 მოგიგე.

ბრაზილია: — მე ჩემს კონტინენტზე რვაჯერ ვიპირველე.

გერმანია: — მე კი სამჯერ.

ბრაზილია: — ოჰ, როგორ ომახიანად ჟღერს სამჯერ — და პირველად როდის იყო, — 1972 წელს არა? — ევროპის ჩემპიონატზე შენს გარდა, მხოლოდ: ბელგია, უნგრეთი და საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა. ორჯერ ითამაშე და შემდეგ ევროპის ჩემპიონი გახდი. შენ ბიჭო ახალბედები დააბოლე...

გერმანია: — სტატისტიკაში კი ჩაიწერა და შენ რაც გინდა ის თქვი. სხვათაშორის სტატისტიკის კუთვნილებაა 7-1.

ბრაზილია: — ჰოდა, მეც სწორედ სტატისტიკაზე გელაპარაკები, — იმ სტატისტიკაზე, სადაც შენ, ყველაფერში ჩემს უკან დგახარ. როგორ მიყვარს სტატისტიკაზე ლაპარაკი, სტატისტიკა უტყუარია, სწორედ ის ადასტურებს, რომ მე ოქროში ჩაფლული მეფე ვარ.

გერმანია: — მეფეები შვიდ გოლს არ უშვებენ.

ბრაზილია: — მოხდა ერთხელ ფეხბურთის საუკუნენახევრიან ისტორიაში გაუგონარი სენსაცია. დაჭრილი დამიჭირე. მაინცდამაინც შენთან თამაშის წინ დამაკლდა ორი მოთამაშე — გუნდის უპირობო ლიდერი და კაპიტანი. დიახ, წავაგე შენთან, წავაგე მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში, მაგრამ არ დაგავიწყდეს, მანამდე სამჯერ მოგიგე და მათ შორის ერთხელ — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

გერმანია: — კიდევ გიმეორებ, მე შენ 7-1 მოგიგე.

ბრაზილია: — 7-1 უკვე ისტორიაა, — ხოლო თუ ისტორიაზე ვილაპარაკებთ, — დაიჩაგრები. ყველაფერში შენზე წინ ვარ!.. ჰაა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა�ა...

გერმანია: — ესე იგი, წარსულზე საუბარს შევეშვათ?

ბრაზილია: — შენთვის აჯობებს, რომ შეეშვა.

გერმანია: — კარგი მაშ, მომავალზე ვისაუბროთ. იცოდე, კიდევ თუ სადმე გადამეყრები — კუდით ქვას გასროლინებ...

ბრაზილია: — არც იოცნებო, ოცნებაც არ გაბედო...

გერმანია: — იცოდე ისევ შვიდ გოლს გაგიტან...

ბრაზილია: — ჰაااااა, ჰااااა, ჰااااა, ჰაა, ჰა...

გერმანია: — იცოდე 7-1, 7-1, 7-1!!! ... ...

ბრაზილია: — 7-1?

გერმანია: — მე ხომ 7-1 მოგიგე! მე ხომ 7-1 მოგიგე...

მე ხომ 7-1 მოგიგე — ამ მოკლე წინადადებას ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა გერმანია.

ყვირილზე ესპანეთი და იტალია მოცვივდნენ. შემდეგ არგენტინაც მოვარდა. მერე კი ერთმანეთის მიყოლებით ყველა მსოფლიო ჩემპიონმა მოირბინა... ბოლოს მსოფლიოს სამგზის ფინალისტი ჰოლანდიაც მოვიდა. ყველანი შეგროვდნენ და გერმანიას შეჰყურებდნენ.

— მე ამას 7-1 მოვუგე, — მე ამას 7-1 მოვუგე და მაინც ყველაფერში მჯობნის!..

გამწარებულმა გერმანიამ შეჰყვირა მსოფლიო ჩემპიონებს და ჰოლანდიას — შემდგომ ბრაზილიისკენ შეტრიალდა და უკვე ხმაჩახლეჩილმა კიდევ ერთხელ დასჩხავლა — მე შენ ხომ 7-1 მოგიგე — მოგიგეეეეეეე...

— ჰოლანდიამ კი ურუგვაის წასჩურჩულა: — მგონი გერმანია გაგიჟდაო...

იქვე მდგომმა იტალიამ ყური მოკრა ჰოლანდიის ნათქვამს და ნარინჯისფერს უმალ კვერი დაუკრა — გაგიჟდა!

უიღბლო ქომაგი

(გროტესკული საფეხბურთო ნოველა)

მე, მუდამ ბრაზილიის ნაკრებისკენ მყოფს, ერთმა ბუნდესგუნდის ქომაგმა მითხრა, რომ ფეხბურთს — მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატიდან უყურებს და თავისთავად გერმანელებსაც მეოცე საუკუნის მიწურულიდან გულშემატკივრობს...

დავფიქრდი და ღმერთმანი — „ამოცანა“ ვერ ამოვხსენი.

ბედის დაცინვის აპოთეოზი 2013 წლის შემდეგ განვითარდება...

მანამდე კი — „ამოცანა“ რატომ ვერ ამოვხსენი?

აი, ამიტომ...

1998 წელი - მსოფლიო ჩემპიონატი.

გერმანია vs ხორვატია 0:3. გერმანია მეოთხედფინალიდან გავარდა.

1999 წელი - კონფედერაციის თასი.

გერმანია vs ბრაზილია 0:4. ბრაზილიამ გერმანია დაამთავრა.

2000 წელი - ევროპის ჩემპიონატი.

გერმანიის ნაკრებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და ერთი ანეგდოტიც ძალზე აქტუალური გახდა. „ამ ვადაგასული ლუდით, იმ კაცს გაუმარჯოს, რომელმაც პაპა მეორე მსოფლიო ომში დაკარგა და ევრო 2000-ზე გერმანიას გულშემატკივრობდაო“.

2001 წელი - გერმანია კონფედერაციის თასზე ვერ მოხვდა.

2002 წელი - მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი.
გერმანია vs ბრაზილია 0:2.

2003 წელი - გერმანია კონფედერაციის თასზე ვერ მოხვდა.

2004 წელი - გერმანია ევროპის ჩემპიონატზე კვლავ ჯგუფში ჩარჩა.

2005 წელი - კონფედერაციის თასის ნახევარფინალი.
გერმანია vs ბრაზილია 2:3. გერმანია საკუთარ მოედანზე დამარცხდა.

2006 წელი - მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი.
გერმანია vs იტალია 0:2. გერმანია საკუთარ მოედანზე დამარცხდა.

2008 წელი - ევროპის ჩემპიონატის ფინალი.
გერმანია vs ესპანეთი 0:1.

2009 წელი - გერმანია კონფედერაციის თასზე ვერ მოხვდა, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე, მათმა დამჯაბნელმა ესპანეთმა მესამე ადგილი დაიკავა. ჩემპიონობა ბრაზილიელებმა მოიპოვეს.

2010 წელი - მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი.
გერმანია vs ესპანეთი 0:1. ლიოვის გუნდი ტურნირს გამოეთიშა.

2012 წელი - ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი.
გერმანია vs იტალია 0:2. გერმანელთათვის იტალია კვლავ აუღებელ ციხე-სიმაგრედ დარჩა.

2013 წელი - გერმანია კონფედერაციის თასზე ვერ მოხვდა. გერ-

მანიის ნაკრების მომგები იტალია და ესპანეთი ბრაზილიამ დაამარცხა და ზედიზედ მესამედ გახდა ჩემპიონი. მეორე ადგილზე ესპანეთი, ხოლო მესამე ადგილზე იტალია გავიდა.

სწორედ ამ დროს, გერმანიის ნაკრების საცოდაობით გაწამებულმა, ზემოთ ნახსენებმა ქომაგმა — თავის რჩეულ გუნდს ზურგი აქცია (ან თავიდან რატომ დაიწყო „ნემცების“ მხარდაჭერა?) და ბრაზილიელთა ნაკრების თამაშით მოხიბლულმა — სამხრეთ ამერიკელთა გულშემატკივრობა დაიწყო.

დადგა 2014 წელი და გერმანელებმა — ბრაზილიის ნაკრებს 7:1 მოუგეს. მერმის კი, — მესის არგენტინა დაამარცხეს ფინალში. მატჩში ერთადერთი გოლი დამატებულ ტაიმში გავიდა.

ჩვენი, აწ უკვე გაბრაზილიელებული ქომაგი კვლავ გერმანელებისკენ გადმოვიდა, მაგრამ მთელი საცოდაობა ის იყო, რომ იმ გუნდს, რომელსაც ბავშობიდან ქომაგობდა — მხოლოდ ერთი წლით აქცია ზურგი და სწორედ ის ერთი წელი გამოდგა ერთადერთი ტიტულის მომტანი.

2016 წელიც მოვიდა. ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში — გერმანია საფრანგეთს დაეჯახა და ფრანგმა მამლებმა ალემანები „დაპეპლეს“. ბუნდესგუნდი ტურნირს გამოეთიშა. იმავე წელს, ოლიმპიადის ფინალში ძველი ნაცნობები კვლავ გადაეყარნენ ერთმანეთს. შეხვედრის შემდეგ, — ოლიმპიური ოქრო ბრაზილიელთა გულმკერდზე ბრწყინავდა, ხოლო ვერცხლი გერმანელებს ამშვენებდა.

***

ეს ყველაფერი, 2017 წელს — ერთი მატჩის წინ, თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დავწერე. კონფედერაციის თასის ფინალში — გერმანია ჩილეს დაუპირისპირდება. შეიგრძნობს ჩვენი უიღბლო ქომაგი პირველი ტიტულის გემოს?

p.s. მინაწერი მატჩის შემდეგ: შ ე ი გ რ ძ ნ ო !

ტატო კინწურაშვილის „Facebook“ გვერდზე გამოქვეყნებული სატირა

(ბრაზილიური და არაბრაზილიური რამე-რუმეები...)

ბობოქარი სულისკვეთებით აღტკინებულმა — არგენტინელთა გუნდის კაპიტანმა, ყურდაჭრილი მეცხვარე ძაღლებივით გავეშებული სამწყსო მოედანზე გაიყვანა. თითოეულ მობურთალ არგენტინელს თვალებზე ლიბრი გადაჰკროდა და დამშეულები უცდიდნენ თუ როდის გაისმოდა სასტვენის მკვეთრი ხმა. ბრძოლის ჟინით გაშმაგებულ არგენტინელებს, მატჩის არბიტრმა ბევრი არ ალოდინა და „ალბისელესტესთვის“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შეხვედრაც დაიწყო!

უმოტივაციო ეკვადორის ნაკრები განწირული ჩანდა, მაგრამ ჰოი საოცრებავ — მატჩის პირველივე წუთზე ეკვადორელმა იბარამ თავისი გუნდი დააწინაურა.

მერმის კი ლეო მესი აფეთქდა, — თითქოს ტორპედოსანმა ტორპედო გაისროლა, რათა მტრის ხომალდი დაეზიანებინა, — იგი ბორიოსებრ დატრიალდა მომხვდური ფეხბურთელების ირგვლივ და ანგარიში გაათანებრა. ვითომდა ტანტალოსმა მოაჯადოვაო, — არგენტინამ სათამაშო უპირატესობა ხელთ (ფეხთ) იგდო, ხოლო მესიმ კიდევ ორჯერ დალაშქრა მეტოქის კარი და თავისი გუნდი მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატზე გაიყვანა!

პარალელურად, სტიმულირების გარეშე დარჩენილმა ბრაზილიამ — ქულების მოპოვებაზე დაგეშილ ჩილეს 3-0 მოუგო და სამხრეთ ამერიკის შესარჩევში თავისივე რეკორდი (წაუგებელი სერია) გააუმჯობესა!

შესარჩევ ეტაპზე ბრაზილიამ არგენტინას (ისევე როგორც ჩილეს) სამი უპასუხო გოლი გაუტანა, საბოლოოდ საძულველი მეტოქე 13 ქულით ჩამოიტოვა, ხოლო ბურთების სხვაობა შემდეგნაირად დაფიქსირდა: ბრაზილია +30 და არგენტინა +3.

მოდი და ამის შემდეგ სტატისტიკას პატივი არ მივაგოთ...

სპორტის ნომერ პირველ სახეობაში მთავარია რეზულტატი, მაგრამ ფეხბურთის აპოგეა სწორედ იმაში მდგომარეობს, — როცა საფეხბურთო ესთეტიკის ფაზებსა და მის იდეურ შინაარსს ანვითარებ და ისე მიიწევ გამარჯვებისკენ...

სამპაოლის (მისმა გაწვრთნილმა ჩილემ — არგენტინას მოუგო კოპა ამერიკის ფინალი) ფეხბურთელთა გარჯა ყოველგვარ შემოქმედებას იყო მოკლებული. აი ბრაზილიელებს კი ფეხბურთისადმი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ტიტემ, დღევანდელი ფორმაციის სელესაო — უბადლო, სრულყოფილ ტექნიკასა და შემტევ, თავისუფალ სტილზე დაყრდნობით აღმოაცენა, — შედეგად კი ბრაზილიის ნაკრებმა ყველა და ყველაფერი გაანადგურა და მომავალი მუნდიალის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად იქცა!

ახლა არგენტინელთა ლიდერს — ორ რონალდოს შევადარებ...

ბრაზილიელი რონალდო

1994 წელი — სათადარიგო ფეხბურთელის რანგში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

1997 წელი — მოიგო "კოპა ამერიკა", გაიტანა ფინალში გოლი და დასახელდა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ.

1997 წელი — მოიგო კონფედერაციის თასი და ფინალში გაიტანა სამი გოლი.

1998 წელი — დამარცხდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და გათამაშების საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

1999 წელი — მოიგო "კოპა ამერიკა", გაიტანა ფინალში გოლი და რივალდოსთან ერთად გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

2002 წელი — მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, ფინალში ორი გოლი შეაგდო და რვა გატანილი გოლით — ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზიც დაისაკუთრა. რონალდოსთან ერთად ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის რეკორდი მოხსნა — გუნდმა ძირითად დროში, ყველა, შვიდივე მატჩი მოიგო!

2006 წელი — მსოფლიო ჩემპიონატზე გერდ მიულერის რეკორდი დაამხო.

მესი

2014 წელს მესიმ წააგო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი, მაგრამ ჰოლანდიელი რობენის ნაცვლად ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

2007, 2015 და 2016 წლებში მესი დამარცხდა "კოპა ამერიკის" (2016-ში საიუბილეო გათამაშება იყო) ფინალებში.

ახლა კი, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოასპარეზე — პორტუგალიელი რონალდო და მესი შევადაროთ...

2016 წელს, მესიმ ნაკრებთან ერთად "კოპა ამერიკა" ვერ მოიგო და შემდეგ ეროვნული გუნდიდან წავიდა. მერე ჩვენება შეცვალა, ნაკრებში დაბრუნდა და ბრაზილიასთან 0-3 წააგო...

არგენტინელისგან განსხვავებით, — რონალდომ პორტუგალიის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვა!

ევროპირველობაზე, ჯგუფში — რონალდომ უნგრეთთან საგოლე პასი შეასრულა და ორი გოლი გაიტანა — მათ შორის ერთი შედევრი გამოდგა...

მისმა გოლებმა და პასმა განაპირობა პორტუგალიის ჯგუფიდან გასვლა. მეოთხედფინალში რონალდოს პასს მოჰყვა ერთადერთი გოლი — შემდეგ კი ნახევარფინალშიც გაიტანა და თავის ნაკრებთან ერთად ფინალში გავიდა!..

2016 წელს, მესიმ ვერც ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ხოლო რონალდომ ჩემპიონთა ლიგის თასიც აღმართა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა — სეზონი კი კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატის მოგებით დაასრულა, სადაც კვლავ საუკეთესო იყო. რონალდოს ოქროს ბურთი გადასცეს! მესიმ ვერც 2017 წელს მოიგო ჩემპიონთა ლიგა და უფრო მეტიც, მან „ფლეი-ოფის“ სტადიაზე (თუ არ ჩავთვლით ერთ გატანილ გოლს პენალტიდან) ერთი გოლიც ვერ მიითვალა ანგარიშზე, ხოლო მისგან განსხვავებით რონალდომ — მეოთხედფინალში „ბაიერნს“ ხუთი, ნახე-

ვარფინალში „ატლეტიკოს“ სამი და ფინალში „იუვენტუსს“ ორი გოლი გაუტანა. ჩემპიონთა ლიგის ბრდღვიალა თასი ისევ რონალდოს დარჩა და გათამაშების საუკეთესო მეგოლეთაც კვლავ ის ჩაეწერა სტატისტიკაში.

შემდეგ გვიანი ზაფხულის დღეებიც დადგა — ესპანეთის სუპერ თასზე ერთმანეთს „ბარსელონა“ და „რეალი“ უნდა „დასჭიდებოდნენ“.

„დაეჭიდნენ“ კიდეც და „კამპ ნოუზე“ რონალდომ — „ბარსელონა“ (მესიანად) ბეჭებზე დასდო!

„რეალმა“ განმეორებით შეხვედრაშიც დაამარცხა პრინციპული მეტოქე და თავის კოლექციას კიდევ ერთი თასი შემატა!

საფეხბურთო სეზონის ბოლოს, კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში რონალდომ გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. ოქროს ბურთი კვლავ პორტუგალიელს მიართვეს.

***

საფეხბურთო გაგებით „კურტნის მუშებმა“ — სკოლარის გაპამპულავება დაიწყეს...

თუმცა „კურტნის მუშებს“ 30 ივნისის შესახებ ეტყობა არ სმენიათ.

2002 წლის 30 ივნისს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში — ბრაზილიამ გერმანია დაამარცხა, ხოლო 2013 წლის 30 ივნისს, კონფედერაციის თასის ფინალში — ბრაზილიელებმა ესპანელებს მოუგეს 3 - 0.

2002 წელს ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი სკოლარი იყო და ბრაზილიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის რეკორდი დაამყარეს — მოიგეს ყველა (შვიდივე) თამაში ძირითად დროში. 2013 წელსაც სკოლარი წვრთნიდა ბრაზილიელებს და მისმა გუნდმა, უკვე კონფედერაციის თასზე დაამყარა რეკორდი — მოიგო ყველა (ხუთივე) თამაში ძირითად დროში.

სკოლარი ერთადერთი მწვრთნელია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატებზე — ზედიზედ ათი შეხვედრა აქვს ძირითად დროში მოგებული. მან ეს ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრებებთან შეძლო...

სკოლარი ერთადერთია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში სამჯერ ათამაშა გუნდი.

სკოლარი ერთადერთია, რომელიც სხვადასხვა ნაკრებებთან ერთად

— მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

სკოლარის უამრავი საკლუბო ტიტული აქვს მოპოვებული — მათ შორის ორჯერ ლიბერტადორესის თასი.

***

პირველი ესპანელი დამპყრობლები, სამხრეთ ამერიკაში, ერთი შეხედვით არარსებულ ქვეყანას, ოქროთი მდიდარ ელდორადოს ეძებდნენ და ვერ მიაგნეს — პელე კი სწორედ ელდორადოდან გვიმზერს.

მსოფლიოს არც ერთი საფეხბურთო ნაკრების მუზეუმში იმდენი ოქრო არ ბრწყინავს, რამდენიც ოქროს ესკადრონის მუზეუმში.

შორეული წარსულისკენ რომ არ გადავინაცვლოთ, ბოლო 25 წლის განმავლობაში — ბრაზილიის ნაკრების გარდა ვერავინ შეძლო მსოფლიო ჩემპიონატის ორჯერ მოგება.

ბოლო 25 წლის მანძილზე — ბრაზილიის ნაკრების გარდა ვერავინ შეძლო კონტინენტის (ვგულისხმობ ევროპასა და სამხრეთ ამერიკას) პირველობაზე ოთხჯერ გამარჯვება.

ბოლო 25 წლის პერიოდში — ბრაზილიის ნაკრების გარდა ვერავინ შეძლო კონფედერაციის თასის ოთხჯერ მოპოვება.

ბრაზილიელები 2016 წელს ოლიმპიურ ოქროსაც დაეუფლნენ!

***

გერმანიის ყოფილი იმპერატორი კაიზერ ვილჰელმ მეორე, გერ-

მანიის ნაკრების მოქმედ ფეხბურთელს — ანდრე შურლეს მაგონებს! კაიზერ ვილჰელმმა, არც მეტი, არც ნაკლები, — ოტო ბისმარკი გადააყენა პოსტიდან, ხოლო მეოცე საუკუნის უდიდეს ომთა ჟაჭვის გაბმაც მის სახელთან არის კავშირში... სწორედ მან წააქეზა ავსტრია — უნგრეთისა და სერბეთის დასასჯელად, რამაც პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია. მეოცე საუკუნის პოლიტიკოსთა (ტირანთა) გალერეაში კი ვილჰელმ მეორე, სადღაც კუთხეშია მიკუნჭული, რადგან "რჩეულ" ადგილებზე სხვები მოკალათებულან... ანდრე შურლეც ეგრეა!.. ფეხ-ბურთელმა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ბრაზილიას ორი გოლი გაუტანა, ხოლო მუნდიალის ფინალში გადამ-წყვეტი საგოლე გადაცემა შეასრულა — კაიზერივით, (ბეკენბაუერს არ ვგულისხმობ) სადღაც კუთხეშია მიკუნჭული, რადგან ფეხბურთის ბურთივით მრგვალი და ამასთანავე კაშკაშა შარავანდედით: მესი, რონ-ალდო, ნეიმარი, სუარესი, ინიესტა, მიულერი და მათ საფეხბურთო "კალიბრთან" მიახლოებული მოთამაშეები შემოსილან...

***

"მანჩესტერ სიტის" ერთი ყურცქვიტა ქომაგი (აგუერო ევასება) — ლუის ენრიკეს მისდგა და სულ ფარჩაკი მწვრთნელი ეძახა...

"მანჩესტერ სიტი" 1880 წელს დაარსდა და საფეხბურთო კლუბ "ბარსელონაზე" 19 წლით უფროსია.

ჰოდა, იმას გეუბნეოდით...

ლუის ენრიკე 2014 წელს გახდა "ბარსას" მთავარი მწვრთნელი და მომდევნო ორ წელიწადში მიაღწია იმას, — რისი ნახევარიც ვერ შეძლო "მანჩესტერ სიტიმ", თავის 137 წლიანი ისტორიის მანძილზე.

საწყის ორ წელში, ლუის ენრიკეს "ბარსელონამ" მოიგო: ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერ თასი, კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატი, ორი "ლა ლიგა", ორი ესპანეთის თასი და ესპანეთის სუპერ თასი.

ლუის ენრიკეს "ბარსელონამ" და მისმა შემტევმა ტრიომ ისტორია დაწერეს!

"ბარსელონა" წელსაც გასულია ესპანეთის თასის ფინალში (იგ-ულისხმება 2017 წელი) და საჩემპიონო შანსებსაც ინარჩუნებს...

და ეს ყველაფერი, მხოლოდ სამ წელიწადში...

ჰო, კიდევ... 2015 წელს ლუის ენრიკე მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა.

***

მანჩესტერული "სიტის" ფორმა პირველად მოირგო 19 წლის თავდამსხმელმა — გაბრიელ ჟესუსმა!

ბრაზილიელმა გოლეადორმა, მამლებთან (ტოტენჰემთან) შერკინებით დაიწყო მამლის წელი.

ჟესუსი იშვიათი ეგზემპლიარია...

მან 19 წლის ასაკში ოლიმპიური ოქრო და ბრაზილიის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო საწყის ხუთ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა სელესაოს რიგებში.

19 წლის ასაკში, მსგავსი შედეგი: პელეს, ზიკოს, რომარიოსა და რონალდოს არ ჰქონიათ...

***

მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ნაკრებები

მსოფლიო ჩემპიონატი — ბრაზილია vs გერმანია 5:4
კონფედერაციის თასი — ბრაზილია vs გერმანია 4:1
კონტინენტის ჩემპიონატი — ბრაზილია vs გერმანია 8:3
ოლიმპიადა — ბრაზილია vs გერმანია 1:0

***

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ისეთი მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ორი ქვეყანა, როგორიც ბრაზილია და გერმანიაა — სანაკრებო ასპარეზზე, (ეროვნული ნაკრებების დონეზე) ოფიციალურად მხოლოდ ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს...

- - - - - -

1981 წელი, ოქროს თასი, ჯგუფური ეტაპი

ურუგვაი, მონტევიდეო — სტადიონი „**Estadio Centenario**“

დასწრება — 50 000

ბრაზილია vs დასავლეთ გერმანია 4-1

გოლები: დასავლეთ გერმანია — ალოფსი (54).

ბრაზილია — ჟუნიორი (56), ტონინო სერეზო (61), სერჟინიო (76), ზე სერჟიო (82).

1993 წელი, შეერთებული შტატების თასი

აშშ, ვაშინგტონი — სტადიონი **„RFK Stadium“**

დასწრება — 34 737

ბრაზილია vs გერმანია 3-3

გოლები: ბრაზილია — ჰელმერი (ა.გ. 13), კარეკა (32), ლუიზინიო (39).

გერმანია — კლინსმანი (66, 89), მიოლერი (80).

1999 წელი, კონფედერაციის თასი, ჯგუფური ეტაპი

მექსიკა, გვადალახარა — სტადიონი "**Estadio Jalisco**"

დასწრება — 60 000

ბრაზილია vs გერმანია 4-0

გოლები: ზე რობერტო (62), რონალდინიო (72), ალექსი (86, 87).

2002 წელი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი

იაპონია, იოკოჰამა — სტადიონი "**International Stadium**" (დღეს უკვე რონალდოს სახელობის)

დასწრება — 69 029

გერმანია vs ბრაზილია 0-2

გოლები: რონალდო (67, 79).

2005 წელი, კონფედერაციის თასის ნახევარფინალი

გერმანია, ნიურნბერგი — სტადიონი "**Frankenstadion**"

დასწრება — 42 187

გერმანია vs ბრაზილია 2-3

გოლები: გერამანია — პოდოლსკი (23), ბალაკი (45+3 პენ)

ბრაზილია — ადრიანო (21, 76), რონალდინიო (43 პენ).

2014 წელი, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი

ბრაზილია, ბელუ ორიზონტი — სტადიონი „**Estadio Mineirao**“

დასწრება — 58 141

ბრაზილია vs გერმანია 1-7

გოლები: ბრაზილია — ოსკარი (90)

გერმანია — მიულერი (11), კლოზე (23), კროოსი (24, 26), ხედირა (29), შურლე (69, 79).

P.S. და აი, ესეც მეორე ფინალი მათ შორის (პირველად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი იყო 2002 წელს), — ამჯერად ოლიმპიადაზე...

რიო 2016, ოლიმპიადის ფინალი

ბრაზილია, რიო დე ჟანეირო — სტადიონი „**Maracana**“

დასწრება — 63 707

ბრაზილია vs გერმანია 1-1

გოლები: ბრაზილია — ნეიმარი (27)

გერმანია — მეიერი (59)

პენალტების სერია 5-4

ბ რ ა ზ ი ლ ი ა მ ოქრო მოიგო!

***

ბუფონი და კასილასი.

კასილასი და ნოიერი.

ნოიერი და ჩეხი.

ჩეხი და ბუფონი.

მოდი ახლა ტაფარელზეც ვთქვად ორიოდ სიტყვა...

1990 წელი — კლაუდიო ტაფარელი მსოფლიო ჩემპიონატის

საუკეთესო მეკარედ დასახელდა და მუნდიალის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

1994 წელი — ტაფარელმა მსოფლიო ჩემპიონატზე იფრინა და შემდეგ ფინალის გმირი გახდა. მან პენალტი იმ მასაროს აუღო, რომელმაც, იმავე წელს გამართულ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიბრწყინა.

1998 წელი — ტაფარელმა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში - ფილიპ კოკუს და რონალდ დე ბურს პენალტები აუღო და ბრაზილია ფინალში გაიყვანა.

***

იტალიას ბრაზილიისთვის 1982 წლის შემდეგ (მას მერე 36 წელი გავიდა) არ მოუგია.

არადა სად აღარ გადაეყარა "სკუადრა აძურა" "ოქროს ესკადრონს" — ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი თუ კონფედერაციის თასის გათამაშებანი, საფრანგეთის ოთხთა ტურნირი თუ ამხანაგური მატჩები — მაგრამ გამარჯვებული (ხანდახან ფრეც გამოერეოდა ხოლმე) მუდამ ბრაზილია გამოდიოდა!

სხვათაშორის, როცა 1970 წელს მისტიური ბაჯაღლოს "ნიკე" სასწორის პინაზე იდო — პელემ, ჟაირზინიომ, რიველინომ, ტოსტაომ და მათმა თანაგუნდელებმა 4 -1 დაამარცხეს იტალია.

***

2017 წელს გასამართ კონფედერაციის თასზე, გერმანიას არ ეყოლება თურქი იოზილი, თურქი ხედირა და განელი ბოატენგი. თუმცა, — თურქი ემრე კანი და ალბანელი მუსტაფი გუნდში იქნებიან.

პოლონელი კლოზე, პოლონელი პოდოლსკი, განელი ასამოა და თურქი შოლი ისედაც ვერ დაეხმარებიან ლიოვის ნაკრებს, რადგანაც მათ უკვე პენსიონერის სტატუსი აქვთ.

***

ძალიან არ უმართლებთ არგენტინელ ქომაგებს...

32 წელია არგენტინას არაფერი მოუგია, გარდა ორი ამერიკის თასისა და ეს იმის ფონზე, რომ ბრაზილიამ ამ ხნის განმავლობაში — მსოფლიო ჩემპიონატის ორი, "კოპა ამერიკის" ხუთი და კონფედერაციის ოთხი თასი მოიგო!..

***

მინაწერი ევრო 2016-ის შემდეგ...

— ესეც ჩემი სნაიპერული სიზუსტის პროგნოზი — თან აღსანიშნავი ის არის, რომ იტალიამ ესპანეთი, ხოლო პორტუგალიამ ხორვატია გააგდო.

მინაწერი ევრო 2016-ის დაწყებამდე...

— ევროპის ჩემპიონატზე წარმოდგენილი 24 ნაკრებიდან — ჩემპიონობას ამ ოთხეულის ერთ-ერთი წევრი მოიპოვებს!..

აი, ისინიც: პორტუგალია, ხორვატია, ესპანეთი და იტალია.

***

დე ჟავუ!!!

1995 წლის მაისია, მახსოვს საკმაოდ ცხელი დღე იყო და ჩემპიონთა ლიგის ფინალს ვუყურებდით. მარტო მე ვარ „აიაქსისკენ“.

შეცვლაზე შემოსულმა უწვერულმა ყმაწვილკაცმა — ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულს ბოლო წუთებზე გამარჯვების გოლი გაუტანა.

სხვათაშორის „აიაქსი“ იმ გათამაშებაში "მილანს" სამჯერ შეხვდა და სამივეჯერ მოუგო!..

ის ყმაწვილი კი პატრიკ კლუვერტი იყო.

გავიდა ოცდაორ წელზე ცოტა მეტი და მე სწორედ იმ ადგილას ვზივარ, სადაც ორი ათეული წლის წინ ვიჯექი — ტელევიზორიც (ოღონდ სხვა :)) ზუსტად იმ ადგილას დგას და „აიაქსი“ ამჯერად "ჰერაკლესს" ეთამაშება.

ამსტერდამელთა რიგებში ერთი ყმაწვილი გამოირჩევა და ის პატრიკის ვაჟი — ჯასტინ კლუვერტია

მე კვლავ "აიაქსს" ვქომაგობ!

***

მახსოვს მექსიკური წიწაკა "პიკე". მახსოვს ბრაზილიელი სოკრატესის მიერ ორიგინალურად შესრულებული პენალტი და "აცტეკას" ბურთზე ფრანგი პლატინის ამბორი. მახსოვს "Футбольное обозрение-ში" არაერთხელ დატრიალებული არგენტინელი მარადონას გოლებიც, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ფეხბურთის აქტიურად ყურება დავიწყე მაშინ, როცა ჰოლანდიელმა გულიტმა და ვან ბასტენმა დასაევის კარი დაბომბეს!..

ეს იყო 1988 წელს.

***

ესპანეთის ჩემპიონატი სჯობს თუ ინგლისის?

კამათი და აზრთა სხვადასხვაობა კვლავაც გრძელდება — არადა რა საჭიროა, როცა დღის სინათლეზე (თუ პროჟექტორების შუქზე) ყველაფერი მკაფიოდ ჩანს!

უკანასკნელი ოთხი წლის (ზოგადად მრავალი წლის) მანძილზე, ესპანური კლუბები იგებენ: ჩემპიონთა ლიგას, ევროპის ლიგას, ევროპის სუპერ თასსა თუ კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატს — ანუ ყველაფერს!..

გამონაკლისი იყო 2017 წელი — მანჩესტერული "იუნაიტედი" ევროპის ლიგის თასს დაეუფლა და შემდეგ, - ევროპის სუპერ თასზე "რეალთან" უშანსოდ დამარცხდა.

2014, 2015, 2016 და 2017 წლებში, ჩემპიონთა ლიგის თასი — "რეალმა" (სამჯერ) და "ბარსელონამ" (ერთხელ) მოიპოვეს, ხოლო მადრიდის "ატლეტიკო" ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. მანამდე კი "ატლეტიკომ" — ევროპის ლიგისა და უეფას სუპერ თასები მოიგო. "მელეიბეთა" გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულებს - მილანის "ინტერსა" (2:0) და ლონდონის "ჩელსის" (4:1)

გამოუყვანა წირვა...

2014, 2015, 2016 და 2017 წლებში, მხოლოდ "რეალისა" და "ბარსელონას" კაპიტნებმა აღმართეს კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატის თასები.

2014, 2015 და 2016 წლებში — "რეალმა" და "ბარსელონამ" — "სამ-კვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლაში, — რის ვაი ვაგლახით გამოჰგლიჯეს ევროპის სუპერ თასი თავიანთ მეტოქეს და სამივე შემთხვევაში მათი მეტოქე — ესპანური გუნდი იყო, რომლის სახელიც არის — "სევილია".

მანჩესტერის გვემაზე ზემოთ მოგახსენეთ...

2014, 2015, და 2016 წლებში — ევროპის ლიგის თასზე მხოლოდ ერთი კლუბი იმარჯვებდა, - ის კლუბი კი ჩინებული ღვინისა (ღვინო ხერესი) და შესანიშნავი ცხენებით განთქმული მხარის წარმომად-გენელია.

დიახ, სამი წლის განმავლობაში, ევროპის ლიგის თასს, ანდალუ-ზიური გუნდი — "სევილია" იგებდა!..

ასე რომ - **No Comment**...

მრავლისმეტყველი ფოტო

ოქროს თასი (მუნდიალიტო) - ბრაზილია vs დასავლეთ გერმანია **4 - 1**. სოკრატესისა და რუმენიგეს ორთაბრძოლა...

გერმანია

ვახტანგ
ხუციშვილი

ბრძოლა

2 წუთი და 42 წამი მეორე ტაიმის დაწყებიდან...

ლურჯმაისურიანი, თეთრტრუსიანი, გარუჯული, მკვრივი, წამის წინ სიცოცხლით სავსე სხეული მინდორზე უგონოდ გაშოტილა. ხუჭუჭთმიანი თავი არაბუნებრივად მოუღრეცავს. მარცხენა, მომუშტული ხელი უკანკალებს. მკერდი მძიმედ აუდ-ჩაუდის. სადაცაა უკანასკნელი სასიკვდილო კრუნჩხვა მოუვლის: გააზმორებს, გასჭიმავს და გააშეშებს.

„სანჩეს პისხუანის“ სტადიონი...

მაყურებელი ათასი მძლავრი ჩანჩქერის გამაყრუებელი ზათქით ქუხს და გრიალებს, ისევე, როგორც საუკუნეების წინათ კოლიზეუმის გულმხეცი ერი — არენაზე გაშოტილი, დამარცხებული გლადიატორის მოკვდინების სურვილით ანთებული და ჩაღმა ცერჩაშვებული.

ესპანეთი, სევილია...

სახურავები, სახლები, ქუჩები, ასფალტი — მზით, ხოლო ბაზრობები, კაფეები და კლუბები ჭრელა-ჭრულა, მთვრალი და მოგნიასე ტურისტებით დუღს.

მიმდინარეობს მეთორმეტე მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი — გფრ-საფრანგეთი.

პატრიკის დაცემიდან წამებია გასული...

იარუსები სიჩუმის წყვდიადში იძირება.

ამ დუმილში მოჩანს:

ის 15 საუკუნე, რომელიც აქ შეკრებილი ადამიანების ხასიათსა და რომაულ, მგლურ ბუნებას ერთმანეთისგან აშორებს;

მთელი რენესანსი, ბერძნულ-რომაული კულტურული ძირებისკენ მიბრუნებული და მისგან ჰუმანიზმის ამღები;

და ქრისტიანული კაცთმოყვარეობა, მოყვასად ნებისმიერი მოკვდავის შემრაცხი.

საფეხბურთო ეიფორიაში მყოფ ბრბოს მომხდარით გაოგნების, გაჩუმების, სიკვდილის პირას მყოფი ფრანგი ფეხბურთელის — პატრიკ ბატისტონისადმი თანაგრძნობის უნარი შესწევს.

ხუთი წუთი აგდია ბატისტონი მინდორზე. ჯერ თანაგუნდელები ეხვევიან გარს, მერე ექიმები. ვერც გონს მოჰყავთ და ვერც არენიდან გაჰყავთ. მაყურებელი საშინელების მოლოდინში დამუნჯებულა.

ის ადამიანი კი, ვინც მძლავრი დარტყმა მიაყენა დაზარალებულს და კომაში ჩააგდო, თითქოსდა ამ სამყაროს არ ეკუთვნის, იგი სხვა ორბიტაზე, სხვა განზომილებაშია — გერმანელების გოლკიპერი ტონი შუმახერი კარიდან დასარტყმელად მშვიდად ეშზადება.

ასეთია ცენტრალური ამბავი იმ ცხელი მატჩისა, რომელიც ფეხბრთის გულშემატკივარს დღემდე არ ავიწყდება.

ანგარიში კი ჯერჯერობით არის 1:1.

გერმანელ ფეხბურთელს პიერ ლიტბარსკის მეჩვიდმეტე წუთზე საფრანგეთის კარში გააქვს ამ მატჩის პირველი გოლი, ხოლო ოცდამეექვსე წუთზე ანგარიშს პენალტით მიშელ პლატინი ათანაბრებს.

ბატისტონის ტრავმამდე, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი თამაში — ამ ინციდენტის შემდეგ, ნერვების დაწყდომამდე დაძაბულ, დაუნდობელ ორთაბრძოლად გარდაიქმნება.

ფრანგები, რომლებიც ძირითადად, ინდივიდუალურად არიან ძლიერნი, გერმანელებთან შედარებით უსისტემოდ, მაგრამ გააფთრებითა და ძალების საოცარი დაძაბვით დაიწყებენ ბრძოლას და არა მხოლოდ გამარჯვებისთვის, არამედ ბატისტონის გამო შურისძიებისა და რევანშისთვის. თამაშისას მათ წარმოდგენაც არ აქვთ გარდაიცვალა თუ არა თანაგუნდელი და ამის გამო უფრო საოცარი დაჟინებით მოქმედებენ. თავის მხრივ, ბატისტონი ექიმების ხელში უგონოდაა და თამა-

ერთ წამში ჰარალდ ტონი შუმახერი პატრიკ ბატისტონს შეასკდება.

შისა კი არა, ჯერჯერობით, ამქვეყნისაც არაფერი მოეკითხება. ის მოგვიანებით გაიგებს ამ მატჩის ბედს...

მრავალფეროვანი საფეხბურთო ცხოვრებით დატვირთული 36 წლის გასვლის შემდეგაც ამ მატჩის ირგვლივ ვნებათაღელვა არ ცხრება.

ინტერნეტში გამოფენილი თამაშის ვიდეოებს მილიონობით ნახვა აქვს.

სპორტული ჟურნალისტები აქტიურად წერენ, დეტალურად აანალიზებენ მთელ შეხვედრას — წერენ, რაგინდარა კუთხით.

წერენ, რომ ტონი შუმახერმა დაზარალებულის მიმართ წარმოუდგენელი გულქვაობა გამოიჩინა, რამაც მას იმიჯი შეულახა. არ შეებრალა ბატისტონი არც მას და არც მის გუნდს, არც იმ მომენტში და არც შემდეგ. ამის გამო მას უამრავი ძალისხმევა დასჭირდა, რომ გულშემატკივართა შორის ავტორიტეტი აღედგინა.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის სიტყვებში, რომელიც მან მოგვიანებით წარმოთქვა, ჩანს ღრმა შეშფოთება და წუხილი, რაც მოწინააღმდეგე გუნდის, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილობამ გამოიწვია. ის ხედავს, რომ გერმანელები არაადეკვატურად იქცევიან, არღვევენ არა მხოლოდ სპორტული ეთიკის, არამედ ადამიანური ქცევის ნორმებს და ამის გამო სასოწარკვეთილება ეძალება და ეჩვენება, რომ მსოფლიოში რაღაც შეიცვალა, შეიცვალა ძალიან ცუდისკენ.

მიშელ იდალგო, საფრანგეთის გუნდის მწვრთნელი — „როდესაც მე დავინახე მეტოქის სისასტიკე, მინდორზე დავარდნილი გონებაწასული

ბატისტონი, რომელიც სიკვდილს უყურებდა თვალებში და მსაჯების უსამართლობა, ვიფიქრე, რომ მთელი მსოფლიო ჩვენს წინააღმდეგ იყო. მე მომინდა ტირილი! მაგრამ შევიკავე თავი. ეს მატჩი ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ურთულესი გამოცდა გამოდგა“.

ასევე ურთულესი გამოცდა გამოდგა, ცოტა ხნით ადრე, მთელი ევროპისა და მსოფლიოსთვისაც, ევროპული ცივილიზაციის კონტე-ქსტიდან ამოვარდნილი ფაშიზმი და გერმანელთა ბარბაროსული ომი მსოფლიო ბატონობისთვის.

ფრანგი ფეხბურთელების მეყვსეულ აზრს გამოხატავს მიშელ პლატინი, რომლის სიტყვებშიც ჩანს რა სერიოზული იყო ტრავმა და როგორ ღრმა განცდებს იწვევდა ის თანაგუნდელებში.

მოგვიანებით პლატინი შენიშნავს: ამდენი წელი გავიდა, მაგრამ არ გავა დღე, სევილიაში ჩატარებული თამაში რომ არ გამახსენდეს და უსიამოვნო შეგრძნება არ დამეუფლოსო.

მიშელ პლატინი, საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი — „მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მოკვდებოდა...“

ამის ფონზე, მართლაც უცხოპლანეტელის სიტყვებად მოჩანს გერმანელთა მეკარის ტონი შუმახერის პასუხი, რომელსაც ის, მატჩის დასრულებისთანავე, ინტერვიუს დროს წარმოთქვამს.

ტონი შუმახერი, გერმნელების გუნდის გოლკიპერი — „მოდით ასე მოვიქცეთ, როდესაც ის ჩაისვამს კბილებს, გამომიგზავნოს ანგარიში და მე — გადავიხდი“.

ცინიზმი და გულქვაობა, რაც, ერთი შეხედვით იკითხება შუმახერის სიტყვებში, ამ შემთხვევაში არსებითი სულაც არ არის. მთავარი ის გახლავთ, რომ ამ გერმანელს მეორეხარისხოვნად მიაჩნია ყოველივე, რაც მას მოვალეობის შესრულებასა და გამარჯვებაში ხელს შეუშლის.

ასეთ მიდგომას ტონი შუმახერი არც მომავალში უღალატებს. ის, რა თქმა უნდა, მოისმენს კრიტიკას, მაგრამ სულს სინანული არ გაეკარება, შინაგანად თავის დანაშაულს არ სცნობს.

ქვემოთ მოყვანილ სიტყვებში ცხადად იგრძნობა, რომ მოზეპირე მოსწავლესავით, გულსა და გონებამდე მიუტანლად, იმეორებს ალი-ლუიასავით დაზუთხულ, ევროპული კულტურისთვის დამახასიათებელ

ფრაზებს, ადამიანისადმი თანაგრძნობის აუცილებლობის შესახებ.

ტონი შუმახერი, გერმნელების გუნდის მეკარე, რამდენიმე წლის შემდეგ — „მე მთელი ჩემი სისწრაფით და ძალით გავვარდები იმ ფეხბურთელისკენ, რომელიც საჯარიმოში შემოაღწევს. აქ საბოდიშო არაფერია. ვიცი, რომ ბატისტონისთან შეჯახება, იყო უბედური შემთხვევა. თუმცა ამან ბევრი რამ მასწავლა. მოწინააღმდეგე, მიწაზე დავარდნილი — არის ადამიანი, რომელსაც აუცილებლად უნდა ვუთანაგრძნო“.

გონიერი მკითხველი მაშინვე შეამჩნევს, რომ დროის გასვლისა და კრიტიკის ქარ-ცეცხლის გაძლების შემდეგ, ტონი შუმახერის ამ მონოლოგის პირველი ნაწილი მის ღრმა რწმენას გამოხატავს, ხოლო მეორე — საზოგადოებრივი აზრის წინაშე ხარკის გაღებას ჰგავს.

მოედანზე კი ყველაფერი იქით მიდის, რომ ფრანგების დაუცხრომელმა ძალისხმევამ შედეგი უნდა გამოიღოს და შეხვედრა მათი გამარჯვებით დასრულდეს. ამაში ეჭვის შეტანა უკვე შეუძლებელია, რადგან ანგარიში ნელ-ნელა, მაგრამ დაჟინებით საფრანგეთის სასიკეთოდ იცვლება.

მართალია, თამაშის ძირითადი დრო ფრედ 1:1 მთავრდება, მაგრამ უკვე დამატებით დროში ფრანგები საგრძნობლად წინაურდებიან — ოთხმოცდამეთორმეტე ანუ პირველი დამატებითი დროის მეორე წუთზე მარიუს ტრეზორს გერმანელთა კარში კიდევ ერთი ბურთი გააქვს, ხოლო აქედან ექვს წუთში, მატჩის დაწყებიდან ოთხმოცდამეთვრამეტე და დამატებითი დროის მერვე წუთზე ალან ჟირესი ქმნის სურათს, რომელიც გამოიყურება როგორც — 3:1 საფრანგეთის სასარგებლოდ! და თუ ფრანგების დაჟინებას გავითვალისწინებთ, გერმანიას გამარჯვების უმცირესი შანსიც კი აღარ რჩება, მაგრამ სულ მალე ყველაფერი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს.

ზიგფრიდ ლენცს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დროის გერმანელ მწერალს დაწერილი აქვს შესანიშნავი რომანი — „გერმანულის გაკვეთილი“, რომელშიც გერმანელთა ეროვნული ხასიათის ღრმა ნიუანსებს ეხება.

მთავარი პროტაგონისტი, პატარა გერმანელი ბიჭი ომით დან-

კარლ-ჰაინც რუმენიგეს გოლი გარდამტეხი გამოდგა.

გრეულ ქვეყანაში ცხოვრობს და სპეციალურ სკოლაში ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსს გადის.

მას გერმანულის გაკვეთილზე (მოვალეობის თემაზე) თხზულების დაწერას შესთავაზებენ... ბიჭი იწყებს წერას, მაგრამ...

უეცრად აღმოჩნდება, რომ ის ღრმა დეპრესიაშია და ამგვარ თემაზე წერა მისი ქვეცნობიერის უღრმესი შრეების გამომზეურებას გულისხმობს. მუშაობისთვის მხოლოდ ერთი გერმანულის გაკვეთილი კი არა, მთელი წელიწადი სჭირდება...

ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრის მასწავლებელი პატარა ოთახს მიუჩენს, სადაც მას კეტავენ, აწვდიან საკვებს, ის კი წერს და წერს...

წერს უმთავრესად მამაზე, ღირსეულ გერმანელზე, თავისი ეროვნული და მოქალაქეობრი მოვალეობების ერთგულ კაცზე, რომელსაც სწორედ ეს თვისებები ადენინებს უამრავ არაკაცთმოყვარულ საქციელსა და დანაშაულს... მასზე ფიქრისას ბიჭი თავს ძალიან ცუდად გრძნობს. ის სიცოცხლისა და თვითმკვლელობის ზღვარზე, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, ანგარიშმიუცემლად ცდილობს ქვეცნობიერის ჯურღმულიდან საფრთხის შემცველი ინფორმაციის მოძიებას, ცნობიერების სინათლეზე გამოტანას და გაუვნებლებას. ბიჭის მამა ფაშისტური გერმანიის სიმბოლური სახეა და რომანში მოვალეობებისადმი მისი დამოკიდებულება ნეგატიურ პლანშია განხილული.

ეს ის თვისებაა, რომელმაც ნიურნბერგის პროცესზე მოსამართლეე-

ბი გააოცა, რადგან ყველა განსასჯელი თვლიდა, რომ მოვალეობას ასრულებდა და არამც და არამც არ იყო დამნაშევე.

მაგრამ ეს ის თვისებაცაა, რომელმაც უსწრაფესად აღადგინა ბერლინი, შექმნა ყვავილნარები, ბაღები და კეთილმოწყობილი საცხოვრებლები გერმანელი მოქალაქეების დაკრიალებულ კარ-მიდამოში.

ეს ისაა, რამაც ტონი შუმახერს უკიდურესი გულგრილობა გამოავლენინა გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანის მიმართ და ისიცაა, რამაც მის თანაგუნდელ, აქამდე სათადარიგოთა სკამზე მჯდომ, სიცხიან კარლ ჰაინც რუმენიგეს გმირობა ჩაადენინა.

მაშ ასე, ასპარეზზე გამოდის ადამიანი, რომელიც ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად იწყებს ბრძოლას საკუთარი გუნდის გამარჯვებისათვის.

გერმანული ფეხბურთის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი რკინის წესებითა და უმკაცრესი დისციპლინით შეკრული საბრძოლო მანქანის ერთობლივი შეტევაა.

ასეთივეა ომისდროინდელი მასირებული სატანკო შეტევები გარმანული არმიისა, რომელმაც მთელი ევროპა დააჩოქა.

რუმინიგეს გამოსვლამ მონოლითური საბრძოლო მანქანის მუშაობა უნდა გააუმჯობესოს, მაგრამ ეს გამოსვლა მაინც არის უზარმაზარი პიროვნული აქტი, ინდივიდუალიზმის გერმანული გამონათება, ფრანგული ინდივიდუალიზმით ისედაც გაჯერებულ მატჩში, რომელიც მოვლენათა მთელ ერთობლიობას თითქოს კაშკაშა მზის შუქით ანათებს.

კარლ ჰაინც რუმენიგე — „თამაშის სათადარიგო სკამიდან თვალის მიდევნება, ძალიან რთული იყო. მე ათასჯერ მოვკვდი მანამ, სანამ არ გავრისკე ჩემი ჯანმრთელობის ფასად და ტრეზორის გოლის შემდეგ არ გავედი მინდორზე. ჩემმა სვლამ გაამართლა!“

ამგვარად, მარიუს ტრეზორის გოლამდე ანუ ოთხმოცდამეთვრამეტე წუთამდე ერთი წუთით ადრე — მოედანზე გამოდის სიცხიანი კარლ ჰაინც რუმენიგე.

იგი, ისევე როგორც გუნდის მთელი შემადგენლობა, ზედ მატჩის წინ ნაწლავური ინფექციით ხდება ავად. როგორც ჩანს, მის ორგანიზმში ავადმყოფობა უფრო მძიმე ფორმით მიმდინარეობს, რადგან გუნდის

ექიმის ძალისხმევით თანამებრძოლები უკვე მზად არიან მოედანზე გასასვლელად და თამაშობენ კიდეც, ხოლო რუმენიგე, სხეულის მაღალი ტემპერატურის გამო, სათადარიგოთა სკამზე ზის.

ნაწლავური ინფექცია ორგანიზმის ტოტალურ გაუწყლოებას იწვევს, რაც სიცოცხლისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც სპორტსმენი ისეთ ფიზიკურ დატვირთვას იღებს, როგორიც პროფესიონალიზმის მწვერვალის დაპყრობასა და ამ მწვერვალზე რამდენიმე ათეული წუთის განმავლობაში გაძლებას სჭირდება.

აი, სწორედ ამიტომ კარლ ჰაინც რუმინიგეს გამოსვლა არა მხოლოდ ჯანმრთელობით გარისკვაა, როგორც თვითონ მოკრძალებით აღნიშნავს, არამედ არის გარისკვა სიცოცხლით.

ასეა თუ ისე, რუმენიგე თამაშობს და საჭირო დროს მუდამ საჭირო ადგილასაა. ასმეორე წუთზე ანუ გამოსვლიდან ხუთ წუთში ურთულესი პოზიციიდან გააქვს გოლი, რომელიც სულიერ აღმავლობას იწვევს გერმანელებში და ამ თვალსაზრისით, თამაშში გარდატეხა შეაქვს.

ორით სამი ...

კლაუს ფიშერი ანგარიშს ათანაბრებს...

ასმერვე წუთზე კი კლაუს ფიშერი ანგარიშს „მაკრატელათი“ ათანაბრებს.

მატჩი ფრედ, 3:3 მთავრდება.

ინიშნება პენალტების სერია.

წარმოუდგენელი ამბავია, ახლა ორივე გუნდს გამარჯვების თანაბარი შანსი აქვს — თითქოს არც ყოფილა ბატისტონის ტრავმა, შუმახერის უადამიანო საქციელი, ფრანგების აღტყინება... ყელაფერმა ამაოდ ჩაიარა...

ერთი ადამიანის, კარლ-ჰაინც რუმენიგეს ბრძოლაში ჩართვამ თითქოს „სამყარო შეატრიალა“.

მსოფლიო ისტორიამ, სპორტულმაც და არასპორტულმაც, იცის ერთი კაცის გმირული თავდადებითა და წარმოუდგენელი სულიერი ძლიერებით — უკვე წაგებულ ბრძოლებში გამარჯვების მაგალითები.

ამ მხრივ, მხოლოდ გაიუს იულიუს კეისრის ტრიუმფალური სამხედრო ეპოპეა რად ღირს, როცა მდინარე რუბიკონი მხოლოდ ერთხელ გადალახა, ხოლო „რუბიკონის გადალახვის“ სულიერი აქტი ყოველი დიდი თუ მცირე, სამოქალაქო თუ სამხედრო ბრძოლის ჟამს კვლავ და კვლავ განახორციელა.

აქაც, რუმენიგე იქცა ადამიანად, რომელმაც წაგებული ბრძოლა მოგებისკენ შემოატრიალა და გერმანელი ერის ძლევამოსილი, უტეხი, უკვდავი სულის სიმბოლოდ მოგვევლინა.

პენალტების სერიაში, პირველად გერმანელმა ული შტილიკემ გააცუდა დარტყმა და ფრანგები აქაც ახლოს იყვნენ მოგებასთან, მაგრამ ტონი შუმახერმა ჯერ დიდიე სიქსს, შემდეგ კი მაქსიმ ბოსის აუღო და როდესაც ამბობენ, გერმანელების მსგავსად არავის შეუძლია თამაშის შემოტრიალებაო, უპირველესად სწორედ ამ მატჩს გულისხმობენ.

ფეხბურთის გულშემატკივართა საერთო შეხედულებით, ის, რაც გერმანელებმა სევილიაში გააკეთეს, საფეხბურთო ისტორიის ერთ-ერთი დაუვიწყარი ეპიზოდია.

პენალტების სერია (5:4) გერმანიის სასარგებლოდ დასრულდა.

P. S.

ტიტანებისა და ღმერთების ბრძოლაში დამარცხებულ ტიტანებს

ტარტაროსში ჩაყრა ერგოთ წილად.

ბრძოლა უფალსა და მის წინააღმდეგ აღმდგარ ანგელოზს შორის — აჯანყებულის დაცემით დასრულდა.

მოწინააღმდეგეების არმიების ყოველი ჭიდილი ერთ-ერთის ფიზიკური განადგურებით მთავრდებოდა.

სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებისა და თამაშის პირველი სინთეზი, გლადიატორების ბრძოლა, მოწყვლადის მოკვლას ნიშნავდა.

ერთი სიტყვით, თავდაპირველი მნიშვნელობით, ლექსიკური ერთეული „ბრძოლა“ თავის თავში უთუოდ მოიცავდა ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის ფიზიკური ან მორალური განადგურების აზრობრივ ნიუანსს.

მოგვიანებით, სპორტმა, რომელიც კაცობრიობისთვის მშვიდობის მტრედად იქცა, ბევრი რამ შეცვალა. მან სატყორცნი ლოდი, რომელიც მოწინააღმდეგეს ხერხემალსა და თეძოს უმსხვრევდა, ბადროთი ჩაანაცვლა, ხმალი, რომელიც თხემით ტერფამდე აპობდა ან თავს კვეთდა, — ჩოგანით, შუბი, რომელიც მკერდს უგმირავდა და შიგნეულს უფატრავდა — ჭოკით, ომი, რომელიც არმიებსა და მთელ ხალხებს დაღუპვას უქადდა — გუნდური თამაშებით…

ალტერნატიული აზრი შესძინა, აგრეთვე, მშვილდის, თოფისა და დამბაჩის გამოყენებას.

ასეთ ვითარებაში, სპორტული ასპარეზობის ასახვისას, სიტყვა ბრძოლამაც თავდაპირველი დრამატულ-ტრაგიკული ელფერი ჩამოიცილა და დამარცხებული მებრძოლი განადგურებულად კი არა, უბრალოდ, აღიარების: პრიზის, ჯილდოს, ტიტულის, პრემიის, თანრიგის ვერმიმღებად მოიაზრა, — მაგრამ მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალურმა მატჩმა, რომლის შესახებაც ესესაა გიამბეთ, სიტყვა „ბრძოლა“ თავისი პირვანდელი, უსასტიკესი მნიშვნელობით აღადგინა და დაუბრუნა სპორტს, რადგან ამ ბრძოლაში ადამიანებმა საკუთარი თავიც და სხვაც სასიკვდილოდ გაიმეტეს.

ტარიელ (ტატო)
კინწურაშვილი

ცოტა რამ გერმანიაზე

გერმანიამ მსოფლიო ჩემპიონატზე 1954 წელს გაიბრწყინა...

ურუგვაის, იტალიისა და ბრაზილიის რკინისმკვნეტელ გუნდებს სახელი კარგა ხნის მოხვეჭილი ჰქონდათ, თუმცა საფეხბურთო სამყაროს ერთ-ერთი მოწინავე გუნდი ჩრდილში იყო. მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული ქვეყნის ნაკრები, ზემოთ ნახსენებ წელიწადს — შვეიცარიაში გამართულ მუნდიალზე ფინალში გავიდა!

მოდი ისიც ვთქვათ, რომ 1934 წელს — გერმანიამ მსოფლიო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს ურუგვაისთან და იტალიასთან რა მოსატანია, ისინი ხომ უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები იყვნენ, ხოლო ბრაზილიის ნაკრებს — 1954 წლამდე ჩატარებულ ყველა მუნდიალზე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული და მესამე თუ მეორე ადგილებზე გასვლაც მოესწრო.

მესამე რაიხის დამხობიდან ცხრა წლის შემდეგ, გერმანიამ ფეხბურთისთვის მოიცალა — დამარცხებული სახელმწიფოს შვილებს გამარჯვება სწყუროდათ და ბერნის „ვანკდორფშტადიონზე“ — გახლეჩილი ქვეყნის (დასავლეთ გერმანიის) ნაკრებმა ფინალში გააღწია. ფრიც ვალტერი და მისი თანაგუნდელები მოედანზე გავიდნენ, რათა უნგრელთა დიდ გუნდად წოდებულ ნაკრებს შერკინებოდნენ...

უნგრელები და გერმანელები ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ ერთმანეთს, — თამაშში თერთმეტი გოლი გავიდა, ხოლო აქედან რვა ბურთი გერმანელთა მეკარის — ჰაინც კვიატოვსკის კარის ბადეში აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა



ფრანც ბეკენბაუერი

ზეპ ჰერბერგერმა იმ მატჩში, ერთბაშად ხუთი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ ათამაშა — ფინალში კი სრულიად ოპტიმალურად წარსდგა მეტოქის წინაშე, მაგრამ უნგრეთი პუშკაშისა და ციბორის გოლებით მალე დაწინაურდა და მერვე წუთისთვის ჰერბერგერის გაწვრთნილი გუნდი ორი ბურთის სხვაობით მარცხდებოდა. გერმანელები მატჩის ასეთ განვითარებას არ შეურიგდნენ, მათთვის დამახასიათებელი შეუპოვარი ხასიათი გამოავლინეს, ბოლომდე იბრძოლეს და საბოლოოდ ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს!

უნგრეთის ნაკრები მეორე ადგილს დასჯერდა. უნგრელი შანდორ კოჩიში თერთმეტი გატანილი გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, — მან ფინალური შეხვედრის გარდა, ყველა მატჩში შეძლო თავის გამოჩენა, ჯგუფურ ეტაპზე კი დასავლეთ გერმანიის ნაკრებს — სულაც ოთხი გოლი გაუტანა.

1954 წლიდან მოყოლებული, ყველა დიდ ტურნირზე — გერმანია მუდამ ფავორიტთა შორის განიხილება.

ბუნდესგუნდმა კიდევ სამჯერ (1974, 1990 და 2014 წლებში) იმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატზე და ფინალისა თუ ნახევარფინალის მონაწილეც არაერთხელ გახდა...

გერმანული ფეხბურთის ისტორიაში, უთუოდ გამოსარჩევია ფრანც ბეკენბაუერის როლი. შეიძლება ითქვას, რომ ბეკენბაუერი და გერმანული ფეხბურთი — ერთ დიდ, გაერთიანებულ ცნებას წარმოადგენს...

ფრანც ბეკენბაუერი ყოველთვის ელეგანტური თამაშით გამოირჩეოდა. ყველასაგან განსხვავებული არისტოკრატული თამაშის გამო მას „იმპერატორი“ (გერმანულად კაიზერი) უწოდეს. თავიდან ბეკენბაუერი ნახევარმცველად თამაშობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ის უფრო მცველად ჩამოყალიბდა და ლიბეროს პოზიციაზე განაგრძო ასპარეზობა.

ფრანც ბეკენბაუერს მცველისთვის საშური მტაცებლის ალღო ქონდა და თავის ხანგრძლივ კარიერაში მრავალი მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა. მან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან ერთად — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოიგო, ხოლო მიუნჰენის „ბაიერნის“ რიგებში: გერმანიის ჩემპიონობასა და თასს ოთხ-ოთხჯერ დაეუფლა. „იმპერატორმა“ სამჯერ აღმართა ევროპის ჩემპიონთა თასი, თითოჯერ კი უეფასა და საკონტინენტთაშორისო თასზეც იმარჯვა.

ბეკენბაუერმა სამწვრთნელო ასპარეზზეც უმაღლესი საფეხბურთო მწვერვალები დაიპყრო...

ის დასავლეთ გერმანიის ნაკრებს თავკაცობდა და ორჯერ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში — აქედან ერთში გერმანელებმა გამარჯვებას მიაღწიეს.

შემდგომ წლებში ბეკენბაუერმა სამწვრთნელო საქმიანობა საკლუბო ასპარეზზეც სცადა და გერმანული ფეხბურთის უპირველეს გუნდთან, — მიუნჰენის „ბაიერნთან“ ერთად ბუნდესლიგა და უეფას თასი მოიგო.

საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ — პელესა და კრუიფის შემდეგ, ბეკენბაუერი ყველა დროის საუკეთესო — მესამე ფეხბურთელად დაასახელა.

როცა მას მარადონაზე ჰკითხეს, ფრანცმა უპასუხა: — მარადონა უდიდესი ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ ჩემთვის უპირველესი პელეა. იმიტომ რომ პელე 20 წელიწადი უმაღლეს დონეზე თამაშობდა. ის მოედანზე და მოედნის მიღმაც ჯენტლმენი იყოვო...

თვითონ ბეკენბაუერიც ხომ ჯენტლმენად არის ცნობილი.

გიორგი ფულარიანი

მერსედესის იმედად

„მერსედესით“ ხომ გიმგზავრიათ?

— რა თქმა უნდა, გიმგზავრიათ...

ჰოდა, მაქსიმალური კომფორტის გემოსაც უთუოდ შეიგრძნობდით, რადგან ეს ავტომობილი სასიამოვნოდ დასრიალებს ტრასაზე.

გერმანიის ნაკრებიც „მერსედესს“ ჰგავს — იმიტომ, რომ „ბუნდესმანქანა“ მის გულშემატკივარს დიდ კომფორტს უქმნის, ხოლო გერმანელ ფეხბურთელთა ტრასას მწვანე მოედანი წარმოადგენს.

რა არის „მერსედესის“ უმთავრესი ხიბლი?

— სტაბილურობა და სოლიდურობა, რომელსაც განსაკუთრებული ეშხი გააჩნია. ოდითგანვე გერმანიის ნაკრებიც სწორედ სტაბილურობითა და სოლიდურობით გამოირჩეოდა. მოწოდების სიმაღლეზე მყოფ ბუნდესგუნდის თამაშს, შეგვიძლია — „ფეხბურთის კლასიკა“ ვუწოდოთ.

ფრანც ბეკენბაუერი, გერდ მიულერი, ზეპ მაიერი, პოლ ბრაიტნერი, ლოთარ მათეუსი... ეს იმ ფეხბურთელთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც „მერსედესის“ საჭეს მიუსხდებოდნენ, რათა ტრასის მოთხოვნათა შესაბამისად ემართად.

გერმანია ოთხჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო სამჯერ კონტინენტის საუკეთესო გუნდად იქცა – გარდა ამისა, ხშირად გადიოდნენ ნახევარფინალსა და ფინალში...

რა შანსები აქვს ტურნირის მოქმედ ჩემპიონს მომავალ მუნდიალზე — დაიცავს გუნდი ტიტულს?

— აღნიშნულზე კამათი უტოპია იქნება, რადგან ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს, მაგრამ ორი აზრი არ არის — ერთ-ერთ უდავო ფავორიტად გერმანიის ნაკრები უნდა ჩავთვალოთ!

ტონი კროოსი და მანუელ ნოიერი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები — „მერსედესის“ ახალი, ბრწყინვალე მოდელებითაც იწონებენ თავს. ეს მოდელები კი 2016 წელს — ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატსა და კონფედერაციის თასზე იქნა წარმოდგენილი...

ჩემი ღრმა რწმენით, გუნდის უმთავრესი „მერსედესი“ ტონი კროოსია. ტონი მადრიდის „რეალშიც“ და ნაკრებშიც უდავო ლიდერად და დირიჟორად გვევლინება. ნაკრებისთვის უდიდეს ძალას წარმოადგენს მეკარე მანუელ ნოიერი. ძალიან მაგარი ბიჭია ჯოშუა კიმიხიც — მან იდეალურად ამოავსო ფილიპ ლამის ადგილი. დაცვის ცენტრში ბოატენგისა და ჰუმელსის წყვილი თითქმის უშეცდომოთ ირჯება და საჭიროების შემთხვევაში — ანტონიო რუდიგერსაც შეუძლია საქმეში ჩართვა.

რაც შეეხება შეტევას...

იულიან დრაქსლერი, თომას მიულერი, მარკო როისი (იმედია, ჯანმრთელად იქნება...) და მარიო გიოტცე — ძალზე სახიფათონი არიან. არ შემიძლია არ გამოვყო ტიმო ვერნერი, ის ხომ მიროსლავ კლოზეს შემცვლელად მოიაზრება და მასზე დაკისრებულ ამოცანასაც მშვენივრად ართმევს თავს. დავუმატოთ ამას ისიც, რომ „მირო“ სამწვრთნელო შტაბში მუშაობს, ვერნერთან კი უშუალო შეხება ექნება...

გარდა გერმანიისა, — ფავორიტად საფრანგეთისა და ესპანეთის ნაკრებები მესახება. ასევე არ უნდა დავივიწყოთ იტალია, რადგან „სკუადრა აძურა“ სწორედ მაშინ არის ყველაზე სახიფათო, როცა მისგან ნაკლებად ელიან ხიფათს.

მომკალით და სამხრეთამერიკელების ფავორიტობის არ მჯერა...

მე მაინც იმედი მაქვს, რომ „მერსედესი“ ტრასიდან არ გადაუხვევს და „დამკაში“ კვლავ ტრადიციული სვლით გავა!

P.S. იტალიის ნაკრები მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატზე ვერ გავიდა.

იტალია

არჩილ ბენაშვილი

Forza Italia!

როდესაც მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატზე — პაოლო როსიმ ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრაში ჰეთ-თრიკი შეასრულა, ალბათ იტალიის ნაკრების ნებისმიერმა გულშემატკივარმა შეიგრძნო განსაკუთრებული სიხარულის მოახლოება, მაგრამ...

რამდენად წარმოსადგენი იყო მომავალი ტრიუმფი?

მსოფლიოს მაშინდელ ორგზის ჩემპიონებს, ძალიან სურდათ „ფიფას“ თასი დაეჭირათ ხელში, რამეთუ 44 წლის განმავლობაში ფეხბურთის უმაღლესი ჯილდო მოგებული არ ჰქონდათ.

მაინც რას ნიშნავს მეორე მსოფლიო ომამდე — იტალიელთა მიერ, სამიდან ორი ჩემპიონატის მოგება ფეხბურთის დღევანდელი მოყვარულისთვის?

რამდენად თვლის იგი „სკუადრა აძურას“ ოთხგზის ჩემპიონად — დამატებით ბენიტო მუსოლინის ფაქტორის გათვალისწინებით?

დღესდღეობით ალბათ მოსაწყენია, ომამდელ საფეხბურთო ჩემპიონატებში — ამა თუ იმ გუნდის ამსახველ კადრთა მოძიება. მშრალი სტატისტიკა გვამცნობს — 1934 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელთა გამარჯვებებს: ამერიკის შეერთებული შტატების, ესპანეთის, ავსტრიის და ფინალში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებთან.

თანაც, აღსანიშნავია, რომ დუჩეს ფაქტორის მიუხედავად, ტურნირის მასპინძელ იტალიელებს მაინც მოუწიათ შესარჩევი ეტაპის გავლა. მომდევნო მუნდიალზე მათ შეინარჩუნეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული — ზედიზედ დაამარცხეს: ნორვეგიელები, ტურნირის

1982 წელი. დინო ძოფი, ფრანკო კაუზიო, იტალიის პრეზიდენტი ალესანდრო პერტინი და ენცო ბეარზოტი. ტრიუმფალური გადაფრენა მადრიდიდან რომში.

მასპინძელი საფრანგეთის ნაკრები, ბრაზილიელები და საბოლოოდ უნგრელები.

ფინალი უხვგოლიანი გამოდგა. „სკუადრა აძურამ“ 4-2 მოიგო და მსოფლიოს უძლიერესი გუნდის სტატუსი მთელი 12 წლით დაისაკუთრა, რადგან მომდევნო მუნდიალი 1950 წელს ჩატარდა.

მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატს იტალია გაუბედურებული შეხვდა. აი ზუსტად ისე, ნეორეალისტურ ფილმებში რომ არის ნაჩვენები. ბენიტო მუსოლინის რეჟიმი დამარცხდა, ხოლო ქვეყანას ფეხბურთისთვის არ ეცალა. რივერას, რივასა თუ ბონინსენიას თაობა ჯერ კიდევ შორს იყო და იტალიის ნაკრებმაც ჯგუფური ბარიერი ვერ დასძლია. იტალიელები მომდევნო, 1954 წლის ჩემპიონატზეც ჯგუფში ჩარჩნენ, 1958-ში საერთოდ ვერ მოხვდენენ და 1962 წელსაც ჯგუფიდან ვერ გავიდნენ, მაგრამ, სწორედ აქ იღებს სათავეს იტალიის ნაკრების ისტორიული მეტოქეობა გერმანიასთან.

ჩილეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდები დაზავდნენ — 0:0. ამის შემდეგ, იტალიელებმა გერმანელებთან უგოლო ფრე 1978 წელს, — არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე და 1996 წელს, — ინგლისის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშეს.

სხვა შემთხვევაში კი მხოლოდ იგებდნენ, როგორც ეს იყო 1970-ში, 1982-ში, 2006-ში და კიდევ ევრო 2012-ზე.

გერმანელებმა 2016-ის ევროზე საშინლად იწვალეს თავისზე ბევრად სუსტ იტალიის ნაკრებთან და ნახევარფინალში გასაღწევად თერთმეტმეტრიანების სერია დასჭირდათ, სადაც, ტრადიციულად „ფუნთუშა“ ფრანგებთან იმდენად ქანცგაწყვეტილები გავიდნენ სათამაშოდ, რომ ერთი გოლიც ვერ გაიტანეს და ტურნირს გამოეთშნენ...

ალბათ სწორედ გერმანიის ნაკრებთან — იტალიელთა ისტორიული დაპირისპირება დაგვეხმარება ყველაზე უკეთ ამ გუნდის ფსიქოლოგიური პორტრეტის ჩამოყალიბებაში.

ანუ, მაინც რა არის „სკუადრა აძურას“ ფენომენი?

იგი ყოველთვის ბოლომდე იბრძვის. აბა როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვაგვარად გუნდი, რომელიც არასოდეს მარცხდება უკომპრომისობით გამორჩეულ გერმანიის ნაკრებთან.

მაგრამ ეს არის იტალიის ნაკრების ერთი და უმნიშვნელოვანესი მხარე. აი მეორეს კი რა შეიძლება ვუწოდოთ?

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ინგლისის ნაკრებმა მოიგო, იტალიელებისთვის იმდენად სავალალო აღმოჩნდა, რამდენადაც ჩრდილოეთ კორეის ნაკრებისთვის იღბლიანი და ვინძლო ამ ქვეყნის მთავრობას სწორედ მაშინ მოუვიდა თავში საკუთარი მოსახლეობის მუდმივი „დაბოლების“ იდეა.

აბა წარმოიდგინეთ და დაიჯერეთ, რომ „სკუადრა აძურა“ მაშინ ჯგუფში მართლა დამარცხდა ჩრდილოეთ კორეის ნაკრებთან და მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მაფიოზების შიშით, გუნდი შინ დაბრუნებას გარკვეული დროის განმავლობაში ვერ ბედავდა.

რა უნდა ეწოდოს ასეთ მარცხს, თუ არა „მაკარონიკობა“.

აბა წარმოიდგინეთ. შესაძლებელია რომ ჩრდილოეთ კორეის ნაკრებთან ოდესმე დამარცხდეს ბრაზილიის, გერმანიის, ესპანეთის, საფრანგეთის ან თუნდაც ინგლისის ნაკრები?

რა თქმა უნდა, არა. აი იტალიელებმა კი ეს მოახერხეს — მიუხედავად იმისა, რომ მინდორზე უკვე ჰყავდათ ამომავალი ვარსკვლავები სანდრო მაცოლასა და ჯიაცინტო ფაკეტის სახით.

„სკუადრა აძურამ“ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებთანაც წააგო, რომლის შემადგენლობაშიც მურთაზ ხურცილავა ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ კორეელებთან იტალიელებს თუნდაც ფრედ რომ ეთამაშათ და ჯგუფიდან გასულიყვნენ, — ვინ იცის, იქნებ ფინალამდეც მიეღწიათ — აკი უწიეს კიდეც ფინალს ოთხი წლის შემდეგ...

1970 წელს, მექსიკაში — „სკუადრა აძურა“ ერთი მხრივ მოსაგებად გაემართა. მერე რა, რომ ბრაზილიელებს უძლეველი გუნდი ჰყავდათ და ევროპულ გუნდს არასოდეს მოეგო ამერიკის კონტინენტზე. ხომ შეიძლებოდა ყველაფერი მომხდარიყო ჩიპოლინოს მიერ დასახული გზებისა არ იყოს?

აი მეორე მხრივ კი ეს მზერა ფრიად უკომპასო იყო, რადგან ისინი „მაკარონიკები“ იყვნენ.

მაგრამ აღსანიშნავი იყო კიდევ ერთი მომენტიც. იტალიელებმა დროდადრო ჩემპიონთა თასის მოგება დაიწყეს. ინგლისის ჩემპიონატის წინა წელს ეს „ინტერმა“ მოახერხა, ხოლო მექსიკის წინ „მილანმა“.

იტალიის ნაკრები, ისევე როგორც 1982 წელს — აქაც გადარჩა, რადგან ჯგუფური ეტაპი ერთადერთი გოლით დაასრულა, ისე რომ საკუთარი კარი მშრალად შეინახა. მეტიც, იტალიელებმა პირველი ადგილი დაიკავეს და მეოთხედფინალში მიწასთან გაასწორეს ტურნირის მასპინძელი მექსიკის ნაკრები. თავი დომენგინიმ, რივერამ და რივამ (რივამ ორჯერ) გამოიჩინეს — მატჩი 4 : 1 დასრულდა.

16 წლის შემდეგ მასპინძელი მექსიკა უკვე გერმანიის ნაკრებმა ჩამოიცილა გზიდან და ბუნდესგუნდმაც, იტალიელთა მსგავსად — ტურნირზე საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა...

ეს ისე, უბრალოდ სტატისტიკური დამთხვევაა, მთავარი კი ისაა, რომ ნახევარფინალში ერთმანეთს სწორედ რომ იტალია და გერმანია გადაეყარნენ.

გერმანია უფრო დაღლილი იყო თავის მეტოქესთან შედარებით, რადგან უმძიმესი მეოთხედფინალი მოიგო ინგლისის ნაკრებთან დამატებით დროში. გერმანიის ნაკრები იმ მატჩს ორბურთიანი სხვაობით აგებდა, მაგრამ ფრანც ბეკენბაუერმა და უვე ზეელერმა ძირითად

დროში სხვაობა აღადგინეს, ხოლო გერდ მიულერმა საბოლოოდ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

აი ნახევარფინალში კი, — მერვე წუთზე ბონინსენიამ გახსნა ანგარიში და იტალიამ მთელი მატჩის განმავლობაში „კატენაჩოთი“ ან თუნდაც უბრალოდ, მოხერხების ხარჯზე შეინარჩუნა უპირატესობა, მაგრამ გერმანელები რისი გერმანელები იყვნენ, თუკი შეხვედრის ბოლო წუთზე ანგარიშს ვერ გაათანაბრებდნენ?

დამატებითი დრო უაღრესად დრამატული გამოდგა. საბოლოოდ იტალიელებმა იძალეს, დაამყარეს რა მარადიული ფსიქოლოგიური უპირატესობა გერმანიასთან მიმართებაში, რადგან თუკი ფრანც ბეკენბაუერის გუნდი ვერ უგებდა ჯანი რივერას გუნდს, მაშინ როგორღა უნდა მოეგო კარლ ჰაინც რუმენიგეს ნაკრებს პაოლო როსის ნაკრებისთვის?

მაგრამ ეს სამომავლო თემაა, ახლა კი დროა, რომ გადავინაცვლოთ ფინალურ მატჩზე, რომელიც სრულად შევსებულ „აცტეკას“ სტადიონზე გაიმართა, სადაც „სკუადრა აძურას“ ძლევამოსილი ბრაზილიის ნაკრები დაუპირისპირდა.

ურუგვაის დამარცხებით გამხნევებული ბრაზილიელები, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მასპინძლის როლში გრძნობდნენ თავს ევროპელებთან. საოცარი შემადგენლობის გათვალისწინებით ისინი უფრო ახლოს იყვნენ, რომ ჟიულ რიმეს „ნიკეს“ თასს სამუდამოდ დაპატრონებოდნენ, ვიდრე იტალიელები.

პელემ უკვე მეთვრამეტე წუთზე დააწინაურა ბრაზილიელები, მაგრამ იტალიის ნაკრებმა მოახერხა ის, რასაც ალბათ ვერცერთი ევროპული გუნდი ვერ მოახერხებდა ასეთი ბრაზილიის წინააღმდეგ. გარდა იმისა, რომ ბონინსენიამ გაათანაბრა ანგარიში, „სკუადრა აძურას“ დაწინაურებაც შეეძლო ერთ ეპიზოდში. აი ეს რომ მომხდარიყო...

თუმც, მოდით იტალიას ინგლისის ნაკრებს ნუ შევადარებთ და გავიხსენოთ, რომ გერმანელებთან გადაქანცული სკუადრა აძურა, ბრაზილიელებთან შედარებით მექსიკის ჰავას ნაკლებად ეგუებოდა.

ბრაზილიელები შეხვედრის სამოცდამეექვსე წუთზე გერსონის გოლით დაწინაურდნენ.

აი აქ კი გატყდა იტალიის ნაკრები, მატჩის ბოლომდე საკუთარ კარში კიდევ ორი გოლი მიიღო და საბოლოოდ 1:4 დამარცხდა.

მიუხედავად ამისა, „სკუადრა აძურას“ გამოსვლა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, სხვათა შორის ფინალური მატჩის ჩათვლით, უდიდეს წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ზე გუნდთან დიდი ანგარიშით მარცხი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ნაკრებს არ გაუმართლა და ფინალში მოხვედრის შემთხვევაში, ასეთივე ანგარიშით არ დამარცხდებოდა იმ გენიალურ კრებულთან, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში — ყველა დროის უძლიერეს ნაკრებადაა აღიარებული...

1970 წლის ჩემპიონატი გარდამტეხი აღმოჩნდა იტალიის ნაკრებისათვის, რადგან სწორედ მაშინ ირწმუნა გუნდმა საკუთარი ძალა, არც თუ ისე დიდი ხნის შემდგომ რომ იხილა საფეხბურთო სამყარომ, — კერძოდ 1978 წელს. მანამდე კი იტალიელებმა გერმანიის მუნდიალი ჩააგდეს.

ფაბიო კაპელოს მიერ მატჩის ოთხმოცდამეხუთე წუთზე გატანილი გოლი არასაკმარისი აღმოჩნდა იტალიელებისთვის, რომლებიც ჯგუფური ტურნირის უკანასკნელ შეხვედრაში 1 : 2 დამარცხდნენ უძლიერეს პოლონეთის ნაკრებთან და შედეგად, მეოთხედფინალში არგენტინა გავიდა, რადგან ისინი ბურთების შეფარდებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

როგორ უნდა შეფასდეს იტალიელთა ასპარეზობა ამ ჩემპიონატზე? რა თქმა უნდა, კრიტიკის ქარცეცხლი საჭირო არ არის, რადგან ჯგუფურ ეტაპზე ძალების შენახვა ხომ მათი სტილია, ხოლო კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს.

ეტყობა, სწორედ რომ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ენცო ბეარზოტის ნაკრებმა აღარ გარისკა, ძალების სრული მობილიზებით ჩაატარა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე შეხვედრები და იქ ნაჩვენებ ზღაპრულ ფეხბურთსაც მილიონობით თაყვანისმცემელი გამოუჩნდა მთელ მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ იტალიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ინგლისის ნაკრები ჩატოვა ჯგუფში, რომლის წამყვანი კლუბები უკვე ზედიზედ ეპატრონებოდნენ ევროპის ჩემპიონთა თასს.

1978 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე, უფრო ზუსტად კი თვენახ-

ევრით ადრე, ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ბელგიურმა „ბრიუგემ“ ტურინის „იუვენტუსი“ გამოაგდო, რომელიც თავის მხრივ ფინალში „ლივერპულმა“ დაამარცხა. არადა იტალიის ნაკრების ძირითად ბირთვი, სწორედ „იუვენტუსის“ ფეხბურთელებისგან შედგებოდა.

რაშია საქმე — ნუთუ იქ ზოგავდნენ ძალებს ტარდელი და კაუზიო, ბეტეგა და ბენეტი, ჯენტილე და ძოფი, შირეა და კაბრინი ან სრულიად ახალგაზრდა კუკურედუ?

ეს უკანასკნელი ენცო ბეარზოტის ლამის ყოველი მატჩის მეორე ტაიმში შემოჰყავდა, მაგრამ მაყურებელთა უდიდესი სიმპათიები, რა თქმა უნდა, ჩამონათვალში — პირველმა რვა ფეხბურთელმა დაიმსახურა.

ეს გუნდი ტურნირის დასრულების შემდეგ, არაერთმა წამყვანმა საფეხბურთო სპეციალისტმა უგვირგვინო ჩემპიონად შერაცხა...

ჯგუფში იტალიელებმა სამივე შეხვედრა მოიგეს შემტევ და ლაღ სტილში. მათ ულამაზესი გოლები გაიტანეს და არაერთი საგოლე მომენტიც გაანიავეს. ამ მხრივ, განსაკუთრებით რობერტო ბეტეგა გამოირჩეოდა, თუმცა მის მიერ გატანილი გოლი ტურნირის მასპინძელ არგენტინის ნაკრების კარში, ერთადერთი და უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა, გადაწყვიტა რა ჯგუფში უძლიერესის ვინაობა.

მომდევნო ეტაპზე, იტალიელები ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ — ჰოლანდიის, ავსტრიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებებთან. მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს იტალიელებმა ისევე გადაუარეს, როგორც ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე, მაგრამ ორივე შემთხვევაში თერთმეტი კაცი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და იღბალიც იმდენად მფარველობდა გერმანელებს, რომ საბოლოოდ შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.

ავსტრიელებს მათ მინიმალური ანგარიშით 1:0 მოუგეს, ხოლო გადამწყვეტ მატჩში, ჰოლანდიის ნაკრებთან, — „სკუადრა აძურამ“ მხოლოდ პირველი ტაიმი მოიგო, თანაც ერნი ბრანდტსის ავტოგოლის წყალობით. მეორე ტაიმის დასაწყისში ბრანდტსმა უკვე იტალიას გაუტანა, მატჩის მიწურულს კი, არი ჰაანმა ყუმბარისებური დარტყმით დალაშქრა დინო ძოფის კარი. შემდეგ არაერთგზის დაიწერა,

რომ თითქოს არგენტინის ჩემპიონატზე გრუნტის არასათანადო მდგომარეობის გამო, მეკარეებს უჭირდათ ნახტომების შესრულება, მაგრამ რატომ ხდებოდა ეს მაინცდამაინც დინო ძოფის შემთხვევაში, რომელმაც მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩშიც გაუშვა ორი ბურთი — ბრაზილიელებმა შორეული დარტყმების შედეგად, ორჯერ აიღეს ძოფის კარი და საბოლოოდ იტალიის ნაკრები დამარცხდა 1:2. მესამეზე ბრაზილია გავიდა.

იტალიელებმა, ჰოლანდიელებთან შეხვედრისა არ იყოს, იმ მატჩის პირველი ტაიმიც მოიგეს, აქციეს რა მესამე ადგილისათვის პაექრობა — რაღა თქმა უნდა ბრაზილიელებთან ერთად, ყველა დროის საუკეთესო, ფინალის ტოლფას დაპირისპირებად მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ენცო ბეარზოტი მთავარი მწვრთნელის პოსტზე დატოვეს, თუმც წამოაძახეს — შეგენახა ჯგუფურ ეტაპზე ძალები, როგორც ამას ადრე ვაკეთებდით და შესაძლოა ჩემპიონებიც გავმხდარიყავითო.

ამიტომაც ენცო ბეარზოტიმ ბევრი იფიქრა და ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ძალების შენახვის ტრადიცია გააგრძელა.

თუმცა, წარუმატებლობის შემთხვევაში, მას აუცილებლად წამოაძახებდნენ — რა გინდოდა, სად მიგყავდა პაოლო როსი. არ იცოდი, რომ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მას ფორმიდან ამოაგდებდა და ნაკრებში ვერაფერს გააკეთებდაო?

მაგრამ ბეარზოტი არ შემცდარა არჩევანში და 1978 წლის ვარსკვლავური გუნდიდან დატოვა რა ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელი, დაუმატა მათ დაცვის ცენტრში კოლოვატი, თავდამსხმელი ფრანჩესკო გრაციანი და ტექნიკური ნახევარმცველები გაბრიელე ორიალი და ნაკრების ცენტრალურ ფიგურად ქცეული ბრუნო კონტი, რომელიც ბურთს ფაქტობრივად არასდროს არ ჰკარგავდა. და კიდევ, ალტობელი...

ორიალის მიერ ბურთის დაჭერა — განსაკუთრებით ეფექტური იყო იტალიელთათვის, რადგან მის წინააღმდეგ წესის დარღვევის შემთხვევაში „მაკარონიკი“ დიდხანს გორავდა ხოლმე მინდორზე, — მწყობრიდან გამოჰყავდა ბრაზილიის ნაკრების მოთამაშენიც კი...

ბრაზილია კი ესპანეთის ჩემპიონატზე ისეთი გუნდით წარსდგა, პელეს პერიოდის შემდეგ რომ არ უნახავს ფეხბურთის მოყვარულს.

„სკუადრა აძურამ“ — სამი ფრით — ჯგუფში ძლივს დაიკავა მეორე ადგილი ისე, რომ მესამე ადგილოსან კამერუნის ნაკრებს აჯობა ერთი გატანილი გოლით. იტალიელთა ნაკრებში გამოვლინდა ის საოცარი მებრძოლი თვისებები, რომლებიც იტალიელებს, მაგალითად ინგლისელთაგან განსხვავებით, ყოველთვის წარმოაჩენს ნამდვილ სანაკრებო ქვეყნად.

რა თქმა უნდა იყო „კატენაჩო“, მაგრამ აბა როგორ უნდა ეთამაშა იტალიას გამწარებული მარადონას არგენტინის ნაკრებთან 2:0-ს დროს? ძოფმა აქაც გაუშვა შორიდან, ოღონდ ერთი ბურთი და მომავალმა მსოფლიო ჩემპიონებმა ის მატჩი 2:1 მოიგეს.

ჯენტილე, შირეა, კაბრინი, ბარეზი, ბერგომი, კოსტაკურტა, მალდინი, ნესტა, კანავარო და მათი დღევანდელი კოლეგები კი არიან უმაღლესი რანგის მცველები, მაგრამ დაუსრულებლად ალაპარაკებენ ოპონენტებს „კატენაჩოს“ შესახებ, რომელიც ბევრისთვის ანტიფეხბურთთან ასოცირდება.

სინამდვილეში ისინი, უბრალოდ ხშირად ჩნდებიან ბურთთან და თავდამსხმელებს გაცილებით ნაკლებ გასაქანს აძლევენ, ვიდრე მათი ევროპელი თუ სამხრეთამერიკელი კოლეგები...

და კიდევ, ნუ დავივიწყებთ არგენტინელებთან შეხვედრაში იტალიელთა ორ შესანიშნავ გოლს, რომელთა წყალობითაც „სკუადრა აძურამ“ ზედიზედ ორ მსოფლიო ჩემპიონატზე მოუგო ლუის მენოტის გაწვრთნილ ნაკრებს.

აი ბრაზილიელებთან შეხვედრა კი შეიძლება შევრაცხოთ, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის ნაადრევი ფინალი — თანაც, სათამაშო დონითა და სანახაობრივი თვალსაზრისით იგი 1970 წლის ფინალსაც არ ჩამოუვარდებოდა.

იტალიას ამ შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, რათა ნახევარფინალში გასულიყო. აქედან გამომდინარე, რა „კატენაჩოზე“ შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი, როდესაც „სკუადრა აძურა“ პირველი წუთებიდანვე გადავიდა მეტოქის ნახევარზე — შეხვედრის

მეხუთე წუთზე როსის თავური აუღებელი აღმოჩნდა ბრაზილიელთა მეკარე ვალდირ პერესისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პაოლო როსის ჰეთ-თრიკის მიუხედავად, ბრაზილიელთა მეკარის სინდისზე არცერთი გოლი არ იყო. სოკრატესმა და ფალკაომ ორჯერ გაათანაბრეს, მაგრამ მესამედ მათ ეს ვეღარ მოახერხეს. საბოლოო ანგარიში — 3:2 იტალიელთა სასარგებლოდ, მატჩის სამოცდამეთოთხმეტე წუთზე დაფიქსირდა...

არგენტინელებთან და ბრაზილიელებთან გამარჯვებების შემდეგ, იტალიელებმა ნახევარფინალში ადვილად მოუგეს პოლონელებს — 2:0, შემდეგ კი ფინალში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს სძლიეს — 3:1.

პაოლო როსი ექვსი გატანილი გოლით ტურნირის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი გახდა, რამაც საბოლოოდ დაადუმა ენცო ბეარზოტის ოპონენტები და ეს უკანასკნელიც ნაკრების მწვრთნელის პოსტზე დარჩა.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე — მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონებმა დაამარცხეს სამხრეთ კორეა და დაუზავდნენ ბულგარეთისა და არგენტინის ნაკრებებს, ხოლო მერვედფინალში იტალიელებს — მშვიდად და უდრტვინველად მოუგო ვარსკვლავურმა საფრანგეთის ნაკრებმა 2:0.

ასე დაასრულა იტალიის ნაკრებმა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი და ენცო ბეარზოტიმ სამწვრთნელო კარიერა. მაგრამ იტალიელები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოემზადნენ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც აპენინის ნახევარკუნძულზე გაიმართა.

ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ იტალიელებს 1982 წლის მსგავსად, მსოფლიო ჩემპიონობა ეზეიმათ. ბუნებრივია, გადაჭედილი სტადიონები „სკუადრა აძურას“ წისქვილზე ასხამდა წყალს, ოღონდაც არა იმ სავალალო მატჩში, არნახული მხარდაჭერა კი არა, უფრო სტუმართმოყვარეობა რომ გამოავლინა ათიათასობით გულშემატკივარმა...

დიახ, არგენტინის ნაკრებისა და „ნაპოლის“ მაშინდელმა ლიდ-

1982 წელი. როსი გერმანელთა კარში გატანილ გოლს აღნიშნავს.

ერმა დიეგო მარადონამ — ნეაპოლის მოსახლეობას მატჩის წინა დღეს შეახსენა, რომ იტალიის მთავრობამ ისინი წლის მანძილზე პირველად, ნახევარფინალის დღეს გაიხსენა და იქვე დაამატა — ქვეყნის ადმინისტრაცია ნეაპოლელებს, როგორც მავრებს, ისე უყურებსო...

ეს უკვე ცეცხლზე ნავთის გადასხმას ნიშნავდა და შედეგად სტადიონი პრაქტიკულად არგენტინის ნაკრებს გულშემატკივრობდა — ტრიბუნებიდან „დიეგოს“ სკანდირებდნენ...

იტალიელი მოთამაშეები ამ ფაქტორმა რა თქმა უნდა დააბნია, მაგრამ თერთმეტმეტრიანების სერიამდე მატჩის მიყვანა, უპირველეს ყოვლისა, საოცარი ბრძოლისუნარიანობით გამორჩეული არგენტინის ნაკრების დამსახურებაა. არგენტინამ იტალია ასპარეზობას გამოთიშა, მანამდე კი „ალბისელესტემ“ ბრაზილიასაც მოუგო მერვედფინალში და საბოლოოდ, ტურნირის გადამწყვეტ მატჩამდე, გაცილებით იოლი გზით მისულ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან დამარცხდა ფინალში.

როგორც იქნა, არგენტინელებმა ერთხელ მაინც იხეირეს იტალიელებთან შეხვედრაში.

საინტერესოა, რომ იტალიის ნაკრებმა ორად-ორი გოლი გაუშვა ტურნირზე, გაიმარჯვა ექვს მატჩში და ერთიც ფრედ დაასრულა. „ცისფერმა გუნდმა“ საპრიზო ადგილი ინგლისის ნაკრებს არ დაუთმო, მოუგო რა ალბიონელებს 2:1 და მესამეზე გავიდა.

ამ ჩემპიონატზე გაიბრწყინეს: ბარეზიმ, ბერგომიმ, მალდინიმ, დონადონიმ, რობერტო ბაჯომ, დი ნაპოლიმ, ჯანინიმ, ვიალიმ და რა თქმა უნდა თავდამსხმელმა სკილაჩიმ, რომელიც თითქოს უფრო სახალხო სიყვარულის და არა სათამაშო კლასის ხარჯზე გახდა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და მოთამაშე.

საკუთარ კედლებში უტიტულოდ დარჩენის შემდეგ, — მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე, იტალიამ ტურნირის მოგების საოცარი ჟინი გამოავლინა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში — „სკუადრა აძურამ“ ჯგუფური ეტაპი საშინლად განვლო. გუნდმა საუკეთესო მესამეადგილოსნის სტატუსით მოახერხა მერვედფინალში გაძრომა, სადაც დამატებით დროში სძლია იმ დროისათვის მომძლავრებულ ნიგერიის ნაკრებს.

იტალიელები ჩემპიონატზე ძალებს ზოგავდნენ და ცდილობდნენ, ფინალამდე არ გაემჟღავნებინათ ძირითადი კოზირები, ჰოდა მეოთხედფინალში კინაღამ ესპანელებთან დამარცხდნენ.

ანგარიში 1:1 იყო და სალინასს ესპანეთის ნაკრების დაწინაურება მართებდა. ამოქმედდა ფეხბურთის დაუწერელი კანონი — „ვერ გაიტან, გაგიტანენო“ და სწორედ ამ განიავებულ ეპიზოდს მოჰყვა უსწრაფესი კონტრიერიში — მატჩის მიწურულს რობერტო ბაჯო გადამწყვეტი გოლის ავტორი გახდა. იტალია ნახევარფინალში გავიდა!

ნახევარფინალში „სკუადრა აძურამ“ ასეთივე ანგარიშით, ოღონდ გაცილებით მარტივ ბრძოლაში დაამარცხა გერმანიის ნაკრების გამომგდები ბულგარეთის ძლიერი გუნდი და ფინალში — 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მსგავსად, ბრაზილიელთა წინაშე წარსდგა.

ბებეტოს, რომარიოსა და სხვათა ვარსკვლავურ ნაკრებს, იტალია მეორე ნომრად დახვდა.

თამაში სანახაობრივი თვალსაზრისით, ამ მეტოქეების ნებისმიერ წინა დაპირისპირებას ჩამოუვარდებოდა, რადგან ბრაზილიელებმა დაცვითი ფეხბურთი, სწორედ რომ ამ ჩემპიონატზე ითამაშეს. უგოლო ფრის შემდეგ, თერთმეტმეტრიანების სერიაში სამხრეთამერიკელებმა იმარჯვეს. იტალიის ნაკრები წინა მსოფლიო ჩემპიონატის მსგავსად დაიჩაგრა. პენალტების გამფუჭებლები — ბარეზი, მასარო და რობერტო

ბაჯო აღმოჩნდნენ...

1994 წელი. თავჩაქინდრული რობერტო ბაჯო და გახარებული კლაუდიო ტაფარელი.

რადგან იტალიის ნაკრებს, ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატზე საჩემპიონო შემადგენლობა არ ჰყოლია, მისი მეორე ადგილი უდავო წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. გავითვალისწინოთ ისიც, რომ იტალიელებმა ბოლო ხუთი ჩემპიონატიდან — ერთხელ ჩემპიონობა, ერთხელ მეორე ადგილი, ერთხელ მესამე და ერთხელაც მეოთხე ადგილი მოიპოვეს.

აქედან გამომდინარე — „სკუადრა აძურა“ კვლავაც ჩემპიონობის რწმენით ესტუმრა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატს, რომლის ჯგუფური ეტაპიც — ჩეზარე მალდინის გუნდმა ღირსეულად განვლო და პირველი ადგილიც დაიკავა.

მერვედფინალში, კრისტიან ვიერის ეული გოლის წყალობით — იტალიამ ნორვეგია დაამარცხა, აი მეოთხედფინალში კი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები კვლავაც თერთმეტმეტრიანების სერიაში დამარცხდნენ ტურნირის მასპინძელთან, — გუნდთან რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო.

ბედისწერა? არავითარ შემთხვევაში. თანაც, ისევე როგორც ბრაზილიელებთან ოთხი წლის წინანდელ ფინალში, იტალიელებს ფაქტობრივად ფრანგებთან შეხვედრაშიც არ შეუქმნიათ საგოლე მომენტი.

არადა გუნდს ისეთი მოთამაშეები ამშვენებდნენ, როგორებიც იყვნენ: ბაჯო და ვიერი, ალბერტინი და მალდინი, კოსტაკურტა და კანავარო, ვეტერანი ბერგომი და ახალგაზრდა დელ პიერო. სწორედ ბაჯოსა და დელ პიეროს ერთად არ დაყენებაში დაადანაშაულეს არიგო

საკი, მწვრთნელი, რომელმაც მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრები ფინალში გაიყვანა.

სამხრეთ კორეისა და იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე — ჯოვანი ტრაპატონის აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა, რომ შესაძლოა ტურნირის მასპინძლის სასარგებლოდ მიკერძოებულ მსაჯობას ჰქონოდა ადგილი და ამიტომ ჯგუფში პირველი ადგილისთვის უნდა ებრძოლა. ორი ტურის შემდეგ, სამხრეთ კორეის გუნდს ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა — მაგრამ, როგორც გაირკვა, ტრაპატონიმ არასწორად გათვალა და სკანდალურ მერვედფინალში — კორეელებმა იტალიელები ტურნირს გამოთიშეს.

მუნდიალის დასრულების შემდეგ, იტალიის ფეხბურთის მესვეურებმა მარჩელო ლიპიზე დაამყარეს იმედები, — ამ უკანასკნელმა კი, „სკუადრა აძურას“ მეოთხედ და ჯერჯერობით უკანასკნელად აზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა.

საოცრად ძნელი უნდა ყოფილიყო ტრიუმფი ტურნირზე, სადაც ძლევამოსილი ბრაზილია, საფრანგეთი და შეჯიბრის მასპინძელი გერმანია გამოდიოდა...

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებს ისეთი ვარსკვლავები განასახიერებდნენ, როგორებიც იყვნენ: ბუფონი და ტოტი, დელ პიერო და პირლო, მატერაცი და კანავარო, — ტიფოზებმა უნდა აღიარონ, რომ ფინალამდე მათ საყვარელ გუნდს ისეთი მძიმე გზა არ ჰქონია, როგორიც საფრანგეთის ნაკრებს.

ფრანგებმა ზედიზედ დაამარცხეს ესპანელები, ბრაზილიელები და პორტუგალიელები. საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრებთა შეხვედრა ჩემპიონატზე უდავოდ გამორჩეული იყო. ბრაზილიელებთან შეხვედრაში ფრანგებმა ერთი გოლი გაიტანეს და საკუთარი კარის მშრალად შენახვაც შეძლეს. ყოველივე ამან, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საჩემპიონოდ განაწყო გუნდი.

სამაგიეროდ „სკუადრა აძურამ“ ჩემპიონატის მასპინძელს სძლია.

მოდი ასეთი კითხვა დავსვათ — შეძლებდნენ ფრანგები გერმანიის ნაკრების დამარცხებას გერმანიაში?

1986 წელს, ფრანგებმა რატომ ვერ მოუგეს გერმანელებს ნეიტრა-

ლურ მოედანზე? არადა მანამდე მათ — ბრაზილიის უძლიერესი ნაკრები დაამარცხეს.

1982 წლის გახსენებაც შეიძლება...

იტალიელთა და გერმანელთა შეხვედრა, იმდენად მეტყველებდა ამ უკანასკნელთა მარადიულ შიშზე „სკუადრა აძურას“ მიმართ, რამდენადაც იტალიელთა მუდმივი შიში პენალტებისადმი, მით უმეტეს გერმანელებთან.

მართალია სტუმრის სტატუსი ჰქონდათ, მაგრამ იტალია გერმანიას ტრადიციულად პირველ ნომრად ეთამაშა და მატჩის ძირითად დროში შექმნილ მომენტებს გვერდი რომ ავუაროთ, იტალიელთა უპირატესობის ასაღწერად, უკვე დამატებით დროში — ჯერ ჯილარდინოს და შემდეგ პესოტოს დარტყმულის შემდეგ — ორჯერ ძელ-ხარიხას მოხვედრილი ბურთი კმარა. რა თქმა უნდა გოლის გატანის შანსი ტურნირის მასპინძლებსაც ჰქონდათ.

იურგენ კლინსმანის გაწვრთნილებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ მარჩელო ლიპის დამატებითი დროის უკანასკნელი წუთებისთვის რაღაც უნდა ეღონა, ოღონდაც მატჩი თერთმეტმეტრიანების სერიაში არ გადაზრდილიყო და მათ ეს „რაღაც“ გამოეპარათ...

ცივსისხლიანი გერმანელები პენალტებისთვის ემზადებოდნენ და ამ დროს, ანდრეა პირლომ წინ გაჭრილი თანაგუნდელი გერმანელთა საჯარიმოში, მარჯვენა ფლანგზე აღმოაჩინა. იტალიის ნაკრების მარცხენა მცველმა — ფაბიო გროსომ არ დააყოვნა, მარჯვედ მოუქნია ბურთს ფეხი და მთელი გერმანია მყისიერად დადუმდა!

მატჩის დამატებითი დროის უკანასკნელ წუთზე — კანავაროს დაწყებულ კომბინაციას, დელ პიეროს გოლიც მოჰყვა და იტალია ფინალში გავიდა!

ფინალში იტალია და საფრანგეთი წარსდგნენ ერთმანეთის წინაშე.

ექვსი წლის წინ, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე, კანავაროს პრანჭვა-თმების სწორებამ და ტრეზეგეს ოქროს გოლმა ფრანგთა გამარჯვება განაპირობა.

ვინ იფიქრებდა, რომ 2006 წლის დაპირისპირების ბედთან, კვლავ ტრეზეგე იქნებოდა დაკავშირებული.



2006 წელი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი, ფაბიო კანავაროსა და ზინედინ ზიდანის ორთაბრძოლა.

იქამდე კი იყო მატერაციისა და ზიდანის ისტორიული კონფლიქტი, რომელმაც ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებაში, დიეგო სიმეონესა და დევიდ ბექჰემს შორის — 1998 წლის ჩემპიონატზე მომხდარი ეპიზოდი ჩაანაცვლა.

მაგრამ ფინალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ ორივე გუნდი თანაბრად იმსახურებდა გამარჯვებას. უბრალოდ იტალიელებმა თერთმეტმეტრიანები დაარტყეს ისე, როგორც არასდროს. ფაქტია, მარჩელო ლიპიმ თავისი გუნდი პენალტების სერიისთვის კარგად მოამზადა.

ფინალის ბედი, პენალტების სერიაში — ტრეზეგეს მიერ ხარიხას გარტყმულმა ბურთმა გადაწყვიტა და იტალია მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

2010 წელს, „მაკარონიკები“ — პარაგვაის, სლოვაკეთისა და ახალი ზელანდიის ნაკრებთა კვარტეტში იყვნენ და ჯგუფში ბოლო ადგილზე ჩარჩნენ.

ეჰ ლიპი, წასულიყავი 2006 წელს...

იტალიელთათვის ახალმა არასასიამოვნო ტრადიციამ, სამწუხაროდ 2010 წელსაც იჩინა თავი. სუარესმა კიელინი დაკბინა, ხოლო ურუგვაიმ იტალია დაგესლა (1:0 მოუგო) და ზედიზედ მეორედ „ცისფერი გუნდი“ ჯგუფში ჩარჩა.

თუმცა იყო ერთი სასიამოვნო მომენტიც. იტალიამ ტრადიციისამებრ ინგლისის ნაკრებს მოუგო და წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით, ერთი გამარჯვების ამარა მაინც დაბრუნდა სამშობლოში, სადაც დიდი

სიფრთხილით აფასებენ საყვარელი ნაკრების შანსებს 2018 წლისთვის.

იტალიის ნაკრების შემადგენლობა, ასევე თამაშის ხარისხი — არ იძლევა მიზეზს, რომ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ფავორიტთა შორის მოვიხსენიოთ. დღესდღეობით ძნელად დასაჯერებელია, რომ იტალიის ნაკრებმა აჯობოს ესპანეთისა თუ ბრაზილიის ნაკრებებს. პოტენციური შესაძლებლობებით მათ ალბათ არგენტინელებიც სჯობნიან და ფრანგებიც.

აი გერმანელები კი... „სკუადრა აძურა“ ყოველთვის მზად არის, დაუპირისპირდეს მასზე გაცილებით ძლიერ ბუნდესგუნდსაც, — ისინი გერმანელებთან მუდამ ფავორიტები არიან!

P.S. იტალიის ნაკრები მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატზე ვერ გავიდა.



არგენტინა

ტატო
ბაციკაძე

არგენტინის ნაკრები

არგენტინა — ტანგოს, ხორხე ლუის ბორხესის და ჩე გევარას ქვეყანა.

არგენტინა — ქვეყანა, რომელმაც ბევრის აზრით, — ყველა დროის საუკეთესო ხუთ ფეხბურთელში შემავალი სამი მოთამაშე — ალფრედო დი სტეფანო, დიეგო მარადონა და ლიონელ მესი აჩუქა მსოფლიოს. მიუხედავად ამისა, არგენტინის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატი სულ ორჯერ აქვს მოგებული.

არგენტინელებისთვის ფეხბურთი ყოველთვის განსაკუთრებული ვნების და სიყვარულის საგანი იყო. ცოტაა მსოფლიოში ისეთი ერი, რომელიც ისევეა გადარეული და შეყვარებული ფეხბურთზე, როგორც არგენტინელები...

მუნდიალამდე

ყველაფერი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ბუენოს აირესის პორტში შესული ინგლისური გემებით დაიწყო, რასაც ქვეყანაში ფეხბურთის პოპულარიზაცია და საფეხბურთო კლუბების ჩამოყალიბება მოჰყვა.

თავისი პირველი მატჩი არგენტინის ნაკრებმა 1901 წლის 16 მაისს, მეზობლად, მონტევიდეოში, ურუგვაისთან გამართა. ეს ორი ქვეყანა უბრალოდ მეზობელი არასდროს ყოფილა და იმ დღიდან მოყოლე-

ბული, მათი ქიშპობა თუ მტრობა უკვე ახალ საფეხურზე ავიდა. იმ შეხვედრაში გამარჯვება არგენტინას დარჩა (3:2), თუმცა მიუხედავად ამისა, სამხრეთ ამერიკული საფეხბურთო სცენის მთავარი მოქმედი პირი, მომდევნო ოცდაათი წლის განმავლობაში, მაინც ურუგვაის ნაკრები იყო...

არგენტინამ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის (კოპა ამერიკა) მოგება მხოლოდ მეხუთე ცდაზე შეძლო (პირველი ოთხიდან — სამი ურუგვაიმ მოიგო), ოლიმპიადაზე კი პირველად 1928 წელს გავიდა. მაშინ, იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიო ჩემპიონატი არ იმართებოდა, წამყვანი სანაკრებო შეჯიბრი სწორედ ოლიმპიური ტურნირი იყო.

ფავორიტად მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი ურუგვაი ითვლებოდა, რომლის რიგებშიც ლეგენდარული ხოსე ნასაცი, ხოსე ლეანდრო ანდრადე, პედრო სეა, პედრო პეტრონე, ექტორ კასტრო და ექტორ სკარონე თამაშობდნენ, თუმცა თავისი ვარსკვლავები არგენტინასაც ჰყავდა რაიმუნდო ორსის და ლუის მონტის სახით. მოგვიანებით, ამ ორმა არგენტინა დატოვა და კიდევ ერთ არგენტინელთან, ენრიკე გუაიტასთან ერთად, იტალიის ნაკრების რიგებში — 1934 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო...

ოლიმპიადაზე არგენტინამ ყველა ეტაპი ძალიან დამაჯერებლად გაიარა: ამერიკის შეერთებულ შტატებს 11:2, ბელგიას – 6:3, ხოლო ეგვიპტეს 6:0 მოუგო და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე, რა თქმა უნდა, ურუგვაი იყო. დაძაბული შეხვედრა ფრედ, — 1:1 დასრულდა და დაინიშნა გადათამაშება, რომელიც სამი დღის მერე გაიმართა და სკარონეს გოლის წყალობით ურუგვაიმ 2:1 მოიგო. სწორედ ამ გამარჯვებით იქნა განპირობებული, რომ 1930 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ურუგვაის მიანიჭეს.

პირველი მუნდიალი

არგენტინამ, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის წინ, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი რაიმუნდო ორსი დაკარგა, რომელიც სათამაშოდ „იუვენტუსში“ გადავიდა და იტალიის ნაკრების მოთამაშე გახდა, სამაგიეროდ გუნდში იყვნენ ლუის მონტი და გილერმო სტაბილე,

რომელიც საბოლოოდ, 8 გატანილი გოლით, მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირად იქცა. საფრანგეთთან (1:0), მექსიკასთან (6:3) და ჩილესთან (3:1) მოგებული მატჩების შემდეგ, „ალბისელესტე“ ნახევარფინალში გავიდა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები, ისევე როგორც ორი წლის წინანდელ ოლიმპიადაზე, გაანადგურა — 6:1.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი 1930 წლის 30 ივლისს, მონტევიდეოში, „სენტენარიოზე“ გაიმართა. შეხვედრის დაწყების წინ, არგენტინის და ურუგვაის წარმომადგენლები სათამაშო ბურთზე ვერ შეთანხმდნენ და საბოლოოდ, „ფიფამ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გუნდები პირველ ტაიმში არგენტინელების, მეორე ნახევარში კი ურუგვაელების მიერ წარმოდგენილი ბურთით ითამაშებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გადატენილ „სენტენარიოზე“ ანგარიში ურუგვაელებმა გახსნეს (პაბლო დორადო), პირველ ტაიმში არგენტინა აშკარად უკეთესი გუნდი იყო, რასაც ლოგიკურად კარლოს პეუსელის (მეოცე წუთი) და გილერმო სტაბილეს (ოცდამეჩვიდმეტე წუთი) გოლები მოჰყვა. შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი მეორე ტაიმის დასაწყისში დადგა, როდესაც გუნდის ლიდერს, ლუის მონტის რეალური შანსი მიეცა, რომ ანგარიში 3:1 გაეხადა. არგენტინელთა წამყვანმა მოთამაშემ შანსი ვერ გამოიყენა და ცოტა ხანში მისი გუნდი დაისაჯა – პედრო სეამ ორმოცდამეჩვიდმეტე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი გოლი ურუგვაელებმა სამოცდამერვე წუთზე შეაგდეს (სანტოს ირიარტე), ხოლო ბოლო ბურთი უკანასკნელ წუთზე „ელ მანკო“ (ცალხელა) ექტორ კასტრომ გაიტანა, რომელიც ისტორიაში ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონია, ვისაც ცალი ხელი ფაქტობრივად (იდაყვს ქვემოთ) არ ჰქონდა.

არგენტინელებმა ფინალი წააგეს, თუმცა მათი ერთი ფეხბურთელი ისტორიაში მაინც შევიდა — გილერმო სტაბილე რვა გატანილი გოლით, მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

გილერმო სტაბილე

გილერმო სტაბილე

გილერმო სტაბილეს და არგენტინის ნაკრების ურთიერთობა ცალკე სალაპარაკო თემაა. სტაბილეს ეროვნულ გუნდში დებიუტი 25 წლის ასაკში, სწორედ მსოფლიო ჩემპიონატზე, მეორე ტურის შეხვედრაში ჰქონდა. ოთხ თამაშში გატანილი რვა გოლით გილერმო მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ისტორიაში შევიდა. მიუხედავად ამისა, მას ნაკრებში მეტი არც უთამაშია - კარიერის განმავლობაში, სტაბილემ არგენტინის ნაკრებში სულ 4 თამაში ჩაატარა და ამ ოთხ შეხვედრაში 8 გოლი გაიტანა.

ამ ყველაფრის მიზეზი იყო ის, რომ მუნდიალის შემდეგ სტაბილე სათამაშოდ ევროპაში წავიდა, თუმცა ორსის, მონტის ან გუაიტასგან განსხვავებით, სხვა ნაკრებში არ უასპარეზია. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, 1939 წელს, სტაბილე სამშობლოში დაბრუნდა და არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. პირველი მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი დღემდე პირველ ადგილზეა მწვრთნელებს შორის ჩატარებული მატჩების მხრივ — არგენტინამ მისი ხელმძღვანელობით 123 თამაში გამართა. სტაბილე „ალბისელესტეს“ დამრიგებელი 1939–1960 წლებში იყო და ამ პერიოდში ნაკრებმა „კოპა ამერიკა“ ექვსჯერ მოიგო.

ასე რომ, ფეხბურთელის რანგში მან ნაკრებში სულ 4 თამაში ჩაატარა, მაგრამ ამ ყველაფრის კომპენსირება უკვე მწვრთნელობის დროს მოახერხა. საერთო ამ ორ მოვლენას ერთი აქვს: გილერმო სტაბილე, როგორც ფეხბურთელი და როგორც მწვრთნელი, სამუდამოდ შევიდა არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში.

ჩაგდებული ნლები

არგენტინელებისთვის გაცილებით წარუმატებელი გამოდგა მეორე ჩემპიონატი, რომელიც იტალიაში გაიმართა. ამის მიზეზი ძალიან ბანალურია — გუნდის თითქმის ყველა ლიდერი სათამაშოდ საზღვარგარეთ წავიდა. ლუის მონტი, რაიმუნდო ორსი და ენრიკე გუაიტა იტალიის ნაკრების რიგებში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. იტალიაში („ჯენოაში") თამაშობდა გილერმო სტაბილეც, თუმცა მას სხვა ქვეყნის ნაკრებში არ უასპარეზია. მუნდიალზე, რომელიც „ფეოლასთვის" ასე საყვარელი, ოლიმპიური სისტემით გაიმართა, არგენტინა პირველივე შეხვედრაში შვედეთს დაუპირისპირდა და 2:3 წააგო. ბოლონიაში გამართულ ამ შეხვედრაში „ალბისელესტე" ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ შეხვედრის ბოლოსკენ ორი გოლი გაუშვა და იტალიას ასე უსახელოდ დაემშვიდობა.

1938 წლის ჩემპიონატი, „ფიფას" პირველი გადაწყვეტილებით, ევროპის და სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში უნდა გამართულიყო, თუმცა „ფიფას" პრეზიდენტმა, ჟიულ რიმემ, ბოლო მომენტში ამ იდეაზე უარი თქვა და მასპინძლობის უფლება საკუთარ სამშობლოს, საფრანგეთს მიანიჭა. ამ გადაწყვეტილების გამო, თითქმის ყველა სამხრეთ თუ ჩრდილოეთ ამერიკულმა ქვეყანამ მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპს ზურგი აქცია — მათ შორის იყო არგენტინაც, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ თავდაპირველი ფორმატის პირობებში, ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი იქნებოდა.

არგენტინის შემთხვევაში იგივე განმეორდა მომდევნო ორი ჩემპიონატის დროსაც. 1950 და 1954 წლების მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე „ალბისელესტეს" არ უთამაშია და ორივე ჩემპიონატმა მათ გარეშე ჩაიარა. არადა, არგენტინა ამ პერიოდში სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდი იყო - 1941 წლიდან 1957 წლამდე ჩატარებული ათი „კოპა ამერიკადან", არგენტინამ მონაწილეობა რვაში მიიღო, აქედან ექვსი ტურნირი მოიგო, ერთხელ მეორე ადგილზე გავიდა, ერთხელ კი მესამეზე.

დიდ სანაკრებო სცენაზე დაბრუნება 1958 წელს შედგა, როდესაც

არგენტინა, გილერმო სტაბილეს ხელმძღვანელობით, შვედეთში, დიდი იმედებით ჩავიდა, თუმცა 1957 წელს, ამერიკის თასის მოგების მერე, ნაკრებმა საკმაოდ დიდი დანაკლისი განიცადა, ვინაიდან „იუვენტუსში“ სათამაშოდ წავიდა 21 წლის ომარ სივორი, რომელიც მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო. სივორის გარეშე დარჩენილმა „ალბისელესტემ“ ჯგუფის სამი მატჩიდან ორი წააგო, მათ შორის 1:6 იუგოსლავიასთან და ბოლო ადგილზე გავიდა.

ჯგუფიდან გასვლა არგენტინამ ვერც 1962 წლის ჩემპიონატზე მოახერხა. ბულგარეთთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, გადამწყვეტი ინგლისთან მარცხი აღმოჩნდა (3:1). იმ შეხვედრაში ოთხივე გოლი ლეგენდებმა გაიტანეს: რონ ფლაუერსმა, ბობი ჩარლტონმა და ჯიმი გრიეზმა ინგლისელთა მხრიდან, ხოლო არგენტინის ნაკრებში თავი ხოსე სანფილიპომ გამოიჩინა. ბოლო ტურში, არგენტინას უნგრეთის ნაკრებთან მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, მაგრამ შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა და სამხრეთ ამერიკელები ზედიზედ მეორედ ჩარჩნენ ჯგუფში.

საუკუნის ქურდობა და სირცხვილი

1966 და 1970 წლების ჩემპიონატები არგენტინელებს, ორი სხვადასხვა მიზეზის გამო, განსაკუთრებით ცუდად ახსენდებათ...

1966 წელს, არგენტინამ ჯგუფურ ეტაპზე შესანიშნავად ითამაშა. ლუის არტიმეს გოლების წყალობით, „ალბისელესტემ“ესპანეთს მოუგო (2:1), დასავლეთ გერმანიასთან ფრედ ითამაშა და შვეიცარიას 2:0 სძლია (არტიმემ ერთი გოლი გაიტანა). შედეგად, არგენტინა, დასავლეთ გერმანიის შემდეგ, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და მეოთხედფინალში ტურნირის მასპინძელს, ინგლისის ნაკრებს შეხვდა. სწორედ ამ მატჩის შემდეგ დაიწყო არგენტინელების და ინგლისელების საფეხბურთო მტრობა, რაზეც, ბუნებრივია, მოგვიანებით, ფოლკლენდის ომმა კიდევ უფრო დიდი გავლენა იქონია.

მეოთხედფინალური მატჩის მთავარი მოვლენა ოცდამეთხუთმეტე წუთზე, არგენტინელთა კაპიტნის, ანტონიო რატინის გაძევება იყო. გერმანელმა არბიტრმა, რუდოლფ კრაიტლაინმა რატინს მეორე ყვი-

თელი ბარათი უჩვენა, მიზეზი კი დღემდე უცნობია. თავად არბიტრმა თამაშის შემდეგ აღნიშნა, რომ არ მოეწონა თუ როგორ შეხედა მას რატინმა, ხოლო ბრიტანული პრესა ამტკიცებდა, რომ რატინის გაძევების მიზეზი მსაჯის მიმართ წარმოთქმული სალანძღავი სიტყვები იყო, რაც ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერს, ვინაიდან მსაჯმა ესპანური ენა საერთოდ არ იცოდა, არგენიტნელი კი ესპანურის გარდა სხვა ენაზე არ ლაპარაკობდა. თავად რატინმა კი განაცხადა, რომ მან მსაჯს უბრალოდ კაპიტნის სამკლავურზე მიუთითა, რადგან მასთან საუბარი სურდა, რის შემდეგაც არბიტრმა ის გააძევა.

არგენტინელთა კაპიტანი მოედნიდან დიდი ხნის განმავლობაში არ გადიოდა, სანამ საქმეში პოლიცია არ ჩაერია. საბოლოოდ, შეხვედრის ერთადერთი გოლი ჯეფრი ჰერსტმა სამოცდამეთვრამეტე წუთზე გაიტანა. არგენტინელთა პროტესტს, რომ გოლი თამაშგარედან გავიდა, შედეგი არ მოჰყოლია. თამაშის მერე, ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი ალფ რემზი მინდორზე შევარდა და საკუთარ ფეხბურთელებს არგენტინელ მოთამაშეებთან მაისურების გაცვლა აუკრძალა, პრესკონფერენციაზე კი სამხრეთ ამერიკელ ფეხბურთელებს ცხოველები უწოდა.

რემზის საქციელს და კომენტარს არგენტინაში, რბილად რომ ვთქვათ, უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. პრესამ, როგორც ინგლისელთა ნაკრების მწვრთნელი, ასევე არბიტრი და „ფიფა“, მიწასთან გაასწორა, ხოლო თავად ამ მატჩს არგენტინაში დღემდე „საუკუნის ქურდობას“ უწოდებენ...

თუ 1966 წლის ჩემპიონატი, ცუდად დასამახსოვრებელი სკანდალის გამო იყო, 1970 წლის მუნდიალი არგენტინელებისთვის სამარცხვინო ჩემპიონატად რჩება, რადგან სწორედ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იყო ერთადერთი, რომელიც არგენტინის ნაკრებმა ვერ გადალახა და მუნდიალს მიღმა დარჩა.

დიდად აღსანიშნავი არც 1974 წელი ყოფილა, სადაც არგენტინამ პირველი ჯგუფური ეტაპი კი გადალახა, მაგრამ მეორე ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიასთან (გდრ) არ წააგო (1:1), ბრაზილიასთან დამარცხდა (1:2), ჰოლანდიასთან კი განადგურდა (0:4).

პირველი ტიტული

1978 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება არგენტინამ მიიღო. ტურნირამდე ორი წლით ადრე, ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ხუნტის მმართველობის დროს პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და უბრალო ხალხი იდევნებოდა და ქრებოდა. ამ და სხვა მიზეზების გამო, არაერთი ქვეყნის ნაკრები არგენტინაში ჩასვლას თითქოს არ აპირებდა კიდეც, თუმცა საბოლოოდ, ყველა გუნდმა, რომელმაც ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა, არგენტინაში ჩასვლაზე თანხმობა განაცხადა.

ჩემპიონატის წინ მთავარი სალაპარაკო თემა 17 წლის დიეგო მარადონა იყო, რომელიც „არგენტინოს ხუნიორსის" რიგებში ბრწყინავდა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, სესარ ლუის მენოტიმ, დიეგო საბოლოო განაცხადში არ შეიყვანა, ჩათვალა რა, რომ 17 წლის მოთამაშე ზეწოლას ვერ გაუძლებდა. დიეგომ მსოფლიოს მთავარ საფეხბურთო ფორუმზე თავისი სიტყვა მაინც თქვა, ოღონდ მოგვიანებით, მანამდე კი სხვების ჯერი იყო...

ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში არგენტინამ უნგრეთს ლეოპოლდო ლუკეს და დანიელ ბერტონის გოლებით 2:1 მოუგო, მეორე მატჩში კი იმავე ანგარიშით საფრანგეთს სძლია (გოლები დანიელ პარასელამ და ლუკემ გაიტანეს). ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ შეხვედრაში მასპინძლები იტალიის ნაკრებთან დამარცხდნენ და საბოლოოდ, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ.

მეორე ჯგუფური ეტაპის პირველივე შეხვედრაში მენოტის გუნდმა ძალიან ძლიერ პოლონეთს, მარიო კემპესის დუბლის წყალობით მოუგო, მეორე ტურში კი ბრაზილიას დაუზავდა (0:0). გადამწყვეტი მატჩები 21 ივნისს გაიმართა. ბოლო ტურის შეხვედრაში ბრაზილიამ პოლონეთთან 3:1 იმარჯვა. ვინაიდან მუნდიალის ფინალში ჯგუფის გამარჯვებული გადიოდა და ბრაზილიას უკეთესი ბურთების სხვაობა ჰქონდა, არგენტინას პერუსთან ოთხბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებოდა.

21 ივნისს გამართული ეს შეხვედრა, მუნდიალების ისტორიაში, დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ მატჩად რჩება. არგენტინელებმა, საკმაოდ ძლიერ პერუს 6:0 მოუგეს (კემპესი (2), ტარანტინი, ლუკე,

ჰაუსმანი), არადა 0:0-ზე და შემდეგაც, პერუს რამდენიმე ძალიან კარგი შანსი ჰქონდა. თამაშის მერე, ბრაზილიურმა და ინგლისურმა პრესამ რამდენიმე ჭორი გაავრცელა. იყო საუბარი იმაზე, თითქოს პერუს ნაკრების წევრებს, გასახდელში, არგენტინის ჯარის წარმომადგენლები ემუქრებოდნენ. ინგლისელები განზრახ წაგებულ შეხვედრაზე საუბრობდნენ და ხაზს უსვამდნენ იმას, რომ პერუელთა მეკარე, რამონ კიროგა, წარმოშობით არგენტინელი იყო. საბოლოოდ, ამ ჭორებიდან ერთიც კი არ დადასტურებულა.

სხვათაშორის, ამ და ასევე 1982 წლის მუნდიალის შემდეგ (ავსტრიისა და დასავლეთ გერმანიის მატჩის გამო), „ფიფამ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები ერთდროულად დაწყებულიყო.

არგენტინის ნაკრები ისტორიაში მეორედ გავიდა მუნდიალის ფინალში, სადაც ჰოლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდა. „მონუმენტალზე“ გამართულ შეხვედრაში ანგარიში მარიო კემპესმა ოცდამეჩვიდმეტე წუთზე გახსნა, თუმცა ოთხმოცდამეორეზე ჰოლანდიელთა მხრიდან დიკ ნანინგამ გაათანაბრა. ჰოლანდიელებს გამარჯვებამდე სანტიმეტრები დააკლდათ, ვინაიდან ოთხმოცდამეათე წუთზე, რობ რენსენბრინკის დარტყმის შემდეგ, ბურთი ძელს მოხვდა. მთელმა ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა, თამაში კი დამატებით დროში გადავიდა, სადაც არგენტინელებმა ორი გოლი გაიტანეს (კემპესი და ბერტონი) და შეხვედრაც 3:1 დასრულდა.

არგენტინა გახდა მეექვსე ნაკრები ისტორიაში, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ტურნირის უდავო გმირი 23 წლის მარიო კემპესი იყო, რომელმაც თავისი ექვსივე გოლი პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ გაიტანა. რა გასაკვირია, რომ კემპესი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს...

დიეგო

1982 წელს, ესპანეთში, არგენტინა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის რანგში ჩავიდა. გარდა იმისა, რომ გუნდში კვლავ იყვნენ წინა მუნდიალის გმირები (არდილესი, ბერტონი, ფილოლი, პასარელა, კემპესი),

მენოტიმ განაცხადში უკვე 21 წლის დიეგო მარადონაც შეიყვანა. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, დიეგო უკვე ჩამოყალიბებული ვარსკვლავი იყო და მისგან ყველა ძალიან ბევრს ელოდა.

მოქმედი მსოფლიო ჩემპიონის რანგში ასპარეზობა არგენტინელებმა არც ისე კარგად დაიწყეს და პირველივე შეხვედრაში ბელგიასთან დამარცხდნენ (0:1), სამაგიეროდ მომდევნო მატჩში გაიბრწყინა დიეგო მარადონამ, რომელმაც უნგრეთთან ორი გოლი გაიტანა, არგენტინამ კი 4:1 მოიგო. პასარელას და ბერტონის გოლებით „ალბისელესტემ“ ჰონდურასსაც მოუგო (2:0) და მეორე ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა, სადაც ე.წ. „სიკვდილის ჯგუფში“ მოხვდა — არგენტინის მეტოქეები იტალია და ბრაზილია იყვნენ.

არგენტინელებმა ორივე თამაში წააგეს — იტალიასთან 1:2, ბრაზილიასთან კი 1:3. დიეგო ორივე შეხვედრაში მოექცა ყურადღების ცენტრში. იტალიასთან გამორჩეული იყო მისი და კლაუდიო ჯენტილეს დაპირისპირება. აპენინელთა მცველი მთელი შეხვედრის განმავლობაში მარადონას ძალიან ხისტად მეურვეობდა და თამაშის საშუალებას ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხით არ აძლევდა. ბრაზილიასთან მატჩში კი მარადონამ წითელი ბარათი მიიღო, როდესაც ბატისტას გაშლილი ფეხი ჩაარტყა ფეხებს შორის.

ასე უსახელოდ დასრულდა დიეგოსთვის კარიერაში პირველი მსოფლიო ჩემპიონატი.

მეორე ტრიუმფი

ოთხი წლის შემდეგ ჩემპიონატი კოლუმბიაში უნდა გამართულიყო, მაგრამ 1982 წლის ნოემბერში კოლუმბიის მთავრობამ მუნდიალის მასპინძლობაზე უარი თქვა და ჩემპიონატის ჩატარების უფლება ერთი წლის შემდეგ მექსიკამ მიიღო.

არგენტინამ ფინალური ეტაპის საგზური დიდი გაჭირვებით მოიპოვა. შესარჩევი ეტაპის უკანასკნელ შეხვედრაში, პერუსთან, არგენტინელები 1:2-ს აგებდნენ, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 9 წუთით ადრე, ამჟამად პერუს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, რიკარდო გარეკამ ანგარიში გაათანაბრა და ამ ქულის წყალობით, „ალბისე-

ლესტემ“ მექსიკაში თამაშის უფლება მიიღო, მაგრამ თავად გარეკა გუნდის საბოლოო განაცხადში ვერ მოხვდა.

მუნდიალზე არგენტინამ სამხრეთ კორეა (3:1) და ბულგარეთი (2:0) დაამარცხა, იტალიასთან ფრედ (1:1) ითამაშა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მერვედფინალში სამხრეთამერიკული კლასიკა გაიმართა — არგენტინა ურუგვაის შეხვდა და პასკულის გოლით მინიმალურად მოუგო.

1986 წლის მუნდიალის ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა კი მეხიკოში, 22 ივნისს შედგა — არგენტინა ინგლისის წინააღმდეგ. გარდა იმ საფეხბურთო დაპირისპირებისა, რომელიც ამ ქვეყნებს შორის 1966 წლის შემდეგ არსებობდა, სიტუაციას რამდენიმე წლის წინ მომხდარი ფოლკლენდის ომიც ამძაფრებდა. ეს შეხვედრა სამუდამოდ შევიდა ფეხბურთის ისტორიაში — სწორედ ამ მატჩში გაიტანა დიეგომ კარიერის ორი ყველაზე ცნობილი და გამორჩეული გოლი.

ფეხბურთის მოყვარულთა თვალში, მარადონა ოთხწუთიან მონაკვეთში ანტიგმირიდან გმირად იქცა, რადგან ორმოცდამეთერთმეტე წუთზე დიეგომ გოლი ხელით გაიტანა, რასაც მოგვიანებით „ღმერთის ხელი“ უწოდა, ორმოცდამეთხუთმეტე წუთზე კი არგენტინელთა ლიდერმა ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო... რამდენიმე წამის შემდეგ, დიეგომ გაიტანა გოლი, რომელიც დღემდე მუნდიალების ისტორიაში გატანილ საუკეთესო გოლად ითვლება.

ინგლისთან ტრიუმფის მერე, არგენტინამ მარადონას დუბლის წყალობით ბელგიას მოუგო (2:0) და ფინალში დასავლეთ გერმანიის ძალიან ძლიერ ნაკრებს დაუპირისპირდა. შეხვედრა საოცრად დრამატული და დაძაბული გამოდგა — არგენტინა ბრაუნის და ვალდანოს გოლებით 2:0-ს იგებდა, მაგრამ რუმენიგემ და ფიოლერმა ანგარიში გაათანაბრეს. დამატებითი დრო გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მარადონა ასე არ ფიქრობდა. შეხვედრის ოთხმოცდამეოთხე წუთზე, „ელ პიბე დე ორომ“ (ოქროს ბიჭი) ცენტრიდან პასი ხორხე ბურუჩაგას გაუკეთა და მეკარესთან პირისპირ დატოვა, ბურუჩაგამ გაიტანა და არგენტინა ისტორიაში მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, დიეგო მარადონა კი

1986 წელი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი.
არგენტინა vs დასავლეთ გერმანია 3-2.
მარადონა გაფრინდა!..

მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირზე ერთ შეხვედრაშიც კი არ უთამაშია დანიელ პასარელას, რომელიც განაცხადში იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე ერთი წუთიც კი არ გაუტარებია, პასარელამ ოქროს მედალი მიიღო და ის დღემდე არის ერთადერთი არგენტინელი ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია.

ნაგებული ფინალი და დოპინგი

მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინა არც ისე კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გუნდმა ფინალში გააღწია. ალბისელესტეს ფინალში გასვლის მთავარი მიზეზი სამი ადამიანი იყო — მარადონა, კლაუდიო კანიჯა და მეკარე სერხიო გოიკოეჩეა.

ჯგუფურ ეტაპზე ნაჩვენები არც ისე დამაჯერებელი თამაშის მერე (არგენტინა პირველივე შეხვედრაში კამერუნთან დამარცხდა), მერვედფინალში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ბრაზილიას შეხვდა. ეს უკანასკნელი მთელი მატჩის განმავლობაში უდიდეს უპირატესო-

1986 წელი. მარადონა მსოფლიო ჩემპიონობას ზეიმობს!

ბას ფლობდა, მაგრამ გოლი ვერაფრით გაიტანა, ოთხმოცდამეერთე წუთზე კი მარადონას ჯადოქრობის დრო დადგა — დიეგომ გარშემო ბრაზილიის ნაკრების ყველა მცველი შემოიკრიბა და კანიჯას, მუნდიალების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი საგოლე პასი უსახსოვრა. საბოლოოდ არგენტინამ 1:0 მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა. მომდევნო ორ ეტაპზე, კარლოს ბილარდოს გუნდმა გამარჯვება პენალტების სერიაში მოიპოვა და როგორც იუგოსლავიასთან, ასევე იტალიასთან, მატჩების მთავარი გმირი სერხიო გოიკოეჩეა იყო — მეკარემ გადამწყვეტი პენალტები მოიგერია და გუნდი ფინალში გაიყვანა.

ფინალში არგენტინის მეტოქე ისევ დასავლეთ გერმანიის ნაკრების გახლდათ. შეხვედრა საბოლოოდ სკანდალური გამოდგა, რადგან მექსიკელმა არბიტრმა კოდესალ მენდესმა არგენტინას ორი ფეხბურთელი გაუძევა და შეხვედრის ოთხმოცდამეხუთე წუთზე ძალიან საეჭვო პენალტი დანიშნა, გოლი ანდრეას ბრემემ გაიტანა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამაც რევანში აიღო.

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობა არგენტინამ ძალიან დამაჯერებლად დაიწყო. მარადონას, ბატისტუტას, კანიჯას, რედონდოს, სიმეონეს, ბალბოს და სხვების კარგი თამაშის წყალობით, ალფიო ბასილეს გუნდმა საბერძნეთს (4:0) და ნიგერიას (2:1) მოუგო. სპეციალისტების აზრით, ეს არგენტინა ტურნირის მთავარი ფავორიტი იყო, მაგრამ ნიგერიასთან თამაშის მერე გუნდს პრობლემები შეექმნა, რადგან დიეგო მარადონა დოპინგზე შეამოწმეს და ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

ლიდერის გარეშე დარჩენილმა გუნდმა ჯგუფის ბოლო შეხვედრაში ბულგარეთთან წააგო (0:2), მერვედფინალში კი რუმინეთთან დამარცხდა (2:3) და ტურნირის დაემშვიდობა.

არშემდგარი ოქროს თაობა

ნაკრებიდან დიეგო მარადონას წასვლის შემდეგ, მთელი ქვეყანა „ახალი მარადონას“ ძიებას შეუდგა. ვის არ „დააბრალეს“ „მარადონობა“ — არიელ ორტეგა, ანდრეს დალესანდრო, პაბლო აიმარი, ხავიერ სავიოლა და კიდევ არაერთი სხვა, მაგრამ იმედები ვერავინ გაამართლა...

მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლიდან 2007 წლის ჩათვლით გამართული შვიდი ახალგაზრდული მუნდიალიდან, არგენტინამ ხუთში იმარჯვა, ეროვნულმა გუნდმა ამ პერიოდში ვერაფერი მოიგო (ორ ოლიმპიადას თუ არ ჩავთვლით).

გაბრიელ ბატისტუტა, ხუან ვერონი, არიელ ორტეგა, მატიას ალმეიდა, დიეგო სიმეონე, ხავიერ ძანეტი, ესტებან კამბიასო, ერნან კრესპო, კლაუდიო ლოპესი, ხუან რიკელმე, რობერტო აიალა, ვალტერ სამუელი, პაბლო აიმარი — ამ და სხვა ვარსკვლავებმა 1998 და 2002 წლის ჩემპიონატებზე ვერაფერს მიაღწიეს.

საფრანგეთში არგენტინამ რამდენიმე დასამახსოვრებელი თამაში ჩაატარა. იამაიკასთან მოგებული შეხვედრის შემდეგ (5:0), რუსულმა ჯგუფმა „ჩაიფმა“ სიმღერაც კი დაწერა. მერვედფინალში გამართული „არგენტინა-ინგლისი“ კი სამუდამოდ შევიდა მუნდიალების ისტორიაში. ისევე, როგორც „არგენტინა-ჰოლანდია“, თუმცა არგენტინელთათვის სამწუხაროდ, ეს შეხვედრა, პირველ რიგში, ყველას დენის ბერგკამპის მიერ გატანილი ულამაზესი გოლის გამო დაამახსოვრდა.

2002 წლის ჩემპიონატზე არგენტინა მთავარი ფავორიტის რანგში ჩავიდა. მარსელო ბიელსას გუნდმა მუნდიალამდე ყველა ძლიერ ნაკრებს მოუგო. მიუხედავად ამისა, „ალბისელესტე“ ჯგუფში ჩარჩა და ერთადერთი დასამახსოვრებელი რაც იმ ჩემპიონატზე მათთვის მოხდა, კლაუდიო კანიჯას გაძევება იყო — ვეტერანმა ფორვარდმა წითელი ბარათი ისე მიიღო, რომ მოედანზე ერთი წუთიც კი არ გაუტარებია.

მესი

ახალი მარადონას ძიება 2000-ანების შუაში შეწყდა, როდესაც საფეხბურთო სცენაზე ლიონელ მესი გამოჩნდა. 2005 წელს მესიმ არგენტინას ახალგაზრდული ჩემპიონატი მოაგებინა. ის ექვსი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი და ასევე, საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

2006 წლის მუნდიალი 19 წლის მესისთვის კარიერაში პირველი იყო. არგენტინას ხოსე პეკერმანი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ახალგაზრდულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე სამჯერ (1995, 1997, 2001) გაამარჯვებინა. ჯგუფური ეტაპის ადვილად გავლის შემდეგ, პეკერმანის გუნდს მერვედფინალში მექსიკასთან გაუჭირდა, მეოთხედფინალში კი მასპინძელს, გერმანიას შეხვდა. მწვრთნელმა მესი თადარიგში დატოვა და მოედანზე არ გამოიყვანა, რაც ბევრმა შეცდომად ჩაუთვალა, შეხვედრა კი ფრედ, 1:1 დასრულდა და არგენტინამ პენალტების სერიაში წააგო. სხვათაშორის, ამ თამაშამდე, არგენტინას მუნდიალებზე პენალტების სერიაში არასდროს წაეგო.

მომდევნო ჩემპიონატზე მესის და მარადონას გაერთიანება შედგა — დიეგო არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. არგენტინელებს მესის და მარადონას კოლაბორაციის დიდი იმედი ჰქონდათ, თუმცა დიეგომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის, რომ დიდი ფეხბურთელები, დიდი მწვრთნელები ყოველთვის ვერ ხდებიან. შესანიშნავ ფორმაში მყოფი ხავიერ ძანეტის და ესტებან კამბიასოს სახლში დატოვების შემდეგ, დიეგოს კიდევ ერთი დიდი შეცდომა ერთი საყრდენით (მასკერანო) თამაში იყო. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, პირველივე ძლიერმა გუნდმა გამოიყენა მარადონას ტაქტიკური გაუნათლებლობა და გერმანიამ არგენტინას 4:0 მოუგო.

ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში გაიმართა, რომელიც მესისთვის და მთელი არგენტინისთვის კინაღამ ტრიუმფით დასრულდა. პირველად 1990 წლის შემდეგ, არგენტინა მუნდიალის ფინალში გავიდა, სადაც მეტოქეს აშკარად აჯობა, თუმცა გონსალო იგუაინმა, თავად მესიმ და განსაკუთრებით როდრიგო პალასიომ, რეალურზე რეალური მომენტები ვერ გამოიყენეს, რის გამოც „ალბისელესტე“ დაისაჯა —

2014 წელი, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი. მესი ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ...

დამატებით დროში მარიო გიოტცემ შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა და ზედიზედ მესამე ჩემპიონატზე არგენტინა გერმანიამ დაამარცხა.

ლიონელ მესი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, მაგრამ მესისთვის ეს დამამშვიდებელ ტიტულად ვერ გამოდგებოდა. გარდა ამისა, ნებისმიერი არგენტინელისთვის ორმაგად და სამმაგად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მათ საყვარელ ნაკრებს ჩემპიონატი არა სადმე, არამედ ბრაზილიაში მოეგო, რასთანაც გუნდი ძალიან ახლოს იყო.

მესის და მარადონას ერთმანეთს ხშირად ადარებენ. ეს შედარება კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც მესიმ ზუსტად გაიმეორა მარადონას მიერ ინგლისის კარში გატანილი ორივე გოლი, ოღონდ თუ დიეგომ ინგლისთან ჯერ ხელით გაიტანა, შემდეგ კი კარამდე 60 მეტრი ირბინა, მესიმ ჯერ დრიბლინგით შეაგდო („ხეტაფეესთან“, 2007 წლის აპრილში), შემდეგ კი ხელით გაიტანა („ესპანიოლთან“, 2007 წლის ივნისში).

თანმიმდევრობა მუნდიალებზეც დაირღვა: მარადონამ 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, 1990 წელს კი ფინალში გერმანიასთან, შეხვედრის ბოლოსკენ გაშვებული გოლით დამარცხდა. მესიმ 2014 წელს გერმანიასთან, შეხვედრის ბოლოსკენ გაშვებული გოლით წააგო... საინტერესოა, აქაც ყველაფერი პირიქით მოხდება თუ არა. თუ კი, მაშინ, 2018 წლის მუნდიალის ფინალში ისევ არგენტინა და გერმანია უნდა ვიხილოთ.

არგენტინელთა შანსები

სანაკრებო დონეზე მუდამ ხელ(ფეხ)მოცარული მესი.

მიუხედავად იმისა, რომ არგენტინა მსოფლიო ჩემპიონატზე გაჭირვებით, მხოლოდ ბოლო ტურში მოგებული თამაშის წყალობით გავიდა, — „ალბისელესტე“ მაინც მუნდიალის ერთ–ერთი ფავორიტი იქნება, ამის მიზეზი კი ლეო მესია. გუნდი, რომელშიც „პულგა“ თამაშობს, აუცილებლად ფავორიტებში უნდა ეწეროს. გარდა ამისა, გავიხსენოთ ისიც, რომ 1986 წლის მუნდიალზე არგენტინა ასევე გაჭირვებით გავიდა, მაგრამ საბოლოოდ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. თუ ერთი მაგალითი საკმარისი არაა, მაშინ თუნდაც 2002 წლის ბრაზილიის ნაკრებიც შეგვიძლია ვახსენოთ...

ხორხე სამპაოლის საკმაოდ ბევრი სამუშაო ექნება. არგენტინის ნაკრებს გარკვეულ პოზიციებზე სერიოზული პრობლემები აქვს. მაგალითად: მარჯვენა და მარცხენა მცველების პოზიციებზე არც ისე ბევრი მაღალი დონის არგენტინელი ფეხბურთელი მოიძებნება, რის გამოც, მთავარმა მწვრთნელმა შესაძლოა გამოსავალი სამმცველიან სქემაში ნახოს, მითუმეტეს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამპაოლის ეს სქემა საკმაოდ მოსწონს და მას ჩილეს ნაკრებში და „სევილიაშიც“ საკმაოდ ხშირად იყენებდა. პრობლემაა ნახევარდაცვის

ლეო მესი

ცენტრშიც, სადაც ევერ ბანეგას გარდა, ე.წ. „ბურთის ამომტანი“ ნახევარმცველი არ მოიძებნება და ბანეგამაც ნაკრების ბოლო რამდენიმე შეხვედრა აშკარად ჩააგდო. ამის გამო, ლიონელ მესის ეროვნულ გუნდში გაცილებით უკნიდან უწევს თამაში.

როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, გუნდის მთავარი პრობლემა მაინც შეტევაშია. მაღალი დონის ფლანგის მცველების ნაკლებობის მიუხედავად, არგენტინა მაინც საკმაოდ ცოტა გოლს უშვებს და დაცვაში თამაშის მხრივ გუნდს, ერთი შეხედვით, ყველაფერი წესრიგში აქვს, რასაც ვერ ვიტყვით შეტევაზე. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების განკარგულებაში: მესი, აგუერო, იგუაინი, იკარდი, დიბალა და დი მარია არიან, არგენტინელთა მთავარი პრობლემა მაინც თავდასხმაში მწყობრი თამაში და გოლების გატანაა.

სათქმელია ისიც, რომ გუნდი ზედმეტად არის დამოკიდებული ლეო მესიზე. ამ მოვლენას სახელიც კი მოუფიქრეს — „მესიდეპენდენსია“. გასაგებია, რომ მესის მსგავსი ფეხბურთელის ყოფნის პირობებში, ნებისმიერი გუნდი მასზე იქნებოდა დამოკიდებული, მაგრამ როდესაც დიბალას, აგუეროს და დი მარიას მსგავსი ფეხბურთელები ფაქტობრივად არასდროს იღებენ თამაშს საკუთარ თავზე და ყოველ შეტევაში მესის ეძებენ, კარგი ნამდვილად არაა.

პრობლემების მიუხედავად, სამპაოლის საკმაოდ დიდი დრო აქვს იმისთვის, რომ მინუსები გამოასწოროს და ნაკრები უკეთ აათამაშოს. თუ ეს მოახერხა და არგენტინამ მთელი თავისი პოტენციალი გამოიყენა, თუ წამყვანი ფეხბურთელებიც ფორმაში იქნებიან და ბადეშიც ოდნავ გაუმართლებთ, მაშინ ამ ფორმაციის არგენტინის ნაკრებს ნამდვილად შეუძლია, რომ ოთხი წლის წინანდელი შედეგი გაიმეოროს და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ზედიზედ მეორედ გავიდეს.

URUGVAI

გოჩა
კაჭარავა

მსოფლიოს პირველი ჩემპიონები

**„ურუგვაის საფეხბურთო ისტორიისადმი
ყოველთვის ვალში ვიქნებით.
წარმატებულ წარსულსა და მომავალს შორის
— აწმყოს საიმედო ხიდი უნდა ავაგოთ“**

ოსკარ ვაშინგტონ ტაბარეზი

„ახალი სამყაროს შვეიცარიად“ წოდებული ურუგვაი ძირითადად ორი ასპექტით იწონებს თავს. სამნახევარმილიონიანი ქვეყანა კორუფციის დაბალი მაჩვენებლითა და საფეხბურთო მიღწევებითაა ცნობილი. ურუგვაელებმა გასულ საუკუნეში ბევრჯერ გაიბრწყინეს პლანეტის საფეხბურთო მინდვრებზე — ოც-ოცდაათიან წლებში ორჯერ ოლიმპიადა, ხოლო ერთხელ მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს. 1950 წელს კი ბრაზილიაში საფეხბურთო სამყარო გააოცეს!..

1954-ში შვეიცარიაში და 16 წლის შემდეგ მექსიკაში — საუკეთესო ოთხ ნაკრებს შორის მოხვდნენ. ურუგვაელები 2010 წლის მუნდიალზეც მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

გასული საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული ფეხბურთმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ამიტომაც „ფიფამ„ დამოუკიდებლად ჩაატარა დიდი ტურნირი — მსოფლიოს 1930 წლის ჩემპიონატი. მასპინძლად აირჩიეს ურუგვაი, რომლის ნაკრებიც უალტერნატივოდ საუკეთესო იყო. ამასთანავე, მათი დამოუკიდებლობის ასი წლისთავი აღინიშნებოდა და მსოფლიო ჩემპიონატის ამ ქვეყანაში ჩატარება დამატებით ელფერს შესძენდა ტურნირს. ჩემპიონატის ყველა მატჩი

ურუგვაის დედაქალაქში გაიმართა, — თამაშების უმეტესობას კი მონტევიდეოში — „სენტენარიოს“ სტადიონმა უმასპინძლა, რომელიც სპეციალურად მსოფლიო ჩემპიონატისთვის აშენდა.

შეჯიბრზე სულ ცამეტი ქვეყანა მონაწილეობდა: შვიდი სამხრეთ ამერიკიდან, ოთხი ევროპიდან და ორიც ჩრდილოეთ ამერიკიდან.

გუნდები ოთხ ქვეჯგუფებად დაიყვნენ და წრიულად ითამაშეს. ჯგუფის გამარჯვებულებმა პლეი-ოფში, — ოლიმპიური სისტემით განაგრძეს ასპარეზობა...

როგორც მოსალოდნელი იყო, ურუგვაის უპრობლემოდ ხვდა პირველი ადგილი მესამე ჯგუფში. მათ ზედმეტი გართულების გარეშე მოუგეს რუმინეთსა (4:0) და პერუს (1:0). ნახევარფინალში ურუგვაელები იუგოსლაველებს დაუპირისპირდნენ. მატჩი სამხრეთამერიკელების გამარჯვებით დასრულდა ანგარიშით 6:1. ევროპელები მსაჯმაც დაჩაგრა. მან აშკარა წესის დარღვევით გატანილი გოლები ჩაუთვალა მასპინძლებს (ერთ-ერთ მომენტში ურუგვაელს საგოლე გადაცემა პირით ხაზს იქით მდგარმა პოლიციელმა გაუკეთა). ამასთანავე, სტუმრებს გოლი არ ჩაუთვალა.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ ურუგვაელი და არგენტინელი ფეხბურთელები წარსდგნენ. პირველ ტაიმში უპირატესობა არგენტინელებს ჰქონიათ, მართალია, თავიდან ურუგვაელები დაწინაურდნენ დორადოს გოლით, მაგრამ შესაბამისად, ოცდამეთხუთმეტე და ოცდამეჩვიდმეტე წუთებზე — პესელიმ და სტაბილემ წინ გაიყვანეს არგენტინის ნაკრები.

შესვენების შემდეგ ურუგვაელებმა თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზეს სტუმრებს და ანგარიში სეას გოლით გაათანაბრეს, ხოლო ირიარტემ და კასტრომ კიდევ შეაგდეს თითო ბურთი. მსაჯის საფინალო სასტვენმა პირველი მსოფლიო ჩემპიონი გამოავლინა — ურუგვაი!

ამ გამარჯვებამ ეროვნული დღესასწაულის სახე მიიღო. მონტევიდეოში ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა. თურმე ფინალური მატჩის დროს ურუგვაიში საპარლამენტო სხდომა მიმდინარეობდა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანომ ვერ შეძლო სახელმწიფო საქმეებისათვის ყურადღება დაეთმო: ისინი ფიქრით და გონებით სტადიონზე იმყოფე-

ბოდნენ, ხოლო როდესაც თანამემამულეთა გამარჯვების ამბავი მოახსენეს, მაშინვე სრული შემადგენლობით სტადიონისკენ გაემართნენ, სადაც ფეხბურთელებს წარმატება მიულოცეს. ამ დროისთვის არგენტინაში საპირისპირო განწყობა სუფევდა. გულშემატკივრებმა ჯავრი მათ ქვეყანაში მცხოვრებ ურუგვაელებზე იყარეს და გული მოიოხეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ურუგვაელები საქმეს მეტად სერიოზულად მოეკიდნენ. გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით ადრე შეიკრიბა. ნაკრებში რკინის დისციპლინა სუფევდა და ქანცგამომცლელი ვარჯიშებიც წესად იქცა...

გუნდის ძირითად ბირთვს 1928 წლის ოლიმპიადის მომგები ფეხბურთელები წარმოადგენდნენ. ყოველი მატჩის წინ მწვრთნელი საკუთარ შეგირდებს ეუბნებოდა: „მე ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, დანარჩენი თქვენ იცით, გადით მოედანზე და გაიმარჯვეთ„.

1950 წელს, ბრაზილიამ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩატარებული პირველი ჩემპიონატი იყო. ეს ჩემპიონატი უნიკალური გახლდათ გამორჩეული დასკვნითი ეტაპის გამო, — ჩემპიონობისთვის ოთხი გუნდი იბრძოდა, არსებითად კი ბრაზილიასა და ურუგვაის შორის გამართული მატჩი გამოდგა გადამწყვეტი და ფინალის სტატუსი მიენიჭა. ბრაზილიელებს ჩემპიონატის მოსაგებად ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ საბოლოოდ 1:2 დამარცხდნენ. არადა, თავდაპირველად მასპინძლები იგებდნენ...

ის მატჩი ცნობილია, როგორც „მარაკანასო“, ხოლო ბრაზილიაში — „საბედისწერო ფინალს“ უწოდებენ.

არც ერთ სპორტულ ღონისძიებაზე არ შეგროვებულა იმდენი ხალხი, რამდენიც “მარაკანაზე“ — დიახ, მაშინ „მარაკანამ„ 199 854 ადამიანი დაიტია.

ბრაზილიელები იმდენად დარწმუნებულნი იყვნენ გამარჯვებაში, რომ მატჩის წინა ღამეს წვეულება მოაწყვეს. მთელ ქვეყანას სჯეროდა, რომ ზიზინიო და კომპანია მუნდიალს ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოიგებდა. ბრაზილიის წაგებაზე ხუმრობითაც კი არ იღებდნენ ხმას — ასეთი რამ თავშიც კი არ მოსდიოდა არავის...

შეხვედრის ორმოცდამეშვიდე წუთზე ფრიასი ბრაზილიას აწინაურებს. სტადიონზე ექსტაზი და ადრენალინი გამომუშავდა, მაგრამ სამოცდამეექვსე და სამოცდამეცხრამეტე წუთებზე — ურუგვაიელებს ორი გოლი გააქვთ და წინ გადიან. მასპინძელთა თამაში იმსხვრევა, ფეხბურთელების მოძრაობაში უკვე აღარ იგრძნობა თავდაჯერებულობა.

როცა ინგლისელმა არბიტრმა მატჩი დაასრულა, ბრაზილიას თვითმკვლელობის ტალღამ გადაუარა, რაზეც შემდეგში გაზეთებში ბევრს წერდნენ.

„ფიფას„ პრეზიდენტი ჟიულ რიმე — მუნდიალის საზეიმო დახურვისთვის სიტყვას პორტუგალიურ ენაზე ამზადება, თუმცა ურუგველების გამარჯვების შემდეგ ის სიტყვით აღარ გამოსულა.

სტადიონზე მატჩის დასრულების შემდეგ არ ისმოდა მუსიკა და არც რამე სხვა, დაჯილდოვების ცერემონიისთვის განკუთვნილი ატრიბუტი არ ჩანდა...

იმ მომენტისთვის მედლებზე უკვე ამოტვიფრული იყო 22 ბრაზილიელის სახელი და გვარი.

გამარჯვების გოლის ავტორმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: "მატჩის შემდეგ ისეთი სიწყანე იყო, რომ ბუზის ხმასაც კი გაიგონებდიო".

მოგვიანებით ისიც ითქვა, სავსე „მარაკანას" გაჩუმება მხოლოდ სამმა კაცმა შეძლო — რომის პაპმა, ამერიკელმა მომღერალმა ფრენკ სინატრამ და ბრაზილიელთა კარში მეორე გოლის გამტანმა ალსიდეს ჯიგიამ...

ურუგვაი მეორედ ეუფლება მსოფლიო თასს!..

ურუგვაის ნაკრებმა „საბედისწერო ფინალი" შემდეგი შემადგენლობით ჩაატარა: მასპოლი, გონსალესი, ტეჰერა, გამბეტა, ვარელა, ანდრადე, ჯიგია, პერესი, მიგესი, სკიაფინო, მორანი.

ურუგვაის არაერთი უმაღლესი რანგის მოთამაშე და მწვრთნელი ჰყოლია, მათგან კი სამი, სხვადასხვა ეპოქის ადამიანი გამოვარჩიეთ და მათი პროფესიული ბიოგრაფია უფრო ახლოს გვსურს გავაცნოთ მკითხველს. მით უმეტეს: ხოსე ლეანდრო ანდრადეს, ენცო ფრან-



ხოსე ლეანდრო ანდრადე

ჩესკოლისა და ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესს — ურუგვაელთა სამუნდიალე ისტორიაშიც დიდი წვლილი შეუტანიათ...

ხოსე ლეანდრო ანდრადე

ხოსე ლეანდრო ანდრადეს ისტორია უჩვეულო სიყვარულით დაიწყო.

დედამისი ღარიბი ქალი იყო კუბური ფესვებით. ის ფაველებში დაძრწოდა სამუშაოს ძიებაში, სანამ ურუგვაის ქალაქ სალტოში არ დაფუძნდა, სადაც ბრაზილიელი თეთრი მონა შეიყვარა. ქალის გულისსწორი ფულს ჯადოქრობით შოულობდა — ბალახებს აგროვებდა და ჯადოქრულ რიტუალებს ატარებდა. გაგეცინებათ და ვაჟის დაბადების წინ, მას 98 წელი შეუსრულდა.

ქმრის ბალთაზარ აგირეს გარდაცვალების შემდეგ, ქალმა ისევ წანწალი დაიწყო, ბავშვი კი აღსაზრდელად დას დაუტოვა. ბიჭი პალერმოში — მონტევიდეოს ხმაურიან კვარტალში აღმოჩნდა. სანაპირო რაიონი დამსვენებლებს იზიდავდა და ხოსეს ქოხის წინ მდებარე ქუჩაზეც — გაუთავებელ კოლონად ჩაივლიდა ხოლმე კარნავალები და ზეიმები...

მუსიკით შთაგონებული ნორჩი ანდრადე — ცეკვებმა, სიმღერამ და ტამტამებზე დაკვრამ გაიტაცა, მაგრამ თავისი მთავარი ნიჭი სახლთან ახლოს, მინდორზე განავითარა — ის დაღამებამდე აგორებდა ბურთს თანატოლებთან ერთად. ანდრადე გაზეთებსაც დაატარებდა და ფეხსაცმელების მწმენდავადაც მუშაობდა, რათა დეიდას საკვებით დახმარებოდა, — თან საჭირო ხალხსაც ეცნობოდა...

1921 წელს, ანდრადე — იმ დროისთვის მონტევიდეოს სახელგანთქმული კლუბის, — "მირამარ მისიონესის" მწვრთნელის თანაშემწეს ფეხსაცმელებს უწმენდდა. ბიჭმა მწვრთნელს თავისი მძიმე ცხოვრების შესახებ მოუყვა და სინჯები გამოსტყუა. „მირამარის“

წარმომადგენელს სურდა სწრაფად მოეშორებინა თავიდან მწმენდავი, ამიტომაც ხოსეს თხოვნას დათანხმდა.

პირველივე ვარჯიშზე ანდრადემ ყველა განაცვიფრა თავისი ტექნიკით, ამტანობითა და პლასტიკით — ბიჭს გამოადგა ძველი ვარჯიშები და ცეკვის გაკვეთილები, ხოლო მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრამ ყურადღება და უცხო საგნის შეთვისების უნარი გამოუმუშავა. ხოსე მწვრთნელების თითოეულ სიტყვასა და პარტნიორების ნებისმიერ მოქმედებას იმახსოვრებდა.

მალე „მირამარში" მივიდა წერილი ეროვნული ნაკრებიდან: „გვინდა ხოსე ჩვენთან ვიხილოთ, მაგრამ თავადაც ხვდებით, რომ მას ერთი საკითხი აქვს მოსაგვარებელი". ანდრადეს არა მხოლოდ მინდორზე, არამედ პოლიტიკოსების კაბინეტებშიც უნდა ებრძოლა სახელის დასამკვიდრებლად.

ოციან წლებში შავკანიან ბიჭებს რთული ცხოვრება ჰქონდათ, — იშვიათი გამონაკლისების გარდა, მათ ეკრძალებოდათ საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლა. საბოლოოდ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, ანდრადემ თავი არ შეირცხვინა და 1924 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ურუგვაის ნაკრების განაცხადში მოხვდა. ჯერ კიდევ საფრანგეთში გამგზავრებამდე, საფეხბურთო ფოკუსებისა და მაშინდელი შავკანიანებისთვის არადამახასიათებელი ლიდერის თვისებათა გამო, ხოსეს "შავი სასწაული" უწოდეს.

პარიზში გამართული ტურნირის შემდეგ, ევროპისთვის ნამდვილი აღმოჩენა გახდა სამხრეთამერიკული ფეხბურთი. „ბებერ კონტინენტზე" ვერ წარმოედგინათ, რომ შესაძლებელი იყო ბურთთან ასეთი ვირტუოზული მოპყრობა.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება ანდრადეს მიმართ იყო. ისიც ვალში არ რჩებოდა: გულშემატკივრებს მინდორზე ფინტებით ახარებდა, ხოლო ბოჰემას — კლუბებსა და რესტორნებში გამოსვლებით. დამატებითი თანხის გამოსამუშავებლად, ხოსემ ჯერ კიდევ ურუგვაიში ჩამოაყალიბა ანსამბლი „ღარიბი კუბელი ზანგები" და ართობდა გულუხვ, მთვრალ პუბლიკას.

ასე დაუახლოვდა ის ელიტურ საზოგადოებას და მათგან გაიგო

იუგოსლავიელი ჯაშუშების შესახებ. ურუგვაის ნაკრებს პირველად უნდა ეთამაშა ოკეანის მეორე მხარეს. იუგოსლავიელებს არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ — ვის წინააღმდეგ უწევდათ თამაში, ამიტომაც ოკეანისგაღმელი სტუმრების ვარჯიშზე მზვერავები შეუშვეს.

ანდრადემ თანაგუნდელებს შესთავაზა — თავი უმეცრებად მოეჩვენებინათ, რომლებმაც დარტყმაც არ იციან. მთელი საათის განმავლობაში ურუგვაელები ისე ურტყამდნენ კარის მიმართულებით, რომ ბურთი პირით ხაზს სადღაც კუთხურის ალამთან კვეთდა. მომდევნო დღეს, "სელესტამ" გაანადგურა მოდუნებული მეტოქე (7:0), ხოლო ანდრადემ სტადიონი ჭკუიდან გადაიყვანა, — საკმაოდ დიდ მანძილზე ბურთი თავით წაიღო წინ.

ნაკრების ხელმძღვანელობას არ მოსწონდა, რომ მათი მოთამაშე უცნობ ქალაქში ერთობოდა — ის შეიძლებოდა დაკარგულიყო ან ზედმეტი დაელია. ურუგვაელები ტყუილად ნერვიულობდნენ — ალკოჰოლის მდინარეები ყველა მხარეს მიედინებოდა, ოღონდ არა ვირტუოზული არტისტისა და ფეხბურთელის მიმართულებით, რომელიც ცეკვავდა და პარალელურად ხანჯალზე ჩამოცმულ ხორცის ნაჭერს ატრიალებდა.

1928 წლის ოლიმპიადაზე ანდრადე ისევ მოწყურებული იყო გამარჯვებებს. რომანტიკული სამხრეთამერიკული ფეხბურთი ამსტერდამში სტადიონებს ავსებდა. ფინალისკენ მიმავალ გზაზე „სელესტამ" დაამარცხა — ჰოლანდია (2:0), გერმანია (4:1) და იტალია (3:2). „სკუადრა აძურასთან„ მატჩში, მთელმა სტადიონმა ამოიოხრა, როცა ხოსე ლეანდრო თავით ძელს შეასკდა. ანდრადე რამდენიმე თვით ნაწილობრივ დაბრმავდა, მაგრამ ტურნირი ჩაამთავრა და ზედიზედ მეორედ მოიპოვა ოლიმპიური ოქრო.

ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ანდრადემ მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. ეს ახალი ამბავი ტრაგედია გახდა მთელი ურუგვაისთვის. „შავმა სასწაულმა" გულთან ახლოს მიიტანა ხალხის თანაგრძნობა და დაიწყო გამოჯანმრთელების სწრაფი პროცესი.

მსოფლიოს 1930 წლის ჩემპიონატზე — ოლიმპიურ ჩემპიონებს ახალი ლიდერები ჰყავდათ: პედრო სეა, ხუან ანსელმო და ექტორ კასტრო. მიუხედავად ამისა, ნაკრებს ისევ სჭირდებოდა ანდრადე — გასახ-

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი. ენცო ფრანჩესკოლი ესპანელთა წინააღმდეგ.

დელშიც და მინდორზეც. 13 ივლისს, „სენტენარიოს" სტადიონზე 93 ათასი მაყურებელი შეიკრიბა — ურუგვაიმ ფინალში არგენტინა დაამარცხა, ხოლო ანდრადეს ანგარიშზე ერთი საგოლე პასი იყო.

ენცო ფრანჩესკოლი

„ენცო ფრანჩესკოლი — სწორედ ის იყო ჩემი რჩეული ფეხბურთელი. ენცო უჩვეულო ტრიუკებს ასრულებდა მოედანზე — მის მოქმედებებს სპეციალურად ვადევნებდი თვალს. მოგვიანებით მას საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაზე შევხვდი. ის „რივერ პლეიტის" ღირსებას იცავდა, ხოლო მე „იუვენტუსის" მაისური მეცვა. მატჩის შემდეგ, ფრანჩესკოლიმ თავისი მაისური მაჩუქა, ხოლო მე რამდენიმე სიტყვა ვუთხარი. მოგვიანებით ენცომ გაიგო, რომ ვაჟიშვილს მისი სახელი დავარქვი. ამას იგი ძალიან აუღელვებია".

ეს სიტყვები თვით ზინედინ ზიდანს ეკუთვნის, რომელმაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე — ლეგენდარული ურუგვაელი ფეხბურთელი საკუთარი ვერსიით შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. ზიდანისეულ, ყველა დროის საუკეთესო გუნდში — ისეთი ცნობილი ოსტატები მოხვდნენ, როგორებიც ფაბიენ ბარტეზი, ბიქსენტ ლიზარაზუ, კარლოს ალბერტო, ლორან ბლანი, ლილიან ტურამი, კლოდ მაკელელე, კრის უოდლი, თავად ზინედინ ზიდანი, დიეგო მარადონა და ბრაზილიელი რონალდო არიან. რაც შეეხება ენცო ფრანჩესკოლის, მას ზიზუმ ნახევარდაცვის ხაზზე, კლოდ მაკელელესთან და კრის უოდლთან ერთად მიუჩინა ადგილი.

ფრანჩესკოლით ზიდანის გატაცება გადაჭარბებული ემოცია სულაც არ არის, რადგან ურუგვაელ ვარსკვლავს გასული საუკუნის ოთხ-

მოც-ოთხმოცდაათიან წლებში მართლაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა საფეხბურთო სამყარო და თუმცა, — ენცო ფრანჩესკოლი ურუგვაიში დაიბადა, მას არგენტინელები თავიანთ ფეხბურთელად მიიჩნევენ, ხოლო „რივერ პლეიტის“ ფანები ისევე აღმერთებენ, როგორც სხვა ოსტატებს. არადა, ბუენოს აირესი სწორედ ის ქალაქია, სადაც ურუგვაელი ფეხბურთელები არასოდეს უყვარდათ. ენცო ყოველთვის გამონაკლისი იყო, ის არგენტინული ინჩადის ნამდვილ კერპად იქცა. „რივერ პლეიტში“ ფრანჩესკოლიმ თავისი საფეხბურთო კარიერის საუკეთესო წლები გაატარა. იგი „მონუმენტალზე“ 1984-1986 წლებსა და 1995 წლიდან — აქტიური სპორტული კარიერის დასრულებამდე თამაშობდა. 25 წლის ასაკში ენცო საფრანგეთში გადავიდა, საიდანაც იტალიაში აღმოჩნდა და შემდეგ კვლავ „რივერ პლეიტში“ დაბრუნდა.

1994 წელს "რივერ პლეიტში" კრიზისი დაიწყო, რადგან მისი რიგები არაერთმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. თავისი უკანასკნელი მატჩი ჩაატარა თეთრ-წითელი მაისურით რამონ დიასმა, რომელმაც შემდეგ იაპონიაში გააგრძელა ბურთაობა. წავიდნენ გამბოა, გოიკოეჩეა, ვილიარეალი, „პეპე“ ალბორნოსი, კორტი, ბერტი. მათ შემცვლელად კი ახალგაზრდა თაობა მივიდა. ამჟამინდელი გადასახედიდან თამამად შეგვიძლია იმისი თქმა, რომ ასეთი შევსება ნებისმიერი კლუბისთვის წარმატების საწინდარი გახდებოდა, მაგრამ იმხანად, „რივერ პლეიტის“ ქომაგებში სასიამოვნო ემოცია ნამდვილად არ გამოუწვევია: არიელ ორტეგას, ერნან კრესპოს, ხოსე ვილიალბის, მარსელო გალიარდოს და მათიას ალმეიდას გუნდში გამოჩენას. ინჩადის ერთადერთ იმედად ენცო ფრანჩესკოლის დაბრუნება იქცა, რომელმაც ევროპაში საკუთარი შესაძლებლობა რატომღაც სრულად ვერ გამოავლინა. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბებერ კონტინენტზე" ასპარეზობა სხვა არაერთი სამხრეთამერიკელი დიდოსტატისთვისაც წარუმატებელი ყოფილა.

1995 წელს, ფრანჩესკოლიმ ფენომენალური სეზონი ჩაატარა და „რივერ პლეიტს“ არგენტინის ჩემპიონატში გაამარჯვებინა, ხოლო ურუგვაის ნაკრებს — ამერიკის თასის გათამაშებაში. ამიტომ, გასაკვირი აღარ უნდა ყოფილიყო ის, რომ იგი სამხრეთ ამერიკის საუკეთესო

ფეხბურთელად აღიარეს. ნომერ პირველ მოთამაშედ ენცო 1984 წელსაც დაასახელეს, თუმცა ისევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარს დავუბრუნდეთ. იმჟამინდელ „რივერ პლეიტისათვის“ ენცო ფრანჩესკოლი გუნდის დისპეტჩერად და გოლეადორად იქცა. ამავე დროს, „რივერის" გულშემატკივრებს ის მარადონას ოპონენტადაც მოევლინა, რომელიც „ბოკა ხუნიორსისა“ და არგენტინის ნაკრების სიმბოლოდ ითვლებოდა (და დღემდე რჩება).

1982 წელს ურუგვაელებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ ითამაშეს. მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, მექსიკაში იხილა საფეხბურთო სამყარომ ურუგვაის ეროვნული გუნდი მუნდიალზე. მაშინ ძალიან დიდ იმედს ამყარებდნენ ენცო ფრანჩესკოლიზე, მაგრამ იგი იმ ტურნირის ერთ-ერთ დიდ იმედგაცრუებად იქცა. მაქსიმუმი, რასაც „სელესტამ“ ფრანჩესკოლისთან ერთად მიაღწია, მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში გასვლა გახლდათ. მაშინ ურუგვაელებმა არგენტინელებთან (0:1) დათმეს შეხვედრა. იმ დღეს, ენცოს გუნდს გამარჯვება ნამდვილად არ შეეძლო, რადგან არგენტინელები ურუგვაელებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ.

ფრანჩესკოლი და კომპანია 1990 წელსაც მერვედფინალიდან გამოეთიშა მუნდიალს, ხოლო მას შემდეგ, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატამდე, ურუგვაელები საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევასაც ვეღარ ახერხებდნენ.

მიუხედავად მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ ფორუმზე განცდილი წარუმატებლობებისა, ენცო ფრანჩესკოლი ურუგვაის ნაკრებთან ერთად გამარჯვებებს მაინც ზეიმობდა. პლანეტის პირველმა ჩემპიონებმა — 1983 და 1985 წლებში ამერიკის თასის გათამაშება მოიგეს. ნაკრების წინაშე დიდი დამსახურებისათვის — ფრანჩესკოლის „ელ პრინსიპეს“ (პირველი, მთავარი) უწოდებდნენ.

1986 წელს „რივერ პლეიტმა“ არგენტინის ჩემპიონატში იმარჯვა, ხოლო შემდეგ პირველად დაეუფლა ლიბერტადორესის თასს. წლების განმავლობაში კლუბის მიერ მიღწეულ წარმატებებში უდიდესი წვლილი შეიტანა ენცო ფრანჩესკოლიმ. ამიტომ იგი „რივერის“ ფანებისათვის დღემდე უსაყვარლეს ფეხბურთელად რჩება.

ოსკარ ტაბარესი და დიეგო ფორლანი

ოსკარ ტაბარესი

კარგა ხნის განმავლობაში — ურუგვაის ნაკრებს პლანეტის მასშტაბით „ტაიმ-აუტი“ ჰქონდა აღებული. ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა თავის ქვეყანას ძველი საფეხბურთო დიდება დაუბრუნა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გავიდა „სელესტე“ მსოფლიოს 2010 წლის პირველობის ნახევარფინალში, მომდევნო წელს კი ურუგვაიმ მეთხუთმეტედ (სარეკორდო მაჩვენებელია) მოიგო „კოპა ამერიკა„.

ოსკარ ტაბარესი განათლებული, ერუდირებული ადამიანია. მან სამწვრთნელო საქმიანობა საკმაოდ მძიმედ დაიწყო. ურუგვაელთა დღევანდელ თავკაცს ორ სეზონზე მეტხანს არც ერთ გუნდში არ აჩერებდნენ, ისეც ყოფილა რომ კლუბის ხელმძღვანელებთან უთანხმოების გამო მთავარი მწვრთნელობიდან საკუთარი სურვილით წასულა, მაგრამ ტაბარესი ფსიქოლოგიურად არ გატყდა, ჯიუტად მიიწევდა დასახული მიზნისკენ და საწადელს დაუღალავი შრომისა და გაუტეხელი ხასიათის წყალობით მიაღწია. არადა, იყო დრო, როცა მას სამშობლოში მოჭარბებულ ოპტიმიზმს უწუნებდნენ და გულშემატკივრები — ურუგვაის ეროვნული გუნდის სათავეში სხვა სპეციალისტის ხილვას ითხოვდნენ. ტაბარესმა სკეპტიკოსებს ხმა გააკმენდინა და სადღეისოდ „სელესტე“ ტაქტიკურად გამართულ ფეხბურთს თამაშობს. ურუგვაის ნაკრები მოწინააღმდეგეს უამრავ თავსატეხს უჩენს, ჟურნალისტებმა კი ტაბარესის მიერ შეკრულ კოლექტივს სუსტი წერტილის არმქონე — „გუნდი-ვარსკვლავი“ — სავსებით სამართლიანად შეარქვეს. გუნდური პრინციპების წინა პლანზე წამოწევის შედეგად — წამყვან ურუგვაელ ფეხბურთელთა ოსტატობა იოტისოდენადაც არ იბღალება, რასაც სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატზე — დიეგო ფორლანის

საუკეთესო მოთამაშედ დასახელებაც ადასტურებს.

სამშობლოში „ელ მაესტროდ“ ცნობილ ტაბარესს არცთუ წარმატებული საფეხბურთო კარიერა ჰქონდა. იგი არაფრით გამორჩეული უკანახაზელი გახლდათ, როგორც დამრიგებელმა კი საქმიანობის დაწყებისთანავე — შემტევ ფეხბურთზე აიღო აქცენტი. პირველ წარმატებებს „ელ მაესტრომ“ ურუგვაის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მიაღწია — 1983 წელს გუნდს პანამერიკული თამაშები მოაგებინა. 1987 წელს, ოსკარმა მონტევიდეოს „პენიაროლთან“ ერთად ლიბერტადორესის თასი მოიგო და მალე ურუგვაის ეროვნული ნაკრებიც ჩაიბარა. ამ პოსტზე პირველი გამოცდის ჩაბარება — ბრაზილიაში ჩატარებულ „კოპა ამერიკაზე„ მოუწია. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა კონტინენტურ პირველობაზე წარმატებით ითამაშეს, ფინალამდე გააღწიეს და დაძაბულ ორთაბრძოლაში ტურნირის მასპინძელთან დამარცხდნენ. „ელ მაესტროს“ დამოძღვრილმა ნაკრებმა ასევე წარმატებით გაიარა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, რის შემდეგაც ენცო ფრანჩესკოლი და მისი თანაგუნდელები — მთელმა ურუგვაიმ — წარმატების მოპოვების იმედით აპენინის ნახევარკუნძულზე გააცილა. იტალიის სტადიონებზე „სელესტემ“ გულშემატკივრებს თავი დიდად ვერაფრით დაამახსოვრა. ბოლო წუთზე, ფონსეკას მიერ სამხრეთ კორეელთა კარში გატანილმა გოლმა — ურუგვაი მესამე ადგილზე გაიყვანა ჯგუფში, — მანამდე ტაბარესის გუნდმა ესპანეთთან უგოლო ფრე ითამაშა და ბელგიასთან 1:3 წააგო. ურუგვაელები პლანეტის უპირველეს საფეხბურთო ფორუმს მერვედფინალიდან გამოეთიშნენ. ტაბარესის გუნდი რომის ოლიმპიურ სტადიონზე „სკუადრა აძურას“ შეხვდა. იტალიამ მეორე ტაიმის შუაწელიდან მოყოლებული გატეხა ურუგვაის ნაკრები — ტოტო სკილაჩისა და ალდო სერენას გოლებმა „ელ მაესტროს“ ურუგვაელთა ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელობა დააკარგვინა.

სანაკრებო კარიერას თექვსმეტწლიანი საკლუბო მოღვაწეობა მოჰყვა. ტაბარესი ჯერ არგენტინაში მუშაობდა, სადაც „ბოკა ხუნიორსი“ გააჩემპიონა, შემდეგ კი მორიგი ტიტულის მოპოვებაში „პენიაროლს“ დაეხმარა. ამის შემდეგ „ელ მაესტრო“ გარკვეული დროით „ჩრდილში

მოექცა“. იტალიურ სერია A-ში სარდინიული „კალიარი“ მან მეცხრე ადგილზე გაიყვანა და სილვიო ბერლუსკონიმ ტაბარესი „მილანის“ დამრიგებლად მიიწვია. ბერლუსკონის ფაბიო კაპელოს „მოსაწყენი თამაში“ მოყირჭდა და „როსონერის“ „გაცოცხლება“ გადაწყვიტა, მაგრამ ტაბარესმა „მილანში„ ვერ გაამართლა და მალე მას კარისკენ მიუთითეს. ამის შემდეგ „ელ მაესტრომ“ კიდევ რამდენიმე წელი დაჰყო ევროპაში, მაგრამ ვერც „ოვიედოში“ და ვერც „კალიარიში“ თავი ვერაფრით გამოიჩინა და დასავლეთ ნახევარსფეროში დაბრუნდა.

2002 წელს ტაბარესი „ბოკა ხუნიორსიდან“ ლამის „მგლის ბილეთით“ გაუშვეს. „ელ მაესტროს“ ბრალი არაკომპეტენტურობაში დასდეს. ჟურნალისტები, გულშემატკივრები და სპეციალისტები მას სამწვრთნელო კარიერის შეწყვეტისკენ მოუწოდებდნენ. თავად ტაბარესს ამგვარი რამ გულში ერთი წამითაც არ გაუვლია და „კეთილისმსურველებს“ შემდეგი სიტყვებით მიმართა — ჩემ სახელს კიდევ არაერთხელ გაგაგონებთო!..

ოთხი წლის განმავლობაში ოსკარი უმუშევარი იყო. ამასობაში „სელესტე“ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. თითქმის გადაწყვეტილი ამბავი გახლდათ ურუგვაის ნაკრების სათავეში სერხიო მარკარიანის მისვლა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, „რუხ კარდინალად“ წოდებულმა პაკო კასალმა ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. „ელ მაესტროს“ თავის გამოჩენის მშვენიერი შესაძლებლობა მიეცა და მან მთელ საფეხბურთო სამყაროს დაუმტკიცა, რომ მაღალი დონის სპეციალისტია.

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე — სამხრეთამერიკელ მწვრთნელთაგან ყველაზე შორს სწორედ ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი წავიდა. ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელობისას — ტაბარესს საკუთარი ცხოვრებისეული თუ საფეხბურთო იდეათა განხორციელების საშუალება მიეცა.

„იყავით რეალისტები, მოითხოვეთ შეუძლებელი“ — ერნესტო ჩე გევარას ეს გამოთქმა ტაბარესის საყვარელი აფორიზმია და მანაც ერთი შეხედვით სწორედ შეუძლებელი შეძლო – ორმოცწლიანი პაუზის

შემდეგ, — ურუგვაის ნაკრები მუნდიალის ნახევარფინალში გაიყვანა! საფრანგეთთან ნულოვანი ფრით დასრულებული შეხვედრის შემდეგ ურუგვაელთა დამრიგებელმა დაცვის ხაზის რეორგანიზაცია გადაწყვიტა. ტაბარესმა შტატიანი უკანახაზელების რაოდენობა გაზარდა და წინ სუარესის, ფორლანისა და კავანის შემტევ ტრიოს დაეყრდნო. პრაქტიკაში ამ ტრიომ გუნდის შეტევითი პოტენციალის რეალიზება სრულად მოახერხა. ტაბარესი გუნდს 4-3-3 განლაგებით ათამაშებდა და ამ სქემაში ტიპიური ცენტრფორვარდი პრაქტიკულად არავინ იყო. დიეგო ფორლანი ბურთის მისაღებად მინდვრის შუაგულში იხევდა, შემდეგ კი ხშირად „ჯაბულანთან“ ერთად მეტოქის საჯარიმომდე აღწევდა, სადაც მას სუარესი და კავანი „გზას უთავისუფლებდნენ“ და „საცეცხლე პოზიციაზე“ გაჰყავდათ. სპეციალისტთა უმრავლესობის აღიარებით სწორედ ტაბარესის ურუგვაიმ აჩვენა ტაქტიკურად ყველაზე მოქნილი და მრავალფეროვანი თამაში. თუკი საფრანგეთთან ნულოვან ფრეზე ყაბულს მყოფი ურუგვაი ვიხილეთ, სამხრეთ აფრიკასთან „სელესტემ“ მწვავე შეტევებით დაგვამახსოვრა თავი, სამხრეთ კორეელებთან ჩატარებულ მერვედფინალში კი, სასურველი შედეგის მისაღწევად, ტაბარესის შეგირდებმა რამდენჯერმე მოახერხეს ტაქტიკური მონახაზის შეცვლა. ტრადიციულად, ურუგვაელებს პრაგმატულ თამაშში სდებენ ბრალს, რაც შიგა და შიგ, გასულ მსოფლიო ჩემპიონატზეც შეიმჩნეოდა, მაგრამ ტაბარესის გუნდის კოზირი მაინც — მოწინააღმდეგის კართან ბედის ძიება იყო და ურუგვაელებმა დამაჯერებელ თამაშთან ერთად სამი საფეხბურთო თრილერიც (განასთან, ჰოლანდიასა და გერმანიასთან) გვაჩუქეს. არავინ დავობს, რომ ურუგვაელთა მწვრთნელს, მეკარე — ფერნანდო მუსლერას, მცველების — დიეგო ლუგანოს, ხორხე ფუსილეს, დიეგო გოდინის, შუახაზელების — ალვარო პერეირას, დიეგო პერესის, განსაკუთრებით კი შემტევების — დიეგო ფორლანის, ლუის სუარესისა და ედინსონ კავანის სახით მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავდა, თუმცა, ეს ფაქტი ტაბარესის სამწვრთნელო ტალანტს სულაც არ აკნინებს. სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატზე რამდენიმე ნაკრები ურუგვაელებზე უკეთესი საშემსრულებლო „ანსამბლით„ იყო წარდგენილი, — თუმც პლანეტის ოთხ

ლუის სუარესი და ედინსონ კავანი

საუკეთესო გუნდში „ელ მაესტროს“ კოლექტივი მოხვდა (სავსებით დამსახურებულად) და არა კარლოს დუნგასა თუ დიეგო მარადონას რჩეული გუნდები.

2011 წლის „კოპა ამერიკას„ — „ფავორიტთა სასაფლაოდ“ სავსებით სამართლიანად მოიხსენიებენ და სხვა გრანდებთან ერთად, ტურნირის სტარტზე არც ურუგვაი ბრწყინავდა. ჯგუფურ ეტაპზე გამონაკლისი მხოლოდ ჩილესთან ასპარეზობა გამოდგა, მექსიკელთა ძლევის შემდეგ კი, ყველაზე პრინციპული სამეოთხედფინალო დაპირისპირება, შეჯიბრების მასპინძელ არგენტინასთან შედგა. „სელესტემ“ ნახევარფინალის საგზური პენალტების სერიით მოიპოვა, თუმცა, ვერავინ იტყვის, ურუგვაიმ „ალბისელესტე“ შემთხვევით დაამარცხაო.

ხავიერ ძანეტის, ლეო მესის, კარლოს ტევესის, ხავიერ მასკერანოსა და მათი პარტნიორების დამარცხების შემდეგ — ურუგვაელებს „კოპა ამერიკის„ მეთხუთმეტეჯერ მოგების შანსი მიეცათ და ეს შესაძლებლობა ტაბარესის გუნდმა სათანადოდ გამოიყენა. პერუს ნახევარფინალში მოუგეს და ფინალში იმ პარაგვაის შეხვდნენ, რომელმაც გადამწყვეტ მატჩამდე გოლგაუშვებლად მიაღწია. მსაჯის სასტარტო ნიშნის შემდგომ — „გუარანიმ“ „ზურგი გაამაგრა“ და როგორც წინა შეხვედრებში, ამჯერადაც „სანგარში ჩაწვა“. ტაბარესისთვის ეს მოულოდნელი სვლა არ ყოფილა. ბუენოს აირესის „მონუმენტალზე“ მისმა გუნდმა გაშლილი ფრონტით შეუტია ხერარდო მარტინოს კრებულს...

ურუგვაის ნაკრებმა ლუის სუარესისა და დიეგო ფორლანის გოლებით პირველი ტაიმი 2:0 მოიგო. ფინალში ოსკარის გუნდს

პოზიციური შეტევაც კარგად გამოსდიოდა და საფირმო მწვავე კონტრიერიშებიც. მეორე ტაიმში პარაგვაიმ — მოწინააღმდეგის ნახევარზე გადანაცვლება სცადა და დროდადრო ურუგვაელთა შევიწროებასაც ახერხებდა (ერთ-ერთ ეპიზოდში ვალდესმა ბურთი მუსლერას კარის ხარიხასაც გაარტყა), მაგრამ მატჩის მიწურულს ფორლანმა პარაგვაელები კონტრშეტევაზე „დაიჭირა“ და კიდევ ერთხელ გაუტანა მეკარე ხუსტო ვილარს.

გადამწყვეტი მატჩის მოგების შემდეგ ტაბარესს სიხარული არ დაუმალავს და განაცხადა: „მეთხუთმეტე ტრიუმფს ყველა იმ ფეხბურთელს ვუძღვნით, რომელთაც წინა 14 კოპა ამერიკა მოიგესო„.

„ელ მაესტრომ“ ისიც დასძინა, — „ურუგვაელ ხალხს ბედნიერება მივანიჭეთ, მაგრამ საკუთარ პასუხისმგებლობას ახლა უფრო მძაფრად ვგრძნობ და უახლოეს დღეებში — მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით ვიასპარეზებთო„...

ბრაზილიაში გამართულ პლანეტის პირველობაზე ურუგვაელები დამაჯერებლად მოხვდნენ, ფინალურ ეტაპზე მათ გამოსვლას კი წარმატებულად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ — ურუგვაელები მსოფლიოს უპირველეს საფეხბურთო ფორუმს მერვედფინალიდან დაემშვიდობნენ...

ამჟამად ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი — მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატისთვის რაზმავს ურუგვაის ნაკრებს. გოდინი, კავანი, სუარესი და მათი თანაგუნდელები მაღალი მიზნისთვის იბრძოლებენ — მათ ეს ნამდვილად შეუძლიათ!

საფრანგეთი

ვახტანგ
ხუციშვილი

ფეხბურთი და ღირსება

საფრანგეთის ნაკრებში უამრავ ვარსკვლავს უკაშკაშია, მაგრამ ზინედინ ზიდანი ყველასგან გამორჩეული იყო. მისი თავბრუსდამხვევი საფეხბურთო კარიერის ფინიში კი მეტად დრამატული გამოდგა...

ზინედინ ზიდანი და მარკო მატერაცი!

ისინი მეცხრამეტე წუთისთვის ჯერ მხოლოდ თითო გოლის ავტორები არიან, მაგრამ სწორედ ამ მატჩში გათამაშდება კლასიკური სცენა, რომლის მსგავსი ბევრჯერ ყოფილა პოლიტიკაშიც და ომშიც, ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც, ყველაზე ნაკლებად კი, ალბათ, მაინც სპორტში, სადაც მეტოქეობა უფრო ვაჟკაცურ მორალსა და სამართლიან წესებზეა დამყარებული.

ზოგადად, ეს კლასიკური სცენა ასეთია:

თითქმის გამარჯვებულ, დიდებით მოსილ, ნიჭით აღიარებულ ადამიანს გამოუჩნდება საბედისწერო აჩრდილი, ერთდროულად მდგარი, მისი პიროვნების პირისპირ და მოსიარულე, მისი მოღვაწეობის გასწვრივ. საშველს არ მისცემს და არ ამოასუნთქებს. აჩრდილი არ სცნობს მსხვერპლის განვლილ გზას, მის საქმეებს, მისი შრომით მოპოვებულს. ის ტოლს არ უდებს მას და საკუთარი თავი არანაკლებად მიაჩნია. სინამდვილეშიც, ალბათ, სულ ცოტათი, ერთი მისხალით ჩამორჩება წინგაჭრილ მეტოქეს, მაგრამ სწორედ ეს ერთი, უძნელესი მისხალია, პროფესიონალიზმის მწვერვალს რომ აშორებს მეშურნეს და მტრობის საბაბს ქმნის.

და ებრძვის წესებით და წესების გარეშე...

ებრძვის, სანამ არ დაამარცხებს, რადგან აღიარებული მეტოქის დამარცხება არის მისი აღზევების, მისი არსებობის გამართლების საწინდარი.

თამაშის მეცხრამეტე წუთზე, ჯერ კიდევ არავინ იცის, ვინ არის ზიდანისთვის მატერაცი. ჯერ ყველაფერი ჩვეულებრივადაა. ერთმა იტალიის კარი დალაშქრა, მეორემ საფრანგეთის. ჯერ არცერთს არ გადაულახავს სპორტული ეთიკის საზღვრები. მხოლოდ ესაა, მატერაცემ, როგორც არავინ მის გუნდში, იცის, რომ ზიდანს მოქმედების საშუალება არ უნდა მისცეს, ის მართლაც აჩრდილივით ასდევნებია მას და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. ზიდანმა ანგარიში გახსნა, მატერაცემ — გაათანაბრა. ზიდანი დრიბლინგს წამოიწყებს, უხეშად ჩაუშლიან და ახლა, თავის მხრივ, მატერაცი უტევს, უტევს ყველანაირი გაგებით. მართლაც ბედისწერასავით ასდევნებია...

არავითარი შოუ!

ზიდანმა ვერ უნდა გაიმარჯვოს!

ფეხბურთის გულშემატკივრები, რომლებიც მაშინ ამ თამაშს ტელევიზიით უყურებდნენ, ანდა სტადიონზე იყვნენ, დაბეჯითებით ვერ იტყვიან, რომ დაინახეს რა მოხდა მატჩის მეორე დამატებითი ტაიმის ასმეცხრე წუთზე. უფრო მეტიც, დაკვირვებული მაყურებლების ის უმნიშვნელო ნაწილიც, ვინც მოახერხა და აღიქვა ინციდენტი, ვერ აღნიშნავს, რომ იმწამსვე გაიაზრა მომხდარი, იმდენად დაუჯერებელი, წარმოუდგენელი და გამაოგნებელი იყო ის. ტელემაყურებლები მხოლოდ შენელებული კადრების ნახვისას მოვიდნენ აზრზე, ხოლო სტადიონზე მყოფნი გაოცებულები ეკითხებოდნენ ერთმანეთს, თუ რატომ აძევებდა მსაჯი ზიდანს.

ფაქტი იყო, ზინედინ ზიდანი, გულშემატკივართა რჩეული ფეხბურთელი, გამარჯვების ნაცვლად, სპორტული ეთიკის დარღვევისა და უფრო მეტიც, არაადამიანური საქციელისთვის სამარცხვინოდ ტოვებდა თავის უკანასკნელ მატჩს. რატომ? როდესაც ადამიანებმა საკუთარ თავს ამ შეკითხვით მიმართეს, პირველად რაც წარმოსახვით დაინახეს, იყო მოედნის მწვანე საფარზე გულაღმა გაშხლართული მარკო მატერაცი. შემდეგ რასაც მიხვდნენ ის იყო, რომ ზინედინ ზიდანი

ზიდანი vs მატერაცი

და მარკო მატერაცი, იმ მომენტში, როცა მატერაცი დაეცა, ბურთისთვის არ იბრძოდნენ. ბურთი წინ იყო გაჭრილი. ისინი ზურგში იყვნენ, ერთმანეთის სიახლოვეს...

და ზიდანმა მატერაცის მკერდში, თავი ისე ძლიერად გლიჯა, რომ ეს უკანასკნელი გონდაკარგული დაეცა.

ზინედინ ზიდანს ამგვარი საქციელის მიზეზი არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში სტადიონზე, იმ კონკრეტულ წამს, ასეთი მიზეზი არ ჩანდა. დაკვირვებული მაყურებლები იმასაც მიხვდნენ, რომ ზიდანი გამიზნულად, ბოროტი განზრახვით მოიქცა ასე. ის შემთხვევით არ დაჯახებია მეტოქეს, არც მხარში დაურტყამს და არც თავში, რომელიც ბურთის ხშირად მოგერიების გამო, ფეხბურთელებს საკმაოდ გაძლიერებული აქვთ, არც სადმე, სხვა ადგილას... მან მკერდში დაარტყა. უეჭველად, მშვენივრად იცოდა, რომ დიდი ფიზიკური დატვირთვისას ღრმა და გახშირებული სუნთქვის დროს მკერდში ძლიერი დარტყმა გონის დაკარგვას იწვევს. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძიმებდა ზიდანის დანაშაულს. მაშ, ის ღირსი იყო



არგენტინელმა ჰორაციო ელიზონდომ წითელი ბარათი აუფრიალა ზიდანს.

ზინედინ ზიდანის საფეხბურთო კარიერა ასე დასრულდა...

მოედნიდან გაძევებისაც, მსოფლიო ფეხბურთის სამარცხვინოდ დატოვებისაც.

მაგრამ მაყურებელს არ შეეძლო დაეჯერებინა, რომ ფეხბურთის ისტორიაში უპრეცენდენტო საქციელი ზიდანმა უმიზეზოდ ჩაიდინა.

და რას აკეთებს აჩრდილი მაშინ, როცა მისმა მოწინააღმდეგემ ესესაა საბოლოო გამარჯვება უნდა იზეიმოს?! როცა მოწინააღმდეგე დიდების კვარცხლბეკზე უნდა ავიდეს? აჩრდილი ამ დროს დაძაბული და გაფაციცებულია, ცდილობს მახე დაუგოს მტერს, ოღონდ ისე, რომ სხვებმა ვერ შეამჩნიონ, სხვების თვალში მსხვერპლი მტყუანი, ხოლო მონადირე ალალმართალი უნდა იყოს. კანცელარიის მოხელე ამას ქაღალდებსა და კანონებს ამოფარებული აკეთებს. მან მშვენივრად იცის, სად სცოდავდა კანონის წინაშე თავსგასული შეფი და კრიტიკულ მომენტში მომაკვდინებელ დარტყმას აყენებს, თან ისე, რომ კანონი, სამართალი, მიღებული თამაშის წესები მოხელის სასარგებლოდ მეტყველებდეს. შეფი მარცხდება. ზიდანის დაოკება პატიოსანი წესების გამოყენებითაც, უხეში თამაშითაც, მოცელვებითაც შეუძლებელი ხდება. ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ეს ერთი თავსგასული კაცი? – ფიქრობს მარკო მატერაცი.

და რა უნდა გააკეთოს, ასეთ შემთხვევაში, ზიდანის საბედისწერო აჩრდილმა?!

ცხადია მომაკვდინებელი დარტყმა უნდა მიაყენოს ყველაზე სუსტ,

დაუცველ ადგილას, თან ისე, რომ გულშემატკივრების თვალში თვითონ უცოდველი დარჩეს.

მატერაციმ მშვენივრად იცის ზიზუს ექსცენტრულობის ამბავი. იცის, რომ ის ახლა დაძაბულია: ძალიან უნდა გოლი, გამარჯვება, ტრიუმფი. ანგარიში კი ერთით-ერთია. ახლა მარჯვედ მიყენებული დარტყმა დიდებისმოყვარე და საძულველ მტერს მდგომარეობიდან გამოიყვანს. მატერაცის არ შეუძლია დაუშვას ზიზუს გამარჯვება, რადგან მის თვალში ის დაუმსახურებლად განდიდებული არამზადაა. მატერაცი თვითონაც დაძაბულია. მან დარტყმა უნდა მიაყენოს, მაგრამ სად?! სად არის ზიდანის სუსტი წერტილი?!

რაღა თქმა უნდა, მის პირად ცხოვრებაში, რომელიც მახის დამგებმა შესანიშნავად იცის.

და მატერაცი, ისე რომ მხოლოდ ზიდანმა გაიგოს, რაღაცას, ძალიან შეურაცხმყოფელს ეუბნება მას. მათ მეტს არავის ესმის, მატერაცის არაფერი დაუშავებია, მიზანი მიღწეულია. მატერაციმ ქვეცნობიერად იცის, რომ ამას რაღაც გაუგონარი, წარმოუდგენელი ამბავი უნდა მოჰყვეს.

ექსცენტრული და დიდებისმოყვარე, გულშემატკივრისგან განებივრებული ზიზუ, დიდი ემოციური დაძაბვის მომენტში, ამ დარტყმას ვეღარ გაუმკლავდება და თუნდაც გაუძლოს, მის ნებისყოფას, გარკვეულწილად, ლიბო მოეშლება. ეს კი აუცილებლად თამაშზეც აისახება.

ზიდანი წამოეგო და არგენტინელმა ჰორაციო ელიზონდომაც წითელი ბარათი ააფრიალა!..

მსაჯისგან გაძევებული, ის ტოვებს თავის უკანასკნელ მატჩს!

ტოვებს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში გაუგონარი დანაშაულით. ტოვებს გაძევებული, გამტყუნებული! ის დამარცხებულია!

ამ ინციდენტის გამო უზიდანოდ დარჩენილი მისი გუნდიც დამარცხებულია.

2006 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის ძირითადი დრო ფრედ — 1-1 მთავრდება. ანგარიში არც დამატებულ ტაიმებში იცვლება და პენალტების სერია ინიშნება. საბოლოოდ იტალიელები

ამარცხებენ საფრანგეთის ნაკრებს ანგარიშით — 5-3.

დღემდე უცნობია, ზუსტად რა სიტყვები უთხრა მატერაციმ ზიდანს, მაგრამ ერთ საკითხში ყველა გულშემატკივარი თანხმდება: აუცილებლად უთხრა რაღაც ძალიან მწარე.

დღემდე ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ამ ფინალური მატჩის ბედი სწორედ მარკო მატერაცის სიტყვებმა და ზიდანის გაუწონასწორებელმა საქციელმა გადაწყვიტა.

უთანხმოება, უფრო მეტად, სხვა საკითხშია, კერძოდ, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ მოვლენის მთავარი გმირი – ზინედინ ზიდანი?

ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ მთავარი პროფესიული პასუხისმგებლობაა, ამბობენ, რომ ზიდანს შეურაცხყოფა უნდა მოეთმინა.

ხოლო, ვინც უპირატესობას ღირსებას ანიჭებს, ამართლებს მას.

ჩვენ კი, მივცეთ საშუალება მკითხველს, როგორც უნდა, ისე იფიქროს.

ტარიელ (ტატო)
კინწურაშვილი

ჭრელი მამალი

ფრანგებს არაერთხელ ჰყავდათ ძლიერი ნაკრები. ჯერ მარტო ფონტენისა და კოპას ან პლატინის დროინდელი გუნდების გახსენება რად ღირს, მაგრამ მეოცე საუკუნის მიწურულამდე მათი მონაგარი ოდენ 1984 წელს მოგებული ევროპის ჩემპიონატის თასი იყო. მეოცე საუკუნის ბოლოს საფრანგეთის ნაკრებში ბევრმა ძლიერმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი და 1998 წელს მსოფლიო, ხოლო 2000 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგეს. მათ მიერ კონფედერაციის თასის ორჯერ მოპოვებაც აღნიშვნის ღირსია.

მეოცე საუკუნის ბოლოს, საფრანგეთში დაბალანსებული, მონოლითური გუნდი შეიქმნა, თუმცა გამორჩეულად ძლიერ რგოლს დაცვის ხაზი წარმოადგენდა. 1998 წელს, დაცვითი ხაზის ძირითად კვარტეტს: ლილიან ტიურამი, მარსელ დესაი, ლორან ბლანი და ბიქსენტ ლიზარაზუ წარმოადგენდნენ... ამ ოთხეულიდან, ბლანის გარდა სამივე ეთნიკურად სხვადასხვა წარმომავლობისანი იყვნენ.

ორი წლის შემდეგ, ჰოლანდიასა და ბელგიაში გამართულ ევრო პირველობაზე ფრანგთა გუნდი შეტევაშიც მომძლავრდა და თუკი 1998-ში გუნდის ტრიუმფი დამცველთა მწყობრმა თამაშმა განაპირობა, 2000 წელს მთავარი სიტყვა უკვე ფრანგულმა თავდასხმამ თქვა, სადაც ტიერი ანრი, სილვიან ვილტორი და დავიდ ტრეზეგე ირჯებოდნენ. ასე განსაჯეთ და არც ამ ტრიადას ურევია ეთნიკურად ფრანგი.

ზინედინ ზიდანზე, იური ჯორკაეფზე, პატრიკ ვიეირაზე და სხვებზე აღარას ვიტყვი...

დიდიე დეშამი და ანტუან გრიზმანი

ანუ იმის თქმა მსურს, რომ სანამ საფრანგეთის ნაკრებში სვადასხვა ჯიშისა და გენის ხალხი მასიურად არ მივიდა, — სამფეროვანთა ეროვნულმა გუნდმა მსოფლიო ასპარეზზე ომახიანად ვერ დაიყივლა...

პ რ ე ც ე ნ დ ე ნ ტ ი დაშვებულ იქნა და ამან გაამართლა...

„ცოტა ფრანგი და ბევრი ზანგი“ — აშკარად მომგებიანი აღმოჩნდა და გალების შთამომავალთ აღებული კურსიდან აღარც გადაუხვევიათ.

„ფრანგთა“ ნაკრების დღევანდელი შემადგენლობაც ძალზე სოლიდურად გამოიყურება და ამ გუნდს ნამდვილად შესწევს უნარი, რომ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატზე პირველობისთვის იბრძოლოს.

სამშობლოში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ფინალში — საფრანგეთის ნაკრებმა მწარე მარცხი იწვნია, არადა ფინალამდე მასპინძლების თამაშს სანახაობრივი თვალსაზრისით არაფერი დაეწუნებოდა. რაც მთავარია, დიდიე დეშამის სამწყსოს რეზულტატიც ჩინებული ჰქონდა. ზემოთ ნახსენები მარცხის შემდეგ კი, ჩემი აზრით გუნდი უფრო გამოიწრთო, რადგან საფეხბურთო ისტორიას თუ გადავხედავთ, განსაკუთრებულად მტკივნეული წაგების შემდეგ, გუნდები უფრო გაძლიერდებიან ხოლმე.

დეშამის გუნდი გვარების მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი გუნდის ლიდერი, გასული ევრო პირველობის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი — ანტუან გრიზმანია. მოკლედ, მწვრთნელს არჩევანი დიდი აქვს და თუ მისმა გუნდმა რუსთა მოედნებზე წაიბორძიკა — განტევების ვაცს ძებნა აღარ დასჭირდება.

საკითხავი კი აი, ეს არის — ჭრელი მამალი ომახიანად დაიყივლებს?

ესპანეთი



დავით
კვიტატიანი

დავით კვიტატიანის დამოკიდებულება ესპანური ფეხბურთის მიმართ...

ცოტა ხნის წინ, დოკუმენტურ ფილმს ვუყურე შეერთებული შტატების „დიდი დეპრესიის“ შესახებ... ბევრი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში — ამერიკელი ხალხის ყოველდღიურობაში უდიდესი დადებითი გავლენა მოახდინა კინოინდუსტრიამ. „კინოთეატრი იყო განზომილება, სადაც რიგითი ამერიკელი შედიოდა და ივიწყებდა ყველანაირ გასაჭირს. მათ ყოველთვის მოეძებნებოდათ ფული ბილეთისათვის“...

ბუნებრივია, სხვა ქვეყნების გასაჭირს რომ გაიგებ, ჩვენი ოთხმოცდაათიანი წლები გაგახსენდება — ჩაბნელებული ქალაქი და პურის რიგები. ნეტავ, ქართველებს თუ გვქონდა რამე ისეთი მოვლენა, რომელიც სატკივარს დაგვავიწყებდა?! კომუნისტურ პერიოდში ასეთი საფეხბურთო მატჩი იყო თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით. მაშინ გულშემატკივარი და გუნდი ერთი მთლიანობა გახდა. დაპყრობილი ქვეყნის ფეხბურთელები უდიდეს წარმატებებს აღწევდნენ, მით უმეტეს იმ პირობებში, რომ რუსულ კლუბებს, რბილად რომ ვთქვათ, მსაჯობა სწყალობდა. თუმცა, 1981 წელს „დინამომ“ ევროპული ისტორია დაწერა და „რკინის ფარდაში“ მცირეოდენი დასავლური მზის სხივები შემოუშვა... ისევ ეს წყეული ოთხმოცდაათიანები... ჩვენი ფეხბურთი რეგრესს განიცდიდა, გუნდები ევროტურნირების ფინალურ ეტაპზე ვერ გადიოდნენ, ნაკრები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მიღმა რჩებოდა, თუმცა ვინ იფიქრებდა, ჩაბნელებულ თბილისში, განათებულ

სტადიონზე — უელსისა და ბულგარეთის ნაკრებთა დამარცხებით მონიჭებული სიხარული სანატრელი რომ გაგვიხდებოდა?! სამწუხაროდ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იმ შავბნელ პერიოდში არსებული ნაკრები საქართველოს უახლოეს ისტორიაში ყველაზე ძლიერი იყო.

1994 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს — იტალია-ესპანეთს ვუყურებდი. მაშინ რობერტო ბაჯოს ძალიან ბევრი გულშემატკივრობდა, მეც მათ შორის ვიყავი. დინო-რობერტოს ტანდემმა ორი ბურთი შეაგდო, ესპანელები დამარცხდნენ. მახსოვს, მამა ოდნავ დამწუხრებული მეჩვენა, არადა, ვიცოდი, იტალიის ძველი გულშემატკივარი იყო. რომ ვკითხე — „სკუადრა აძურას“ გასვლა რატომ არ გაგიხარდა-მეთქი, მიპასუხა, ესპანეთში „ქართველები“ თამაშობენო და უცნაურად გამიღიმა. თავიდან ვერ მივხვდი, გამიკვირდა. ეს უკვე მერე, წლების შემდეგ გავიგე, როგორც ზვიად გამსახურდია ამბობს — „მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისია, რომ ბასკი ხალხი არის ნაშთი ევროპის უძველესი იბერიული რასისა და ცივილიზაციისა“... იბერიის მთათა სისტემა მათაც აქვთ და ძალიან მიუგავთ გვარები ჩვენს მეგრულ გვარებს. მოკლედ, ისე მოხდა, ბასკების მიმართ რაღაცნაირი პატრიოტული გრძნობები გამიჩნდა. ესპანეთის ნაკრების გულშემატკივრობა ისე კი არ დავიწყე, როგორც სხვა ქვეყნის ნაკრების, არამედ რაც ქართული ფეხბურთიდან მაკლდა, ვცდილობდი, ესპანურით ამენაზღაურებინა, ისინი ხომ მუნდიალებზე მაინც გადიოდნენ... მოკლედ, 1994 წლიდან მოყოლებული, ესპანეთის ნაკრების დიდი გულშემატკივარი გავხდი და ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში ჩატარებული მათი ყოველი მატჩი ჩემთვის დიდ ზეიმს წარმოადგენდა. თითქოს, ჩემი საქართველო თამაშობდა, იმდენად განსაკუთრებული ემოციით ველოდებოდი „ფურია როხას“ ასპარეზობას.

თეა
თაბაგარი

თეა თაბაგარის დამოკიდებულება ესპანური ფეხბურთის მიმართ...

პატრიკ კლუივერტის თამაში რომ ვნახე პირველად, 12 წლის ვიყავი და იმ დღიდან გავხდი ფეხბურთის აქტიური გულშემატკივარი. თუმცა, ესპანეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება კიდევ უფრო ადრეული ასაკიდან მქონდა და ეს ამ ქვეყნის არაჩვეულებრივ ენასთან, ცეკვასა და სიმღერებთან ერთად, ბასკებთან ჩვენს ნათესაობასთან დაკავშირებით არსებულ მოსაზრებას ერწყმოდა. წარმოშობით სურინამელმა ჰოლანდიელმა ფორვარდმა კი, უკვე კატალონიასთან დამაახლოვა. იმ პერიოდში, „ბარსელონაში“ არაერთი შესანიშნავი ფეხბურთელი თამაშობდა ჰოლანდიის ნაკრებიდან და შესაბამისად, თავდაპირველად, მეც გაორებული ვიყავი ნაკრებებთან დაკავშირებით. წლების შემდეგ, როცა საკმაოდ კრიზისული პერიოდის გამო, „ბარსაში“ ბევრი ცვლილება მოხდა, როგორც ფეხბურთელებთან, ასევე მწვრთნელებთან მიმართებაში, თანდათან ჩამოვყალიბდი „ფურია როხას“ სრულყოფილ გულშემატკივრად და ჰოლანდიის ნაკრებისადმი სიყვარული, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ბავშვობისდროინდელ მოგონებებში დარჩა. რაც შეეხება ულამაზეს ბარსელონას, მისით ჩემი გატაცება მალე არა მხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივრის ემოციებს უკავშირდებოდა, არამედ პოეზიაშიც იჩინა თავი და ანტონიო გაუდის არაჩვეულებრივი არქიტექტურით დამშვენებული ქალაქი ჩემი ლექსების შთაგონების წყაროც გახდა, განსაკუთრებით

— მსოფლიოში ცნობილი შედევრი „საგრადა ფამილია“. იქამდე კი, იყო ფეხბურთელების ფოტოსურათებით მორთული სასკოლო აქსესუარები და საძინებელი ოთახის კედლები; „ლა ლიგას“ სატურნირო ცხრილის აქტიური თვალის დევნება და უშუქობის დროს, რადიოს ან გაზეთის მეშვეობით შეტყობილი საფეხბურთო ანგარიშები; ყოველი შაბათ-კვირის მოლოდინი, როგორც რაღაც განსაკუთრებულის და „ჩემპიონთა ლიგის“ სადღესასწაულო საათები, რასაც, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ მოჰქონდა გამარჯვების სიხარული, მაგრამ ფეხბურთზე შეყვარებული გოგონასთვის მაინც დიდი ზეიმი და დროის გატარების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება იყო.

ამ ფონზე, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რამხელა სიხარულის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო ესპანეთის ნაკრების გამარჯვება 2008 და 2012 წლებში ევროპის პირველობებზე, ხოლო 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე. მით უმეტეს, რომ ამ გამარჯვებებში დიდი წვლილი სწორედ „ბარსელონას“ წამყვან ფეხბურთელებს შეჰქონდათ. იმ „ბარსელონასი“, რომელსაც აღზევების პერიოდი ჰქონდა და ფეხბურთის ბევრი გულშემატკივარი, თუნდაც ყველაზე მკვეთრად მოწინააღმდეგე გუნდებისა, იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ეს ნამდვილად იყო „უფრო მეტი, ვიდრე კლუბი“.

ფურია როხა

ალბათ, აზრსმოკლებული არ არის თეორია, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლუბური ფეხბურთის მაღალი დონე განაპირობებს სანაკრებო შედეგებს. თუმცა, მაგალითად, 1977 წლიდან 1984 წლის ჩათვლით, ჩემპიონთა თასის 8 ფინალიდან 7 ინგლისელებმა მოიგეს, მაგრამ იმ პერიოდში ინგლისელთა ნაკრები მეტად უსახურად გამოიყურებოდა. მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო მასშტაბით კლუბურ დონეზე დომინაცია ნაკრების წარმატებაზე აისახება იმ შემთხვევაში, თუკი ხერხდება ფეხბურთელების ერთ მუშტად შეკვრა და ორგანიზებული თამაშის დემონსტრირება. ვფიქრობთ, ამისათვის საჭიროა ნაკრებში ჩამოყალიბდეს რომელიმე კონკრეტული გუნდისგან შემდგარი ძირითადი ბირთვი. ჩვენს სტატიაში, შემდგომში ვიხილავთ, რომ ესპანეთის ნაკრებში (2008-2012 წლებში) ასეთი ბირთვი „ბარსელონას“ ფეხბურთელებმა შექმენს. საკლუბო დონეზე მწვავე დაპირისპირება ნეგატიურად აისახება ზემოაღნიშნული იდეის განხორციელებაზე. მიზანმიმართულად მოვიყვანეთ ინგლისური ფეხბურთის მაგალითი, რადგან ცნობილია, რომ ინგლისურ კლუბებს მეტად ხისტი და შეიძლება ითქვას, ერთმანეთის მიმართ სიძულვილით აღსავსე დამოკიდებულებები გააჩნიათ. მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანებს ურჩევნიათ, უცხო ქვეყნის კლუბმა მოიგოს ჩემპიონთა ლიგა, ვიდრე თანამემამულე ლივერპულელებმა. აღნიშნული დამოკიდებულება, ბუნებრივია, ესპანურ კლუბებშიც შეგვხვდებოდა — მადრიდულ-ბასკურ-კატალონიური პოლიტიკური დაპირისპირებების გამო, თუმცა ეს პრობლემა 2008 წელს ლუის არაგონესმა გადაწყვიტა, რაზეც შემდგომში ვისაუბრებთ.

ევრო 2012 – ნახევარფინალი.
პორტუგალია vs ესპანეთი 0-0 (პენ 2-4).
რონალდო ესპანეთის ნაკრების კარს ემუქრება.
ამ ტურნირზე ფურია როხას უკანასკნელი ტრიუმფი აღინიშნა

მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში, „ფურია როხას“ შედეგები არცთუ ისე სახარბიელოა. არადა, სხვადასხვა დროს, პირველელების ნაკრებში საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობდნენ. აღნიშნული შედეგები განპირობებული უნდა იყოს ზემოხსენებული მოსაზრებიდან გამომდინარე.

როდესაც მადრიდის „რეალი“ ორმოცდაათიანებისა და სამოციანების მიჯნაზე ჩემპიონთა თასს ზედიზედ იგებდა, ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა — 1964 წელს. მანამდე, ევროპის პირველ ჩემპიონატზე — 1960 წელს უცნაური მოვლენები განვითარდა. ჯერ ერთი, ცამეტმა ქვეყანამ უარი თქვა მონაწილეობაზე, საკლუბო დონეზე დატვირთული გრაფიკის გამო. მეორეც — ესპანეთის ნაკრებმა პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე უარი განაცხადა საბჭოთა კავშირში გამგზავრებაზე და შედეგად დისკვალიფიკაცია მიიღო. არავინ იცის, ეს გადაწყვეტილება რომ არა, იქნებ, საბჭოთა კავშირს ერთადერთი საერთაშორისო ტურნირიც ვერ მოეგო... (ოლიმპიადების შედეგებს მიზანმიმართულად არ ვითვალისწინებთ, რადგან მიგვაჩნია, ეს ტურნირი პრესტიჟით ჩამოუვარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს) ამას გარდა, 20 წლის შემდეგ, ევროპის 1984 წლის ჩემპიონატზე — „ფურია როხამ“ ფინალში გასვლა მოახერხა, თუმცა

მასპინძელ საფრანგეთთან დამარცხდა და თასი პლატინის გუნდს დარჩა.

მსოფლიო ჩემპიონატებზე ესპანეთი მეტად უსახურად გამოიყურებოდა, ჯგუფიდან გაღწევაც კი უჭირდა და თუ გადიოდა, მაქსიმუმ მეოთხედფინალში ეთიშებოდა ასპარეზობას. ესპანურ ფეხბურთში მნიშვნელოვანი ცვლილებები ოთხმოცდაათიან წლებში დაიწყო. 1992 წელს „ბარსამ“ ჩემპიონთა თასი მოიგო. სტოიჩკოვი, ლაუდრუპი, კუმანი, გვარდიოლა... შთამბეჭდავი გვარებია. სწორედ კუმანის ლეგენდარული ჯარიმის წყალობით დაამწუხრეს კატალონიელებმა „სამპდორიელები“ და თასი აღმართეს, მაგრამ რადიკალური გარდაქმნა მაშინ დაიწყო, როცა ლეგიონერების შეზღუდვის ლიმიტი მოიხსნა და გუნდებს საშუალება მიეცათ, ძირითად შემადგენლობაში სამი ლეგიონერის ნაცვლად განუსაზღვრელი რაოდენობის უცხო ქვეყნის ფეხბურთელი დაეყენებინათ. შესაბამისად, არა მხოლოდ ესპანურმა გრანდებმა, არამედ საშუალო დონის გუნდებმაც საკმაოდ სერიოზული ტრანსფერები განახორციელეს. მაგალითად, „რეალ ბეტისმა“ 1998/99 წლების სატრანსფერო სეზონში რეკორდი დაამყარა და 35 მილიონად ბრაზილიელი დენილსონი შეიძინა. თუმცა, მეორე ეშელონის გუნდებზე საუბარს შევეშვათ და გრანდები ვახსენოთ, რომელთა ფეხბურთელებითაც იყო ხოლმე ძირითადად ნაკრები დაკომპლექტებული...

პირველ რიგში, გავიხსენოთ მადრიდის „რეალი“, რომელმაც 1998 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსი“ დაამარცხა. გერმანელმა ჰაინკენსმა მხოლოდ ოთხი ესპანელი ფეხბურთელი დააყენა ძირითად შემადგენლობაში. იმ გუნდში ესპანური ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი, რაულ გონსალეს ბლანკო თამაშობდა. როგორც შემდეგ გამოჩნდება, რაული „ფურია როხას“ პროგრესს ზვარაკად შეეწირება და 2008 წელს, ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩება. თუმცა, სანამ ესპანელების ტრიუმფამდე მივალთ, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რა მდგომარეობაში იყო ამ ქვეყნის ფეხბურთი მეოცე საუკუნის მიჯნაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1998 წელი მადრიდელებისთვის იღბლიანი აღმოჩნდა და თითქმის 32 წლის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის თასი მოიგეს. მეორე გრანდი და სამეფო კლუბის დაუძინებელი მტერი

„ბარსელონა“; ამავე წელს, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კიევის „დინამოსთან“ ჯერ უკრაინაში — 3:0, ხოლო შემდეგ „ნოუ კამპზე“ — შევჩენკოს ჰეთ-თრიკისა და რებროვის ერთი გოლის შედეგად — 4:0 განადგურდა და შესაბამისად, ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. ვინ წარმოიდგენდა, იმედგაცრუებული ბარსელონელების სათადარიგოთა სკამზე რომ იჯდებოდა ფეხბურთელი, რომელიც მომავალში „ბარსას“ კაპიტანი და ესპანეთის ნაკრების ტრიუმფის ერთ-ერთი შემოქმედი გახდებოდა — კარლეს პუიოლი. აქვე, კატალონიელების გულშემატკივრების სასიხარულოდ აღვნიშნავ, რომ იმავე სეზონზე, „ლა ლიგაში“ „ბარსელონამ“ გასვლაზე „რეალი“ — 3:2, ხოლო შინ — 3:0 გაანადგურა და 74 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. რაც შეეხება „სამეფო კლუბს“, მეოთხე ადგილი დაიკავა. მომდევნო წელს, ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი გუნდი ესპანელებისთვის კოშმარად ქცეულმა კიევის „დინამომ“ გამოაგდო მეოთხედფინალიდან, სადაც მადრიდში ნათამაშებ ფრეს (1:1), კიევში შევჩენკოს ორი უპასუხო გოლი მოჰყვა და მადრიდული გრანდი ტურნირის მიღმა დარჩა.

ალბათ, გულშემატკივარს ახსოვს 1998-1999 წლებში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ბარსას“ შეხვედრები „მანჩესტერ იუნაიტედთან“. ორივე მატჩი მეტად სანახაობრივი გამოდგა და ერთნაირი ანგარიშით 3:3 დასრულდა, თუმცა მომავალ ჩემპიონთან მოპოვებული ორი ქულა კატალონიელებს შემდეგ ეტაპზე გასვლაში ვერ დაეხმარა და სარბიელი მიუნჰენის „ბაიერნს“ დარჩა. მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, ბავარიელები და მანკუნიანელები თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ფინალში. თასის მოპოვების ბედი ბოლო სამ წუთში გადაწყდა, შეცვლაზე შემოსული შერინგემისა და სოლსკიაერის გოლებმა მანჩესტერელებს გაამარჯვებინა. ისევ „ბარსელონას“ მივუბრუნდეთ და აღვნიშნოთ, რომ ამ წელს გუნდში ცხრა ჰოლანდიელი ფეხბურთელი თამაშობდა და ადვილი გამოსაცნობიცაა, ვინ იქნებოდა მწვრთნელი — ლუის ვან გაალი. თუმცა ამ სპეციალისტს არ იცნობენ, როგორც უაღრესად წარმატებულ და უამრავი ტიტულის მომგებ მწვრთნელს, მაგრამ ერთი, რაც ნამდვილად ჰქონდა და რასაც ვერ დავუკარგავთ, ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენის საოცარი ნიჭია. სწორედ მას

მიაწერენ ხავის — „ბარსელონასა“ და მთლიანად ესპანეთის ნაკრების ლეგენდის აღმოჩენას. იგი სწორედ ვან გაალის ხელმძღვანელობით გადმოვიდა მთავარ გუნდში და ეტაპობრივად ჩამოყალიბდა იმ „მაესტროდ“, რომელიც თითქმის მთელი ათწლეულის განმავლობაში სპექტაკლებს დგამდა საფეხბურთო მოედანზე.

ორიათასიანი წლების პირველსავე საერთაშორისო ტურნირზე ესპანელებმა კლანჭები გამოაჩინეს. მათ 2000 წელს, ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე პირველი ადგილი დაიკავეს. თუმცა, მანამდე შეჯიბრი — ფლოსა და სოლსკიაერის ნორვეგიასთან მარცხით დაიწყეს. შემდეგ სლოვენია დაამარცხეს (2:1) რაულისა და ეჩებერიას გოლების წყალობით, ხოლო მესამე ტურში საოცარი მატჩი შემოგვთავაზეს საკმაოდ ძლიერ იუგოსლავიის ნაკრებთან. ესპანელები მთელი თამაშის განმავლობაში აგებდნენ, თუმცა უკვე დამატებულ რამდენიმე წუთში ჯერ გაისკა მენდიეტამ თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა ანგარიში (3:3), ხოლო შემდეგ, სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ალფონსო პერესმა 4:3 გახადა და პირენეელები საფრანგეთთან სათამაშოდ დაწყვილდნენ. მეოთხედფინალში, ზიდანის გოლს თერთმეტმეტრიანით უპასუხა მენდიეტამ და ანგარიში გაათანაბრა (1:1). თუმცა, ექვს წუთში ჯორკაეფმა ისევ წინ გაიყვანა ფრანგები. მეორე ტაიმში ფრანგთა გოლკიპერმა ბარტეზმა, როგორც ხშირად სჩვეოდა, არადამაჯერებლად ითამაშა და მოწინააღმდეგეთა კაპიტანი — აბელარდო საჯარიმოში წააქცია, რითაც, შეიძლება ითქვას, თერთმეტმეტრიანი გამოიგონა საკუთარი კარის მიმართულებით, მაგრამ პენალტების ოსტატი მენდიეტა უკვე მოედანზე აღარ იყო, ბურთთან რაული მივიდა და ალბათ, თავის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი თერთმეტმეტრიანი გააფუჭა. ფრანგებმა ესპანელების შემდეგ პორტუგალიელები და იტალიელებიც დაამარცხეს — შედეგად კი, თასი აღმართეს. თუმცა, ესპანელები მეოთხედფინალს ისევ ვერ გასცდნენ, მაგრამ უკვე იგრძნობოდა, რომ ამ გუნდს დიდი პოტენციალი ჰქონდა და სწორი მიმართულებით ვითარდებოდა. შემდეგ იყო მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატი, სადაც „ფურია როხა“, მანამდე კი „სკუადრა აძურა“, მასპინძლებთან — სამხრეთ კორეასთან დაპირისპირებისას მსაჯობამ აშკარად დაჩაგრა. მატჩი 0:0 დასრულდა

და პენალტების სერიაში სამხრეთ კორეელებმა 5:3 იმარჯვეს. აქაც მეოთხედფინალს ვერ გასცდა სამხრეთევროპული გუნდი.

სანამ მომდევნო ტურნირებს შევეხებით, მინდა ყურადღება გავამახვილო ორ უნიჭიერეს ფეხბურთელზე — გაისკა მენდიეტასა და ხოაკინიზე. გაისკა „ვალენსიას“ ღირსებას იცავდა. მან, კილი გონსალესთან და კლაუდიო ლოპესთან ერთად, საოცრად სწრაფი, კრეატიული და რაც მთავარია, გოლების გამტანი შეტევითი ხაზი შექმნა. „ვალენსია“ 2000 და 2001 წლის „ჩემპიონთა ლიგის“ ფინალების მონაწილეა, ჯერ „რეალთან“, შემდეგ კი გერმანულ მანქანასთან — მიუნჰენის „ბაიერნთან“ დამარცხდა, თუმცა ის ლაღი თამაში, რომელიც კუპერის გუნდმა შემოგვთავაზა, ალბათ, არასდროს დაავიწყდება გულშემატკივარს. მენდიეტას დიდი იმედი გვქონდა ესპანეთის ქომაგებს, მაგრამ ფაქტია, მასზე გაცემული ავანსები არ გამართლდა. „ვალენსიაში“ გატარებული წლების შემდეგ, იგი თითქოს ჩაიკარგა რომის „ლაციოში“, შემდეგ „ბარსაში“ იყო განათხოვრებული ერთი წლით, რის შემდეგაც ნისლიან ალბიონს მიაშურა და „მიდლსბროში“ დაასრულა საკუთარი კარიერა. არადა, ეს ფეხბურთელი გაცილებით მეტს იმსახურებდა, ვიდრე პრემიერლიგის საშუალო დონის გუნდია. ხოაკინი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე გამოჩნდა, ნიჭიერი ვინგერი სისწრაფითა და საკმაოდ კარგი ტექნიკური არსენალით იყო აღჭურვილი, თუმცა საშუალო დონის გუნდებს ვერ გასცდა და ისიც ისევე ჩაიკარგა, როგორ მენდიეტა. არადა, პოტენციალი ორივე ფეხბურთელს ძალიან დიდი ჰქონდა.

2004 წლის ევროპის ჩემპიონატიდან ესპანეთის ნაკრებში თაობათა ცვლა დაიწყო. ნაკრებს ახალი სისხლი სჭირდებოდა. პორტუგალიაში გამართულ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე გუნდი ჯგუფიდან ვერ გავიდა. „ფურია როხამ“ რუსეთთან გამარჯვებას (1:0) ფრე მოაყოლა — ესპანეთისა და მომავალი ჩემპიონის, საბერძნეთის ნაკრებთა მატჩი 1:1 დასრულდა. პირინეელები მესამე ტურში მასპინძლებთან (0:1) დამარცხდნენ. ამ დროს შემადგენლობაში უკვე გამოჩნდნენ — შემდგომი ტრიუმფის ძირითადი შემოქმედები: იკერ კასილასი, პუიოლი, ჩაბი ალონსო, ხავი და ა.შ... თუმცა, ევრო 2004 უღიმღამო ტურნირი გამოდგა და ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ სულ რაღაც ოთხ

წელიწადში ესპანური ფეხბურთის ნამდვილი ტრიუმფი დაიწყებოდა. მანამდე კი, გავიხსენოთ „ლა ლიგის“ სხვადასხვა გუნდები, რომლებიც გარკვეულ წარმატებას აღწევდნენ ევროპულ სარბიელზე.

ისევ „ვალენსიას“ თემატიკას დავუბრუნდეთ და აღვნიშნოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ორი წაგებული ფინალის შემდეგ, რაფა ბენიტესის ხელმძღვანელობით, გუნდმა „უეფას თასი“ მოიგო. თუმცა, გვინდა, მცირედი ჩართვა გავაკეთოთ, სანამ „რეალის“ ასპარეზობას განვიხილავთ. 1999/2000 წლების სეზონი სამეფო კლუბისთვის კატასტროფულად დაიწყო, „ლა ლიგის“ საწყის ორ ტურში გამარჯვებას რვამატჩიანი მოუგებელი სერია მოჰყვა. აბა, ასეთ შედეგს ჯონ ტოშაკს ვინ აპატიებდა?! და ნოემბრის თვეში „სამეფო კლუბი“ ვისენტე დელ ბოსკემ ჩაიბარა. ეს ადამიანი სამომავლოდ, „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების წარმატებაში უდიდეს წვლილს შეიტანს, თუმცა, მანამდე 1999 წლის მადრიდული ოდისეა საკმაოდ წარუმატებელი გამოუვიდა. „რეალ სოსიედადთან“ ნათამაშებ ფრეს, ჯერ „სელტასთან“, გასვლაზე მარცხი მოყვა, ხოლო შემდეგ, შინ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „სარაგოსამ“ პირწმინდად გაანადგურა „სამეფო კლუბი“ — ტაბლოზე 1:5 დაფიქსირდა. ჩემპიონთა ლიგაზეც ვერ იყო საქმე რიგზე. მაშინ, ლიგის ფორმატით, პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ, რომელიც „რეალმა“ პირველ ადგილზე დაასრულა, მერვედფინალების მაგივრად, მეორე ჯგუფური ეტაპი იმართებოდა. „რელთან“ ერთად, მიუნჰენის „ბაიერნი“, კიევის „დინამო“ და ნორვეგიული „რუსენბორგი“ განწესდნენ. ალბათ ქართველ გულშემატკივრებს ემახსოვრებათ მადრიდში გამართული თამაში კიევის „დინამოს“ მონაწილეობით. რაულმა მეთოთხმეტე წუთზე თერთმეტმეტრიანით გახსნა ანგარიში. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, ამ მატჩში კიდევ ორი პენალტი დაინიშნა — ერთი გიორგი დემეტრაძის საჯარიმოში წაქცევის გამო, მაგრამ 18 წლის კასილასმა რებროვის დარტყმული მოიგერია, ხოლო მადრიდელებმა რაულის წაქცევისთვის მიიღეს მეორე შანსი. დარტყმა თავად ესპანელთა შვიდიანმა შეასრულა და ამჯერად, შოვკოვსკი მოწოდების სიმაღლეზე დაუხვდა. კიეველებმა კი, ჯერ ორმოცდამეორე წუთზე კაშევიჩის გოლით უპასუხეს, შემდეგ ორმოცდამეთექვსმეტე წუთზე დემეტრაძემ

მარჯვენა ფლანგზე ბრწყინვალედ მოატყუა აიტორ კარანკა და მის ჩაწოდებას ვარდნაში ფერნანდო იერო მისწვდა, რომელმაც ავტოგოლი შეაგდო. მაგრამ, მადრიდელებს იმ დროისთვის ისეთი კოზირი ეკავათ ხელში, რომელიც არცერთ სხვა გუნდს არ გააჩნდა. ეს იყო რობერტო კარლოსი, ფენომენალური დარტყმის პატრონი. ბრაზილიელი ჯარიმის შესასრულებლად რომ დგებოდა, მინი საფეხბურთო ზეიმი იყო. ამ მატჩშიც, გვარიანად გრძელი მანძილიდან შეასრულა რობერტომ საჯარიმო დარტყმა და კიეველების მეკარემ ბურთის ხელში დაჭერა მოინდომა. კარლოსის დარტყმული რის დარტყმული იქნებოდა, რომ არ მოჭრილიყო?! შოვკოვსკისგან ასხლეტილი ბურთი კარში შეგორდა და სამოცდამეთორმეტე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 2:2. უნდა აღინიშნოს, მადრიდელებმა და კიეველებმა ჯგუფში ერთნაირი ქულები დააგროვეს (10-10), თუმცა უკრაინაში მატჩი ესპანელებს ჰქონდათ მოგებული და ამის წყალობით მეორე ადგილი დაიკავეს. მანამდე კი, მიუნჰენის „ბაიერნმა“ ჯერ მადრიდში 4-2, ხოლო შემდეგ შინ 4:1 გაანადგურა ესპანური გრანდი და „სამეფო კლუბმაც“ რის ვაი-ვაგლახით მოახერხა მეორე ეტაპის დაძლევა. მაგრამ, ბოსკეს ფენომენი სწორედ ამაში მდგომარეობდა, რომ არ უშინდებოდა წარუმატებლობას და გუნდის გაძლიერებას ცდილობდა. მეოთხედფინალში წინა წლის ჩემპიონს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუპირისპირდნენ. მადრიდში ნათამაშებ ფრეს (1:1) ესპანელების სრული დომინაცია მოყვა „ოლდ ტრაფორდზე“. ჯერ სალგადომ გაატანინა როი კინს ავტოგოლი მეთექვსმეტე წუთზე, შემდეგ ორმოცდამეათე წუთზე რაულმა ორამდე გაზარდა ანგარიში. ზუსტად ორ წუთში ფერნანდო რედონდომ მარცხენა ფლანგზე „წითელი ეშმაკების“ მცველს, ჰენინგ ბერგს, ქუსლით პატარა საფეხბურთო სასწაული ჩაუტარა, ფეხებს შორის გაუტარა ბურთი და კუთხურის ხაზთან მისულმა, რაულის მესამე გოლში დაიდო წვლილი. ამის შემდეგ „მანჩესტერელებს“ ოთხი გოლი სჭირდებოდათ, რაც უკვე წარმოუდგენელი იყო. მატჩი 2:3 დასრულდა, ესპანელებს უკვე დაეტყოთ დელ ბოსკეს ხელი და საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. ნახევარფინალში მადრიდელები ისევ ბავარიელებს შეხვდნენ, ამჯერად უკეთეს ფორმაში და პირველი მატჩი სრული

უპირატესობით წარმართეს — 2:0. გასვლაზე კი 1:2 დამარცხდნენ, თუმცა ნიკოლა ანელკას მიერ ოცდამეთერთმეტე წუთზე გატანილმა გოლმა, შეიძლება ითქვას, წერტილი დასვა ამ შეხვედრაში, რადგან რეალი ოთხი გოლის გამშვებ კლუბს აღარ გავდა. აქ, ხაზი გვინდა გავუსვათ ანელკას ფენომენს, რომელიც „რეალამდე“ საკმაოდ კარგად ასპარეზობდა „არსენალში“, მაგრამ მადრიდში მისი კარიერა ვერ აეწყო და ერთადერთი სარგებელი, შეიძლება ითქვას, „რეალს“ ნახევარფინალში მოუტანა, სადაც ორივე მატჩში თითო ბურთი გაიტანა. ფინალში „სამეფო კლუბი“ ფავორიტად არ მიიჩნეოდა. ჰექტორ რაულ კუპერის „ვალენსიამ“, როგორც ქარიშხალმა, ისე ჩაიქროლა მთელი „ლიგის“ მანძილზე და „ფლეი ოფებში“ ჯერ „ლაციო“ გაამწარა (5:2; 0:1), შემდეგ კი „ბარსელონა“ გაანადგურა (4:1; 2:1). აღსანიშნავია, რომ „მესტალიაზე“ პირველ მატჩებს ისეთი სხვაობით იგებდა გუნდი, რომ ფაქტობრივად, ორრაუნდიანი ბრძოლის ბედს წყვეტდა. თუმცა, ბოსკე რისი ბოსკე იქნებოდა, „ღამურების“ შეტევითი პოტენციალისთვის რამე რომ არ მოეხერხებინა და შეიძლება ითქვას, მენდიეტას, „ვალენსიელების“ მთავარ დირიჟორს, ფეხი არ გაანძრევინა. მორიენტესის გატანილს მაკმანამანმა დაუმატა და ულამაზესი გოლი შეაგდო. საბოლოო წერტილი რაულმა დასვა სამოცდამეთხუთმეტე წუთზე, როცა კონტრიერიშზე ნახევარ მოედანზე მეტი მარტომ ირბინა და მეკარის მოტყუების შემდეგ, მშვიდად შეაგორა ბურთი კარში — 3:0. ერთი წლის შემდეგ, „ვალენსია“ ისევ ითამაშებს ფინალს, ამჯერად მიუნჰენის „ბაიერნთან“, მაგრამ თერთმეტმეტრიანებში ოლივერ კანი შეუვალი იქნება და სამ დარტყმულს მოიგერიებს, რის შედეგადაც თასი გერმანიაში გაემგზავრება. ამით დასრულდა „ვალენსიას“ ევროპული ფეხბურთის ეპოპეა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუნდმა უეფას თასი მოიგო, მაგრამ ზედიზედ ორი წაგებული ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ, „უეფას თასის“ ჩემპიონობა რა მოსატანია?!

ალბათ, უსამართლობა იქნება, ორიათასიანი წლების ესპანურ ფეხბურთზე ვისაუბროთ და „დეპორტივო“ არ ვახსნოთ. გუნდმა, რომელმაც საკმაოდ სიმპათიურ კოლექტივს მოუყარა თავი და 2000 წელს „ლა ლიგაში“ გაიმარჯვა. რამდენიმე წელი ჩემპიონთა ლიგაზეც

ასპარეზობდა და ალბათ, ამ ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაუვიწყარი დაპირისპირებაც სწორედ „დეპორის“ მონაწილეობით შედგა — 2003/2004 წლების სეზონზე, „დეპორტივომ“ „მილანთან“ გასვლაზე 4:1 წააგო, თუმცა შინ 4:0 გაანადგურა იტალიური გრანდი და გზა ნახევარფინალისკენ გაიკვალა. ორიათასიანების დასაწყისის ესპანურ ფეხბურთს მეტად ალამაზებდა „მალიორკას“ სწრაფი თამაში. მაშინ სამუელ ეტოო სისხლს უშრობდა ნებისმიერი გუნდის დაცვის ხაზს. „რეალიდან“ გაშვებული კამერუნელი — ჯერ „მალიორკას“, შემდეგ კი „ბარსას“ რიგებში „სამეფო კლუბის“ ამწიოკებლად იქცა. აუცილებლად გასახსენებელია „ალავესის“ ასპარეზობაც. ამ გუნდმა 2001 წელს უეფას თასის ფინალში გააღწია და ალბათ, ამ ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და დრამატული მატჩი შექმნა „ლივერპულთან“ ერთად. ოუენი, ჯერარდი, ჰესკი, ჰამანი... ეს არასრული ჩამონათვალია მერსისაიდელთა ვარსკვლავების, რომლებიც თავიდან (2:0) დაწინაურდნენ კიდეც. შემდეგ ტაბლოზე 3:1 აციმციმდა, მაგრამ კოსმინ კონტრას ჩაწოდებას, ორმოცდამეშვიდე წუთზე ხავიერ მორენოს გოლი მოყვა და ანგარიში 3:2 გახდა. მორენომ ორ წუთში ისევ შეძლო ლივერპულელთა დამწუხრება და ანგარიში გაათანაბრა. ჰესკის მაგივრად შემოსულმა რობი ფაულერმა სამოცდამეთორმეტე წუთზე „წითლები“ ისევ წინ გაიყვანა (4:3), თუმცა დიდი კრუიფის ვაჟმა, ჟორდი კრუიფმა კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავური დარტყმით მიმართულება შეუცვალა და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა. დამატებითი დრო „ალავესის“ ფეხბურთელებისთვის ნამდვილი კოშმარი გამოდგა. ჯერ ოთხმოცდამეთვრამეტე წუთზე მაგნო გააძევეს მოედნინად, შემდეგ, საჯარიმოსთან ახლოს, შმიცერის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის გუნდის კაპიტანი ანტონიო კარბონა გააგდეს. ცხრა კაცით დარჩენილ ესპანელებს დიდხანს აღარ უწვალიათ, იმავე ჯარიმიდან ჩამოწოდებული ბურთი დელფიმ საკუთარ კარში გადაგზავნა. ასე დასანანად, ავტოგოლით დასრულდა ეს მეტად შთამბეჭდავი და დაძაბული ფინალი — მაშინ ოქროს ბურთის წესი მოქმედებდა. „ალავესმა“ დიდი ხნით ვერ შეძლო შეენარჩუნებინა მყარი პოზიციები და მისი მზე მალევე ჩაესვენა. ასევე, აღნიშვნის ღირსია „რეალ სოსიე-

დადი“, რომელიც 2002/2003 წლების სეზონში ოცდამეჩვიდმეტე ტურს პირველი ადგილით დახვდა, თუმცა ვიგოში სელტასთან 2:3 დამარცხდა, — შედეგად კი რონალდოსა (ბრაზილიელი) და ზიდანის „რეალს“ გადასწრების საშუალება მისცა. ამ უკანასკნელმა ბოლო ტურში ბილბაოს „ატლეტიკი“ 3:1 დაამარცხა და სან სებასტიანელებს გარჯა (შინ მადრიდის ატლეტიკოსთან 3:0) წყალში ჩაუყარა. სხვათაშორის, ამ სეზონშიც გაამწარა „რეალი“ „მალიორკამ“ – „ბერნაბეუზე“ 1:5 დაამარცხა და შინ განცდილი მარცხისთვის სრული რევანში აიღო. იქაც 1:5 დაფიქსირდა ანგარიში, ოღონდ „რეალის“ სასარგებლოდ. წარმოიდგინეთ, — კასილასი, კარლოსი, მაკელელე, ზიდანი, ფიგუ, რონალდო და სხვა ვარსკვლავებით მოჭედილი სტადიონი რა მდგომარეობაში იქნებოდა, როცა მალიორკელები გოლს გოლზე იტანდნენ და მადრიდელი გულშემატკივრის ნერვებზე ვიოლინოს უკრავდნენ.

ოცდამეერთე საუკუნის ესპანური ფეხბურთის საშუალო დონის გუნდებიდან, ალბათ, ყველაზე გამოსარჩევი „სევილიაა“, რომელიც უკანასკნელი წლებია, ან ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობს ან ევროპის ლიგას იგებს. ეს ტურნირი სევილიელებმა ხუთჯერ მოიგეს, რის გამოც, ხუმრობით, ევროპის რიგით მეორე საკლუბო ტურნირს „სევილიის თასსაც“ უწოდებენ. დღესდღეობით გუნდში საკმაოდ კარგი შემადგენლობაა შეკრებილი. „მანჩესტერ სიტიდან“ ნოლიტო და ხესუს ნავასი დაიმატეს, რამაც მათი შეტევითი პოტენციალი ერთიორად გაზარდა.

სანამ გრანდებზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით „ბილბაოს ატლეტიკსაც“ შევეხოთ. ბასკური კლუბი ერთადერთია, რომელშიც ლეგიონერს არასდროს უთამაშია და ამავდროულად, არასდროს გავარდნილა ქვედა დივიზიონში. „ატლეტიკის“ მიღწევებზე ვერ ვიტყვით, დაუსრულებელი საუბარი შეგვიძლიაო, მაგრამ ერთ ფრიად მნიშვნელოვან მომენტს გავახსენებთ ქართველ გულშემატკივარს. 2016 წელს, ევროპის სუპერთასის ეგიდით, თბილისში „ბარსა“ - „სევილიას“ შეხვედრა შედგა, სულ რაღაც სამ დღეში კი კატალონიელები ბასკებს დაუპირისპირდნენ ესპანეთის სუპერთასზე, სადაც ორრაუნდიანი ბრძოლის ბედი პირველივე თამაშისას გადაწყდა. ბილბაოში ჩასულ ჩემპიონებს მეტად „არასტუმართმოყვარედ“ დახვდნენ სტუმართმოყვა-

რე მასპინძლები და 4:0 გაანადგურეს, ხოლო „კამპ ნოუზე“ მატჩი 1:1 დასრულდა. მაშინ, ალბათ, გულშემატკივარს შთაბეჭდილება დარჩა, რომ კატალონიური ეპოქა დასრულდა და ის საოცარი ფეხბურთი, რომელსაც ბარსელონელები თითქმის 10 წელი აჩვენებდნენ, წარსულს ჩაბარდა. სიმართლე ითქვას, 2016 და 2017 წლების სეზონები „ბარსამ“ ჩვეულ სტილში ვერ ჩაატარა. მართალია 2016 წელს „ბარსელონამ“ „ლა ლიგის“ თასი მოიპოვა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე მადრიდის „ატლეტიკოს“ ბარიერი ვერ გადალახა და ფინალში „ელ კლასიკოს“ მაგივრად მადრიდული დაპირისპირება შედგა, სადაც სერხიო რამოსმა კიდევ ერთხელ გაამწარა თანაქალაქელები. რამოსის გოლს კარასკომ უპასუხა სამოცდამეცხრამეტე წუთზე. დამატებითი დროც გატანილი ბურთების გარეშე დასრულდა, ხოლო პენალტების სერიაში „სამეფო კლუბმა“ იმარჯვა და 6:4 დაამარცხა „ატლეტიკო“. რაც შეეხება „ბარსას“ — არც 2017 გამოდგა შედეგიანი, ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილს დასჯერდა და ჩემპიონთა ლიგაზე, ისევ ნახევარფინალში — ტურინის „იუვენტუსთან“ პირწმინდად დამარცხდა. გასვლაზე გამანადგურებელი ანგარიშით (3:0) წააგო და სახლშიც უსახური თამაში ჩაატარა (0:0). თუმცა, ამ წელს კატალონიელებმა ორი გენიალური თამაში ითამაშეს — ერთი „ნოუ კამპზე“ პარიზელებთან, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, სადაც გასვლაზე წაგებული ჰქონდათ 0:4. ამხელა სხვაობის აღმოფხვრა, მით უმეტეს, ისეთი დონის გუნდის წინააღმდეგ, როგორიც „პარი სენ-ჟერმენია“, ფანტასტიკის სფეროს წარმოადგენს, მაგრამ „ბარსა“ რის „ბარსაა“, თუ სასწაული არ შემოგვთავაზა. ანგარიში 3:1 იყო კატალონიელების სასარგებლოდ და კიდევ სამი ბურთის გატანა სჭირდებოდათ. მერე კი მოვლენები ასე განვითარდა... ნეიმარმა ოთხმოცდამერვე წუთზე შესანიშნავი ჯარიმა შეაგდო. ოთხმოცდამეთერთმეტე წუთზე თერთმეტმეტრიანი მანვე გაიტანა და ოთხმოცდამეთხუთმეტე წუთზე სერხი რობერტოს მისამართით ისე ჩააწოდა ჯარიმიდან, რომ გოლის ვერგატანა ძალიან ძნელად მოსახერხებელი იქნებოდა. ამ საოცარი მატჩის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშანსოდ ჩაბარა „იუვეს“ ფინალის საგზური. „ბარსელონას“ მეორე თამაში მადრიდში ჰქონდა „რეალთან“, ჩემპი-

ონატის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე ამდენივე ქულით აგებდა და თუ გავითვალისწინებთ მადრიდელების მაშინდელ ფორმას, სხვის იმედზე დარჩენა ჩემპიონატის წაგებას ნიშნავდა. ამიტომ „ბარსას“ რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა აეღო სამი ქულა და ინტრიგა შეენარჩუნებინა. ასეთი სანახაობრივი და დაძაბული „ელ კლასიკო“ იშვიათად თუ ყოფილა. კაზემირომ გახსნა ანგარიში, როგორც სჩვევია ამ უნიკალურ საყრდენს — იგი ხომ გადამწყვეტ მატჩებში ხშირად იტანს გოლს. თუმცა, მალევე მესიმ და შემდეგ რაკიტიჩმა ორი ბურთი გაიტანეს. თამაშის სამოცდამეჩვიდმეტე წუთზე, შეიძლება ითქვას, საკამათო სიტუაციაში რამოსი გააძევეს მოედნიდან და წესით ათკაციან „რეალს“ ყაიმის შანსიც არ უნდა ჰქონოდა, თუმცა ოთხმოცდამეორე წუთზე ბენზენმას მაგივრად გამოსულმა ხამეს როდრიგესმა ოთხმოცდამეექვსე წუთზე ანგარიში გაათანაბრა და ცივი წყალი გადაავლო კატალონიელებს, მაგრამ მესის ფენომენი კიდევ ერთხელ მოევლინათ ბარსელონელებს მხსნელად და ამ კაცმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უდიდესი ფეხბურთელია. ოთხმოცდამეცამეტე წუთზე მან მორიგი გოლი შეაგდო და მერე მაისურიც გაიხადა, მშვიდად აჩვენა საკუთარი გვარი და ათიანი გულშემატკივარს. ისე, მესიზე უნდა ითქვას, კრიშტიანო რონალდოსგან განსხვავებით, ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა და „ლა ლიგას“ ინტრიგა დაუტოვა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ბარსამ“ ჩემპიონატი ვერ მოიგო, „რეალმა“ მაინც შეძლო დარჩენილ ტურებში ქულების აღება და პირველი ადგილიც გაიფორმა.

მოკლედ, „ბარსელონაზე“ ძალიან ბევრის თქმა შეგვიძლია, თუმცა აჯობებს, ძირითადი ასპექტები და გუნდის ფილოსოფია გამოვყოთ. როგორც პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, კატალონიელები ფულს არასდროს იშურებდნენ ლეგიონერებში, მაგრამ მათ შედეგებს შთამბეჭდავს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ ორიათასიან წლებამდე. ამ პერიოდში კი, გუნდის ფილოსოფია აშკარად შეიცვალა და აქცენტი კლუბის აღზრდილებზე გაკეთდა. პუიოლი, ხავი, ინიესტა, ბუსკეტსი... ეს არასრული ჩამონათვალია იმ ვარსკვლავებისა, რომლებიც „ბარსას“ აკადემიაში აღიზარდნენ და წარუშლელი კვალი დატოვეს საფეხბურთო ისტორიაში... ტრანსფერებს რაც შეეხება, ალბათ საუკუნის ტრანსფერი მაინც

რონალდინიო გაუჩოს შეძენა იყო. თურმე, ბრაზილიელის შესყიდვას „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ცდილობდა და ნისლიან ალბიონსაც კი ეწვია ფეხბურთელი, მაგრამ სეზონის ყველაზე ცივ პერიოდში. სწორედ ამის მერე გადაწყვიტა რონალდინიომ, ინგლისზე ფიქრი შეეწყვიტა და მზიან კატალონიაში გადაბარგებულიყო. 2006 წლის ტრიუმფი, ალბათ მწვრთნელ რაიკაარდზე უფრო მეტად ამ ფენომენალური ფეხბურთელის დამსახურებაა, როგორც თავად ამბობდა — „თამაშის დროს სამბას ჰანგები ჩამესმისო“ — მართლაც, თითქოს, ცეკვავდა, ისეთ ფინტებს ასრულებდა და მის მიერ ბურთის მიღება ხომ გულშემატკივარში უდიდეს მოლოდინს აღძრავდა. სამწუხაროდ, რონალდინიოს ფანტასტიკური თამაში დიდ ხანს არ გაგრძელებულა, წლებთან ერთად მისი მარგი ჩვენების კოეფიციენტი იკლებდა და შედეგებიც შესაბამისი იყო. გაჩემპიონების შემდეგ, 2006/2007 წლების ჩემპიონთა ლიგის სეზონში გუნდი მერვედფინალში გამოეთიშა ტურნირს და გზა მომავალ ფინალისტს „ლივერპულს“ დაუთმო. შემდეგ წელს ნახევარფინალი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დათმეს და „ლა ლიგაში“ მესამე ადგილი დაიკავეს, რაც დამეთანხმებით, „ბარსასთვის“ შეუსაბამო პოზიციაა. სეზონის ბოლოს ბრაზილიელი მილანში გადაბარგდა და ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება ნათქვამი, რომ ამ ვირტუოზის მზე საბოლოოდ ჩაესვენა, თუმცა კატალონიაში მესის, ხავისა და ინიესტას მზე მცხუნვარედ ანათებდა და „ბარსას“ კაშკაშა მომავალი სულ ახლოს იყო. გვინდა 2008/2009 წლის „ჩემპიონთა ლიგის“ ნახევარფინალი გავიხსენოთ, სადაც კატალონიელები ლონდონის „ჩელსის“ დაუპირისპირდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ „არისტოკრატებს“ ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავდათ. მეკარე — პეტერ ჩეხი, დაცვის ბურჯი — ჯონ ტერი, ნახევარდაცვა კი ნებისმიერ მოწინააღმდეგეს ხასიათს წაუხდენდა... ესიენი, ლამპარდი, ბალაკი... თავდასხმაში დროგბა ბრწყინავდა. პირველი მატჩი კატალონიაში 0:0 დასრულდა და ყველაფერი განმეორებით შეხვედრაში უნდა გადაწყვეტილიყო. სამოცდამეექვსე წუთზე „ბარსას“ ერიკ აბიდალი გაუძევეს, თან გუნდი მინიმალური სხვაობით აგებდა, „ბარსელონას“ მეცხრე წუთზე ესიენმა დაულაშქრა კარი. აი, უკვე ოთხმოცდაათი წუთი მიილია, ათკაციან „ბარსელონას“ კართან რამ-

დენიმე ასპროცენტიანი მომენტიც შეიქმნა, მაგრამ ანგარიში 1:0 ლონდონელებს ფინალში გასვლისთვის ყოფნიდათ და როგორც ჩანს, წინა დღით გამოვლენილ მეორე ფინალისტზე, „მანჩესტერ იუნაიტედზე“ გადაერთვნენ ფიქრებით, თუმცა, ვინ აცადა?! ოთხმოცდამეცამეტე წუთზე ინიესტამ ისარგებლა მესის დაგორებული ბურთით და საჯარიმოს გარედან ეფექტური გოლი გაიტანა. უნდა ითქვას რომ ინიასტას უდიდესი თვისება — კონცენტრაციის უნარი და გადამწყვეტ მატჩებში გოლის გატანაა. ერთი წლის შემდეგ, სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც ინიესტა დაამწუხრებს ჰოლანდიელებს და ესპანელებიც პირველად აღმართავენ ყველაზე ფასეულ საფეხბურთო თასს. გვსურს მცირედი ყურადღება ხავი-ინიესტას წყვილსა და მათ მიერ შექმნილ ეპოქას დავუთმოთ. თანამედროვე ფეხბურთში უმნიშვლოვანესი როლი ეკისრება ნახევარდაცვის ხაზს. ბურთის ამოტანა და თავდამსხმელებამდე მიტანა თუ დაცვითი სამუშაოების ჩატარება — თანაბარმნიშვნელოვანია ნახევარდამცველთათვის და გუნდი, რომელიც მეტოქეს ჩაგრავს მოედნის ცენტრში, უმეტეს შემთხვევაში, გამარჯვებასაც აღწევს. ხავისა და ინიესტას ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება, მათი ზუსტი გადაცემების მაჩვენებელი თუ კრეატიულობა, ალბათ, სამაგალითოა ნებისმიერი ნახევარმცველისთვის. ამ ორი უდიდესი ტალანტის გვერდით, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ჩამშლელი ნახევარმცველი სერხიო ბუსკეტსი ირჯებოდა. ცენტრში ასეთი უპირატესობის მოპოვება სანახევროდ ნებისმიერი მატჩის მოგებას ნიშნავდა. ამ ყველაფერს თუ მესის ფაქტორსაც დავუმატებთ, შედეგად მივიღებთ იდეალურ კოლექტივს, რომელმაც 2009 და 2011 წლებში ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ალბათ, გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ფეხბურთის მსოფლიო ისტორიაში — ის „ბარსელონა“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო!

კატალონიური გუნდის საბოლოო აღზევებაში უდიდესი წვლილი შეიტანა პეპ გვარდიოლამ, რომელიც 1990-2001 წლებში „ბარსას“ რიგებში ირიცხებოდა და საკმაოდ ნიჭიერი მოთამაშის სტატუსიც დამსახურებულად მიიღო. თუმცა, როგორც მწვრთნელი, მშობლიურ კლუბს კიდევ უფრო მეტად გამოადგა და რაც მთავარია, ზედგამოჭ-

რილი კანდიდატი აღმოჩნდა. პეპმა 2008 წელს ჩაიბარა გუნდი და პირველივე სეზონში ჰეთ-თრიკი დააფიქსირა ანუ „ლა ლიგა“, ესპანეთის თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ერთ-ერთ გადაცემაში, კარიერის დასრულების შემდეგ, ტიერი ანრი ჰყავდათ მიწვეული, რომელიც გვარდიოლას გუნდში ირიცხებოდა. მან ორიოდე სიტყვით ჩამოაყალიბა კატალონიელის ფილოსოფია: „პეპი მოედანს ოთხ მეოთხედად ყოფდა და გვეუბნებოდა, რომ მისი საზრუნავია ფეხბურთელებმა მოედნის სამი მეოთხედი გაიარონ დაუბრკოლებლად, ხოლო უკანასკნელ მეოთხედში ანუ მეტოქის კართან, რაც უნდათ, ის უქნიათ“. გვარდიოლა სრულ თავისუფლებას აძლევდა და ენდობოდა თითოეულ ბარსელონელს. მისი ფილოსოფიის ღერძი სწორედ ნდობაზე იყო აგებული და მოთამაშეებს, ფაქტობრივად, უკრძალავდა საკუთარი ზონების დატოვებას, რადგან აუცილებელი იყო პასის შემთხვევაში ფეხბურთელი ბურთს დახვედროდა. კატალონიელებს კი, პასები და „ტიკი-ტაკა“ როგორ გამოსდით, ყველამ კარგად ვიცით. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ სწორედ გვარდიოლას უკავშირდება ის ეპოქა, როდესაც „ბარსა“ წარმოუდგენელი სანახაობის მატჩებს ატარებდა და საკუთარი ისტორია ოქროს ასოებით დაწერა.

კატალონიელებმა კიდევ ერთხელ შეძლეს ჰეთ-თრიკის გამეორება — 2015 წელს ლუის ენრიკეს ხელმძღვანელობით, მაგრამ მომდევნო ორი წლის განმავლობაში, ჩემპიონთა ლიგის თასი — „ბარსელონას“ მტერს, მადრიდის „რეალს“ დარჩა.

ესპანეთის „სამეფო კლუბზე“ ზემოთაც ვისაუბრეთ, თუმცა უმჯობესი იქნება, უფრო ვრცლად განვიხილოთ ამ გრანდის ასპარეზობის ისტორია. როცა მადრიდელებმა 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რაულისა და ზიდანის საოცარი გოლის წყალობით, ლევერკუზენის „ბაიერი“ 2:1 დაამარცხეს, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ 12 წელი დასჭირდებოდათ მომდევნო ტიტულის მოსაგებად. თუმცა, მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ: 2003 წლის მეოთხედფინალში, ჩვენი აზრით, ამ ტურნირში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩატარდა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდელებმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ 3:1 მოუგეს და „ოლდ ტრაფორდზე“ დამშვიდებულები გაემგზავრნენ. „ნისლიან ალბიონზე“

რონალდო (ფენომენი) შეუჩერებელი იყო და ჰეთ-თრიკი გაიფორმა. თუმცა, მანჩესტერელებმა სამჯერ გაათანაბრეს და ოთხმოცდამეორე წუთზე შეცვლაზე შემოსულა ბექჰემმა 4:3 გახადა ანგარიში. მაშინ „ბექსის“ წყალი ჰქონდა შემდგარი ფერგიუსონთან დაპირისპირების გამო და მისი წასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, თუმცა ამ საოცარი მიზნის მქონე ფეხბურთელის მოედანზე ყოფნა გარკვეულ ინტრიგას სძენდა მატჩს. იმ დროს, ჯერ კიდევ, ცოცხლობდა მითი იმის თაობაზე, რომ „წითელ ეშმაკებს“ მატჩების მოგება შეუძლიათ მსაჯის მიერ კომპენსიერებულ დროში. ჰოდა, ოთხმოცდამეორე წუთიდან მოყოლებული, მეტად დაიძაბა თამაში — ჯერ გიგზს ჰქონდა კარგი შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა, ხოლო შემდეგ იგივე ბექჰემმა ვერ გაიტანა საკმაოდ ხელსაყრელი საჯარიმო დარტყმის შედეგად და მანჩესტერელები ლიგას გამოეთიშნენ. „რეალი“ ნახევარფინალში „იუვენტუსს“ დაუპირისპირდა და შინ მოგებული (2:1) მატჩის მერე ტურინში 3:1 დამარცხდა. როგორც ჩანს, ეს მარცხი დელ ბოსკეს არ აპატიეს და გუნდში ცვლილებები დაიწყო. ცვლილებები ვუწოდეთ, მაგრამ ვარსკვლავებით „მოჭედილი“ გუნდი 2011 წლამდე, სანამ მოურინიო არ მოვიდა, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლასაც კი ვერ ახერხებდა. ბოსკეს გაშვების შემდეგ განხორციელდა, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად გაუმართლებელი სატრანსფერო პოლიტიკა. ვინსენტეს წასვლას ჯერ კლოდ მაკელელეს გადასვლა მოჰყვა „ჩელსიში“, შემდეგ ესტებან კამბიასოს ტრანსფერი მილანის „ინტერში“. ნახევარდაცვის ეს ორი ბურჯი, იმ პერიოდისთვის საუკეთესო საყრდენებად მოიაზრებოდნენ და მათი წასვლით „სამეფო კლუბის“ დაცვითი პოტენციალი სრულებით მოიშალა. არადა, ამ ორი უნიჭიერესი ფეხბურთელის შემცვლელის მოძებნა საკმაოდ ძნელი საქმე იყო. სამაგიეროდ, მადრიდელები ფულს არ იშურებდნენ დევიდ ბექჰემისა და ოუენის ტრანსფერებში. გრავესენის გადმოსვლამ კი, რომელიც სწორედ ნახევარდაცვის საყრდენ ზონაში უნდა განწესებულიყო, ვერ გამოასწორა ვითარება და საცოდაობა ტრიალებდა „სანტიაგო ბერნაბეუზე“, სადაც ზიდანი, ფიგუ, ბექჰემი, რონალდო, რაული, ოუენი, კარლოსი და სხვა ვარსკვლავები, შეიძლება ითქვას, წვალობდნენ და უსახურ მატჩებს ატარებდნენ. ამაზე

შედეგებიც მეტყველებს: ბოსკეს წასვლიდან 5 წელი დასჭირდა გუნდს, რომ ესპანეთის ჩემპიონი მაინც გამხდარიყო... რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება მადრიდული გუნდისთვის დაუშვებელი იყო და ცვლილებების აუცილებლობა ნათელი გახდა, მით უმეტეს, ამ პერიოდში „ბარსას“ ეპოქა იდგა არა მხოლოდ ესპანეთის, არამედ ევროპის მასშტაბითაც და მადრიდელებმაც მოქმედება დაიწყეს. რამდენიმე უიღბლო მწვრთნელის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2011 წელს ჟოზე მოურინიო მოვიდა გუნდში. „განსაკუთრებულმა“ პირველივე სეზონში განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი: იოზილი, ხედირა, დი მარია და სხვა... მისვლისთანავე დიდი წარმატება არ დაუფიქსირებია, მაგრამ გუნდი რვაწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა და საფეხბურთო ელიტას დაუბრუნა. მოურინიოს სამწლიანმა თავკაცობამ, შეიძლება ითქვას, ძველი დიდების ნანგრევები სრულად გაწმინდა და ახალი საფუძველი ჩაყარა ძლიერი გუნდის ასაშენებლად. 2013/2014 წლების სეზონში კარლო ანჩელოტი ჩაუდგა გუნდს სათავეში, რომელმაც თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. „პაპა კარლო“ კიდევ ერთი სეზონი დარჩა, თუმცა ვერც ლიგა მოიგო და ვერც ესპანეთის ჩემპიონატი — ჰოდა, რაფა ბენიტესით ჩაანაცვლეს, ბენიტესიც ჩაანაცვლეს იმავე სეზონში, არ აცადეს დასრულება და კიდევ კარგი... ამის შემდეგ გუნდში ლეგენდა მოვიდა — ზინედინ ზიდანი — გენიალური ათიანი, დიდი ინტელექტუალი და ავტორიტეტი. მოვიდა და მადრიდის „რეალი“ ზენიტში აიყვანა. ორჯერ ზედიზედ ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ისტორია დაწერა, თუმცა აღსანიშნავია, რა თამაშით მოიგო?! ლუკა მოდრიჩსა და ტონი კროოსს ყველასათვის უცნობი კაზემირო შეუწყვილა საყრდენ ნახევარმცველად და ალბათ, დღესდღეობით საუკეთესო ნახევარდაცვის ხაზი სწორედ მადრიდელებს გააჩნიათ. თუმცა ზიდანის მთავარ დამსახურებად ისკოს ფენომენალური თამაში მიგვაჩნია. ამ ბიჭს მწვრთნელის ხელი აშკარად დაეტყო — ისკოს აქვს იმის პოტენციალი, რომ ფეხბურთის ისტორიაში საკუთარი სახელი დიდი ასოებით ჩაწეროს.

ბოლოსკენ, ორიოდე სიტყვა მადრიდის „ატლეტიკოზეც“ ვთქვათ. მადრიდელებს საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავდათ ორიათასიანი

წლების შუა პერიოდში: ფერნანდო ტორესი, დიეგო ფორლანი, კუნ აგუერო და სხვები, მაგრამ ამ გუნდმა პიკს დიეგო სიმეონეს ხელმძღვანელობით მიაღწია. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გუნდი — „რეალთან", „ბარსასთან", ტურინის „იუვენტუსთან" და მიუნჰენის „ბაიერნთან" ერთად, შედეგებით, ევროპის ხუთეულშია შესული (იგულისხმება ჩემპიონთა ლიგის მონაცემები). „ატლეტიკოს" მოთამაშეები დაცვით ფეხბურთს თამაშობენ, თუმცა მათი მატჩები საკმაოდ სანახაობრივი გამოდის. 2014 და 2016 წლებში, ჩემპიონთა ლიგის ფინალებში — თანაქალაქელ „რეალთან" მეტად დრამატულ მატჩებში დამარცხდნენ, თუმცა ჩვეული ფორმა არ დაუკარგავთ და ისევ ინარჩუნებენ პოზიციებს. ნაკრებსაც საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელებით ამარაგებენ, რომლებზედაც მოგვიანებით გავამახვილებთ ყურადღებას.

ახლა ისევ „ფურია როხას" დავუბრუნდეთ — 2004 წელს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე შევჩერდით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესპანეთის ნაკრები მეტად უსახურად გამოვიდა პორტუგალიაში და ჯგუფური ეტაპიც კი ვერ დაძლია. 2006 წლის გერმანიის მუნდიალზე ესპანელების ძირითად ბირთვს სწორედ ის ფეხბურთელები წარმოადგენდნენ, რომლებიც მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში მსოფლიოს ესპანური ხარივით გადაურბენენ და სამჯერ მოიგებენ პრესტიჟულ ჩემპიონატებს. თუმცა, მანამდე ჯგუფურ ეტაპს წარმატებით, ცხრა ქულით დაძლევენ და მერვედფინალში მომავალ ფინალისტთან, საფრანგეთის ნაკრებთან დამარცხდებიან ანგარიშით 1:3. ამ დროს „ფურია როხას" ყავს მწვრთნელი, რომელიც ძალიან რისკიან ნაბიჯს გადადგამს და რაულს, ესპანელების ლეგენდას — 2008 წელს, ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანს. ვფიქრობთ, არაგონესის გადაწყვეტილება არ უნდა ყოფილიყო რაულის ცუდი სათამაშო ფორმიდან გამომდინარე მიღებული, უბრალოდ, მადრიდელების ყველაზე გავლენიანი ფიგურის იგნორირებით მწვრთნელმა კატალონიური „კლანი" გააძლიერა და „ბარსას" ფეხბურთელებს შეუწყო ხელი, გუნდის ძირითადი ბირთვი ჩამოეყალიბებინათ. „სამეფო კლუბიდან" მეკარე კასილასი და მცველი სერხიო რამოსი იყვნენ გუნდის ძირითად შემადგენლობაში, ხოლო კატალონიელთა მხრიდან: ინიესტა, ხავი და პუიოლი. ამგვარად, რაუ-

ლის დატოვებამ მადრიდულ-კატალონიურ დაპირისპირებაში აშკარად განაპირობა ბარსელონელების უპირატესობა და შედეგად „ბარსას“ თამაში განვითარდა ნაკრებში და არა მადრიდული. არაგონესს რომ ევრო 2008 წაეგო, მის გადაწყვეტილებას, ალბათ ყელში ამოადენდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კაცმა საკუთარი საქმე კარგად იცოდა და 1964 წლის შემდეგ „ფურია როხამ“ კიდევ ერთხელ აღმართა ევროპის ჩემპიონატის თასი.

ორი წლის შემდეგ, სამხრეთ აფრიკაში, ესპანელები ფავორიტების როლში ჩავიდნენ. არაგონესი ბოსკეს ჩაენაცვლებინა, რომლის შესახებაც საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ, თუმცა ამჯერად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოსკემ ესპანეთის ნაკრები გარდაქმნა და ერთიორად გააძლიერა. „ფურია როხას“ მოთამაშეთა ბურთის კონტროლის პროცენტული მაჩვენებელი წარმოუდგენელ ციფრებს აღწევდა. დაკარგვისთანავე ხორციელდებოდა საკმაოდ ინტენსიური პრესინგი და ფაქტობრივად, მეტოქეებს უბურთოდ უწევდათ თამაში. ესპანურმა „ტიკი-ტაკამ“, რაც ბურთის მოკლე მონაკვეთში სწრაფ გათამაშებას ეწოდება, აშკარად დაჩრდილა ყველა იმ დროისთვის არსებული ტაქტიკური მონახაზი და შედეგმაც არ დააყოვნა. თუმცა, უნადა ითქვას, ჩემპიონატი წაგებით დაიწყეს შვეიცარიასთან (0:1). შემდეგ ჯგუფში ორი მატჩი მოიგეს და მერვედფინალიდან დაწყებული, ფინალის ჩათვლით, ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ყველა მეტოქე. ფინალიც დაძაბული გამოდგა — ჰოლანდიელებს ბურთის გატანის შანსი ჰქონდათ, თუმცა ესპანელთა მეკარემ „ნარინჯისფერთა“ უსწრაფეს ვარსკვლავს, არიენ რობენს ორჯერ ერთი-ერთზე აჯობა და სასწაულებრივად იხსნა საკუთარი გუნდი გაშვებული გოლებისგან. სამაგიეროდ, დამატებულ დროში ანდრეს ინიესტამ გადამწყვეტი გოლი გაიტანა და ესპანელები მსოფლიო ჩემპიონები გახადა!

ორი წლის შემდეგ, ევროპის პირველობაზე, პირენეელებმა საერთოდ დაუმალეს ბურთი მეტოქეებს და მათმა ბურთის ფლობამ პიკს მიაღწია. დელ ბოსკეს, ხშირად ნომინალური თავდამსხმელიც არ გამოჰყავდა მოედანზე და 4-6 ტაქტიკით თამაშობდა. „ფურია როხამ“ ტურნირი იტალიის ნაკრებთან ყაიმით (1:1) დაიწყო და იგივე იტალიელებს ფინალი 4:0 მოუგო.

ისე ჩანდა, თითქოს ესპანელების გამჩერებელი აღარავინ დარჩა და მომდევნო მუნდიალიც მათი დომინაციით უნდა წარმართულიყო, თუმცა პირველივე მატჩში, ჰოლანდიასთან გამოჩნდა, რომ ნაკრებში ძალიან სერიოზული პრობლემები დაგროვილიყო. „ნარინჯისფერებმა“, პირველი გაშვებული გოლის შემდეგ, 5 უპასუხო ბურთი გაიტანეს და მთელი საფეხბურთო მსოფლიო გაკვირვებული დატოვეს. აბა, ვინ წარმოიდგენდა, კასილასის, პიკეს, რამოსის, ჟორდი ალბასა და ასპილიკუეტას მიერ აღმართულ დაცვის კედელს ხუთ ბურთს თუ გაუტანდნენ... ამ მატჩში, მეოთხმოცე წუთზე, როდესაც რობენმა „საკონტროლოდ გაისროლა“ და ტაბლოზე 5:1 აანთო, ალბათ მთელი ნაკრების შინაგანი მდგომარეობა გამოჩნდა. არიენმა დაახლოებით ათმეტრიანი დისტანცია აღმოუფხვრა სერხიო რამოსს და მოედნის ცენტრში ბურთთან მისვლა პირველმა შეძლო — ესპანელები დაიღალნენ! არამხოლოდ ფიზიკურად, შეიძლება ითქვას, ემოციურადაც. 2014 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში — მადრიდის „ატლეტიკო“ და „რეალი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და სწორედ რამოსის გოლმა გადაიყვანა თამაში დამატებით დროში. “რეალმა” 2002 წლის შემდეგ პირველად აღმართა ჩემპიონთა ლიგის თასი. „ბარსას“ რაც შეეხება, მეოთხედფინალში „ატლეტიკომ“ გამოთიშა ასპარეზობას. ზოგადად, 2014 წლიდან მოყოლებული, ესპანური საკლუბო ფეხბურთი უკონკურენტოა — ოთხი წლის მანძილზე სამჯერ „რეალმა“, ხოლო ერთხელ „ბარსამ“ აღმართა ევროპული საკლუბო ფეხბურთის უპირველესი თასი — „ატლეტიკომ“ კი ორჯერ მოახერხა ფინალში გასვლა. ამ ფონზე, ნაკრები კატასტროფულად გამოიყურებოდა. 2014 წლის მუნდიალზე ჩემპიონი ჯგუფში ჩარჩა, ხოლო ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, ხორვატიასთან მარცხის შემდეგ, მეორე ადგილზე გავიდა და მერვედფინალში გრაციანო პელეს მოიმედე იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდა. „სკუადრა აძურას“ ასეთი ცუდი შემადგენლობა, ვგულისხმობთ ვარსკვლავების ნაკლებობას, კარგა ხანია არ ჰყოლია და სწორედ ამ გუნდმა გამოთიშა ასპარეზობას „ფურია როხა“, თან ისე, რომ პირენეელებს არანაირი შანსი არ ჰქონიათ მომდევნო ეტაპზე გასვლისა. მაშინდელი ნაკრების ძირითად ბირთვს ყველაფერი მოგებული ჰქონდა... ძალიან რთულია,

2010 წელი. 11 ნომრები – ჰოლანდიელი რობენი და ესპანელი კაპდევილა. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში – კასილასმა რობენის დარტყმული ფეხით მოიგერია.

ასეთ პროფესიონალებზე იფიქრო, ბოლომდე აღარ იხარჯებიანო, მაგრამ ფაქტია, ძველებური ჟინი და თავდადება სადღაც დაიკარგა. შეიძლება, ხავის წასვლამ და ინიესტას ასაკში შესვლამ საკუთარი დაღი დაასვა ნაკრებს, თუმცა ის, რასაც ესპანელები ბოლო ორი ჩემპიონატის მანძილზე აჩვენებენ, ცა და დედამიწასავით განსხვავდება 2008-2012 წლებში ჩატარებული მატჩებისგან. ყოველივე ამის შედეგად, დელ ბოსკე ნაკრებში აღარ არის და მის ადგილს ხულიენ ლოპეტეგი იკავებს.

აღსანიშნავია, რომ ლოპეტეგის თბილისში აქვს ნათამაშები, კერძოდ 1985 წელს, ოცწლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ის ამპლუით მეკარე გახლდათ. მოკლედ, ბასკ სპეციალისტს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა, რადგან ესპანეთის ნაკრების (ბოლო ოთხი წლის მანძილზე) ჩავარდნა არის აღმოსაფხვრელი.

დღევანდელ ნაკრებზე, ალბათ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ. პირენეელებმა ჯგუფში 9 მოგებითა და 1 ფრით პირველი ადგილი დაიკავეს. ის ყაიმიც იტალიელებთან ითამაშეს აპენინებზე და შეგვიძლია ვთქვათ, უპრობლემოდ დაძლიეს შესარჩევი ციკლი. თქვენი ყურადღება გვინ-

ანდრეს ინიესტას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გამარჯვების გოლი გააქვს.

და გავამახვილოთ ჯგუფის ცენტრალურ მატჩზე, რომელიც 2017 წლის 2 სექტემბერს მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართა, სადაც ესპანელებმა იტალიელები 3:0 დაამარცხეს. ალბათ, უპრიანი იქნება, ამ მატჩში განწესებული შემადგენლობიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ, 2018 წლის მუნდიალზე რომელი ფეხბურთელები ჩაითვლებიან ძირითად მოთამაშეებად. ლოპეტეგიმ 4-3-3 ტაქტიკა აირჩია და ჩვენც პოზიციების მიხედვით მივყვეთ ფეხბურთელებს.

მეკარე

დავიდ დე ხეა. ესპანელი მადრიდის „ატლეტიკოს“ აღზრდილია, თუმცა მისი კარიერია „მანჩესტერ იუნაიტედს“ უკავშირდება. 2011 წელს, სერ ალექს ფერგიუსონმა დე ხეა შეიძინა და ამ გუნდის ძირითად მეკარედ განაწესა. ვინც „წითელი ეშმაკების“ თამაშებს ხშირად უყურებს, დაგვეთანხმება, რომ ბოლო წლებში, თუკი რამე წარმატებას მიაღწია გუნდმა, დავიდის უდიდესი დამსახურებაა. ფერგიუსონის წასვლის შემდეგ, მანჩესტერელებს კატასტროფული პერიოდი დაეწყოთ და ალბათ ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც მოწოდების სიმაღლეზე იდგა, სწორედ გოლკიპერი იყო. ამ ბიჭმა, იმ პერიოდში, როდესაც „მანჩესტერის“ კარის მიმართულებით ძალიან ბევრჯერ ურტყამდა თითქმის ყველა მეტოქე, საოცარი რეაქცია და ცივსისხლიანობა გამოიმუშავა. ესპანელს არა ერთი შესანიშვნავი სეივი აქვს შესრულებული და თამამად შეიძლება ითქვას, იკერ კასილასს სწორედ რომ ღირსეული

შემცვლელი გამოუჩნდა. „ფურია როხას“ კარის დარაჯი უმაღლესი კლასის ოსტატია!

დაცვითი ხაზი...

მარჯვენა მცველი — დანიელ კარვახალი. დანი მადრიდის „რეალის“ აღზრდილია და 2013 წლიდან გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. გამოირჩევა სისწრაფითა და შეტევაში საკმაოდ მწვავე ჩართვებით. მოგებული აქვს ჩემპიონთა ლიგის თასი და „ლა ლიგა“. 25 წლის ფეხბურთელს უკვე საკმაო პრაქტიკა დაუგროვდა უმაღლეს დონეზე თამაშის და შესაბამისად, ლოპეტეგის ამ პოზიციაზე სანერვიულო არაფერი აქვს.

მარცხენა მცველი — ჟორდი ალბა. ალბა კატალონიელია, თუმცა მისი პროფესიონალური კარიერა „ვალენსიადან“ დაიწყო. 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ჟორდიმ ბუფონს გაუტანა და ესპანეთი 2:0 დააწინაურა. ამის შემდეგ იყო ევროპის ჩემპიონობა და „ბარსელონაში“ გადასვლა, სადაც დღემდე ძირითად შემადგენლობაში თამაშობს და უმაღლესი კლასის ფეხბურთელად ითვლება. ალბას სისწრაფე, დაცვით და შეტევით მოქმედებებში საკმაოდ კარგი თამაში, აშკარად მსოფლიოს მოწინავე „ფულ ბეკებს“ შორის აყენებს ამ უნიჭიერეს ფეხბურთელს. ესპანელებს, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველი ეყოლებათ 2018 წლის მუნდიალზე.

დაცვის ცენტრი — სერხიო რამოსი და ჟერარდ პიკე. მხოლოდ ამ სახელების ხსენება შეაშფოთებს ნებისმიერ თავდამსხმელს. ორივე ფეხბურთელს უდიდესი გამოცდილება უმაგრებს ზურგს და ორივე მსოფლიოს საუკეთესო მცველად ითვლება. მსოფლიო ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა, „ლა ლიგა“ — ეს არასრული ჩამონათვალია იმ ტიტულებისა, რაც ამ ორმა ფეხბურთელმა მოიგო. ბიჭები ფანტასტიკური მცველები არიან და ამავდროულად, თავდასხმაშიც, განსაკუთრებით სტანდარტების დროს საკმაოდ მაღალ დონეზე შუძლიათ თამაში. თუმცა, აქ არის ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. ჟერარდ პიკე, როგორც კატალონიელი, საკმაოდ ხისტ დამოკიდებულებას გამოხატავს ესპანური ხელისუფლების მიმართ, რის გამოც, „ფურია როხას“ გულშემატკივრებისგან ძალიან დიდი კრიტი-

კაც დაუმსახურებია. მაგალითად: ზემოხსენებული ესპანეთი-იტალიის მატჩის წინ, სწორედ სერხიო რამოსმა მიმართა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მიმსვლელ გულშემატკივრებს, რომ პიკესთვის არ დაესტვინათ. მადრიდულ-კატალონიური დაპირისპირების შესახებ ოდნავ მოგვიანებით განვაგრძნობთ, ახლა კი ნახევარდაცვის ხაზზე გადავიდეთ.

ნახევარდაცვა...

საყრდენი ნახევარმცველი — სერხიო ბუსკეტსი. სერხიო „ბარსას“ აღზრდილია და პირველად 2008 წელს გამოჩნდა მის რიგებში. ხმამაღალ ნათქვამად ნამდვილად არ ჩაითვლება, რომ ბუსკეტსი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველია. მასაც, როგორც პიკესა და რამოსს, თითქმის ყველაფერი აქვს მოგებული და 2018 წლის მუნდიალზე გამოცდილი ნახევარმცველი შეეცდება, ესპანეთის ნაკრების შელახული რეპუტაცია გამოასწოროს და კიდევ ერთხელ აღმართოს მსოფლიო ჩემპიონატის თასი.

ნახევარმცველი — კოკე. მადრიდის „ატლეტიკოს“ აღზრდილია და 2009 წლიდან დღემდე ამავე გუნდის ღირსებას იცავს. ფეხბურთელს მოედნის საკმაოდ კარგი ხედვა გააჩნია, ასევე გამოირჩევა პასების სიზუსტითა და სათანადო დონის ტექნიკური არსენალით. სიმეონეს გუნდის ცენტრის ლიდერს დაცვითი ფუნქციების შესრულება რომ არ ეხერხებოდეს, ალბათ გასაკვირიც იქნებოდა და შესაბამისად, კოკეს შეტევით პოტენციალთან ერთად, საკმაოდ აქვს განვითარებული ეს თვისებები. მოკლედ, ამ ბიჭის სახით ლოპეტეგის სტაბილური, მაღალი დონის ნახევარმცველი ჰყავს, რომელზე დაყრდნობაც ალბათ ნებისმიერ მწვრთნელს შეუძლია.

ნახევარმცველი — ანდრეს ინიესტა (კაპიტანი). ამ გენიალურ ფეხბურთელზე ძალიან ბევრი შეგვიძლია ვისაუბროთ, თუმცა გვინდა აღვნიშნოთ, რომ ანდრესი, არა მარტო დიდი პროფესიონალი, არამედ დიდი ადამიანიცაა. ინიესტას საფეხბურთო ინტელექტი ყველა გულშემატკივრისთვის ცნობილია, თუმცა „ინიმ“ საკუთარი გონებრივი მონაცემები მოედნის გარეთაც გამოიტანა და შესანიშნავი ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა — „მე ეს დავიმსახურე“. ნაწარმოებში მოთხრობილია მისი წარსული, გამარჯვებები და მარცხები. ის საკუ-

ინიესტა მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

თარ პირველ ბუცებს იხსენებს, რომლებიც ახლა უკვე დახეულია, მაგრამ მაინც ინახავს, რათა არ დაავიწყდეს, თუ საიდან მოდის. ამ კაცს ჟურნალისტებთან პოზიორობა და სკანდალები არ სჩვევია, საუბრობს ძალიან ცოტას და უდიდეს საქმეს აკეთებს ესპანური და არა მხოლოდ ესპანური ფეხბურთისათვის. იმის გარდა, რომ ყველა ტიტული მოგებული აქვს, ამ ტიტულების მოპოვებაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. „ფურია როხას“ ლიდერი უდიდესი მობილიზაციითა და საოცარი ბრძოლისუნარიობით გამოირჩეოდა. ახლა ინიესტა ასაკშია, თან, უნდა აღვნიშნოთ, მისი განუყრელი თანაგუნდელი და უნიკალური ტანდემის მეორე მხარე, ხავი ნაკრებში აღარ ირიცხება — დაასრულა სანაკრებო კარიერა და ჩინეთის ლიგას მიაშურა. ამ ჩემპიონატზე, „ინის“ უპირველესი ამოცანა გასახდელში სიტუაციის დარეგულირება იქნება. მადრიდულ-კატალონიური დაპირისპირება ფეხბურთელებზეც გადავიდა და არ არის გამორიცხული, „ფურია როხას“ რიგებში, სადაც, მხოლოდ ძირითად შემადგენლობაში ოთხი „ბარსას“ და ოთხი „სამეფო კლუბის“ ფეხბურთელი თამაშობს, მწვავე დაპირისპირება მოხდეს. ანდრესს, როგორც კაპიტანს, ამ დაპირისპირების ჩახშობა და მოედანზე დამშვიდებული, მხოლოდ თამაშზე კონცენტრირებული გუნდის გაყვანა ევალება. მსოფლიო ჩემპიონატის დასაწყისისთვის ინიესტა 34 წლის იქნება. ასაკი ახლაც ეტყობა და ჩანს, ძველებური სისწრაფე აღარ მოსდევს, თუმცა ის გამოცდილება, მოედნის ხედვა და ტექნიკური არსენალი, რომელიც საკმარისზე მეტი აქვს, აშკარად წაადგება პირენეელებს.

თავდასხმა...

ნომინალური მარჯვენა ვინგერი — დავიდ სილვა. 31 წლის სილვა „ვალენსიას“ აღზრდილია და 2010 წლამდე „ღამურების“ ღისებას

იცავდა, შემდეგ კი ნისლიან ალბიონზე გადაბარგდა და დღემდე „მანჩესტერ სიტიში“ ირიცხება. იგი ესპანეთის ნაკრებში 2006 წელს გამოჩნდა და 2008 წლიდან 2012 წლამდე ყველა ტრიუმფის მონაწილეა. დავიდის ტექნიკური არსენალი და უდიდესი გამოცდილება საკმაოდ მძვინვარე იარაღია ნებისმიერი დაცვის წინააღმდეგ. სილვა კიდევ ერთი სტაჟიანი უმაღლესი დონის ფეხბურთელია ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში.

ნომინალური მარცხენა ვინგერი — მარკო ასენსიო. მარკო „მალიორკას“ აღზრდილია და მადრიდის „რეალში“ 2015 წელს გადავიდა. 21 წლის ბიჭისთვის, ალბათ საკმაოდ რთულია, კონკურენცია გაუწიო კრიშტიანო რონალდოს, ბენზემას, ისკოსა და ბეილს, თუმცა მარკო ამას შესანიშნავად ახერხებს და წლიდან წლამდე „სამეფო კლუბის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ყალიბდება. საოცარი ტექნიკური არსენალი, მოედნის ხედვა, სისწრაფე — ამ ახალგაზრდა მადრიდელს ყველა მონაცემი გააჩნია, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავად ჩამოყალიბდეს, მით უმეტეს, ისეთი მთავარი მწვრთნელის ხელში, როგორიც ზინედინ ზიდანია.

ნომინალური ცენტრი — ისკო. ფრანცისკო რომან ალარკონ სუარესი — ასე გამოიყურება ამ უნიჭიერესი ფეხბურთელის სრული სახელი. ისკო „ვალენსიას“ აღზრდილია და „სამეფო კლუბში“ 2013 წელს ჩაირიცხა, თუმცა თავიდანვე ვერ მოახერხა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკავება. მაშინ ასაკითაც პატარა იყო — 21 წლის, დღესდღეობით კი, კლუბის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია და საოცარ თამაშსაც აჩვენებს. ისკო, ესპანეთის სამხრეთ ნაწილიდან, ანდალუსიიდანაა. ისტორიულად ამ მხარეს არაბები აკონტროლებდნენ მერვე საუკუნიდან მეთხუთმეტე საუკუნის ჩათვლით და რა გასაკვირია, დღესაც რომ არაბული კულტურის ყაიდაზე იყოს იქაურობა მოწყობილი. ჰოდა, ბენალმადენაში დაბადებული ეს ბიჭი, არაბულ ბედუინს რომ წააგავს, შავი თმითა და თვალებით, ნამდვილ უდაბნოს ქარიშხალს ატრიალებს მოედანზე. „ზიზუს“ ხელში ხომ კიდევ უფრო გაიხსნა და საკუთარ უდიდეს პოტენციალს ფართო ასპარეზი მისცა. იგი უაღრესად ტექნიკური, სწრაფი, ინტელექტუალური მოთამაშეა. მხოლოდ ევროპის სუპერთასზე „მანჩესტერის“ კარში გატანილი გოლი

მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ესპანეთი vs იტალია 3-0. ისკო და რამოსი იტალიელთა კარში გატანილ გოლს აღნიშნავენ.

რად ღირს, როცა ბეილთან გათამაშებული კედლის შემდეგ, მანკუნიანელების მთელი დაცვითი ხაზი ადგილზე გაყინა და გოლიც შაგდო. სხვათაშორის, ზემოაღნიშნულ მატჩში (იტალიასთან) ისკომ დუბლი გაიფორმა. ზიდანის მწვრთნელობის ხანაში, ანდალუსიელმა აშკარად განიცადა უდიდესი პროგრესი და სულ სხვა დონეზე ავიდა. ამ ბიჭის თამაში, შეიძლება „ზიზუს“ სტილს არ ჰგავს (უფრო სწრაფია და შედარებით ნაკლებად მუშაობს პასების განაწილებაზე), თუმცა ტექნიკისა და დაუსრულებელი მოძრაობის შედეგად, თითქოს ესპანურ მუსიკას უსმენს მოედანზეო, ნამდვილ ცეკვას დგამს და აღტაცებაში მოჰყავს გულშემატკივარი. ისკოს დონის ფეხბურთელი როცა გყავს ნაკრებში, ალბათ შეიძლება, რაღაც განსაკუთრებული ფეხბურთი შესთავაზო მაყურებელს. ლოპეტეგისგანაც იგივეს ელის გულშემატკივარი.

სათადარიგო მოთამაშეები...

ამ შემთხვევაში სათადარიგო ფეხბურთელად მოხსენიება შესაძლოა პირობითი იყოს, რადგან ნებისმიერი მათგანი შეიძლება, მუნდიალის პირველივე მატჩში, ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ. პირველი

ვინც უნდა ვახსენოთ, თავდამსხმელი ალვარო მორატაა. ჯერ კიდევ 2015 წელს, მორატა კარგად გაიცნო ქართველმა გულშემატკივარმა, როცა „რეალიდან“ იჯარით აყვანილი ესპანელი ტურინის „იუვენტუსის“ რიგებში ირიცხებოდა. ტურინში „ბებერმა ქალბატონმა“ იგივე მორატასა და კარლოს ტევესის გოლების წყალობით „რეალი“ (2:1) დაამარცხა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ანგარიში კრიშტიანუ რონალდომ გახსნა და ტაბლოზე 1:0 აანთო. ეს შედეგი მადრიდელებს ფინალის გზას უხსნიდა, სადაც დაუძინებელი მტერი „ბარსელონა“ ელოდათ. მთელი მსოფლიოც ელოდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ელ კლასიკოს“, მაგრამ მორატამ ყველას ცივი წყალი გადაგვავლო და ორმოცდამეჩვიდმეტე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. იმედგაცრუებულმა ქართველმა გულშემატკივარმა, რა თქმა უნდა, იუმორში გადაიტანა “ელ კლასიკოს“ ჩაშლა და სხარტად გუდუნას მაგივრად მორატა ჩასვა — „რა ქენი, მორატა, ეს?!“ — დათა თუთაშხიას ცნობილი ფრაზა ესპანელს მოარგო და ქართული ფეხბურთისგან გაწვალებული ხალხი ისევ პირენეულ-აპენინურ დაპირისპირებას ჩაუსაფრდა ლიგის ფინალში. ამ წლის შემდეგ მორატა „რეალს“ დაუბრუნდა, თუმცა ფეხი ვერ მოიკიდა და 2017 წლიდან ლონდონის „ჩელსის“ ღირსებას იცავს, საკმაოდ ღირსეულადაც. ახლა, როცა ეს სტატია იწერება, ესპანელს შვიდი მატჩი აქვს „არისტოკრატების“ რიგებში ჩატარებული და ექვსი გოლი გატანილი. „ჩელსიდან“ ლოპეტეგის სამი ფეხბურთელის: ასპილიკუეტას, პედროსა და ფაბრეგასის გამოძახებაც შეუძლია. ასპილიკუეტა საკმაოდ სწრაფი ფეხბურთელია. როგორც დაცვით, ასევე თავდასხმით მოქმედებებში საკმაოდ რიგიანად ირჯება და თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება „ფულ ბეკის“ პოზიციაზე. პედრო და ფაბრეგასი ორივე უაღრესად გამოცდილი, ნიჭიერი მოთამაშეა — ტიტულებიც საკმაოდ აქვთ მოგებული და მათი კლასიც ნებისმიერ ნაკრებს წაადგება. ფაბრეგასის ძირითადი ფუნქცია ბურთის განაწილება და თავდამსხმელების საგოლე პასებით მომარაგებაა. პედროს საქმე კი, გოლის გატანა და მეტოქის ფლანგების აწიოკებაა. ინგლისიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ კიდევ ორი ფეხბურთელის დამატებაც შეუძლია ლოპეტეგის — ვინგერი ხოან მატა და ნახევარმცველი ანდერ ერერა. ვინც „წითელი ეშმაკების“ თამაშებს ადევნებს თვალს, დაგვეთანხმება

მატას ყველაზე ძლიერი მხარე გოლის გატანის საოცარი ინსტიქტია. ეს ფეხბურთელი ყოველთვის იმ ადგილას ჩნდება, მეტოქის კართან ახლოს, სადაც ბურთი უნდა მიგორდეს. ერერას რაც შეეხება, ძალიან შრომისმოყვარე და დაუღალავი ფეხბურთელია. ნახევარდაცვაში როგორც ჩამშლელის, ასევე გამთამაშებლის ფუნქციებსაც ითავსებს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას და, „იუნაიტედის“ გულშემატკივრებისთვის სამწუხაროდ, ამ ბიჭისგან უმაღლესი დონის ფეხბურთელი ვერა და ვერ დადგა... არადა იმედი დიდი იყო.

„ფურია როხას“ სავარაუდო შემადგენლობაზე თუ ვისაუბრებთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მადრიდის „ატლეტიკოს“ შემტევი ნახევარმცველი საულ ნიგესი. ალბათ ახსოვს გულშემატკივარს საულის გოლი მიუნჰენის „ბაიერნის“ კარში. 2016 წელს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, ამ ბიჭმა პირდაპირი მნიშვნელობით „რეკორდმაისტერების“ ნახევარი გუნდი მოატყუა და საოცარი გოლიც გაიტანა.

მოკლედ, ესპანეთის ნაკრებს საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი ჰყავს, რაც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიერ აბსოლუტურად მართებული მიდგომების დამსახურებაა. როგორც ცნობილია, ესპანელებს მსოფლიოში საუკეთესო ახალგაზრდული ნაკრებები ჰყავთ და შემდგომში, ამ პატარა ბიჭებს, საშუალება ეძლევათ, უმაღლესი კლასის ესპანურ გუნდებში განაგრძონ ასპარეზობა. ერთი შეხედვით, „ფურია როხა“ შეუჩერებელი უნდა იყოს, მაგრამ განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ნათლად გამოჩნდა, რომ სერიოზულმა პრობლემებმა იჩინა თავი და სანამ რუსეთის მიწაზე პირენეელები არ გააგორებენ ბურთს, მანამდე შესარჩევი ციკლის შედეგებიდან გამომდინარე, ნაადრევად მიგვაჩნია არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე საუბარი. ჩვენ გვინდა, ისევ მადრიდი-ბარსელონას დაპირისპირებას მივუბრუნდეთ, ამჯერად არა საფეხბურთო, არამედ პოლიტიკური კუთხით. კატალონიელები დამოუკიდებლობას მოითხოვენ და ეს მათ ლეგიტიმურ უფლებად მიგვაჩნია, რადგან ისტორიულად ისინი, ბასკი ხალხის მსგავსად, არ წარმოადგენენ ესპანურ ეთნოსს. პოლიტიკურ ვნებათაღელვას ფეხბურთის მიღმა არ ჩაუვლია და სერიოზული საუბარი მიმდინარეობს, რომ კატალონიურმა კლუბებმა უკვე დაიწყეს სხვადასხვა ქვეყნების

ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღების გზებზე ზრუნვა, ნახესენებია საფრანგეთისა და ინგლისის ლიგები. ასევე საუბარია იმაზეც, რომ ესპანეთის ნაკრები, იმ შემთხვევაში თუ „ბარსელონა“ მოიკვეთება „ლა ლიგიდან“, შეიძლება, სულაც მუნდიალის მიღმა დატოვოს „ფიფამ“. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს კულუარული ინფორმაცია მხოლოდ ჭორებია და „ფურია როხას“ აუცილებლად ვიხილავთ რუსეთის სტადიონებზე. მანამდე კი, ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დაგვრჩა გასაანალიზებელი. ხომ არ იქნებოდა მართებული, ლოპეტეგის არაგონესის გზა რომ გაეგრძელებინა და ამჯერად პიკე დაეტოვებია მუნდიალის მიღმა?! უნდა აღინიშნოს, ჟერარდი, ფაქტობრივად ოდიოზურ ფიგურად ჩამოყალიბდა ესპანეთის ნაკრებში და ძალიან დიდი ალბათობით, გასახდელში საკმაო დისკომფორტს შეიტანს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მიმართ ფანების აგრესიულ დამოკიდებულებაზე. ლოპეტეგისთვის, რა თქმა უნდა, ასეთი კლასის ფეხბურთელის დატოვება რისკს წარმოადგენს, მაგრამ პიკეს შემცვლელები მოეძებნება, მაგალითად — მადრიდის „რეალის“ მცველი ნაჩო ფერნანდესი, რომელიც უმაღლეს დონეზე თამაშობს და თანაგუნდელ სერხიო რამოსთან გაცილებით უფრო შეთამაშებული იქნება, ვიდრე პიკე, რომელსაც სერხიოსთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. კატალონიელი გულშემატკივარი, ამ შემთხვევაში, უკმაყოფილებას გამოთქვამს, რა თქმა უნდა, ეს გასაკვირიც არ იქნება, მაგრამ „ბარსადან“ ისედაც ბევრი ფეხბურთელი მიდის რუსეთში. ზემოთ ჩამოთვლილ მოთამაშეებს, მინიმუმ, დაემატება მარცხენა ვინგერი დეულოფეო და ასევე დიდი ალბათობაა იმისა, რომ ნახევარმცველი სერხი რობერტოც გაემგზავროს მუნდიალზე. შესაბამისად, პიკეს დატოვების მიუხედავად, „ბარსელონადან“ ოთხი-ხუთი ფეხბურთელი ნაკრებში მაინც მოხვდება და ის ნეგატიური ენერგია, რომლის მატარებელიც სამწუხაროდ „ბარსას“ სამიანია, გუნდის მიღმა დარჩება. მწვრთნელს კი შეეძლება ნაკრების ძირითადი ბირთვი მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებით დააკომპლექტოს და პროგრესული „სამეფო კლუბის“ თამაში განავითაროს ნაკრებშიც. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას არაგონესის გამბედაობა სჭირდება და ვნახოთ, რას მოიმოქმედებს ლოპეტეგი.

ინგლისი

არჩილ
ბენაშვილი

უიღბლო თუ ჭირვეული?

შესავალი

გაივლის წლები და ინგლისის ნაკრების გულშემატკივრები, სავარაუდოდ კიდევ დიდხანს იოცნებებენ თავიანთი ნაკრების დიდ გამარჯვებაზე. მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს საფეხბურთო ფორუმზე ინგლისმა მხოლოდ ერთხელ იყოჩაღა, ხოლო ევროპის ჩემპიონატი მათ არასდროს მოუგიათ.

უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენელთა ტრიუმფიდან, მაგრამ გამარჯვების მოლოდინი სულ უფრო კლებულობს, რადგან...

მაინც რატომ ამდენი წერტილი? რაშია საქმე. რითი გამოირჩევა ინგლისის ნაკრები მსოფლიოს დანარჩენი ერთგზისა თუ არაერთგზის ჩემპიონებისაგან?

სანამ ვეცდებოდეთ ყოველივე ზემოთ თქმულზე პასუხის გაცემას, მოდით განვსაზღვროთ ინგლისის ნაკრების რაობა მსოფლიო ფეხბურთში...

სტატუსი

მაინც როგორ შეიძლება დავახასიათოთ ინგლისის ნაკრები? რა ეპითეტი ასახავს ყველაზე ზუსტად მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ათწლეულების განმავლობაში?

ძლიერი? — გასაგებია, რომ ინგლისის ნაკრები ანგარიშგასაწევი ძალაა.

ტექნიკური? — გასაგებია, რომ ინგლისის ნაკრებში ყოველთვის

გამოდიოდნენ მაღალი ინდივიდუალური ოსტატობით დაჯილდოებული ფეხბურთელები.

ძალისმიერი? — რა თქმა უნდა. სხვაგვარად როგორ იქნებოდა ინგლისის ნაკრები კონკურენტუნარიანი.

იღბლიანი? — მხოლოდ ერთხელ, 1966 წელს...

უიღბლო? — რა თქმა უნდა. ყოველთვის, 1966 წლის გარდა!

ამბიციური? — კი, მაგრამ, რად გინდა.

ჭირვეული? — დიახ!

ისტორიის დასასრული

დიახ, მსოფლიოს არცერთი სხვა ნაკრები არ ყოფილა ისეთი ჭირვეული, როგორც ფეხბურთის სამშობლოდ წოდებული ინგლისის ეროვნული გუნდი.

მოდით გავიხსენოთ მისი პირველი ნაბიჯები — დიდი საფეხბურთო ფორუმისკენ მიმავალ გზაზე.

დავიწყოთ იმით, რომ მეორე მსოფლიო ომამდე ინგლისელები ზედაც არ უყურებდნენ მსოფლიო ჩემპიონატს და აღიარებდნენ ერთადერთ ტურნირს — დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატს.

მეტი საქმე არ ჰქონდათ ეთამაშათ ვიღაც ფრანგებთან, გერმანელებთან თუ მსოფლიო ჩემპიონ ურუგვაელებთან და იტალიელებთან.

აი ომის შემდგომ პერიოდში კი ინგლისელებმა უკვე გამოთქვეს მსოფლიოს უმთავრეს საფეხბურთო ფორუმში ასპარეზობის სურვილი. „ფიფამ“ გაითვალისწინა რა ინგლისელთა ღვაწლი მსოფლიო ფეხბურთის განვითარებაში და მსოფლიო ჩემპიონატის ერთი საგზური დიდი ბრიტანეთის ტურნირზე გამარჯვებულ გუნდს გამოუყო, რომელიც სწორედ რომ ინგლისის ნაკრები აღმოჩნდა.

ინგლისელები დიდი ენთუზიაზმით გაემგზავრნენ ბრაზილიაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც დამარცხდნენ აშშ-ს და ესპანეთის ნაკრებებთან, — ჟურნალისტთა კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ თავს, ხოლო შინ კუდამოძუებულნი და შერცხვენილნი დაბრუნდნენ.

ისტორია მსოფლიო ჩემპიონობამდე

არც არაფერი მნიშვნელოვანი. უბრალოდ გამოიხატა ერთი მეტად არასასიამოვნო ტენდენცია, დღევანდელ დღემდე რომ ძალაშია და

1962 წელი, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი. ბრაზილია vs ინგლისი 3-1. გარინჩა ჩარლტონის წინააღმდეგ...

ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენელთათვის არასასიამოვნო ტრადიციად რჩება სტატისტიკური თვალსაზრისით.

კერძოდ, ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მარცხდება თავისი რანგის ნებისმიერ მეტოქესთან, იქნება ეს ევროპის, თუ სამხრეთ ამერიკის წარმომადგენელი. გამონაკლისი მხოლოდ 1966 წელია, როდესაც ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

1954-ში — ინგლისი მეოთხედფინალში, მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონთან — ურუგვაის ნაკრებთან დამარცხდა 2-4.

1962-ში — ისევ მეოთხედფინალურ სტადიაზე, ინგლისმა იმდროინდელ მსოფლიო ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრებთან 1-3 წააგო.

1958- ში — მათ გადამწყვეტი მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან დათმეს 0-1.

ტრიუმფი

ალფ რემზის ოცნების გუნდი დღემდე რჩება ინგლისის ნაკრების ეტალონად არა მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც იქნა ფეხბურთის სამშობლო პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მსოფლიო ჩემპიონობას ეზიარა, არამედ გამორჩეულ ფიგურათა ერთობლიობის გამო, რომელთაც ეს ტრიუმფი შექმნეს, იმ ისტორიული გოლის გათვალისწინებით, რომლის გამოც საუბარი არასოდეს შეწყდება და

1966 წელი. ინგლისელთა კაპიტანი ბობი მური ჟიულ რიმეს თასით ხელში.

რომელსაც გაგრძელება უკვე 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ექნება...

გორდონ ბენქსი, ჯორჯ კოენი, რეი უილსონი, ნობი სტაილსი, ჯეკ ჩარლტონი, ალან ბოლი, ბობი ჩარლტონი, ჯეფ ჰერსტი, მარტინ პეტერსი და როჯერ ჰანტი ის მოთამაშეები არიან, რომლებიც 1966 წლის 30 ივლისს, — გუნდის კაპიტანმა ბობი მურმა გაიყვანა ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრისხანე გუნდის წინააღმდეგ სათამაშოდ.

ჯეფ ჰერსტმა ისტორიულ მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა, ინგლისის ნაკრებმა დამატებით დროში, — საბოლოოდ ანგარიშით 4-2 იმარჯვა და ამ გამარჯვების თანაავტორად საბჭოთა თანამსაჯი აქცია, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ხარიხადან ასხლეტილი ბურთი კარის ხაზს მიღმა დაეშვა...

ტოფიკ ბახრამოვის გარდა, მსოფლიო ჩემპიონატს კიდევ ერთი გმირი გამოუჩნდა.

პიკლზი

1966 წლის 20 მარტს საგამოფენო დარბაზიდან სასწაულებრივ გაუჩინარდა მსოფლიო ჩემპიონატის უმთავრესი პრიზი — ჟიულ რიმეს ნიკეს თასი.

ერთი კვირის შემდეგ კი ვინმე დევიდ კორბეტი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ საკუთარ ოთხი წლის ძაღლ პიკლზთან სეირნო-

გორდონ ბენქსი

ბისას, ლონდონის სამხრეთით, ნორვუდის ზედა მხარეში განლაგებულ პარკში, ეს უკანასკნელი ბუჩქებიდან გაზეთში გახვეულ რაღაც ნივთს გამოათრევდა.

ეს სწორედ ის ნივთი აღმოჩნდა, რომელიც გუნდის კაპიტანმა ბობი მურმა აღმართა 30 ივლისს — ფინალურ მატჩში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ.

აი მას მერე კი ინგლისის ნაკრებს — გერმანელებთან (მსოფლიო ჩემპიონატებზე) აღარასოდეს მოუგია.

ისტორიის გაგრძელება

მექსიკის მუნდიალზე, ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონის რანგში — შესარჩევი ტურნირის გარეშე აღმოჩნდა. ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა, ჯგუფში, მომავალ ჩემპიონთან — ბრაზილიის ნაკრებთან დათმო შეხვედრა 0-1, მაგრამ მიუხედავად ამისა მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

ბრაზილიელებთან მატჩი გორდონ ბენქსის ისტორიული სეივით აღინიშნა. დღემდე ეს ეპიზოდი მიჩნეულია სეივის ეტალონად მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. პელეს თავურს ინგლისელი მეკარე ვეფხვისებური ნახტომით დაუხვდა, აი ჟაირზინიოს დარტყმისგან კი მან საკუთარი ნაკრები ვეღარ იხსნა.

მეოთხედფინალში ინგლისელებს თითქოს ყველაფერი კარგად მისდიოდათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში, მაგრამ გერმანულმა ხასიათმა იძალა. ბეკენბაუერის გუნდმა ორბურთიანი სხვაობა აღმოფხვრა და უკვე დამატებით დროში გერდ მიულერმა დაასამარა კიდეც ინგლისელთა იმედები, რევანში

ააღებინა რა გერმანელებს წინა მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი მარცხისათვის.

წაგების მიუხედავად, ინგლისელთა გამოსვლა მექსიკაში უარყოფითად მხოლოდ სამშობლოში შეაფასეს, სადაც, 1966 წლის შემდეგ — მათგან მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონობას ითხოვდნენ.

სინამდვილეში კი ინგლისის ნაკრების პოტენციის გუნდი საკუთარ კედლებში და ისიც ჭირვეულად თუ მოიგებდა მსოფლიო ჩემპიონატს, ანუ როგორც მოხდა ოთხი წლის წინ. აი შემდეგ კი...

თორმეტი ნელინადი მსოფლიო ჩემპიონატებს მიღმა

ვინ ელოდა, მაგრამ თუკი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ინგლისის ნაკრები იმ პერიოდში საოცრად მოძლიერებულმა პოლონეთის ნაკრებმა დაჩრდილა, არგენტინის 1978 წლის ჩემპიონატისკენ მიმავალი გზა მათ უკვე იტალიელებმა გადაუღობეს. მაშინდელი იტალიის ნაკრების ბირთვს ტურინის „იუვენტუსის“ რვა ფეხბურთელი წარმოადგენდა, არადა ინგლისური ფეხბურთი საოცარ წარმატებებს აღწევდა საკლუბო დონეზე, ზედიზედ იგებდნენ რა ჩემპიონთა თასს „ლივერპული“ თუ „ნოტინგემ ფორესტი“.

შეიცვალა დრო, შეხედულებები და რაც მთავარია ფეხბურთელები. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ნაკრების მაისურით ევროპის საუკეთესო მოთამაშე კევინ კიგანი ასპარეზობდა, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მათ ისევ მეორე ადგილზე დაასრულეს, გაუშვეს რა წინ უნგრელები.

ინგლისელთა ბედად, — „ფიფამ“ მაშინ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე გუნდების რაოდენობა თექვსმეტიდან ოცდაოთხამდე გაზარდა. ჰოდა, — 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონები, როგორც იქნა, თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ — მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონატზე აღმოჩნდნენ ესპანეთში.

ისტორიის გაგრძელება 2

თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ, ბრაიან რობსონმა მსოფლიო ჩემპიონატების უსწრაფესი გოლი გაიტანა საფრანგეთის ნაკრების კარში. 1982 წლის 16 ივნისს, ბილბაოს „სან მამესზე“ ოცდამეშვიდე წამი იყო დაფიქსირებული, როცა რობსონი გოლის ავტორი გახდა.

საბოლოოდ ინგლისელებმა 3-1 მოიგეს. პლატინის პერიოდის საფრანგეთის ვარსკვლავურ ნაკრებთან ასეთი დებიუტი, მართლაც რომ შთამბეჭდავი გამოდგა. საგულისხმოა, რომ რობსონის გოლი უაღრესად ინგლისურ სტილში იქნა გატანილი. ჯგუფში მოპოვებულმა ქულათა მაქსიმალურმა რაოდენობამ ინგლისი კვლავ ფავორიტთა რანგში წარმოაჩინა.

მაგრამ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე რონ გრინვუდის ნაკრებს პრობლემები შეექმნა. მაშინდელი ფორმატის მიხედვით სამ-სამი გუნდი ოთხ ჯგუფში გადაანაწილეს და ჯგუფების გამარჯვებულებმა ნახევარფინალური წყვილები შეადგინეს.

რონ გრინვუდმა ქართველთათვის კარგად ნაცნობი ორი ვარსკვლავი, მაგ დროისთვის „საუთჰემპტონში“ მოთამაშე კევინ კიგანი და „ვესტ ჰემელი“ ტრევორ ბრუკინგი — ტურნირის უღიმღამო მასპინძლებთან, შეხვედრის სამოცდამესამე წუთზე ერთდროულად შეუშვა მოედანზე, მაგრამ მათაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი ესპანელთა წინააღმდეგ, რომელთაც გერმანელებთან უკვე ჰქონდათ წაგებული მატჩი და ნამდვილად არ სურდათ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ორივე დასკვნით შეხვედრაში დამარცხება.

მერე ინგლისელებმა გერმანელებთან 0-0 ითამაშეს და საბოლოოდ მოხდა ისე, რომ უდიდესი შემტევი პოტენციალის გუნდმა ისე დატოვა მსოფლიო ჩემპიონატი, რომ ორივე გადამწყვეტი შეხვედრა უგოლო ფრედ დაასრულა. რას მივაწეროთ ასეთი შედეგი. მწვრთნელის ჭირვეულობას თუ უიღბლობას?

ორივეს, მაგრამ ალბათ უფრო პირველს. ისე კი აღსანიშნავია, რომ ესპანეთის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების მაისური შემდგომში მათმა კიდევ ერთმა უიღბლო და ჭირვეულმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა მოირგო...

„ღვთის ხელით“ განგმირული ინგლისის ნაკრები

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ მომენტამდე — ბობი რობსონის გუნდმა თამაშის ხარისხის თანდათანობითი მატებით მიაღწია. ჯგუფური ეტაპის პირველი ორი მატჩი საშინელი იყო. ინგლისელებმა ჯერ პორტუგალიელებთან წააგეს 0-1, შემდეგ კი მაროკოს ნაკრებთან 0-0 ითამაშეს.

მაგრამ 1986 წლის 11 ივნისს — პოლონეთის საკმაოდ ძლიერ ნაკრებს ინგლისელთა ამომავალმა ვარსკვლავმა გარი ლინეკერმა ჰეთ-თრიკი შეუსრულა, გაიმეორა რა ჯეფ ჰერსტის 1966 წლის შედეგი და ინგლისის ნაკრებიც ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა.

მერვედფინალში ინგლისელთა მსხვერპლი პარაგვაის ნაკრები აღმოჩნდა. გარი ლინეკერის დუბლმა და პიტერ ბერდსლის გოლმა, — ინგლისის ნაკრები კარლოს ბილარდოს არგენტინას მეოთხედფინალში დააჯახა.

დიეგო მარადონამ პირველი გოლი შეხვედრის ორმოცდამეთერთმეტე წუთზე გაიტანა, ოთხი წუთის შემდეგ კი არგენტინელთა ლიდერმა ნახევარი ინგლისის ნაკრები მოატყუა და მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე აბსურდულ გოლს, რომელსაც წლების შემდეგ ლეგენდარული არგენტინელი ღვთის ხელით გატანილს უწოდებს, ყველაზე დახვეწილი, ინდივიდუალური ოსტატობით გატანილი გოლი მიამატა.

რომ არა პირველი — შოკისმომგვრელი გოლი, რომელმაც ინგლისელთა რიგებში საშინელი დაბნეულობა გამოიწვია, შესაძლოა მარადონას ასეთი მეორე გოლი ვეღარც გაეტანა, მაგრამ...

ფაქტია, რომ შეხვედრის სამოცდამეთოთხმეტე წუთზე, ჯონ ბარნსის გამოსვლამდე ინგლისის ნაკრები მხოლოდ სტატისტის როლში იყო მოედანზე და გარი ლინეკერის ერთადერთი გოლი სწორედ რომ ბარნსის ჩაწოდებულს მოჰყვა.

აი ასე და ამგვარად, ლინეკერის ექვსი გოლის მიუხედავად, ინგლისის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობა მეოთხედფინალურ ეტაპზე დაასრულა.

უიღბლობა თუ ჭირვეულობა? ალბათ ორივე, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო პირველი...

მაქსიმალური ბრძოლისუნარიანობა და ... კვლავ უიღბლობა

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებმა ნახევარფინალამდე მიაღწია. ბობი რობსონის გუნდი გაიზარდა და განვითარდა. გარი ლინეკერთან ერთად სწორედ ამ ჩემპიონატზე გაიბრწყინა საოც-

რად ნიჭიერმა პოლ გასქოინმა, ტურნირის მსვლელობისას კი თანდათანობით წარმოჩინდა კიდევ ერთი ვარსკვლავი დევიდ პლატის სახით.

სწორედ მისმა გოლმა გადაწყვიტა მერვედფინალური მატჩის ბედი დამატებითი დროის ბოლოსწინა წუთზე ბელგიის ნაკრებთან შეხვედრაში.

აი საფეხბურთო ლატარეამდე რომ მისულიყო საქმე, შესაძლოა ვეღარც გვეხილა ინგლისისა და გერმანიის ნაკრებების დრამატული ნახევარფინალური შეხვედრა, რომელშიც ბობი რობსონის გუნდი სწორედ რომ პენალტების სერიაში დამარცხდა.

იქამდე კი იყო როჟე მილას, კუნდეს და სხვათა კამერუნის ფიზიკურად ძალიან ძლიერ გუნდთან დაპირისპირება, რომელშიც გარი ლინეკერმა ორი თერთმეტმეტრიანით გამოიჩინა თავი.

გადამწყვეტი გოლი ინგლისელთა ფორვარდმა — შეხვედრის დამატებით დროში, ასმეხუთე წუთზე გაიტანა.

გერმანიის ნაკრებთან ნახევარფინალურ მატჩში ინგლისელთაგან თავი კვლავ გარი ლინეკერმა გამოიჩინა. მან შეხვედრის მეოთხმოცე წუთზე გაათანაბრა ანგარიში. დამატებით დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და უაღრესად თანაბარი სანახაობრივი შეხვედრა პენალტების სერიით დაგვირგვინდა, რომელშიც გერმანელებმა იმარჯვეს.

უიღბლობა? - არავითარ შემთხვევაში. ინგლისელებს მომავალშიც გასათვალისწინებელი ექნებათ — თუკი გერმანიის ნაკრების ძლევა სურთ, ეს აუცილებლად მატჩის ძირითად დროში უნდა მოახერხონ.

1990 წლით სრულდება ბობი რობსონის ერა ინგლისის ნაკრებში, რაც ალბათ პოზიტიურად არის შესაფასებელი, რადგან, თუკი 1986 წლის ჩემპიონატზე ინგლისელებმა ბოლომდე ვერ მოიცილეს ეპითეტი „ჭირვეული“, ეს 1990-ში მაინც მოახერხეს.

აი „უიღბლობა“ მათ დღემდე მოჰყვებათ და უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის გათვალისწინებით, სასაცილო მდგომარეობაშიც კი აყენებს...

ისტორიის გაგრძელება 3

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისელებმა გამოტოვეს. მათ გზაზე ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად ნორვეგიელები გადაეღობნენ, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ისინი ზემოთხსენებული გლენ ჰოდლის

თავკაცობით, საუკეთესო შემადგენლობით ეწვივნენ საფრანგეთის ჩემპიონატს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვარსკვლავური შემადგენლობა ინგლისელებს წლების განმავლობაში არ ჰყოლიათ: გარი ნევილი, ტონი ადამსი, სოლ კემპბელი, დევიდ ბექჰემი, პოლ ინსი, პოლ სქოულზი, მაიკლ ოუენი და ალან შირერი ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც დღემდე დიდი სიამოვნებით იხსენებენ ნებისმიერი ყაიდის ფეხბურთის გულშემატკივრები.

მაგრამ რა მოხდა ჩემპიონატზე? ჯგუფში, მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონებმა ერთნაირი ანგარიშით 2-0 დაამარცხეს ტუნისისა და კოლუმბიის ნაკრებები, მაგრამ არასასიამოვნო მარცხი იწვნიეს გეორგე ჰაჯის რუმინეთის ნაკრებთან 1-2.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისის ნაკრები რუმინელებმა ორი წლის შემდეგაც დაამარცხეს ევროპის ჩემპიონატზე, ჩატოვეს რა ზემოთხსენებული თანავარსკვლავედი ჯგუფში, მაშინ ამ მარცხში უფრო კანონზომიერება უნდა დავინახოთ, ვიდრე უიღბლობა...

1998 წლის 30 ივნისს კი, — სენტ ეტიენში შედგა ისტორიული მერვედფინალური მატჩი, რომლის გულგრილად გახსენება წარმოუდგენელია ამდენი ხნის შემდეგაც. ვნებათაღელვით, საშინელი მსაჯობით და უტიფრობით აღსავსე, იმდენად დრამატულად წარიმართა იგი.

მატჩს დრამატიზმს მატებდა ინგლისელთა დაუოკებელი წყურვილი შურისძიებისა...

გლენ ჰოდლის შემადგენლობიდან გაიბრწყინა მაიკლ ოუენმა, რომლის თავბრუდამხვევი სისწრაფე და მანევრები დიდ დაბნეულობას იწვევდა არგენტინელთა დაცვით ხაზში.

შეხვედრის ორმოცდამეშვიდე წუთზე დიეგო სიმეონესა და დევიდ ბექჰემს შორის მომხდარი ეპიზოდი კი, რომელიც ამ უკანასკნელის გაძევებით დასრულდა, ისევე ახსოვთ ფეხბურთის მოყვარულებს, როგორც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალში მატერაცისა და ზიდანის კონფლიქტი.

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ტრიბუნაზე მყოფი მიკ ჯაგერიც. ნეტავი რას ფიქრობდა „როლინგ სთოუნზის“ ცოცხალი

ლეგენდა მაშინ, როდესაც დევიდ ბეტიმ ხელებში „ჩააბარა“ უკანასკნელი პენალტი არგენტინელთა მეკარეს კარლოს როას.

ალბათ იხსენებდა დამატებით დროში არგენტინელთა კარში არჩათვლილ გოლს და კიდევ... ფიქრობდა, რომ თვითონ თერთმეტმეტრიანს არ გააფუჭებდა.

ასეა თუ ისე, ინგლისის ნაკრების ვარსკვლავურმა შემადგენლობამ ნაადრევად — მერვედფინალშივე დაასრულა ასპარეზობა ისე, რომ მათი თერთმეტმეტრიანების სერიაში მარცხი უფრო კანონზომიერებას დაემსგავსა, ვიდრე უიღბლობას, ხოლო ჭირვეულობა ამ შემთხვევაშიც ინგლისელთა ხვედრი იყო. ნუ წააგებდნენ ჯგუფში რუმინეთის ნაკრებთან და ხომ აცდებოდნენ არგენტინელებს?

მაგრამ სამართლიანია ისიც, რომ ამ მატჩის შედეგზე თუ არა, მსვლელობაზე მაინც იქონია გავლენა — დანიელი არბიტრის კიმ ნილსელნის ჭირვეულობამ...

დაგვიანებული შურისძიება

არგენტინის ნაკრებზე შური სვენ გორან ერიქსონის ნაკრებმა იძია. კორეა-იაპონიაში ჩატარებულმა ჩემპიონატმა ზოგადად არაერთი კითხვის ნიშანი დატოვა, მაგრამ არა ინგლისის ნაკრებთან დაკავშირებით, რომელსაც თავადაც ყოფნის შიდა თავსატეხი — მოუგვარებელი კითხვის ნიშნები...

1998 წლის თანავარსკვლავედი კი ამასობაში კიდევ უფრო გაძლიერდა და ინგლისის ნაკრების შემადგენლობაც, — სახელების მიხედვით, შესაძლოა თვით მომავალ მსოფლიო ჩემპიონებსაც არ ჩამოუვარდებოდა.

მაგრამ შედეგი? გერმანიის ნაკრებმა ამ ჩემპიონატის ფინალში ითამაშა, ხოლო ინგლისელები მეოთხედფინალში გამოვარდნენ, მართალია ტურნირის გამარჯვებულ და ფინალში გერმანიის ნაკრების განმგმირავ მომავალ „პენტაკამპეონებთან“, მაგრამ მაინც — ინგლისი კიდევ გავარდა!

ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში ინგლისის ნაკრები შვედებს დაუზავდა, აი მეორე — ისტორიულ მატჩში კი დევიდ ბექჰემის მიერ, პირველი ტაიმის მიწურულს გატანილი თერთმეტმეტრიანის

წყალობით, ალბიონელებმა შური იძიეს არგენტინელებთან ოთხი და თექვსმეტი წლის წინანდელი წაგებებისთვის. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს საბოლოოდ ფრანგებთან ერთად ნაადრევად მოუწიათ ტურნირის დატოვება.

სწორედ ამ გამარჯვებამ გაიყვანა მერვედფინალში სვენ გორან ერიქსონის გუნდი, თორემ ბოლო — საოცრად უღიმღამო შეხვედრაში ინგლისელებმა ნიგერიის ნაკრებთან ფრედ 0-0 ითამაშეს და ტრადიციულად მეორე ადგილი დაიკავეს ჯგუფში.

მერვედფინალური მატჩი დანიის ნაკრებთან იმ იშვიათ შემთხვევად იქცა, როდესაც ინგლისის ნაკრებს ყველაფერი გამოსდის.

დანიის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ შეხვედრაში ფრანგები 2-0 დაამარცხა და ჩემპიონატს მიღმა დატოვა მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი.

ამგვარად, მერვედფინალური მატჩი თითქოს დაძაბული უნდა გამომდგარიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად. შეხვედრის ბედი რიო ფერდინანდის, მაიკლ ოუენისა და ემილ ჰესკის გოლებით პირველივე ტაიმში გადაწყდა, მეორე ტაიმში კი ანგარიში აღარ შეცვლილა.

დანიელებთან გაყოყოჩებული ინგლისელი ფეხბურთელები — მეოთხედფინალში ბრაზილიის ნაკრებს შეხვდნენ. ფეხბურთის სამშობლოს დასამტკიცებელი ჰქონდა, თუ ვინ ვინ არის, თანაც ბოლოს და ბოლოს, მესამე დაპირისპირებაში მაინც ხომ უნდა მოეგო ინგლისის ნაკრებს მომავალი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონებისთვის?

შეგახსენებთ რომ ბრაზილიამ 1962 და 1970 წლებშიც დაამარცხა ინგლისი.

მოკლედ კაფუს, რობერტო კარლოსის, რონალდინიოს, რივალდოსა და რონალდოს წინაშე — სოლ კემპბელი, რიო ფერდინანდი, დევიდ ბექჰემი, მაიკლ ოუენი და ემილ ჰესკი წარსდგნენ.

მატჩის ანგარიში ოცდამესამე წუთზე გაიხსნა — მაიკლ ოუენმა თავის საფირმო სტილში შეძლო გოლის გატანა. ინგლისელ ქომაგთა მტკიცებით, საკმარისი იყო დაცლოდათ პირველი ტაიმის მოგებამდე მიყვანა და მატჩიც სხვანაირად დასრულდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ მსაჯის მიერ პირველი ტაიმის დამატებულ მეორე წუთზე თავი რივალდომ გამოიჩინა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან სულ რაღაც ხუთ წუთში კი რონალდ-

ინიომ ისეთი ხმელი ფოთოლი ჩაუსვა ინგლისელთა გოლკიპერ დევიდ სიმენს, რომ მთელ ნისლიან ალბიონს პირი დააღებინა.

გაშვებული გოლის მიუხედავად, ყველაფერი წინ იყო, რადგან ორმოცდამეჩვიდმეტე წუთზე რონალდინიო საერთოდ გააძევეს მოედნიდან და ინგლისის ნაკრებს რიცხობრივი უპირატესობა შეექმნა.

მაგრამ რა ხდება ამ დროიდან? ნუთუ ასე გატეხა ინგლისელები დამამცირებელმა გოლმა? წარმოიდგინეთ, რომ მატჩის ფაქტობრივად მეორე ტაიმი, ერთგვარ „პამპულობად“ აქციეს ბრაზილიელებმა, არ აძლევდნენ რა ბურთის მიღების საშუალებასაც კი მოწინააღმდეგეს.

აი ასე და ამგვარად, ინგლისის ნაკრები, ოცდამეერთე საუკუნეშიც ბრაზილიელთა ჟონგლიორობის მსხვერპლად იქცა. უცნაურია, მაგრამ ეს ასე იყო და არც უიღბლობა, არც ჭირვეულობა ამ შემთხვევაში მოსატანი არ არის.

უბრალოდ, ინგლისური ფეხბურთი უფრო მაღალი კლასის ფეხბურთთან დამარცხდა...

40 წლის შემდეგ...

ინგლისელებს მოწყინდათ შექმნილი ვითარება და გადაწყვიტეს, დადგა დრო, რომ მსოფლიო ჩემპიონობა წინასწარ ავღნიშნოთო!

2006 წელს, სვენ გორან ერიქსონის გუნდისგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ, რადგან ინგლისის ნაკრებს თითქოს აქამდე ასეთი ძლიერი შემადგენლობა არასოდეს ჰყოლია, თანაც 1966 წლის ტრიუმფიდან უკვე 40 წელიწადი სრულდებოდა...

საინტერესოა, რომ წინასწარ იყო მოფიქრებული ფეხბურთის სამშობლოს გმირ წარმომადგენელთა დახვედრა-აღლუმის სცენარი, რომელიც ლონდონის ცენტრში უნდა ჩატარებულიყო.

მაშინ ვერვინ წარმოიდგენდა, რომ ინგლისის ნაკრები მეოთხედფინალში უგოლო ფრეს დასჯერდებოდა. ალბიონელებმა ვერც დამატებულ ტაიმებში გაიტანეს და შემდგომ ამისა — ტრადიციულად თერთმეტმეტრიანების სერიაში დამარცხდნენ. ერიქსონის გუნდი სკოლარის პორტუგალიამ იმსხვერპლა.

მანამდე სვენ გორან ერიქსონის ბიჭებმა ჯგუფური ეტაპი როგორც იქნა პირველ ადგილზე დაასრულეს ისე, რომ მეორეზე ჩატოვეს მუდმივი მეტოქე — შვედეთის ნაკრები.

ინგლისელებმა პარაგვაისთან ტრადიციულ გამარჯვებას — ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებთან მოგებაც მიამატეს. ინგლისი შვიდი ქულით ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. მერე იყო მერვედფინალი და ისევე როგორც 1990-ში, ალბიონელებმა კამერუნის ნაკრები დაამარცხეს 1-0.

აი შემდეგ იმ სავალალო მატჩში, ზემოთ რომ ვახსენეთ — ინგლისელებმა სამი პენალტის გაფუჭება მოახერხეს. მხოლოდ ოუენ ჰარგრეივსმა არ გაუშვა ხელიდან შანსი. ისე კი, პორტუგალიელები რა პენალტისტებიც არიან, — 2017 წლის კონფედერაციის თასზე — ჩილელთა წინააღმდეგ დარტყმულმა თერთმეტმეტრიანებმაც დაგვანახა.

მოდი გავიხსენოთ თუ როგორი იყო ინგლისელთა შემადგენლობა პორტუგალიასთან. აი ისიც: პოლ რობინსონი, გარი ნევილი, რიო ფერდინანდი, ჯონ ტერი, ეშლი კოული, დევიდ ბექჰემი, სტივენ ჯერარდი, ოუენ ჰარგრეივსი, ფრენკ ლამპარდი, ჯო კოული, უეინ რუნი.

მეტი რაღა, ნუთუ არაა ეს საჩემპიონო გუნდი!

მაგრამ რა ჩემპიონობაზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი, როდესაც გაირკვა, რომ უეინ რუნის წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი ნომერი ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში, რათა თავის ლამაზმანთან დრო გაეტარებინა. ასე რომ — ინგლისის ნაკრებმა დისციპლინაშიც მოიკოჭლა.

ამ ამბავმა დიდი აღშფოთება გამოიწვია. მართალია რუნი მსოფლიო ჩემპიონატს ტრავმით შეეგება და სათუო იყო მისი ასპარეზობა, მაგრამ ფაქტია, რომ კამერუნის ნაკრებთან ერიქსონმა ის ძირითად შემადგენლობაში დააყენა, ხოლო პორტუგალიელებთან ინგლისელი თავდამსხმელი შეხვედრის სამოცდამეორე წუთზე გააგდეს სადავო ეპიზოდში, როგორშიც წესით, დიდი ფეხბურთელები არ აღმოჩნდებიან ხოლმე...

და მაინც, ჭირვეულობა თუ უიღბლობა? ალბათ რუნის გაძევებიდან გამომდინარე, უფრო პირველი. პენალტების სერიაში წაგება კი ინგლისის ნაკრებისთვის არა უიღბლობა, არამედ უკვე ტრადიციაა.

ბუმერანგი

სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ ჩემპიონატზე, ინგლისის ნაკრები უკვე ფაბიო კაპელომ წარმოადგინა. მართალია, შემადგენლობა ისეთი ძლიერი აღარ იყო, როგორც ოთხი ან რვა წლის წინათ, მაგრამ კაც-

მა არ იცის, სადაც არც თუ ისე ძლიერი შემადგენლობის გერმანიის ნაკრებმა 2002 წელს ფინალამდე მიაღწია, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ასეთი სახელოვანი მწვრთნელის თაოსნობით, ინგლისელებს ჩემპიონობა ეზეიმათ?

ჯონ ტერი, ფრენკ ლამპარდი, სტივენ ჯერარდი და უეინ რუნი — ის მოთამაშეები იყვნენ, რომლებმაც ძალიან კარგად იცოდნენ გამარჯვების გემო და უდიდესი გამოცდილებაც ჰქონდათ შეძენილი.

ინგლისის ნაკრებმა კვლავ მეორე ადგილი დაიკავა ჯგუფში და მერვედფინალში მაინცდამაინც გერმანიის ნაკრებს მიასკდა.

წინა მუნდიალთან შედარებით, ჩემპიონობას მოწყურებული იოაჰიმ ლიოვის გუნდი აშკარად უფრო ძლიერად გამოიყურებოდა. გერმანული სიმძლავრე ინგლისელებმა საკუთარ თავზე შეხვედრის დასაწყისშივე იწვნიეს — ჯერ მიროსლავ კლოზემ და მერე პოდოლსკიმ ინგლისელთა კარის ბადე შეარხიეს...

ნოკაუტი შეხვედრის ოცდამეჩვიდმეტე წუთზე ნოკდაუნად იქცა, — ინგლისელებმა ერთი ბურთი გაქვითეს, მაგრამ უმთავრესი თურმე ცოტა ხანში უნდა მომხდარიყო. ტაიმის მიწურულს ფრენკ ლამპარდის მიერ დარტყმული ბურთი ხარიხამ აისხლიტა და აშაკარად კარის ხაზს მიღმა დაეცა — მსაჯმა გოლი არ ჩათვალა და ყველას ტოფიკ ბახრამოვი გაახსენდა. როგორი იქნებოდა მატჩის მეორე ტაიმი, პირველი ფრედ 2-2 რომ დასრულებულიყო? რა თქმა უნდა ძნელია გადაჭრით რაიმე სახის ვერდიქტის გამოტანა, მაგრამ დაცვაში ისეთი სუსტი თამაშით, როგორიც ინგლისელებმა მრისხანე გერმანიის ნაკრებს შესთავაზეს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ იმ მატჩში მათ გაემარჯვათ.

უიღბლობა თუ ჭირვეულობა? ორივე, მაგრამ ალბათ მაინც უფრო მეორე... არ გაერტყა ხარიხასთვის ბურთი ლამპარდს და ამდენი საუბარი აღარც იქნებოდა საჭირო.

უდიდესი სირცხვილი

2014 წლის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების ასპარეზობას, უთუოდ მისი შესარჩევ ეტაპზე ჯგუფში ჩარჩენა აჯობებდა.

სტივენ ჯერარდი ორჯერ აღმოჩნდა ცხოვრებაში ბეჩავ მდგომარეობაში და ორივეჯერ 2014 წელს.

პირველად ეს მოხდა პრემიერლიგის ბოლო შეხვედრაში. მოედნის ცენტრში, მის მიერ დაშვებული შეცდომის გამო „ლივერპულმა“ „ჩელსისგან“ ფატალური გოლი გაუშვა, რამაც ფაქტობრივად მერსისაიდელებს ჩემპიონის ტიტული დააკარგვინა და მეორედ უკვე ურუგვაის ნაკრებთან — ინგლისელთათვის ავადსახსენებელ მსოფლიო ჩემპიონატზე. სუარესმა ჯერარდის თავიდან ასხლეტილი ბურთი მიიღო და რამოდენიმე წამში აქცია კიდეც საჩუქარი გოლად. ინგლისის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა.

იქამდე, ინგლისელებს უკვე ჰქონდათ წაგებული მატჩი იტალიელებთან, ბოლო შეხვედრაში კი ისინი სრულ კოლაფსს გადაურჩნენ, რადგან მატჩის მიწურულს კოსტა რიკის ნაკრებს ჰქონდა შანსი, რომ გოლი გაეტანა და ამ შემთხვევაში ინგლისის ნაკრები სამი მატჩიდან სამი მარცხით დატოვებდა ჩემპიონატს!

შანსები

დღევანდელი ინგლისის ნაკრების შემადგენლობას თუ გადავხედავთ და გავიხსენებთ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩაგდებულ, მორიგ ევროპის ჩემპიონატს, დამდეგ მსოფლიო პირველობაზე — ინგლისელთა შანსები მიზერულად უნდა შეფასდეს.

ინგლისის ნაკრებმა წლების განმავლობაში ვერ მოაგვარა ვერცერთი ძირეული საკითხი — დაწყებული მწვრთნელით, დამთავრებული პრემიერლიგის წამყვანი კლუბების სტრუქტურით, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის წლებში მაინც, არანაირი კოორდინირებული ქმედება არ შეინიშნება მათ შორის.

პრემიერლიგის დამღლელი სეზონის შემდეგ, განვლილ ევროპის ჩემპიონატზე — ინგლისელთა მწვრთნელმა, ფიზიკურად ქანცგამოცლილ „ტოტენჰემის“ ფეხბურთელებზე გააკეთა აქცენტი და შედეგიც ყველამ კარგად იხილა.

ჰქონდა კი ალტერნატივა? დღესდღეობით, არის კი ინგლისში — ნაკრების წარმატებისთვის საჭირო, უმაღლესი დონის მოთამაშეთა საკმარისი რაოდენობა?

თუკი ნაკრების ახლანდელ ბირთვს გადავავლებთ თვალს, ხომ

აშკარაა მისი სისუსტე 2002 ან 2006 წლის შემადგენლობებთან შედარებით?

მაშ რისი იმედი უნდა ჰქონდეთ ინგლისის გულმხურვალე ქომაგებს, როდესაც მათი გუნდი აშკარად ჩამოუვარდება — გერმანიის, ესპანეთის, ბრაზილიის, საფრანგეთისა თუ არგენტინის ნაკრებებს?

ალბათ იღბლის, რაც მხოლოდ ერთხელ იყო ინგლისელთა თანმდევი და რომლის გარეშეც ისინი მსოფლიო ჩემპიონობას ნამდვილად ვერ იზეიმებდნენ...

უიღბლობამდე კი შეიძლება საქმე აღარც მივიდეს, იმდენად უნიათოა ბოლოხანს ინგლისელთა ასპარეზობა დიდ საფეხბურთო ფორუმებზე.

აი ჭირვეულობა კი... ამის გარეშე ხომ წარმოუდგენელია ნებისმიერი ფორმაციის ინგლისის ნაკრები!

ტარიელ (ტატო)
კინწურაშვილი

ინგლისის ნაკრები და ექსტრავაგანტური სამხრეთი

(კრიტიკა)

ორი საფეხბურთო ქვეყანა — ინგლისი და ბრაზილია. ინგლისი ფეხბურთის სამშობლოა, ხოლო ბრაზილიას ყველაზე წარმატებული საფეხბურთო ნაკრები ჰყავს მთელ მსოფლიოში. ამიტომ გადავწყვიტე — ინგლისისა და ბრაზილიის ეროვნულ გუნდებს შორის პარალელები გავავლო... ბარემ ლირიკასაც ვიხმობ და ერთ ცნობილ გამონათქვამს გავიხსენებ — „ფეხბურთი ინგლისში დაიბადა, ბრაზილიაში კი გაიზარდაო“.

და ეს, მართლაც ასეა...

ყურადღებას არ გავამახვილებ თუ ვის რა აქვს მოგებული და რამდენჯერ, მაგრამ ერთი აუცილებლად უნდა აღინიშნოს — იმ ქვეყნის ნაკრებს, რომელიც ფეხბურთის სამშობლოდ იწოდება, ევროპის ჩემპიონატზე არასდროს გაუმარჯვია. უფრო მეტიც, 2008 წელს, ბებერი კონტინენტის პირველობამ ინგლისელთა გარეშე ჩაიარა, რადგან შესარჩევ მატჩებში წარუმატებლად იასპარეზეს და ჯგუფში ჩარჩნენ. შემდგომი ევრო პირველობაც არ გამოდგა მათთვის სახარბიელო — აი, 2016 წელს კი საქვეყნოდ მოეჭრათ თავი — ინგლისის ნაკრები ისლანდიამ გამოაგდო, — ასეთი რამ, ძილშიც არ ესიზმრებათ ხოლმე.

ნისლიან ალბიონზე ისე გაუჭირდათ, რომ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციაში გადაწყვიტეს — ნაკრების მთავარი მწვრთნელობის

კანდიდატი საზღვრებს მიღმა ეძებნათ. მიაგნეს კიდეც...

ინგლისის ნაკრები ფაბიო კაპელომ ჩაიბარა, მაგრამ რათ გინდა, ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა — ინგლისელები დღემდე ხელცარიელნი რჩებიან და კვლავ 1966 წელს მისტირიან.

კაპელომდე ინგლისის ნაკრებს კიდევ ერთი უცხოელი სპეციალისტი, შვედი სვენ გორან ერიქსონი წვრთნიდა. ერიქსონმა ნაკრები სამი დიდი შეჯიბრების მეოთხედფინალში გაიყვანა და სამივეჯერ ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარის გაწვრთნილ გუნდებთან მოეცარა ხელი, მის ფეხბურთელებს კი ფეხი...

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში სკოლარის ბრაზილიამ ერიქსონის ინგლისს 2-1 მოუგო და გათამაშებას გამოთიშა. მაიკლ ოუენის გატანილს, რივალდოსა და რონალდინიოს მიერ შესრულებული ზუსტი დარტყმები მოჰყვა.

ცნობისთვის: ბრაზილია და ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველად ეს შვედეთში, 1958 წელს მოხდა და მატჩი ფრედ 0-0 დასრულდა. ოთხი წლის შემდეგ ჩილეში გამართულ მომდევნო მუნდიალზე ბრაზილიამ 3-1 დაამარცხა ინგლისი. ბრაზილიელთა მხრიდან ორი გოლი გარინჩამ გაიტანა, ერთხელ კი ვავამ აიღო მოწინააღმდეგის კარი. ინგლისელთა მხრიდან თავი ჰიტჩენსმა გამოიჩინა.

მექსიკაში, 1970 წელს — ბრაზილიამ ჟაირზინიოს ერთადერთი გოლით კვლავ მოუგო ინგლისს. ოთხივე მუნდიალზე, სადაც ბრაზილიელები ინგლისელებს ეთამაშნენ, მსოფლიო ჩემპიონობა სამხრეთ ამერიკელებს დარჩათ.

ევროპის 2004 წლის და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატების მეოთხედფინალებში — ერიქსონის ნავარჯიშევი ინგლისის ნაკრები, სკოლარის მეცადინეობით გაძლიერებულმა პორტუგალიელებმა დაამარცხეს და ერიქსონიც დაკავებული პოსტიდან გადაყენებულ იქნა. იგი შემდეგაც ინგლისში მუშაობდა და „მანჩესტერ სიტის“ ედგა სათავეში. მისმა გაწვრთნილმა შეგირდებმა, პრემიერლიგის 2007/2008 წლების გათამაშებაზე — ბოლო ტურში მარცხი იწვნიეს. საშუალოზე დაბალი დონის გუნდმა, სახელად „მიდლსბრომ“ — „სიტი“ ანგარიშით 8-1

დაამარცხა და ერიქსონმაც ამ სამარცხვინო შეხვედრით დაასრულა სეზონი.

ახლა თქვენ თვითონ გამოიტანეთ დასკვნა, თუ რაოდენ სავალალო მდგომარეობაშია ინგლისური სამწვრთნელო სკოლა, რომ ამაყმა ინგლისელებმა ეროვნული გუნდის გაძღოლა შვედ მწვრთნელს მიანდეს. ერიქსონისთვის, სწორედ ბედის დაცინვა იყო ის ფაქტი, რომ „მანჩესტერ სიტის“ მაშინდელმა მფლობელმა, მილიარდერმა ტაქსინ შინავატრამ — თავისი გუნდის მომავალ მწვრთნელად სკოლარი დაიგულა და არაერთგზის სცადა მისი გადაბირება, თუმცა ბრაზილიელმა პორტუგალიური ნავთსაყუდელი არ მიატოვა.

ინგლისური ფეხბურთი კრიზისში რომ არის, ეს ლოგიკურია, რადგან ბოლო ოცი წლის განმავლობაში თუ რომელიმე ინგლისურმა კლუბმა საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას მიაღწია, ყველას უცხოელი წვრთნიდა. ყველა იმ გუნდში, რომელიც გარკვეულ ძალას წარმოადგენდა — წამყვანი მოთამაშეები გადამთიელები იყვნენ. არ მახსოვს, რომ ჩემპიონთა ლიგის მომგებ, რომელიმე ინგლისური კლუბის კარში ინგლისელი მეკარე მდგარიყოს...

ფანტაზიის ნაკლებობა ხომ ინგლისური ფეხბურთის სენია. სწრაფ ტემპში შესრულებული სწორხაზოვანი გადაცემები და გაუთავებელი ჩაწოდებები ფლანგიდან...

ამას კი შედეგი არ მოაქვს!

***

ექსტრავაგანტური კოლუმბიელი მეკარის, რენე იგიტას ხსენებაზე ფეხბურთის გულშემატკივრებს, პირველ რიგში, 1995 წლის 6 სექტემბერს „უემბლის“ სტადიონზე მის მიერ შესრულებული ტრიუკი გაახსენდებათ, რომელმაც მაშინ მთელი საფეხბურთო სამყარო განაცვიფრა. მან წამის მეასედში მიიღო უაღრესად სარისკო, სპონტანური გადაწყვეტილება და ამით უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა თავისი სანაკრებო კარიერა. მეორე მხრივ კი, ალბათ კარგად იცოდა, თუ ამ ორიგინალურ ქმედებას წარმატებით შეასრულებდა, სამუდამოდ დაიკავებდა მსოფლიო ფეხბურთში გამორჩეულ ადგილს. მაინც რა მოხდა

ასეთი?

ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს ინგლისისა და კოლუმბიის ეროვნული გუნდები ხვდებოდნენ. თამაშის ოცდამეორე წუთზე ინგლისელმა ჯეიმს რედნაპმა დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან ბურთი კოლუმბიელთა კარის მიმართულებით დაარტყა. ამ დროს ნებისმიერი მეკარე ბურთს ხელით დაიჭერდა, მაგრამ "El Loco" (გიჟი) ასე არ მოიქცა და როდესაც ბურთი მიუახლოვდა, წინ გადახტა, ჰაერში ბრუნი გააკეთა და კარისკენ მიმავალი მრგვალი სფერო ფეხის ტერფებით შორს მოიგერია. ამ ფანტასტიკურ ტრიუკს სახელი თვითონ ავტორმა შეურჩია და „მორიელის დარტყმა" უწოდა.

რენე იგიტას მორიელის დარტყმა

ყოველივე ამის შემდგომ ინგლისურ ფეხბურთში მოღვაწე თითქმის ყველა სუბიექტმა დაგმო იგიტას ამგვარი ქმედება. დამწყებ მეკარეებს მოუწოდებდნენ, იგიტასთვის არ მიებაძათ და თამაშის დროს ტრიუკების შესრულებაზე არ ეფიქრათ, რადგან ამით საფრთხეს შეუქმნიდნენ გუნდის ინტერესებს.

არადა, სჯობდა, ინგლისური ფეხბურთის კეთილმოსურნეებს რენე იგიტას ამ მართლაც შეუდარებელი ტრიუკის წინააღმდეგ კი არ გაელაშქრათ, არამედ ქედი მოეხარათ მისთვის და მადლობა გადაეხადათ, რადგან მათივე გამოგონილ დიდებულ თამაშს, სწორედ კოლუმბიელისდარი მოთამაშენი ალამაზებენ და სძენენ ფანტაზიას.

ინგლისის ნაკრების კარში, ლეგენდარული გორდონ ბენქსის შემდეგ, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ჩათვლით, პიტერ შილ-

ტონისა და დევიდ სიმენის გარდა სხვა მეკარე არ მდგარა. ბენქსმა მსოფლიო ჩემპიონატი 1966 წელს მოიგო, 1970 წელსაც ეროვნული გუნდის ღირსებას იცავდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ინგლისელთა ნაკრების რაოდენ დიდ კრიზისზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იქიდან მოყოლებული, ოცდათორმეტი წლის განმავლობაში, მსოფლიო ჩემპიონატებზე ინგლისის ნაკრების კარი მხოლოდ ორმა მეკარემ დაიცვა, რადგან 1974-დან — 2002 წლის ჩათვლით რვა მუნდიალი გაიმართა და აქედან ოთხში ინგლისელებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს. შილტონიცა და სიმენიც, ხუმრობით შეიძლება ითქვას, ღრმა სიბერემდე იდგნენ თავიანთი გუნდის სადარაჯოზე.

მოდი, მისტიკური მეოთხედფინალებიც გავიხსენოთ...

1986 წელი, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი — არგენტინა vs ინგლისი 2-1.

არგენტინამ ფინალში გერმანია დაამარცხა!

2002 წელი, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი — ბრაზილია vs ინგლისი 2-1.

ბრაზილიამ ფინალში გერმანია დაამარცხა!

1986 წელი — მარადონა ინგლისის წინააღმდეგ...

მარადონამ შილტონის კარი ორჯერ დალაშქრა. მან ზღაპრული გოლიც გაიტანა და არჩასათვლელი (ხელით ითამაშა) გოლიც შეაგდო ინგლისელთა კარში.

2002 წელი — რონალდინიო ინგლისის წინააღმდეგ...

რონალდინიომ შესანიშნავი დრიბლინგის საშუალებით ჩამოიტოვა ინგლისელები და საგოლე პასის ავტორი გახდა — გოლი რივალდომ გაიტანა. შემდეგ კი რონალდინიომ გამარჯვების მომტანი ჯადო დარტყმით ბურთი სიმენის კარში ჩაუშვა (სწორედ რომ პარაშუტივით ჩაუშვა) — შეიძლება ასეც ითქვას, ეს იყო გოლი სხვა პლანეტიდან. მერე უხეში თამაშისთვის, მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა ბრაზილიელს და მასაც ნახევარფინალის გამოტოვება მოუხდა, თუმცა ფინალში კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავისი გუნდის რიგებში.

დევიდ სიმენის საფეხბურთო კარიერიდან ერთ მომენტსაც გავიხსენებ და დანარჩენი თავად განსაჯეთ.

2002 წელი. რონალდინიოს გოლი ინგლისელთა კარში.

1995 წელს, ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში ერთმანეთს „სარაგოსა“ და „არსენალი“ შეხვდნენ. მატჩი ფრედ 1-1 დასრულდა, ხოლო ძირითად დროს დამატებულ, მეორე თხუთმეტწუთიანი ტაიმის ბოლო წამებზე — „სარაგოსას“ ფეხბურთელმა ნაიმმა ზუსტად მოედნის ცენტრიდან გაგზავნა ბურთი სიმენის სამყოფელისკენ და „მეთოფეთა“ კიპერის კარში გოლი გავიდა.

იმას, რასაც სიმენი ხელით ვერ იჭერდა — ჰაერში აფრენილი იგიტა ფეხის ტერფებით იგერიებდა!

მრავლისმეტყველი ფოტო

ინგლისელი სტენლი მეთიუზი,
ოქროს ბურთის პირველი მფლობელი

პელე და კავაზაშვილი

ანზორ კავაზაშვილი ერთადერთი ქართველი მეკარეა, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატზე უთამაშია.

ზიკო და ჩივაძე

ალექსანდრე ჩივაძე – 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების ქართველი კაპიტნი.

სარჩევი

წინასიტყვაობა. 3

ბრაზილია

ტარიელ კინწურაშვილი

ოქროს ესკადრონი 5

ორი ტიტანი 19

ექვსი საათის მოლოდინში (ფანტასტიკური საფეხბურთო ნოველა) . . 27

გაგიჟებული (სარკასტულ-გროტესკული საფეხბურთო ნოველა) 31

უიღბლო ქომაგი (გროტესკული საფეხბურთო ნოველა) 35

ტატო კინწურაშვილის „Facebook“ გვერდზე გამოქვეყნებული სატირა (ბრაზილიური და არაბრაზილიური რამე-რუმეები...) 38

გერმანია

ეახტანგ ხუციშვილი

ბრძოლა 52

ტარიელ კინწურაშვილი

ცოტა რამ გერმანიაზე. 62

გიორგი ფულარიანი

მერსედესის იმედად 65

იტალია

არჩილ შენაშვილი

Forza Italia!. 67

არგენტინა

ტატო ბაციკაძე
არგენტინის ნაკრები 84
არგენტინელთა შანსები. 100

ურუგვაი

გოჩა კაჭარავა
მსოფლიოს პირველი ჩემპიონები 102

საფრანგეთი

ვახტანგ ხუციშვილი
ფეხბურთი და ღირსება 118
ტარიელ კინწურაშვილი
ჭრელი მამალი. 124

ესპანეთი

დავით კვიტატიანის დამოკიდებულება ესპანური ფეხბურთის მიმართ.... 126
თეა თაბაგარის დამოკიდებულება ესპანური ფეხბურთის მიმართ... 128
დავით კვიტატიანი, თეა თაბაგარი
ფურია როხა 130

ინგლისი

არჩილ ბენაშვილი
უიღბლო თუ ჭირვეული?. 161
ტარიელ კინწურაშვილი
ინგლისის ნაკრები და ექსტრავაგანტური სამხრეთი (კრიტიკა) . . 178

ISBN 978-9941-277-23-8